იუზა გვენეტაძე

საპარლამენტო მოძრაობა საქართველოში

(რუსეთის სახელმწიფო სათათბირო და პოლიტიკური პარტიები საქართველოდან) 1905–1917 წწ.

ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
თბილისი
1996

ჩვენო იუსა! ვასრულებთ სიცოცხლის ბოლო წუთებში ლუღლუღით დანაბარებ შენს ანდერძს და ვაქვეყნებთ წიგნს, რომელიც შენ სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად გქონდა გამზადებული.

შენ ხომ ადრევე იწინასწარმეტყველე და დაიბარე, დაცვას თუ ვერ მოვესწარი, ბავშვებს ჩემს სახსოვრად წიგნად გამოუქვეყნეთო. შენ ხომ საავადმყოფოში წასვლის წინ მაგიდაზე უკვე გადათვალებული, წინადადება გახლეჩილი მეხუთე თავი დატოვე. შევასრულეთ შენი თხოვნა და შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს უკვე მზად იყო თეთრი ეგზემპლარი.

დაე, ეს წიგნი იყოს შენი ცოცხალი ძეგლი დაბადების 60 წელთან დაკავშირებით შენი ოჯახის, ახლობლებისა და შენი სათაყვანებელი კაცის - პროფესორ ალექსანდრე ბედიანიშვილისაგან, რომელმაც ენერგია არ დაგამადლა საბოლოო რედაქციისათვის.

იძინე მშვიდად, მაგ გზაგრძელ სასუფეველში.

რედაქტორისაგან

რუსეთისა და იმპერიის განაპირა ქვეყნების გამანთავისუფ-ლებელმა მოძრაობამ აიძულა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე დათმობაზე წასულიყო, 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოეცა მანიფესტი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის თაობაზე. პროგრესულმა საზოგადოებამ მიიჩნია, რომ მეფის თვითმპყრობელობა იცვლებოდა კონსტიტუციური მონარქიით. რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომნი ღებულობდნენ სიტყვის, პრესის, კავშირების შექმნის და გაფიცვების უფლებას, მოქალაქეობრივ თავისუფლებას.

მაგრამ მეფის მთავრობა მანიფესტის განხორციელებას არ ჩქარობდა. სოციალური და ეროვნული პრობლემები გადა-უწყვეტელი რჩებოდა. ბოლშევიკები მეფის დაპირებას უნდობ-ლობით შეხვდნენ. საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება დაიწყეს. სხვა მემარცხენე პარტიებმა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ტაქტიკა შეიმუშავეს; მოთხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევა, რუსეთის მართვა-გამგეობის დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნა დამფუძნებელი კრების პროგრამატიულად გამოაცხადეს.

ლენინმა გადაჭარბებით შეაფასა პროლეტარიატის შესაძ-ლებობანი, მუშათა კლასი ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელ ძალად მიიჩნია, აღჭურვა იგი ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორიით. რუსეთის იმპერიის მრავალეროვანი ბურჟუაზია შეაშინა სოციალიზმის აჩრდილმა. მან რეალობად აღიქვა ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე და ჩამოსცილდა რევოლუციას. რევოლუციას გამოეთიშა ინტელიგენციის დიდი ნაწილიც.

საერთო დემოკრატიის გათიშვამ მეფის მთავრობას მოქ-მედება გაუადვილა. მან გააძლიერა რეპრესიები. გაანადგურა აჯანყების ძირითადი კერები, მაგრამ რაკი სახალხო მოძრაობა

მაინც გრძელდებოდა, მეფეს უარი არ უთქვამს რეფორმების გატარებაზე, 17 ოქტომბერს მანიფესტის ძირითად დებულებათა შესრულებაზე. 1906 წლის 20 თებერვალს ბრძანა ხალხის წარმომადგენლობის – სახელმწიფო სათათბიროებისათვის საკანონმდებლო უფლების მინიჭება. მართალია, ბევრს ეჭვი ეპარებოდა ამ ბრძანების რეალიზაციაში, მაგრამ პოლიტიკური პარტიები მაინც დაირაზმნენ წინასაარჩევნო ბრძოლისათვის.

ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ მეფის მთავრობა ამიერკავკასიის ხალხებს არ აძლევდა წარმომადგენლობას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და ამდენად მხარეში არჩევნები არ ჩატარდებოდა. მაგრამ „ტუზემცების“ უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ნიკოლოზ მეორემ საკითხის შესასწავლად შექმნა სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა ამიერკავკასიელთა დელეგაცია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ილიასა და დელეგაციის წევრთა პრინციპულობამ, კატეგორიულმა ტონმა რუსეთის მთავრობა დათმობაზე წაიყვანა, ამიერკავკასიისათვის ცალკე საარჩევნო წესები შემუშავდა. ქართულ გუბერნიებსა და ოლქებს უფლება მიეცათ იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში წერეგზავნათ 8 დეპუტატი.

1906-დან 1917 წლამდე ოთხჯერ ჩატარდა არჩევნები და ამ პერიოდში, მეტ-ნაკლები ხანით, ოთხი სათათბირო მოქმედებდა. რესეთის ეს ნახევრად პარლამენტი სახელმწიფო წყობილების, პოლიტიკური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი გახდა,ახალი სიო შემოიტანა იმპერიის ხალხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ ლენინისა და ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ 1906 წელს დაგმობილი სახელმწიფო სათათბირო ათვალწუნებული რჩებოდა კომუნისტური დიქტატურის 70 წლიანი ბატონობის დროსაც. იგი განსჯისა და ღრმა მეცნიერული შესწავლის ღირსად არ იყო მიჩნეული. არც რუსულ და არც საბჭოთა იმპერიის ხალხთა სხვა ენებზე სახელმწიფო სათათბიროს საკონმდებლო საქმიანობის შესახებ სერიოზული

ნაშრომი არ დაწერილა. რუსმა მოღვაწეებმა მხოლოდ ამ ბოლო წლებში გაიცნობიერეს სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობა, რუსული პარლამენტარიზმის განვითარების ეტაპების ათვლა 1906 წლიდან დაიწყეს და რუსეთის დღევანდელ პარლამენტს სახელმწიფო სათათბირო უწოდეს. გასაგებია, რომ ისტორიკოსები დიდ მუშაობას ეწევიან მეცნიერების ამ ხარვეზების ამოვსებისათვის.

საქართველოში ამ თემის კვლევის პიონერი არის დოცენტი იუზა გვენეტაძე. 15 წლის წინ დაწყებული დაძაბული მუშაობის შედეგია მისი მონოგრაფია – „საპარლამენტო მოძრაობა საქართველოში (რუსეთის სახელმწიფო სათათბირო და პოლიტიკური პარტიები საქართველოდან)“ 1905-1917 წწ., რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ნაშრომი პირველწყაროების ბაზას ემყარება. ავტორი იყენებს რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო არქივების ფონდებიდან ამოღებულ დოკუმენტებს, რუსული და ქართული პერიოდული პრესის მასალებს. მონოგრაფიაში წარმოჩენილია სახელმწიფო სათათბიროს სტრუქტურა, საარჩევნო სისტემის ევოლუცია, ქართველი საზაგადოების დამოკიდებულება სათათბიროსადმი, საქართველოს პოლიტიკური პარტიების პოზიცია, მათი წინასაარჩევნო ბრძოლა, გამარჯვებული პარტიების საპარლამენტო საქმიანობა.

ნაშრომში მოტანილი მასალა და ავტორისეული დასკვნები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ძლიერი და რადიკალური იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). სწორედ მათ დასვეს ამიერკავკასიაში რეფორმების გატარების საკითხი, მოითხოვეს ამ მხარეში ერობის შემოღება. მეფის ნაცვლის საბჭოში დემოკრატიის წარმომადგენელთა დაშვება, სამაზრო მმართველობის გარდაქმნა, ადგილობრივ სკოლებში მშობლიურ ენაზე

სწავლების დამკვიდრება, ამიერკავკასიაში რუსი კოლონისტების გადმოსახლების შეწყვეტა, დროებით-ვალდებულების ინსტიტუტის ლიკვიდაცია. მეფის მთავრობა განარისხა ამ ფრაქციის სოციალურმა რადიკალიზმმა. 1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ მეორემ მეორე სახელმწიფო სათათბირო გარეკა. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი მოვლენა და შეფასდა როგორც რევოლუციის მარცხიანი დასასრული.

კონტრრევოლუციური ძალების გამარჯვების შემდეგ იმპერატორის ბრძანებით კანონში სათანადო ცვლილება შეიტანეს. სათათბიროში შემცირდა ხალხის, დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლობა, შეიკვეცა ამ დაწესებულების უფლება-კომპეტენცია. მაგრამ ამის შემდეგაც სახელმწიფო სათათბირო ნახევრად პარლამენტი იყო. საქართველოს პოლიტიკური პარტიები კვლავ თავდადებით იბრძოდნენ მასში მოხვედრისათვის. იუსა გვენეტაძეს დიდი კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე აქვს ნაჩვენები ქართველი დეპუტატების საქმიანობა მესამე და მეოთხე სათათბიროში. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინა პლანზე კვლავ სოციალურ პრობლემებს აყენებდა, ეროვნულ საკითხს უგულებელყოფდა, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიაზე ხმას არ იღებდა. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი ვარლამ გელოვანი. 1912 წლის დეკემბერში მან პირველად დასვა სათათბიროში ეროვნული საკითხი. რუსეთის იმპერიის საპარლამენტო ფრაქციებს მოუწოდა გადაეხვიათ ცარიზმის ბიუროკრატიის შოვინისტურ-დიდმპყრობელური პოლიტიკისათვის, საქართველოსათვის მიეცათ ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსი.

სახელმწიფო სათათბიროს კონსერვატიულმა შოვინისტურმა უმრავლესობამ, მართალია, გასაქანი არ მისცა ფართო დემოკრატიას, განაპირა ერების განმათავისუფლებელ მისწრაფებებს, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა მთლიანობაში დადებითად ფასდება. რუსეთმა ამ დაწესებულებების მეშვეობით

გადადგა პირველი ნაბიჯები კონსტიტუციური მონარქიისა და დემოკრატიული წყობისაკენ. ქართველმა პოლიტიკოსებმაც საპარლამენტო მოღვაწეობის პირველი სკოლა რესეთის სახელმწიფო სათათბიროში გაიარეს, რაც გამოიყენეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში (1918-1921 წწ.).

იუზა გვენეტაძემ ვერ მოასწრო დასახელებული ნაშრომის გამოქვეყნება და მისი წარდგენა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ქალბატონმა ცარომ უპატრონა იმ ქვეყნად ნაადრევად წასული მეუღლის ნაშრომს, თავისი ხარჯით გამოსცა წიგნი და ამით უკვდავყო მისი ავტორის სახელი.

დარწმუნებული ვარ, მკითხველი საზოგადოება მაღალ შეფასებას მისცემს იუზა გვენეტაძის მრავალწლიანი ინტელექტუალური შრომის ამ ნაყოფს.

პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი

შესავალი

ყველა მომხდარი ფაქტი თუ მოვლენა, ისტორიის კუთვნილებაა. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ წარსული ყოფა-ცხოვრების გაგებისათვის, მით უმეტეს თუ ისინი განვლილი ცხოვრების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მხარეს ეხებიან. პოლიტიკური ურთიერთობანი წარმოადგენენ ისტორიული მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალურ ხაზს, რომელმაც უნდა წარმოაჩინოს ამ ურთიერთობის მომტანი ყველა პოლიტიკური ძალის, თუ პარტიის სახე, განსაზღვროს მათი ადგილი ამ ურთიერთობაში. არ შეიძლება ნებისმიერი ისტორიული ფაქტის, გინდ მოვლენის ერთი რომელიმე კლასის, თუ პარტიის სასარგებლოდ გაშუქება, მისი ტენდენციური გაზვიადება, ან დაკნინება. მეცნიერება ეს არის სათანადო კვლევა-ძიების და ანალიზის შედეგად მიღებული ახალი ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც ობიექტურად ასახავს სინამდვილეს. ამიტომ იგი თანაბრად უნდა ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას და არა რომელიმე კლასს, თუ პარტიას.

სამწუხაროდ, ყოფილ სსრ კავშირში, ისტორიულ მეცნიერებას საფუძვლად ედო პარტიულობის პრინციპი, რაც ყოვლად გაუმართლებელი იყო, რადგან ემსახურებოდა მხოლოდ ყბადაღებული კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებას და სხვას მეტს არაფერს. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, ბუნებრივია, დიდად დააზარალა ისტორიული მეცნიერება, გამოაცალა ობიექტურობის ნიადაგი, რის გამოც ბევრი ფაქტი და მოვლენა ან ტენდენციურად გაშუქებული, ანდა სულაც გვერდავლილი დარჩა.

_ კომუნისტური ხელისუფლების ბატონობის წლებში მრუდე სარკეში იყო ნაჩვენები ბოლშევიკებისათვის მიუღებელი სხვა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა. მათი თავდასხმის ობიექტი პირველ რიგში ქართველი მენშევიკები და ფედერალისტები იყვნენ. ამ პარტიების საქმიანობას ნაციონალის-

ტურობის იარლიყი ჰქონდა მიკერებული. არადა, კარგა ხნის მანძილზე საქართველოში, ხალხი მხოლოდ ამ პარტიებს უჭერდა მხარს, პირველ რიგში კი მენშევიკებს. ხალხის მიერ მენშევიკების და ფედერალისტების მხარდაჭერის გამო, ბოლშევიკები ვერავითარ კვალს ვერ ამჩნევდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ამიტომ ისინი დროდადრო იძულებულნი იყვნენ, ან მენშევიკებთან ერთად ემოქმედათ, ანდა გარკვეული ხნით ჩრდილში დარჩენილიყვნენ და საკუთარი მიზნების მისაღწევად ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდნენ.

სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთის პირველ რევოლუციაში თვითმყრობელობის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლას ხელმძღვანელობდა. რევოლუციაში ბურჟუაზიაც მონაწილეობდა. ეკონომიკური სიძლიერის ზრდის კვალობაზე იგი მოთხოვდა, რომ თავადაზნაურობასთან ერთად, მასაც ჰქონოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება. ეს მოთხოვნა სულ უფრო კატეგორიული ხდებოდა. ამიტომ ცარიზმი იძულებული გახდა ახალ დაფმობაზე წასულიყო მის მიმართ. ამას ემსახურებოდა ხელისუფლების მიერ რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს დაარსება.

მთავრობას ყველაფერი წინასწარ კარგად ჰქონდა გათელილი. მას სურდა მოჩვენებითი რეფორმებით და დაპირებებით თავისკენ მიემხრო ბურჟუაზია და შეენელებინა 1905-1907 წლების მუშათა რევოლუციური გამოსვლების ტალღა. ცხადია, ცარიზმი სათათბიროს დაარსებით სულაც არ აპირებდა სახელმწიფო მართვის სადავეების ხალხის ხელში ჩაგდებას. მის მიერ გადადგმული ნაბიჯი მიზნად ისახავდა რუსეთში „პარლამენტის“ არსებობის ილუზიის შექმნას, ევროპის ქვეყნების წინაშე „კონსტიტუციით“ თავის მოწონებას, მაგრამ სინამდვილეში სათათბირო მოკლებული იყო საკანონმდებლო ფუნქციას, რადგან კონონპროექტის საბოლოო მიღების პრერეგატივა მეფეს ეკუთვნოდა.

მახინჯი საარჩევნო კანონის გამოყენებით, ცარიზმი

იმედოვნებდა, რომ სასურველი შემადგენლობის და მორჩილ სათათბიროს მიიღებდა. მხარდაჭერას იგი უპირველეს ყოველისა, შიდა რუსეთიდან ელოდა. რაც შეეხება ეროვნულ მხარეებს, განსაკუთრებით კავკასიას, აქ დიდი მუშაობა უნდა გაეწია ადგილობრივ ადმინისტრაციას. მას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ სათათბიროში მეფის ერთგული დეპუტატები აერჩიათ. ამისათვის მაქსიმალურად გამოეყენებინათ პოლიცია. თუ საჭირო იქნებოდა ჩაეშალათ საარჩევნო კრებები.

საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები და არაპარტიული საზოგადოებრივი ჯგუფები სხვადასხვანაირად აფასებდნენ სახელმწიფო სათათბიროს როლს, თუმცა ბოლშევიკების გარდა, ყველა აღიარებდა, რომ რეაქციის პირობებში საჭირო იყო ამ ლეგალური საშუალების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. თითოეული პოლიტიკური პარტია ცდილობდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად თავის კანდიდატის გაყვანას, რაც არჩევნების დროს მათ შორის იწვეედა მწვავე ურთიერთდაპირისპირებას და ბრძოლას. სათათბიროთა არჩევნებში შემდეგ ბოლშევიკებიც ჩაებნენ.

სახელმწიფო სათათბიროს, როგორც პარლამენტის ფუნქციის შემსრულებელი ორგანოს, მთავარი დანიშნულება საკანონმდებლო მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მონარქიის პირობებში ამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. თვითმპყრობელობამ ამის საშუალება არცერთ სათათბიროს არ მისცა. ამასთან, ზოგიერთი მათგანი მან ვადამდე ადრე დაითხოვა და მემარცხენე დეპუტატებიც „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის“ სათანადოდ დასაჯა. რუსეთის ოთხივე მოწვევის სათათბირო ძირითადად წვრილ და უმნიშვნელო კანონპროექტებს იღებდა, თუმცა მემარცხენე დეპუტატები მისგან მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას მოითხოვდნენ.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების

წინ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პარლამენტური გზით საქართველოს ავტონომიის მოპოვების იდეამ. მართალია, ამ იდეის პროპაგანდისტები ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში თერგდალეულები და მათი ბელადი ი.ჭავჭავაძე იყვნენ, მაგრამ ახლა საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლაში ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები ჩაებნენ, რომლებიც ავტონომიური საქართველოს მშენებლობას პარლამენტურ საფუძველზე ფიქრობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა გაზეთი „ივერია" და მისი ჯგუფი. ეს უკანასკნელნი, განიცდიდნენ რა თერგდალეულთა და მათი წინამძღოლის ი.ჭავჭავაძის შეხედულების იდეურ გავლენას, მხარს უჭერდნენ დემოკრატიულ სახელმწიფოს და პარლამენტარიზმს, რუსეთის მართვა-გამგეობის ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციას და განახლებულ ფედერაციაში საქართველოს ავტონომიურ-პარლამენტურ მოწყობას. გაზეთის პუბლიცისტებს საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლისა და საერთო დემოკრატიული ამოცანების შესასრულებლად საჭიროდ მიაჩნდათ ყველა კლასის შეთანხმება და სოციალ-დემოკრატიაზე ზეგავლენის მოხდენა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიას მხარი დაუჭირა ქართველმა ლიბერალურმა თავადაზნაურობამ. მან ანგარიში გაუწია ქართველი ხალხის დიდი ნაწილის განწყობას და აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საქართველოსათვის ავტონომიის ბოძების თაობაზე. იგი სიხარულით შეხვდა ცნობას რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს („პარლამენტის") დაარსების შესახებ, აგრეთვე ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირისა და მისი საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბების ფაქტს და შეეცადა მასთან კონტაქტის დამყარებას, მის თავმჯდომარეს თხოვა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხის დასმა. ამასთან, ლიბერალურ ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც გადაჭარბებულად აფასებდა სათათბიროს

როლს, მცდელობა არ დაუკლია საკუთარი დეპუტატის არჩევისათვის, თუმცა წარმატება არ ჰქონია.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს ავტონომიის იდეას განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავდა ეროვნული დემოკრატიის მოტრფიალე ი.ჭავჭავაძე. მას, როგორც XIX ს. მეორე ნახევარში, ისე ახლაც მიაჩნდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება უპერსპექტივო იყო. ამიტომ იგი ძველებურად იცავდა რუსეთის იმპერიის ფედერაციული სახელმწიფოდ გარდაქმნის და ფედერაციაში საქართველოს ავტონომიის ფორმით მოწყობის იდეას, რასაც შემდეგ მისი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. მართალია, ილიას უარყოფითი აზრი გააჩნდა სათათბიროს მიმართ, მიაჩნდა იგი ფიქციად, მაგრამ ის იმასაც კარგად ხედავდა, რომ რეაქციის მძვინვარების დროს, რუსეთში „სახალხო წარმომადგენლობის“ სხვა დაწესებულება არ იყო და ფიქრობდა საქართველოს ავტონომიის საკითხის აღძვრისთვის მის გამოყენებას. ამ მიზნით, სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია დაახლოებასაც კი ცდილობდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს ქართველ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან, რომლებიც მისი იდეური მოწინააღმდეგენი იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ აქედან არაფერი გამოვიდა.

თერგდალეულთა მიერ წამოყენებული ფედერაცია-ავტონომიის იდეის ხორცშესხმისათვის ბრძოლა დაისახეს მიზნად სოციალისტ-ფედერალისტებმა. მართალია, ისინი საერთო პრობლემებზეც მსჯელობდნენ, მაგრამ ყველაზე მწვავედ ეროვნულ საკითხს თვლიდნენ. ამაში ფედერალისტები ძირითადად პოლიტიკურ შინაარსს დებდნენ, თავის უმთავრეს მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას აცხადებდნენ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის იბრძოდნენ, რომელიც კონსტიტუციურ-პარლამენტურ საფუძველზე იქნებოდა აგებული. ფედერაციულ სახელმწიფოს საერთო საქმეთა გამგებლობაში ავტონომიური საქართველო

მონაწილეობას მიიღებდა ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილი წარმომადგენლის მეშვეობით. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ყველა კლასის და ფენის კონსოლიდაცია. ფედერალისტები თავიანთი იდეების პროპაგანდას ჯერ გაზეთ „საქართველოს“, ხოლო შემდეგ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით ეწეოდნენ.

მართალია, სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი მიზანი, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, მაგრამ ხედავდნენ რა იმას, რომ იმდროინდელ საერთაშორისო და შინა პოლიტიკურ ვითარებაში ბრძოლა რუსეთისაგან გამოყოფისათვის უსარგებლო და საშიშ ავანტიურას წარმოადგენდა, 1905-07 წლების რევოლუციის და პირველი მსოფლიო ომის წლებშიც, საქართველოს ავტონომიას სჯერდებოდნენ, ის მიაჩნდათ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საფუძვლად და პირველსახედ.

სოციალ-ფედერალისტები საერთო დემოკრატიულ პლატფორმაზე იდგნენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების ფარგლებს არ სცილდებოდნენ და ავტონომიის მოთხოვნას ამ ამოცანების გადაწყვეტის საჭიროებით ხსნიდნენ. მათი აზრით, ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, დემოკრატიულ გარდაქმნათა პროცესში უნდა გადაჭრილიყო.

ავტონომიის მოპოვებისა და ეროვნული საკითხის გადაჭრაში ფედერალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ სახელმწიფო სათათბიროზე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სათათბიროში წარმოდგენილი დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები აღძრავდნენ მომწიფებულ საკითხებს, შეიმუშავებდნენ ეპოქის შესაფერის კანონპროექტებს და სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენ ერთა ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემებს.

შექმნილ სიტუაციაში, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლის პარლამენტური, მშვიდობიანი ფორმის აქტიურ მხარდამჭერად გამოდიოდა ფედერალისტების ლიდერი ა.ჯორჯაძე. მისი აზრით, „პარლამენტი უფლების განმამტკიცებელი ასპარეზია. ამიტომ იურიდიული საბუთი არსად

ისე არ გამოდგება, როგორც პარლამენტის ტრიბუნაზე".[1] საბუთში ის ამ შემთხვევაში საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას და 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატს გულისხმობდა.

სოციალისტ-ფედერალისტები, ცალკეული გამონაკლისის გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო სათათბიროების არჩევნებში, მათი მთავარი მეტოქის - სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ხშირად ბლოკში გამოდიოდნენ მონათესავე პარტიებთან. მათმა წარმომადგენელმა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში აღძრა საქართველოს ავტონომიის საკითხი, მაგრამ მან, ისევე როგორც თავის დროზე პოლონელების მოთხოვნამ, სათათბიროს მხარდაჭერა ვერ პპოვა.

საქართველოს ავტონომიის საკითხში სოციალისტ- ფედერალისტებს მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე იდგნენ, ყოველ მოვლენას პროლეტარიატის ინტერესთა თავალსაზრისით ზომავდნენ. მათ გულწრფელად სწამდათ, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ავტონომიის მოთხოვნა არ პასუხობდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წარმატების ინტერესს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეროვნულ მოთხოვნათა წინ წამოწევა შეაფერხებდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჯერ დამფუძნებელი კრების მოწვევას, რესეთის პროგრესულ-საზოგადოებრივი ძალების ყველა სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის უნდა მიეღწიათ და მხოლოდ ამის შემდეგ დადგებაო ეროვნულ საჭიროებაზე ლაპარაკის დრო. ზოგი სოციალ-დემოკრატი ეროვნული საკითხის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გადადებას მოითხოვდა.

ქართველ მენშევიკებს სახელმწიფო სათათბირო არ მიაჩ-

---

1. ა.ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ.227

ნდათ ნამდვილ პარლამენტად, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში, მათი აზრით, იგი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო თვითმპყრობელობის ავანტიურისტული პოლიტიკის მხილებისა და ხალხის მასების გარეეოლუციონერებისათვის. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები მთელ თავის მუშაობას სათათბიროში სწორედ ამ მიმართულებით წარმართავდნენ, რითაც უკიდურესობამდე იყო გამწვავებული მდგომარეობა მათსა და ხელისუფლებას შორის.

ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიერ მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, კერძოდ, დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, მაგრამ მათთან შედარებით მთავრობამ უპირატესობა იმავე საკითხებზე კავკასიის მეფის ნაცვლის მიერ შეტანილ კანონპროეტებს მისცა.

საქართველოს ავტონომიის იდეას სოციალ-დემოკრატების გარდა ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი სომეხი ბურჟუაზია. მისი ლიდერები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა გაუჭირდებოდა. ეროვნულ საკითხებზე ასეთი შეხედულების მქონე სომეხი ბურჟუაზია, არც თუ იშვიათად პოულობდა საეთო ენას სოციალ-დემოკრატებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზროვნებაში შემდეგ მოხდა ადრინდელ შეხედულებათა გადაფასება და მათ თანდათანობით ეროვნულ საკითხს უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს.

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ხალხები განიცდიდნენ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას. ამიტომ ეროვნული და სოციალური მოძრაობა ერთმანეთს კი არ ასუსტებდა, არამედ ავსებდა და აძლიერებდა. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერწყმოდა საერთო დემოკრატიულ ბრძოლას და ორივე ერთად ქმნიდა რევოლუციურ სიტუაციას, საერთო ნაციონალურ კრიზისს, აადვილებდა

ცარიზმის დამხობას.

სახელმწიფო სათათბიროების შესახებ გარკვეული პირველწყაროები და მრავალმხრივი ლიტერატურა არსებობს. სათათბიროების მოღვაწეობის პერიოდში თვითონ მეფის ხელისუფლება სცემდა სხვადასხვა სახის მასალებს; სტენოგრაფიულ ანგარიშებს, სათათბიროთა მუშაობის მიმოხილვებს, მიღებული კანონპროექტების კრებულებს და ა.შ. მიუხე- დავად მრავალი ნაკლისა, ისინი წარმოადგენენ დღეს ერთ-ერთ პირველ დასაყრდენ წყაროს. ასევე პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი ავტორების მიერ დასტამბულ წიგნებს, ბროშურებს და სტატისტიკურ მასალებს.

რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სახელმწიფო სათათბიროთა თემა საფუძვლიანად არის შესწავლილი. მათ მუშაობაზე დაწერილია რამდენიმე მონოგრაფია, გამოცემულია დოკუმენტების და მასალების კრებულები. ბევრი ნაშრომი ეხება სათათბიროთა მოწვევა-მოღვაწეობის, აგრეთვე სახელმწიფოებრივ-სამათლებრივი მდგომარობის და ისტორიული მნიშვნელობის საკითხებს. გამოქვეყნებულია მესამე სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების მოგონებანი. სხვადასხვა წლებში გამოიცა მეფის ყოფილი მინისტრების და დეპუტატების მემუარები. სათათბიროებზე ბევრ საინტერესო მასალებს ეხედებით ცალკეულ ავტორთა სტატიებსა და პუბლიკაციებშიც. ამ შრომებიდან ზოგიერთში ქართველი დეპუტატების მოღვაწეობის შესახებ გაკერით თუ არის რაიმე ნათქვამი.

საბჭოთა პერიოდში, ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების შესახებ დაწერილ ისტორიებსა და ისტორიის ნარკვევებში, აქ მიმდინარე სათათბიროების არჩევნების, ან სათათბიროებში აქაური დეპუტატების საქმიანობის თაობაზე, ძალზე მწირი მასალებია მოცემული. სახელმწიფო სათათბიროებზე ფრაგმენტულ ცნობებს ეხედებით, ან მხოლოდ ერთ რომელიმე საკითხზეა ყურადღება გამახვილებული

საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ ნაშრომშიც.[1]

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელმწიფო სათათბიროს თემა ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. ყურადღების მიღმაა დარჩენილი საქართველოში ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც თან ახლდა ამ ინსტიტუტის დაარსებას და მუშაობას. სრულად არ არის ახსნილი სახელმწიფო სათათბიროთა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ჯგუფების მწვავე დაპირისპირებისა და ბრძოლის მიზეზები, მიზნები და ამოცანები. არც ბრძოლის შედეგებია სათანადოდ გაანალიზებული. ამასთან, გამორკვეული არ არის, თუ რა დავალებით აგზავნიდა ესა თუ ის პარტია თავის წარმომადგენელს სათათბიროში. ნაკლებად ცნობილია, რუსეთის ოთხივე მოწვევის „პარლამენტში" ქართველი დეპუტატების მოღვაწეობის ტაქტიკა და მიმართულება, მათ მიერ სათათბიროებში შეტანილი კანონპროექტები და შეკითხვები, აგრეთვე მთავრობის საპასუხო ღონისძიებები. ამ ხარვეზების ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად ეს მონოგრაფია.

ნაშრომის დაწერისათვის ძირითად წყაროდ გამოყენებულია იმდროინდელი ქართული პრესა, აგრეთვე საქართველოსა და სანკტპეტერბურგის სახელმწიფო არქივებში მოძიებული დოკუმენტები. საქართველოში სახელმწიფო სათათბიროების არჩევნებსა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრესა და საარქივო მასალები ჩვენს მიერ პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

---

1. ყველაფერ ამის შესახებ იხილე ნაშრომის ბოლოს დართული წყაროები და ლიტერატურა.

თავი I. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა XX ს. დაბადებს

§1. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა და ცარიზმის „რეფორმატული“ მოღვაწეობა XX ს. დასაწყისში

XX ს. დასაწყისისათვის რუსეთი კვლავ შეუზღუდავ მონარქიად რჩებოდა. მთელი ძალაუფლება - საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელთ ეპყრა მეფეს. ის უზარმაზარ ქვეყანას თავისი ბიუროკრატიის მეშვეობით მართავდა, ერთპიროვნულად განაგებდა მილიონობით ადამიანის ბედს. მეფის ხელისუფლების შემზღუდავი არავითარი კანონი არ არსებობდა. ამის გამო თვით მეფის ბიუროკრატია ფაქტიურად უკონტროლოდ იყო დარჩენილი. პოლიტიკურ სისტემას და პოლიტიკურ ურთიერთობებს განსაზღვრავდა თვითმპყრობელური ხასიათი და შინაარსი.

ქვეყანაში არ არსებობდა კონსტიტუცია და დემოკრატიული ინსტიტუტები, პირველ რიგში პარლამენტი, სადაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები განიხილებოდა ხალხის მიერ არჩეული პირებისაგან და ხმის უმრავლესობით ხდებოდა ამ საკითხის გადაჭრა. არც საზოგადოებრივი ორგანიზაციები არსებობდნენ, რომლებიც იქნებოდნენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების გამომხატველნი.

ადამიანის პიროვნების ღირსება და ხელშეუვალობა კანონით არ იყო დაცული, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მისი ინტერესების შელახვა და დამცირება. ხალხი არ სარგებლობდა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებით. მათ არ ჰქონდათ სიტყვის, პრესის, მიტინგების, კრებების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, თუ პარტიებად გაერთიანების უფლება, ისინი მოკლებულნი იყვნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობას.

უკიდურესობამდე იყო მისული ეროვნული ჩაგვრა. თუ რუსი

ხალხი მარტო სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა, ეროვნული მხარეებში არარუსი ხალხები ორმაგ ჩაგვრის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. აქ სოციალურ ჩაგვრას თან ემატებოდა ეროვნული ჩაგვრაც. არარუსებს მიკერებული ჰქონდათ „ინოროდცების“ სამარცხვინო იარლიყი. თვითმპყრობელობა ხშირად მიმართავდა ერთი ერის მეორეზე წაკიდების პოლიტიკას, ხელმძღვანელობდა „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით.

ევროპის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებამ, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სათავე დაუდო ახალ ეპოქას. ტრადიციული ტიპის პოლიტიკური ხელისუფლება ლეგიტიმური ხელისუფლებით შეიცვალა. მისთვის დამახასიათებელი იყო ხელისუფლების ფუნქციათა დანაწილება, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა სახეთა ინსტიტუციონირება და რაც მთავარია, საკონონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გონიერების პრინციპისადმი დაქვემდებარება. ამის გამო ხელისუფლება მოსწყდა „ზებუნებრივ ძალებს“ და მას მემკვიდრეობის ტრადიციული პრინციპი გამოეცალა. ამიერიდან დამოუკიდებელი და ლეგიტიმური ინსტიტუტები განიხილებოდა როგორც ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პროდუქტი, რომლის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ცვლილება საზოგადოების და არა „ღვთაების“ პრეროგატივას წარმოადგენდა. ასე შეიქმნა ხელისუფლების ახალი ტიპი – ლეგიტიმური ხელისუფლება, რომლის უფლებამოსილება ადამიანთა რაციონალურ რწმენას დაეფუძნა.

რუსეთში ძველი, ტრადიციული ანუ პატრიმონალურ-სულტანური ტიპის ხელისუფლება არსებობდა, რომელსაც ახასიათებდა მეფისა და სახელმწიფო ხელისუფლების მკაცრი ცენტრალიზაცია და პოლიტიკური ხელისუფლების მემკვიდრეობა. აქ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებისდროინდელი მართვა-გამგეობა ბატონობდა, რაც რუსეთს პოლიტიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების გვერდით აყენებდა.

თვითმპყრობელობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში

ეურდნობოდა თავადაზნაურებს და მემამულეებს და მათ ინტერესებს იცავდა. მისი კონსერვატიული ნაწილი მეფის ჩათვლით, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში დამკვიდრებული მმართველობის სისტემის გადმოღებას რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ სიტყვის გაგონებაც არ სურდათ რაიმე კონსტიტუციური დაწესებულების შემოღების თაობაზე, მხარს უჭერდნენ ძველი სახელმწიფო სტრუქტურების ხელუხლებლად დატოვებას, რასაც ბენებრივია, თვითმპყრობელობაც კმაყოფილებით მიესალმებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი მონარქიას წარმოადგენდა. ამის გამო ქვეყნის პოლიტიკური სისტემა განუვითარებული იყო. მართვის ცალკეული სახელმწიფო ორგანოები თვითმპყრობელობის მიერ იყო შეზღუდული და მათ საკუთარი ინიციატივის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნდათ.

რუსეთის სახელმწიფო მართვისა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ჯერ კიდევ პეტრე პირველისდროინდელი სენატი წარმოადგენდა, მაგრამ მან დროთა განმავლობაში მთელი რიგი ცვლილებები განიცადა და XX ს. დასაწყისისათვის იგი სასამართლოსა და საერთო ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებდა, იხილავდა მაღალი თანამდებობის მოხელეთა დანაშაულის საქმეებს.

1810 წლიდან რუსეთში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ უკვე სახელმწიფო საბჭო ითვლებოდა. მის ფუნქციას შეადგენდა მინისტრების მიერ შეტანილი კანონპროექტების განხილვა, ხარჯთაღრიცხვის და სახელწიფო დაწესებულებების შტატების დამტკიცება. იგი წყვეტდა აგრეთვე ადმინიტრაციულ და სასამართლო საქმეს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია და სასამართლო თავის კომპეტენციას გადაამეტებდნენ. ერთი შეხედვით, შეიძლებოდა სახელმწიფო საბჭო კაცს კონსტიტუციურ დაწესებულებად მოჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში

ეს ასე არ იყო, რადგან ის არ წარმოადგენდა ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით დაწესებულებას, მოკლებული იყო ყოველგვარ დემოკრატიულობას. მისი თავმჯდომარე და ორასი წევრი მეფის მიერ ინიშნებოდა, ჩვეულებრივ უმაღლესი მოხელეების შემადგენლობიდან, მასვე შეეძლო მათი დათხოვნაც. საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას საბოლოოდ მეფე ამტკიცებდა.

1906 წელს მოხდა სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია, მან ერთგვარი წარმომადგენლობითი ხასიათი მიიღო. ამიერიდან მისი შემადგენლობის ნახევარი ინიშნებოდა მეფის მიერ, ხოლო მეორე ნახევარი ირჩეოდა სხვადასხვა წოდებიდან – თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის, ერობების და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედით განახლებაც. ეს ღონისძიებები ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარებით იყო ნაკარნახევი.

უნდა ითქვას, რომ ცარიზმი ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში გახდა იძულებული გადაედგა ნაბიჯი ბურჟუაზიული მონარქიისაკენ. როცა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გაძლიერებულმა ბურჟუაზიამ მოითხოვა მისთვის პოლიტიკური ასპარეზის მიცემა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ მაშინ, „ელასტიური“ მოქმედების წყალობით, ცარიზმმა საქმე თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 60-70-იან წლებში გატარებული კუდმოკვეცილი რეფორმებით ბურჟუაზიაზე ზრუნვის ილუზიაც შექმნა და ლიბერალური თავადაზნაურობის მოთხოვნაც დააკმაყოფილა, რომელიც ცდილობდა შეეზღუდა თვითმპყრობელობა და ბიუროკრატია წარმომადგენლობითი დაწესებულების საშუალებით. ამ მიზნით შეიქმნა 1864 წელს ერობები.

ერობები წოდებრივ-არჩევით პრინციპზე იქმნებოდნენ და ერთგვარ „კონსტიტუციურ ნაწილაკებს“ წარმოადგენდნენ. ისინი ბურჟუაზიული ხასითის მქონე დაწესებულებები იყვნენ, თუმცა

ხელმძღვანელი როლი მათში მემამულეებს ეკუთვნოდათ. მიუხედავად დიდი სურვილისა, ერობები ვერ გასცდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის ფარგლებს, ვერ იქცნენ პოლიტიკურ დაწესებულებად. ისინი არ თამაშობდნენ არსებით როლს სახელმწიფო მართვის სისტემაში და მოწოდებული იყვნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი.

პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულნი იყვნენ აგრეთვე 1870 წელს გარდაქმნილი საქალაქო თვითმმართველობებიც. მართალია, ეს ორგანოებიც წარმომადგენლობით-არჩევითი იყო, მაგრამ მათ ძირითად საქმიანობას ქალაქად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა შეადგენდა, რაც იქ გაბატონებულ ბურჟუაზიას არ აკმაყოფილებდა.

ცარიზმი ვერც სასამართლო ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობას შეეგუა, რომელიც მას 1864 წლის სასამართლო რეფორმით მიენიჭა და დაიწყო მისი თანდათანობით შეზღუდვა, სახელმწიფოს გავლენაში მოქცევა.

ამრიგად, თვითმპყრობელობის მიერ XIX ს. მეორე ნახევარში გატარებული ღონისძიებები უფრო მეტად ეკონომიკური ხასიათისა იყო. რაც შეეხება პოლიტიკურ სისტემას, იგი თითქმის ხელუხლებელი დარჩა და ბურჟუაზიისათვის მასში ადგილი არ იყო. ლიბერალური თავადაზნაურობა კი მოკრძალებით შეახსენებდა მეფეს „კონსტიტუციის“ შესახებ. ლეგალური პოლიტიკური პარტიების ფორმირება, თუნდაც ზომიერ-ლიბერალური ელფერისა, შეუძლებელი იყო. თვითმპყრობელური მთავრობა თავის უმაღლეს დანიშნულებას ხედავდა იმაში, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა დაეცვა სასახლის კამარილიის და ჩინოვნიკური წურბელების არმიის ყოვლისშემძლეობა და უპასუხისმგებლობა.

XX ს. დამდეგიდან რუსეთში კაპიტალიზმის ინტენსიურმა განვითარებამ და ბურჟუაზიის კიდევ უფრო გაძლიერებამ, უფრო

მეტად გაამწვავა წინააღმდეგობა ბატონყმურ-თვითმპრობელურ რეჟიმსა და ახალ კაპიტალისტურ ეკონომიკურ ბაზას შორის. ეკონომიკურად ზეაღმავალი ბურჟუაზია პოლიტიკურ უფლებებს ისევ მოკლებული იყო. ამიტომ იგი სულ უფრო ხმამაღლა გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას და მოითხოვდა, რომ მასაც მიეღო სახელმწიფო მართვა-გამგეობაში აქტიური მონაწილეობა, რომ იგი არ ყოფილიყო საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის პრივილეგია. თუ ადრე ცარიზმს ჯერ კიდევ გააჩნდა საკმარისი შინაგანი რეზერვები და ფლობდა საჭირო „ელასტიურობას" იმისათვის, რომ შეგუებოდა ახალ ისტორიულ პირობებს, ახლა მჭიდროდ მივიდა ზღვარამდე, როცა ეს შეგუება შეუძლებელი ხდებოდა, ქვეყნის შინაგანი განვითარება სულ უფრო მეტად აყენებდა კაპიტალისტური ურთიერთობისათვის ასპარეზის მიცემას, ნათელი ხდებოდა, რომ ბურჟუაზიული განვითარება წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მაგისტრალურ მიმართულებას.

თვითმპყრობელობა ცდილობდა ერთმანეთისათვის შეეხამებინა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესები. ერთი მხრივ, ხელი შეეწყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, დაეცვა მემამულე-თავადაზნაურობის პრივილეგიები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკურ წყობაში ადგილი ჰქონდა ცვლილებებს., თვიმპყრობელობის კლასობრივი არსი რჩებოდა უცვლელი. მისი მხარდაჭერით ქვეყანაში შენარჩუნებული იქნა ძველი ექსპლოატატორული კლასის – თავადაზნაურობის პოლიტიკური ბატონობა.

თავისი პოზიციების განსამტკიცებლად თვითონ მიწათმფლობელები აქტიურობდნენ. 1906 წელს რუსეთში შეიქმნა მემამულეთა წარმომადგენლობა გაერთიანებულ თავადაზნაურთა მუდმივმოქმედი საბჭო. მასში შედიოდნენ სხვადასხვა გუბერნიის უმსხვილესი მემამულეები. მათ რიცხვში ისინიც, რომლებმაც ხელი მიჰყვეს კაპიტალისტურ ყაიდაზე მეურნეობის გარდაქმნას. საბჭო გახდა ძველი კლასის ძალზე გავლენიანი,

ოუმცა არაოფიციალური პოლიტიკური ორგანიზაცია. მან დიდი როლი ითამაშა ახალ აგრარულ პოლიტიკაზე გადასვლაში და მოგვიანებით სტოლიპინი არსებითად საბჭოს აგრარულ პროგრამას ახორციელებდა. საბჭოს მეცადინეობით შენარჩუნებული იქნა ადგილობრივი თავადაზნაურობის პრივილეგიები რუსეთის პერიფერიების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც გამოიხატებოდა ადგილობრივ ადმინისტრაციაზე თავადაზნაურობისა და ერობათა უფროსების ზეგავლენაში. ერობებისათვის თავადაზნაურული პროფილის შენარჩუნებასა და არასასურველ გლეხთა მეთვალყურეობაში. თავადაზნაურთა მუდმივმოქმედ საბჭოში ერთერთ აქტიურ როლს ასრულებდა პენზის გუბერნიის გუბერნატორი ს.ა. ფანჩულიძე.

რუსეთის მონარქია აგებული იყო მემამულე-მებატონეების და ბურჟუაზიის ზედაფენების ბლოკზე. ამასთან, პირველ სოციალურ ელემენტს ამ ბლოკში შენარჩუნებული ჰქონდა დიდი ხვედრითი წონა, ხოლო ორივე ელემენტზე ფაქტიურად იდგა შეუკვეცავი ძველი ხელისუფლება, რომელიც შექმნილი იყო ბატონყმობის საუკუნეობრივი ისტორიით. რუსეთში მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების და მეთოდების განსაზღვრა-განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ძველ მემამულურ კლასს.

რუსეთის პოლიტიკური სისტემის განვითარების მუხრუჭს წარმოადგენდა ბიუროკრატია, მაღალი და საშუალო რანგის მოხელეების არმია. ბიუროკრატია იყო ის იარაღი, რომლის დახმარებით რუსეთის თვითმპყრობელი ახორციელებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. უმეტესად ის წარმოადგენდა პრივილეგირებულ უკონტროლო და თვითმოქმედ ძალას. მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო საქმის გაჭიანურება, მცონარობა, უაზრობა და ველურობა.

ბიუროკრატია წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს რუსეთის სოციალურ სტრუქტურაში, როგორც ადრე,

ისე რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგაც, რუსეთის „პარლამენტის“ ეპოქაშიც. ცხადია, ბიუროკრატიამ ერთგვარი ცელილება განიცადა, თვიმპყრობელობასთან ერთად მთელი თავისი შემადგენლობით, თვალსაზრისით და მოღვაწეობით „გაბურჟუებული“ იქნა, მაგრამ ამასთან ერთად, ბიუროკრატიის კლასობრივი არსი, მისი სოციალური ბუნება, თვითმპყრობელობის კლასობრივი არსის მსგავსად, ძველი ანუ მემამულურ-ბატონყმური რჩებოდა.

ბიუროკრატია იყო გაბატონებული კლასების კოლექტიური გონების მატარებული, მისი პოლიტიკური და ორგანიზაციული გამოცდილების გამზიარებული, როგორც წინასწარ ორგანიზებული, იდეურად შეკრული, ტრადიციულად ჩაკეტილი ჯგუფი. ამ სოციალური ფენის მოღვაწეობა მიმართული იყო მემამულე-მებატონეთა პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისაკენ, უპირველეს ყოვლისა, ექსპლუატირებული კლასების პროტესტებისა და უკმაყოფილების ჩასახშობად, რომელშიც თავს იჩენდნენ „ბუნტის“, თუ რევოლუციების სახით. ამასთან, ბიუროკრატიის მიერ უკმაყოფილო ლიბერალების მიმართ ფართოდ გამოიყენება წერილი და მოჩვენებითი დათმობები, გლეხთა და მუშათა ჩამორჩენილ ფენებში თვითმპყრობელობის ხალხზე ზრუნვის ილუზია და სხვა დემაგოგია.

იმპერიალისტური რუსეთის ბიუროკრატიის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ ის იძულებული იყო ძველ მემამულურ-თავადაზნაურულ კლასთან ერთად ანგარიში გაეწია ბურჟუაზიული კლასისათვის და საერთოდ, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის.

ბიუროკრატიის მოქმედება რუსეთში იწვევდა ხალხის რისხვას. მეფის აპარატის მუშაობის მთელი სტილი, რომელიც შეხამებული იყო თვალთვალთან და ჩარევასთან, აღიზიანებდა პოლიტიკურად გამოღვიძებულ ბურჟუაზიას, რომელსაც მიაჩნდა, რომ ის იქნებოდა უკუთესი მეურნე მემამულე-მებატონესთან შედარებით, განსაკუთრებით კი რუსეთის სახელმწიფო

კაპიტალისტურ მეურნეობაში. მიუხედავად ბურჟუაზიის სურვილისა, რუსული ბიუროკრატიის პოზიცია ურყევი იყო, იგი უარყოფით როლს ასრულებდა პოლიტიკურ სისტემის ნებისმიერ რგოლში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობა უფრო მეტად მემამულეთა ინტერესებს იცავდა, ვიდრე ბურჟუაზიისას. ამავე დროს იგი ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, როგორც ერთი, ისე მეორე კლასისაგან. დამოუკიდებლობა აძლევდა მას საშუალებას საკმაოდ დიდხანს შეეზღუდა კაპიტალისტური წყობა, რათა იგი არ გამხდარიყო ბურჟუაზიული დემოკრატიის გამარჯვების საფუძველი.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს მანც დროებითი მოვლენა იყო. ბურჟუაზიის სიძლიერე და უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. ამას ემატებოდა მშრომელი ხალხის – მუშების და გლეხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოსვლები, რაც მალე რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გადაიზარდა.

რევოლუციის დაწყებას ბიძგი მისცა ცარიზმის მიერ 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგის უიარაღო მუშების დახვრეტამ, რომელიც ისტორიაში შევიდა „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით. მეფის მუხანათურმა მოქმედებამ რუსეთის მთელ იმპერიაში მკაცრი პროტესტი გამოიწვია. მოწინავე სამრეწველო ცენტრის მუშები სათავეში ჩაუდგნენ ქვეყნის მუშებისა და მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რუსეთის მუშათა კლასის კვალდაკვალ აღსდგა საქართველოს მშრომელები. მათი გამოსვლები დაკავშირებული იყო რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასთან და მის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა.

1905 წლის იანვრიდან მოყოლებული საქართველოში სისტემატურად მიმდინარეობდა გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები. გაფიცვებში აქტიურად მონაწილეობდნენ

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, სტამბების და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები, რომლებიც აყენებდნენ თვიმპყრობელობის დამხობის და სხვა მოთხოვნებს. დემონსტრაციების და მსვლელობების დროს ადგილი ჰქონდა ჯართან და პოლიციასთან შეტაკებას, რასაც თან ახლდა მსხვერპლი და დაპატიმრებები. იანვარში გაფიცვები მოეწყო აგრეთვე ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

გაზაფხულსა და ზაფხულში საგაფიცვო მოძრაობა, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ახალი ძალით გაჩაღდა. ეკონომიკური ხასიათის გაფიცვეების გვერდით ეწყობოდა პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. გაფიცულთა ავანგარდში იდგნენ რკინიგზელი მუშები, რომელთაც მხარში ედგათ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები. აღსანიშნავია, მარტში რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშების გაფიცვა თბილისში, რომელშიც 3.000 კაცი მონაწილეობდა.[1] აპრილში თბილისის რკინიგზის კვანძზე დაწყებული მუშათა გაფიცვის შედეგად მთელს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე შეჩერდა მოძრაობა. მაისში საქართველოს ბევრ ქალაქსა და რაიონში მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაციები. 20 ივნისიდან კი თბილისში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

მუშათა რევოლუციური გავლენით ფეხზე დგებოდა გლეხობა. 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გლეხთა მოძრაობამ მოიცვა რუსეთში შემავალი მაზრების დაახლოებით მეოთხედი. განსაკუთრებით ძლიერი იყო გლეხთა გამოსვლები ვოლგისპირეთში, ბალტიისპირეთში, კავკასიაში და სხვაგან. საქართველოში გლეხთა მოძრაობა მოედო თითქმის ყველა მაზრას. ადგილი ჰქონდა ჯარსა და პოლიციასთან შეტაკებას. გამოსვლები დაიწყო ჯარშიც. ამას ხელი შეუწყო ცირიზმის

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.6, თბ., 1972, გვ.204.

დამარცხებამ რუსეთ-იაპონიის ომში.

მეფის თვითმპყრობელობა კარგად ხედავდა მოსალოდნელ საფრთხეს და ცდილობდა ჩამოეშორებინა ხალხი რევოლუციური ბრძოლისაგან დათმობებით და დაპირებებით. 1905 წლის 18 თებერვალს ნიკოლოზ მეორემ მანიფესტი გამოსცა და ხალხს დაპირდა, რომ „მომწიფებულ ძალებს“ მოიწვევდა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობისათვის. დაპირების შესასრულებლად შინაგან საქმეთა მინისტრმა ბულიგინმა შეიმუშავა დებულება „სახელმწიფო სათათბიროს“ შესახებ, რომელიც 1905 წლის 6 აგვისტოს მანიფესტის სახით გამოქვეყნდა. სათათბიროს, მისი პროექტის შემადგენელის გვარის მიხედვით, ბულიგინის სათათბირო ეწოდა. სათათბიროს მოწვევის განსრახვა წარმოადგენდა თვითმპყრობელობის მანევრს, რომელიც მიზნად ისახავდა რევოლუციური ძალების დაქსაქსვას, ბურჟუაზიასთან შეთანხმებისათვის ნიადაგის მომზადებას, გლეხობაში მონარქისტული ილუზიების შექმნას.

ბულიგინის სათათბიროს მხოლოდ ბჭობითი ხასიათი უნდა ჰქონოდა და არა კანონშემოქმედებითი. ე.ი. შეეძლო განეხილა ზოგიერთი საკითხი, როგორც მეფესთან არსებულ ბჭობით ორგანოს. მეფის ხელისუფლება არ აპირებდა არსებითი ცვლილებების შეტანას არსებულ წყობაში. ის ვარაუდობდა გაეტარებინა მხოლოდ ნაწილობრივი რეფორმები იმპერიის ძირითადი კანონების ხელუხლებლად დატოვებით. სათათბიროს დაარსებით მეფე ფიქრობდა შეექმნა ქვეყანაში „კონსტიტუციურობის“ მოჩვენებითობა, მიეზიდა თავისკენ ლიბერალური მემამულეები და ბურჟუაზია, დაექვემდებარებინა თავისი გავლენისათვის გლეხობა. ამასთან, ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რომ ბურჟუაზიასთან შედარებით უფრო მეტი ხვედრითი წონა ქვეყანაში თავადაზნაურობას ჰქონდა შენარჩუნებული, ორივე სოციალურ ელემენტზე მაღლა კი, ძველებურად შეუკვეცავი უფლებებით, ისევ თვითმპყრობელობა იდგა.

ბულიგინის პროექტის მიხედვით სათათბიროს არჩევნებში

მონაწილეობის უფლება ეძლეოდა მემამულეებს, კაპიტალისტებს და გლეხთა მცირე ნაწილს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი მოკლებული იყო საარჩევნო უფლებას (მუშები, ქალები, სამხედრო მოსამსახურეები, მოსწავლეები და სხვა). არჩევნები მრავალსაფეხურიანი იყო. გლეხებისათვის გათვალისწინებული იყო ოთხსაფეხურიანი, ხოლო მემალეებისა და ბურჟუაზიისათვის – ორსაფეხურიანი არჩევნები. ამომრჩეველთა 42% უნდა არჩეულიყო თემების (სოფლების) რწმუნებულთა ყრილობის მიერ, 34% – მაზრების მიწათმფლობელთა ყრილობების მიერ (ცენზი 100-დან 8000 დესატინამდე), 24% – ქალაქების ამომრჩეველთა ყრილობის მიერ (ცენზი უძრავი ქონების ღირებულებით 1500 მანეთი, ხოლო დედაქალაქებში – 3000 მანეთი).

თეითმპყრობელობა კავკასიაში, რევოლუციური გამოსვლების გამო, ბულიგინის დებულების გატარებაზე ჯერ ფეხს ითრევდა. შემდეგ უმაღლეს წრეებში მიხვდნენ, ეს ისედაც გამწვავებულ ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებდა და გადაწყვიტეს ცალკე შეემუშავებინათ დამატებითი წესები კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს ჩატარების შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა განსაკუთრებული კომისია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გრაფ დ. სოლსკის ხელმძღვანელობით. რამდენიმე ხნის შემდეგ კომისიამ მოამზადა საარჩევნო წესების პროექტი, რომლის ძალითაც კავკასიას სახელმწიფო სათათბიროში სულ 29 წარმომადგენელი, ანუ დეპუტატი უნდა აერჩია. საქართველო 8 დეპუტატს ირჩევდა. მათ შორის: თბილისის გუბერნია-3, ქუთაისის გუბერნია-2, ბათუმის ოლქი-1, სოხუმის ოკრუგი-1, ქ.თბილისი-1.

პროექტის მიხედვით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, აგრეთვე ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში, არსებობდა სამი საარჩევნო კრება: პირველი – მემამულეების, მეორე – ქალაქის მაცხოვრებლების და მესამე – სოფლის საზოგადოების რწმუნებულების.

კავკასიის ზოგიერთი გუბერნიის მაზრებსა და ოლქებში ძხოლოდ ორი საარჩევნო კრების ჩატარება იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ართვინის ოლქში არ ჩატარდებოდა მემამულეთა კრება, ხოლო ბორჩალოსა და თიანეთის მაზრებში (თბილისის გუბერნია), ლეჩხუმის, რაჭის და შოროპანის მაზრებში (ქუთაისის გუბერნია) – ქალაქის მაცხოვრებელთა კრებები.

მემამულეთა კრებებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა მემამულეს, რომელიც წელიწადში იხდიდა არა ნაკლებ 50 მანეთ საერობო გადასახადს, ხოლო ის, ვინც 50 მანეთზე ნაკლებს იხდიდა, მას შეეძლო არჩევნებში მონაწილეობა მიეღო რწმუნებულების საშუალებით. ამ შემთხვევაში ყოველი ათი მემამულე საარჩევნო კრებებზე ერთ რწმუნებულს გზავნიდა.

ქალაქის საარჩევნო კრებაში მონაწილეობისათვის დაწესებული იყო იგივე სიდიდის ქონებრივი ცენზი, რაც რუსეთის ქალაქებში.

საერთოდ, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს კავკასიაში ძირითადად იგივე პრინციპები ედო საფუძვლად, რაც რუსეთში – არჩევნები იყო არაპირდაპირი, მრავალსაფეხურიანი და ქონებრივ ცენზზე დამყარებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მემამულის ქონებრივი ცენზი, რამდენჯერმე მცირე იყო შიდა რუსეთში მცხოვრები მემამულის ქონებრივ ცენზთან შედარებით, მაგრამ ამის კომპენსაცია სამაგიეროდ კავკასიელ დეპუტატთა რიცხვის შემცირების საფუძველზე მოხდა. აქ 40000 მცხოვრებზე ერთი დეპუტატი მოდიოდა.[1]

მეფის „რეფორმამ“ მშრომელები ვერ შეაცდინეს, რადგან ბულიგინის სათათბიროს, როგორც ბჭობითი ორგანოს, მოწვევის განზრახვა იყო „სახალხო წარმომადგენლობის ყველაზე უხეში გაყალბება“.

შემოდგომაზე სახალხო მოძრაობამ ახალი გასაქანი მიიღო. სექტემბერში მძლავრი გაფიცვები ეწყობოდა მოსკოვში,

1. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2914.

რომელიც ოქტომბერში სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. იგი მიმდინარეობდა თვითმპყრობელობის შეიარაღებული გზით დამხობის, ბულიგინის სათათბიროსადმი ბოიკოტის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების მოთხოვნის ლოზუნგებით.

საქართველოში გაფიცვები სექტემბერში დაიწყო. ოქტომბერში იგი ახალი ძალით გაჩაღდა. 14 ოქტომბერს გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნების და წერილი საწარმოების მუშებმა. მალე გაფიცვები მთელს საქართველოს მოედო, მან საყოველთაო პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

ოქტომბრის სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ თვითმპყრობელობას თავზარი დასცა. ის შეაშინა რევოლუციის აღმავლობამ, დაინახა, რომ „მოუმწიფებელი ძალებიც“ მომწიფებელნი აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში მეფემ ვერ გაბედა ბულიგინის სათათბიროს მოწვევა და იძულებული გახდა მორიგ დათმობაზე წასულიყო, კვლავ მიემართა „რეფორმისტული“ გზისთვის. 1905 წლის 17 ოქტომბერს ნიკოლოზ მეორემ გამოსცა ახალი მანიფესტი, რომელიც ბევრ ცრუ დაპირებებს შეიცავდა. ცხადდებოდა სიტყვის, სინდისის, კრებების, კავშირების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა. იმპერატორი აღუთქვამდა ხალხს, რომ მოიწვევდა ახალ სახელმწიფო სათათბიროს, რომელსაც ექნებოდა საკანონმდებლო უფლებები, მის არჩევნებში დაშვებული იქნებოდა მოსახლეობის ყველა ფენა. სათათბიროს მოწონების გარეშე არც ერთი კანონი არ შევიდოდა ძალაში. ერთი სიტყვით გათვალისწინებული იყო ცენზის შემცირება, ფართოვდებოდა ამომრჩეველთა წრე და სათათბიროს უფლება-კომპეტენცია.

მეფის მანიფესტმა მშრომელი ხალხი ვერ დააკმაყოფილა. რევოლუცია გაგრძელდა. გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები მთელ რესეთს მოედო. მსგავს მოვლენებს ჰქონდა

ადგილი საქართველოშიც. თბილისში 18 ოქტომბრიდან დაწყებულ გაფიცვებსა და მიტინგებში მრავალი მუშა მონაწილეობდა. ასე იყო სხვა ქალაქებშიც.

ნოემბერში დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის გაფიცვა. მან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ქალაქებშიც. 15 ნოემბერს თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეების მიერ დაწყებული გაფიცვა, რომელსაც რკინიგზის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებიც შეუერთდნენ, მთელს საქართველოს მოედო.

ქართველმა მშრომელებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი 1905 წლის 7 დეკემბერს მოსკოვში დაწყებულ მუშათა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, რომელიც 8 დეკემბერს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. 10 დეკემბერს პირველნი გაიფიცნენ თბილისელი რკინიგზელები, რომელებსაც შემდეგ სხვა დარგის მუშებიც შეუერთდნენ. 13 დეკემბერს თბილისში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, ხდებოდა შეტაკებანი ჯართან და პოლიციასთან. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი სხვა ქალაქებშიც. აჯანყებაში გამოირჩეოდა გლეხთა გამოსელები გურიაში. 19 დეკემბერს აჯანყება მოსკოვში შეწყვეტილი იქნა. ამან განაპირობა საქართველოში დაწყებული აჯანყების დამარცხებაც.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რევოლუციის უკან დახევა, გაძლიერდა რეაქცია, მაგრამ გამოსელები იმპერიის სხვადასხვა ადგილებში 1907 წლამდე გრძელდებოდა. ტერორისა და რეპრესიების პარალელურად მთავრობა კვლავინდებურად აგრძელებდა გაძრომა-გამოძრომის პოლიტიკას, მიდიოდა ნაწილობრივ დათმობაზე. ამით იყო ნაკარნახევი 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული სახელმწიფო სათათბიროს პრაქტიკული მოწვევის გადაწყვეტილებაც.

სახელმწიფო სათათბიროს დაარსება ცარიზმისათვის, შექმნილ სიტუაციაში, წარმოადგენდა ყველაზე მომგებიან საშუალებას. იგი ფიქრობდა, რომ ამ გადადგმული ნაბიჯით,

ჯერ თავისკენ მიეზიდა მემამულეები და უკმაყოფილო ლიბერალური ბურჟუაზია და მეორე გლეხებში შეექმნა მშვიდობიანი გზით მათი პირობების გაუმჯობესების ილუზია, ამით დაესუსტებინა რევოლუცია. ამასთან, ხელისუფლება იმასაც ვარაუდობდა, რომ „რეფორმატული“ ღონისძიებებით და „კონსტიტუციის“ შემოღებით, ევროპის ქვეყნების თვალში მისი პრესტიჟი ამაღლდებოდა. ყველაფერი ეს იყო მოჩვენებითი გარდაქმნები და მათ რუსეთის წყობაში რაიმე არსებითი ცვლილებები არ შექონდათ.

დიდი ცვლილებების მომხრე არც ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზია იყო. მას მეფისგან რაც შეიძლება მეტი დათმობების მიღება სურდა, თორემ სინამდვილეში თვითონაც კონტრრევოლუციურ პოზიციაზე იდგა და ესწრაფოდა თვითმპყრობელობასთან გარიგებას, რათა თავიდან აეცილებინა ახალი რევოლუცია. სწორედ ასეთი ორმხრივი მისწრაფების შედეგი იყო მიღწეული შეთანხმება. ქვეყნის მართვის სრული შესაძლებობა, ბურჟუაზიის როგორც კლასის, თუნდაც ნაწილთან გარიგების გარეშე, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ შეთანხმებით ერთი მხრივ, ბურჟუაზიამ შეძლო თავისი საწადელის მიღწევა, ხოლო მეორე მხრივ, თვითმპყრობელობამ თავისი არსებობა გაიხანგრძლივა.

სათათბიროს დაარსებით ხელისუფლებას საშუალება მიეცა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული აბსოლუტიზმის მსგავსად, მოეხდინა ლავირება ორ კლასს – ბურჟუაზიასა და მემამულეებს შორის, წარმომადგენლობით დაწესებულებაში გზა გაეხსნა მათი უმრავლესობისათვის.

სახელმწიფო სათათბირო საჭირო იყო ბურჟუაზიული აგრარული გარდაქმნებისთვისაც, ცარიზმის ფინანსური პოლიტიკის გატარებისათვის, საზღვარგარეთის ბანკები თხოულობდნენ სესხის დამტკიცებას ბურჟუაზიის წარმომადგენლობისაგან, რადგან დარწმუნებული არ იყვნენ მეფის მთავრობის მიერ სესხის გადახდის უნარიანობაში.

§2.სახელმწიფო სათათბირო – რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტი

სათათბიროს მოწვევის და არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც გამოცხადებული იყო 17 ოქტომბრის მანიფესტით, გამოცემული იქნა 1905 წლის 11 დეკემბრის ახალი საარჩევნო კანონი, აგრეთვე 1906 წლის 20 თებერვლის და 23 აპრილის კანონები.

1905 წლის 11 დეკემბრის კანონი ხელუხლებლად ტოვებდა არჩევნების კურიალურ სისტემას, რომელიც ბულიგინის სათათბიროს პროექტით იყო გათვალისწინებული. ამასთან, იგი მცირე სიახლესაც შეიცავდა. კანონმა დაუმატა ადრე არსებულ მიწათმფლობელთა, საქალაქო და გლეხთა კურიას, მუშათა კურია და რამდენადმე გააფართოვა ქალაქის კურიის ამომრჩეველთა რიცხვი.

არჩევნები არაპირდაპირი, წოდებრივი და მრავალსაფეხურიანი იყო, ემყარებოდა მაღალ ქონებრივ და ასაკობრივ ცენზს. საარჩევნო კანონი არჩევნებში უპირატესობას მემამულეებს და ბურჟუაზიას ანიჭებდა. გლეხებისათვის დაწესებული იყო ოთხსაფეხურიანი, მუშებისათვის – სამსაფეხურიანი, მემამულეებსა და ბურჟუაზიისათვის – ორსაფეხურიანი არჩევნები.

გლეხები ირჩევდნენ ამომრჩევლებს სათემო კრებაზე (ყრილობაზე), რომელიც გზავნიდა ორ რწმუნებულს სამაზრო კრებაზე (ყრილობაზე). ეს უკანასკნელი თავის მხრივ ირჩევდა ამამრჩევლებს საგუბერნიო კრებაზე (ყრილობაზე) გასაგზავნად და მხოლოდ საგუბერნიო კრება (ყრილობა) ირჩევდა სათათბიროს დეპუტატებს.

მუშათა კურიიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ იმ საწარმოებს, სადაც 50 მუშაზე ნაკლები არ მუშაობდა. მუშები, რომლებიც მუშაობდნენ ფაბრიკა – ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებში, სამთო მრეწველობაში და სხვაგან,

ირჩევდნენ რწმუნებულებს (50-დან 100 კაცამდე 1 რწმუნებულს, ხოლო შემდეგ ყოველ 1000 კაცზე თითო რწმუნებულს) საქალაქო კრებაზე გასაგზავნად. აქ თავის მხრივ, ირჩევდნენ ამომრჩევლებს გუბერნიის საარჩევნო ყრილობაზე გასაგზავნად, სადაც თავს იყრიდნენ სხვა კურიის ამომრჩეველებიც და ხდებოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევა. მუშები საგუბერნიო ყრილობაზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იყენენ მცირერიცხოვანნი, რის გამოც დეპუტატად მათი გაყვანა ფაქტიურად გამორიცხული იყო.

ამას ხელს უწყობდა საგუბერნიო ყრილობაზე სხვადასხვა წოდებისათვის დაწესებული წარმომადგენლობის სხვადასხვა ნორმებიც. მაგალითად, თავადაზნაურობა საგუბერნიო ყრილობაზე ერთ ამომრჩეველს აგზავნიდა 2 ათასი ამომრჩეველისგან, ქალაქები (ბურჟუაზია) – 4 ათასი ამომრჩეველისგან, გლეხები – 30 ათასი ამომრჩეველისგან და მუშები – 90 ათასი ამომრჩეველისგან. კანონი თავისთავად ანტიდემოკრატიული იყო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მას დამატებით ახალახალი ცირკულირებით ზღუდავდნენ.

საარჩევნო უფლებას მოკლებულნი იყვნენ უმიწო გლეხები, მოჯამაგირეები, ჯარისკაცები, ქალები, მოსწავლეები და სხვები, რითაც ფაქტიურად არჩევნებში არ მონაწილეობდა მოზრდილი მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი.

მართალია, ცარიზმი რევოლუციური ელემენტების შეზღუდვის მიზნით არჩევნებში მაქსიმალურ უპირატესობას მემამულეებს და ბურჟუაზიას აძლევდა, მაგრამ ამასთან ერთად, დიდ იმედებს ამყარებდა გლეხობის მონარქიულ ილუზიებზე და მასში დასაყრდენ ძალას ეძებდა. ამიტომ სათათბიროში მათთვის უზრუნველყოფილი იყო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საარჩევნო კანონით დიდი უფლებები ჰქონდა პოლიციას, მას შეეძლო ნება დაერთო, ან აეკრძალა საარჩევნო კრების ჩატარება, თუ დაინახავდა, რომ იგი ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულებას იღებდა. მთავრობა წინასწარ

გრძნობდა, რომ შეიძლებოდა საარჩევნო კრებები მისი კრიტიკის არენად გადაქცეულიყო, მეფის მიერ ნაბოძებ „წყალობას“ რევოლუციონერები არ დაეკმაყოფილებინა და ამ უკანასკნელით მასებისათვის კვლავ ბრძოლის გაგრძელებისკენ მოეწოდებინათ. სწორედ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოეჩინა თავი პოლიციას, საარჩევნო კრებებზე არ დაეშვა მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტები, ყოველნაირად ეზრუნათ მეფის ერთგული კანდიდატების არჩევისათვის, საჭირო შემთხვევაში ჩაეშალა საარჩევნო კრება და ა.შ.

1906 წლის 20 თებერვალს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება (მანიფესტი), რომელიც ითვალისწინებდა სათათბიროს დაფუძნებასა და მოღვაწეობაში ცვლილების შეტანას და როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაციას. კერძოდ, სათათბიროს მიმართ გათვალისწინებული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა მის უფლება-კომპეტენციის „გაფართოებას“ და ამ დაწესებულებისათვის „საკანონმდებლო“ ფუნქციის მინიჭებას, თუმცა ყველაფერი ეს მოჩვენებითი იყო, რადგან ახალი საარჩევნო დებულება აძლევდა რა სათათბიროს „საკანონმდებლო“ უფლებას, იმავდროულად არსებითად ზღუდავდა მას. სათათბიროს არ პქონდა უფლება შეეცვალა სახელმწიფოს ძირითადი კანონები. მათი გადასინჯვის ინიციატივა ეკუთვნოდა მხოლოდ მეფეს. „სახელმწიფო სათათბიროს, გინდ სახელმწიფო საბჭოს, – ბრძანებდა იმპერატორი მანიფესტით, – უფლება აქვს შეიტანოს წინადადება მოქმედი ან ახლად გამოცემული კანონების გაუქმების, ანდა მათში ცვლილებების შეტანის შესახებ, გარდა ძირითადი კანონებისა, რომლის გადასინჯვის თაოსნობას ვიტოვებთ ჩვენ.“[1]

ცარიზმი იტოვებდა აგრეთვე უფლებას გამოეცა კანონები სათათბიროს გვერდის ავლით. ახალი დებულების, ანუ სახელმწიფო ძირითადი კანონების 87-ე მუხლი ითვალისწინებდა

---

1 Законодательные акты переходного времени (1904- 1908гг.), СПБ, 1908, с. 225

იმის შესაძლებლობას, რომ მთავრობას გაეტარებინა საკანონმდებლო ღონისძიება სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის დროს, თუ ამას გარემოება მოითხოვდა. იქვე ნათქვამი იყო, რომ ამას არ შეეძლო გამოეწვია რაიმე ცვლილება სახელმწიფოს ძირითად კანონებში, არც სახელმწიფო სათათბიროს დაფუძნებისა და არც სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაციაში, აგრეთვე არც იმ დადგენილებაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სათათბიროს დათხოვის და ახალი არჩევნების ვადის დანიშვნის უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ეს უფლება შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მთავრობის მიერ საჭირო კანონის მისაღებად სათათბიროს გვერდის ავლით. ასეთი ღონისძიება შემთხვევით არ ტარდებოდა. მთავრობა ეჭვობდა, რომ სათათბირო იქნებოდა მისთვის საიმედო იარაღი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ საჭირო იყო მას ჰქონოდა თავისუფალი მოქმედების სრული გარანტია იმ შემთხვევაში, თუკი სათათბირო არ გაამართლებდა მთავრობის იმედებს.

მთავრობამ დააჩქარა სათათბიროს სხდომების დაწყებამდე გამოექვეყნებინა სახელმწიფო ძირითადი კანონების ახალი რედაქცია, რათა არ მიეცა სათათბიროსთვის მათი განხილვის შესაძლებლობა. ძირითადი კანონების ახალი რედაქცია მომზადებული იქნა სასწრაფოდ და გამოქვეყნდა 1906 წლის 23 აპრილს, ე.ი. სათათბიროს მუშაობის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე.[1]

ძირითადი კანონების ახალ რედაქციაში, ისე როგორც 1906 წლის 20 თებერვლის მანიფესტში, ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ რუსეთში აუცილებელი იყო თვითმპყრობელობის შენარ-

1. Мартюхова М.А. На перломе революции: Общественное-политическое движение в белоруссий в связи сучереждением Государственной думы в Росий. Минск, 1987, с. 28.

ჩუნება და რომ, მხოლოდ მეფეს ეკუთვნის ძირითადი კანონების გადასინჯვის პრეროგატივა.

მეფეს ეკუთვნოდა აგრეთვე მთელი ადმინისტრაციული ძალაუფლება ქვეყანაში, მას დარჩა მინისტრების დანიშვნის და განთავისუფლების, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და დათხოვის უფლება.

ნიკოლოზ მეორეს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა საგარეო პოლიტიკაშიც. იგი განაგებდა ომისა და მშვიდობის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხელშეკრულების დადების და სხვა საკითხებს. მასვე ეკუთვნოდა სახელმწიფოს მთელი სახმელეთო და საზღვაო შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელობა, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება, მონეტების მოჭრის უფლება, ბრალდებულთა შეწყალება და საერთო ამნისტია.

სათათბიროს უუფლებობას აღრმავებდა ისიც, რომ სათათბიროსა და მეფეს შორის იდგა სახელმწიფო საბჭო, რომელიც „ზედა პალატის" როლში გამოდიოდა, ხოლო სახელმწიფო სათათბირო „ქვედა პალატის" ფუნქციას ასრულებდა. სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი განსახილველად გადაეცემოდა სახელმწიფო საბჭოს. მოწონების შემთხვევაში ამ უკანასკნელს იგი მეფობისთვის უნდა წარედგინა საბოლოო დამტკიცებისათვის. საბჭოს შეეძლო უარეყო სათათბიროს მიერ მოწონებული, მაგრამ მისთვის მიუღებელი კანონპროექტები.

სათათბიროს ფაქტიურად არ ჰქონდა მთავრობის მოქმედებაზე კონტროლის უფლება. მას გააჩნდა მხოლოდ იმის კონპეტენცია, რომ მიემართა მინისტრებისათვის შეკითხვით მათი უკანონო მოქმედების გამო, აგრეთვე მოეთხოვა მათგან ახსნა-განმარტება იმ საკითხებზე, რომელსაც იხილავდა სათათბირო. მინისტრებს თავის შეხედულებისამებრ შეეძლოთ ეპასუხათ, ან არ ეპასუხათ დეპუტატთა შეკითხვაზე. მათ ჰქონდათ უფლება აგრეთვე, უარი ეთქვათ მოთხოვნილ ახსნა-განმარტებაზე, თუ მიაჩნდათ, რომ მასალები, რომელიც

განეკუთვნებოდა სათათბიროში განხილვას, არ ექვემდებარებოდა გამომეღაენებას. მინისტრები ამჯერად პასუხისმგებელნი იყვნენ მხოლოდ მეფის წინაშე. ამასთან, მინისტრების პასუხის გაუცემლობის დროს, ან არასაკმარისი ახსნა-განმარტების შემთხვევაში, სათათბიროს ჰქონდა შესაძლებლობა საქმის კურსში ჩაეყენებინა მეფე, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის საშუალებით. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობის გამო, სათათბიროს არ შეეძლო მოეხდინა რაიმე გავლენა მთავრობის მოქმედებაზე და განეხორციელებინა კონტროლი მასზე, თუმცა 17 ოქტომბრის მანიფესტი აცხადებდა, რომ „უზრუნველყოფდა ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობაში ხალხის რჩეულთა ნამდვილი მონაწილეობის შესაძლებლობას“.[1]

სათათბირო უძლური იყო გავლენა მოეხდინა ცარიზმზე, რათა მას რამე ცვლილება შეეტანა რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში. ფაქტიურად მთელი ხელისუფლება რჩებოდა თვითმპყრობელობის ხელში, მას მხოლოდ გარეგნულად ეძლეოდა „კონსტიტუციურობის“ სახე. მეფის თვითმპყრობელობა ეწეოდა თავგანწირულ ბრძოლას რუსეთში წარმომადგენლობითი დაწესებულების შემოღების წინააღმდეგ. თვითმპყრობელობა ახშობდა და ამახინჯებდა რუსეთში პირველი „პარლამენტის“ მოწვევას, როცა მუშათა კლასმა და რევოლუციურმა გლეხობამ ბრძოლით ხელიდან გამოგლიჯეს მას მისი მოწვევის აუცილებლობა.

სათათბიროს შექმნასა და მოღვაწეობაში ასახვა ჰპოვა კლასების ბრძოლამ და იმ პერიოდის რუსეთის პოლიტიკურმა ცხოვრებამ. მან ასახა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდნენ ქვეყანაში. ამასთან, იყო იმის ცდებიც, რომ სათათბიროს დახმარებით გადაეჭრათ ის ამოცანები, რომლებიც

---

1. Шабунин К.И. Аграрный вопрос и крестянское движение в белоруссии в революции 1905- 1907гг., Минск, 1962, с. 151.

ობიექტურად იდგა საზოგადოების წინაშე და რომელიც გადაუჭრელი დარჩა 1905 – 1907 წლების რევოლუციას.

რუსეთის პირველი რევოლუციის და მისი შემდგომი პერიოდის ამბებში უნდა განვასხვაოთ რევოლუციის ორი ხაზი, რაც უკავშირდება ორი კლასის – მუშათა კლასისა და ლიბერალური ბურჟუაზიის მასებზე ხელმძღვანელობის გავლენას. რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი ხაზი მდგომარეობდა იმაში, რომ მონარქიისა და მემამულეების დამხობისათვის აქტიურად იბრძოდა მუშათა კლასი. ნაკლები აქტიურობით მიჰყვებოდა მას გლეხობა. ამ კლასების ძალების და გაბედულების უკმარისობამ გამოიწვია რევოლუციის დამარცხება.

მეორე ხაზი იყო ლიბერალური ბურჟუაზიის ყოყა-ქცევა. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში კადეტები, ოქტიაბრისტებთან ერთად, ცვლიდნენ დემოკრატიას და „მიდიოდნენ“ მეფისა და მემამულეების დასახმარებლად. რუსული რევოლუციის „ლიებრალური“ ხაზი მდგომარეობდა მასების ბრძოლის „დამშვიდებისა“ და დაქსაქსვაში ბურჟუაზიის მონარქიასთან შეთანხმების გულისათვის.

რევოლუციის ორმა ხაზმა ასახვა ჰპოვა სათათბიროს ისტორიაშიც, მისადმი სხვადასხვა კლასების დამოკიდებულებაში. ერთი ხაზი არის გაბატონებული კლასების დამოკიდებულება სათათბიროსადმი, მათ შორის ლიბერალური ბურჟუაზიისა. მათთვის სათათბირო წარმოადგენდა „კონსტიტუციურ“ დაწესებულებას და მოწოდებული იყო განეხორციელებინა თვისი მოღვაწეობა „სამართებლივი სახელმწიფოს“ ჩარჩოებში. თვით სათათბიროს შექმნისა და არსებობის ფაქტი, მათი აზრით, ნიშნავდა რევოლუციის შეწყვეტას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განვითარების გადაყვანას მშვიდობიან „კონსტიტუციურ“ გზასე.

მეორე ხაზი იყო რუსეთის მუშათა კლასის დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი, რომლის არსი მდგომარეობდა

სახელმწიფო სათათბიროს, როგორც თვითმპყრობელობის დაწესებულების და არა ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მხილებაში, 1905 – 1907 წლების რევოლუციის მიერ გადაუჭრელი ამოცანების გადაწყვეტის უუნარობის გამოვლენაში. აგრეთვე სათათბიროს როგორც ტრიბუნის რევოლუციური აგიტაცია – პროპაგანდისთვის გამოყენებაში, თავის მხარეზე გლეხობის გადმოყვანასა და ლიბერალური ბურჟუაზიისაგან მის ჩამოცილებაში, მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირში.

სახალხო რევოლუციით შეშინებული მემამულეები და ბურჟუაზია, რომელებიც აუცილებლად თვლიდნენ თვითმპყრობელობის შენარჩუნებას, დიდ იმედებს ამყარებდნენ სახელმწიფო სათათბიროზე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სათათბიროს შექმნით შეეძლებოდათ გაეთიშათ და დაესუსტებინათ რევოლუციური მოძრაობა, მოეტყუებინათ და თავის მხარეზე გადაებირებინათ გლეხობა. ისინი ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროს დახმარებით, სასურველი კალაპოტით წარემართად იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის კაპიტალისტურმა განვითარებამ.

რესეთის 1905 – 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ცენტრში იდგა აგრარული საკითხი. მის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული რუსეთში კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება. ამ საკითხის გადაჭრა ნიშნავდა რუსეთის მრავალრიცხოვან გლეხთა ბედის გადაწყვეტას. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ აგრარული საკითხი წარმოადგენდა ოთხივე მოწვევის სათათბიროს მთავარ საკითხს, მაგრამ სახელმწიფო სათათბირომ ვერ შეძლო „კონსტიტუციური“ გზით, საპარლამენტო კანონმდებლობით ამ საკითხის გადაჭრა. სამაგიეროდ ხელისუფლების გავლენაში მოქცეული სათათბირო აქტიურად უჭერდა მხარს სტოლიპინის სისხლიანი

რეჟიმის განხორციელებას, ებრძოდა რევოლუციას, მთავრობის მოთხოვნით სახელმწიფო სახსრების დიდ ნაწილს გამოჰყოფდა შავრასმული ტერორის განსახორციელებლად, ახალი ციხეების მშენებლობის და პოლიციის დამატებითი რაზმების ხარჯებისათვის, ღებულობდა რეაქციულ და მცირე მნიშვნელობის წვრილკანონპროექტებს (ე.წ. ვერმიშელის კანონ პროექტები), ენერგიულად უარყოფდა მშრომელთა მდგომარეობის შემამსუბუქებელ ყველა წინადადებას.

სახელმწიფო სათათბირო უშუალო მონაწილეობას ღებულობდა რესეთის იმპერიის ფარგლებში მყოფი მცირე ერების დათრგუნვასა და დაჩაგვრაში. შავრასმულმა სათათბირომ მიიღო რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც მიმართული იყო პოლონეთის, ფინეთის და ქვეყნის სხვა განაპირა ეროვნებათა უფლებების შეკვეცისაკენ.

სახელმწიფო სათათბირო აქტიურად ზრუნავდა რუსეთის საგარეო ავტორიტეტისათვის, მისი სამხედრო ძლიერებისათვის, განუხრელად ატარებდა სამხედრო კრედიტების გადიდების ხაზს, რის შედეგადაც „სახელმწიფო თავდაცვის“ ხარჯები 1907 წლიდან 1912 წლამდე 51% გაიზარდა. აღნიშნული სათათბირო თვინიერად უჭერდა მხარს საზღვარგარეთის კაბალურ სესხებს, რომელიც იხარჯებოდა რევოლუციის ჩასახშობად და ახალ შეიარაღებაზე. იმპერიალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გატარებაში სახელმწიფო სათათბიროს როლი უფრო ნათლად გამოელინდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს, როცა მეოთხე მოწვევის სათათბირომ 1914 წლის 26 ივლისს თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი მთავრობას, რომელმაც ჩაითრია ქვეყანა და ხალხი სასაკლაოში.

სოციალურ და ეროვნულ საკითხებთან ერთად, თავისი კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სათათბიროს არ შეეძლო გადაეჭრა მის წინაშე მდგომი სხვა საკითხები, კერძოდ ისეთები, როგორიც იყო ხალხთა მოქალაქეობრივი უფლებების, კანონის უზენაესობის, სახელმწიფო წყობის

დემოკრატიზაციის და სხვა. რუსეთის სახელმწიფო სათათბირო იყო სუსტი და უფლებაშეზღუდული, იგი არ წარმოადგენდა ნამდვილი აზრით წარმომადგენლობით ორგანოს, საკანონმდებლო დაწესებულებას. აქედან გამომდინარეობდა სათათბიროს ისტორიული განწირულობა, მისი უძლურობა და უნაყოფობა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში.

მიუხედავად ამისა, თვით სათათბიროს მოწვევის ფაქტს ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. თვითმპყრობელობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მისთვის. იგი მიმართავდა მანევრირებას, რათა ემოქმედა სათათბიროს გვერდის აელით მისი გარკვევის ჩათვლით. ეს კი ახდენდა გარკვეულ გაელენას საზოგადოებრივ აზრზე, აღაგზნებდა ხალხის მასებს, იწვევდა უკმარისობას ლიბერალური ბურჟუაზიისას და თვით თავადაზნაურობისასაც კი. სათათბირო წარმოადგენდა თავისთავად გარკვეულ ბარიერს მთავარობის მიერ თვითმპყრობელურ-აზნაურული პოლიტიკის გატარების გზაზე.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო რეალურად არსებობდა, იგი წარმოადგენდა რუსეთის თვითმპყრობელურ, მონარქიული წყობის დანამატს, განსაკუთრებით 3 ივნისის გადატრიალების შემდეგ, ასრულებდა გარკვეულ როლს რუსეთის თვთიმპყრობელობის პოლიტიკურ ორგანიზაციათა სისტემაში. მიუხედავად თავისი უფლებამოსილების შეზღუდულობისა, სათათბირო ამტკიცებდა ქვეყნის ბიუჯეტს, ამასთან, იგი იყო მემარცხენე პარტიების აგიტაციის, მთავრობის პოლიტიკის მხილებისა და დემოკრატიული გარდაქმნისათვის ძრბოლის ლეგარული არენა, სადაც იკვეთებოდა თითოეული პარტიის პოლიტიკური პოზიცია.

§3. ცარიზმი და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხი კავკასიაში.

როგორც უკვე ითქვა, ბულიგინის სათათბირომ კრახი განიცადა, მაგრამ მეფეს სათათბიროს მოწვევის იდეაზე ხელი არ აუღია. 1905 წლის 11 დეკემბერს ნიკოლოზ მეორემ სათათბიროს მოწვევის შესახებ ახალი საარჩევნო კანონი გამოსცა. მის საფუძველზე შემუშავებული იქნა სათათბიროს არჩევნების წესები (დებულება), რომლის მიხედვით 1906 წლის მარტში რუსეთში დაიწყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები.

კავკასიასა და საქართველოში, ისე როგორც ბულიგინის სათათბირო საარჩევნო დებულების შემუშავების დროს, მეფის ხელისუფლება სათათბიროს არჩევნების ჩატარებას არ აპირებდა. ამის მიზეზად მთავრობა ამ მხარეში რევოლუციურ მოძრაობას და არჩევნებისათვის ხალხის მოემზადებლობას ასახელებდა. სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი მისი კოლონიური პოლიტიკით იყო საკარნახევი. ცარიზმის ასეთი მოქმედება კიდევ უფრო ამწვავებდა დაძაბულ ვითარებას, ზრდიდა მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას.

ხალხის მასების უკმაყოფილების ზრდის და მოწინავე საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნის გამო, მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის მხარის მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ადრე, სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის გრაფ დ. სოლსკის ხელმძღვანელობით შექმნა სპეციალური კომისია, რომლის ზუსტი სახელწოდება იყო „უმაღლესი ბრძანებით დაარსებული გრაფ სოლსკის კომისია“.

1905 წლის ნოემბერში პეტერბურგის მოთხოვნით მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა შეადგინა კავკასიის ერების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო სოლსკის კომისიის მუშაობაში. დელეგაციის შემადგენ-

ლობაში შეეიდნენ: ი. ჭავჭავაძე, ფოთის ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე, ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი გ. ჟურული, კავკასიოლოგი ე. ეეიდენბაუმი, ნ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, დაღესტნის ოლქის მიწათმფლობელი კაზანალიპოვი და თავადი მელიქოვი (მელიქიშვილი).

უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე დიდ იმედებს არ ამყარებდა მომავალ სახელმწიფო სათათბიროზე, დარწმუნებული იყო, რომ ცარიზმი სათათბიროს დეპუტატებს სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავეებს ხელში არ ჩაუგდებდა, არ იტყოდა უარს თავის განუსაზღვრელ უფლებებზე. ილიას სათათბირო ფიქციად მიაჩნდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ სათათბიროს დეპუტატებს კიდეეც რომ მოენდომებინათ კანონით მინიჭებული უფლებების სამართლიანი გამოყენება, მათ ხელისუფლება დიდხანს არ აბოგინებდათ და „უმართებულო“ კადნიერები-სათვის პასუხისგებაში მისცემდა, რადგან თვითმპყრობელურ მთავარობას სხვანაირად მოქცეევა არ შეეძლო და ეერც მოიქცეოდა. [1]

მიუხედავად სათათბიროსადმი ილიას ასეთი უარყოფითი შეხედულებისა, მას მაინც მიაჩნდა, რომ არსებულ ეითარებაში, სხვა უკთესი ლეგარული საშუალება თვითმპყრობელობის ანტიხალხური და ანტიეროვნული პროლიტიკის მხილებისათვის არ იყო. შეიძლებოდა სახელმწიფო სათათბირო გამოყენებული ყოფილიყო ერის ჭირვარამზე ლაპარკისათვის მაინც. ამიტომ იგ ძალიან აღშფოთდა, როცა შეიტყო, რომ თვითმპყრობელობა კავკასიასა და საქართველოში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარებას არ აპირებდა. მას უმართებულოდ მიაჩნდა მთავარობის უარყოფითი დამოკიდებულება არჩევნების ჩატარების შესახებ მხარეში არსებული „უწესრიგობების“ მომიზეზებით, რადგან ყველაზე დიდ „უწესრიგობებს“, უპირველეს ყოელისა თვით რუსეთში ჰქონდა ადგილი. სწორედ

1. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, თბ., 1987, გვ.89-92.

კარიზმის მხრიდან ქართველი და სხვა ხალხების მორიგი დამცირებით და აბუჩად აგდებით იყო გამოწვეული, რომ ილია უყოყმანოდ შევიდა კავკასიის ერების წარმომადგენელთა დელეგაციაში და გახდა მისი ხელმძღვანელი.

დელეგაცია პეტერბურგში 1905 წლის ნოემბრის ბოლოს გაემგზავრა, დეკემბერში მის წევრებს წინასწარი შეხვედრები ჰქონდათ კომისიის წარმომადგენლებთან, 24 დეკემბერს კი გაიმართა გრაფ სოლსკის კომისიის დასკვნითი სხდომა, სადაც იხილებოდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში კავკასიის მხარის მონაწილეობის კანონპროექტი. როცა სხდომის პრეზიდიუმი დაინტერესდა, თუ ვინ ახდენდა კავკასიაში რევოლუციას და როგორი მსვლელობა ჰქონდა მას, ილიამ თავისი პირდაპირი პასუხით სოლსკი გააოცა. როგორც გ. ჟურული იგონებს „ილიამ თავის სიტყვაში ცხადად აგრძნობინა მის წინ მსხდომ რუსეთის უზენაეს მმართველებს, რომ იგი კავკასიის მთავრობის მრჩეველ აგენტად, ან მოწყალების გამოსათხოვრად კი არ ჩამოსულა თავისი ქვეყნიდან, არამედ გამოდის, როგორც ბრალმდებელი უმწეო მდგომარეობის დასასურათებლად, რომელშიც აგერ ას წელიწადზე მეტია იმყოფება კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, ქართველი ხალხიც.“

ილიას ტონი სოლსკის არ მოწონებია, ამ უკანასკნელს მისთვის სიტყვა გაუწყვეტინებია და ხმამაღლა უთქვამს, რომ ეს ბრალდებები არ აინტერესებს, მას სურს გაიგოს ილიას აზრი მხოლოდ კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობის თაობაზე, რაც სოლსკის პირადად შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან მისი თქმით, იქ „საშინელი რევოლუციური ამბები ხდებოდა.“ ამაზე ილიას გაბედულად უპასუხია, „შეიძლება კი არა, აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა იყოს გავრცელებული ეგ რეფორმა კავკასიის მხარეზე და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა. და თუ ეს ასე არ მოხდა, მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ გამოგიცხადო, რომ ახალ შეურაცხყოფას

ეელარ მოითმენს ჩვენი ხალხი და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა აღშფოთებულ მოსახლეობასთან შებრძოლებით".[1]

მთავრობის განზრახვაზე – გადაედო კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარება, კავკასიელი ერების დელეგაციის ყველა წარმომადგენელმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ საკითხის ამგვარი დაყენება კავკასიის მიმართ არ იყო სწორი, რადგან კავკასიასთან შედარებით უფრო დაძაბულ მდგომარეობას რუსეთის შიდა გუბერნიებში ჰქონდა ადგილი. დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მხარის დამშვიდების მოთხოვნა ფაქტიურად აუქმებდა სათათბიროში კავკასიელი დეპუტატების მონაწილეობის შესაძლებლობას, ვინაიდან არსებულ ვითარებაში ეს შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად, მიუთითეს რომ ნამდვილი სიმშვიდის ჩამოგდება, თუკი ის მართლა გულით ვინმეს ეწადა, გარკვეულ წილად თვითონ სათათბიროზე იყო დამოკიდებული. სათათბიროში კავკასიის წარმომადგენლობაზე უარის თქმა კი, არსებულ დაძაბულ ვითარებას, კიდევ უფრო გაამწვავებდა.

დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ კავკასიისათვის ცალკე შეიმუშავებდნენ და დაამტკიცებდნენ საარჩევნო წესებს. ამ დაპირებით დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა. მისი წევრები მოუთმენლად ელოდნენ საარჩევნო წესებს, მაგრამ მთავრობა ისევ ძველებურად აჭიანურებდა დროს. ბოლოს, 1906 წლის თებერვალში, ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაქვეყნა დამატებითი საარჩევნო წესები კავკასიისათვის. მას ძირითადად ბულიგინის დებულება ედო საფუძვლად, მაგრამ ამასთან ერთად, ძველი საარჩევნო წესისაგან განსხვავებით, გარკვეულ ცვლილებებსაც შეიცავდა, უპირველეს ყოვლისა, არჩევნებისას გათვალისწინებული იყო ოლქების გამსხვილება.

---

1. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე (ფოტომატიანე), თბ., 1990, გვ. 251

თუ წინათ ცალ-ცალკე იყო, ახლა ერთ საარჩევნო ოლქად ერთიანდებოდა ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი. ხელის-უფლებამ ვერ გაბედა ამ ოლქების გაუქმება რეაოლუციურობის მომიზეზებით, მათი შეერთება უფრო „კეთილ“ შავიზღვის-პირეთის გუბერნიასთან, მაგრამ ის კი „მოახერხა“, რომ ერთ საარჩევნო ოლქად გარდაიქმნა ისინი და დეპუტატები შეუმცირა.

თითოეულ საარჩევნო ოლქში, მაზრასა თუ უბანში უნდა ჩატარებულიყო სამი საარჩევნო კრება: მემამულეთა, ქალაქის ამომრჩეველთა (ბურჟუაზიის) და სოფლის რწმუნებისა. არჩევნებისას კავკასიის მეფის ნაცვალს ნება ეძლეოდა თავის შეხედულებებისამებრ ერთიდაიგივე გუბერნიაში ან ოლქში შეეერთებინა ცალკეული მაზრები, ოკრუგები, უბნები და დაენიშნა ამომრჩეველთა შეერთებული საარჩევნო კრებები (ყრილობები). გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ მაზრის, ან უბნის მემამულეთა კრებების ქალაქის ამომრჩეველთა კრებასთან შეერთება და პირიქით, ქალაქის ამომრჩეველთა კრების შეერთება მემამულეთა კრებასთან.

არჩევნების წესების მიხედვით მუშათა საარჩევნო უფლება საქართველოში ძირითადად რუსეთის მუშათა უფლებრივი მდგომარეობის ანალოგიური იყო, განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში არსებული საწარმოების აბსოლუტურ უმრავლესობაში მუშების რიცხვი შედარებით მცირე იყო. ამიტომ ამ საწარმოების მუშებს მხოლოდ თითო რწმუნებულის არჩევა შეეძლოთ. მაგალითად, 1907 წლისათვის თბილისის გუბერნიაში, ქალაქ თბილისიანად, მუშათა თითო რწმუნებულის არჩევის უფლება ჰქონდა 22 საწარმოს, ხოლო ორ-ორი რწმუნებულისა – 2 საწარმოს. ცხადია, ასეთ ვითარებაში მუშა ამომრჩეველთა რიცხვი ნაკლები იყო. საქართველო სულ 3 მუშა ამომრჩეველს ირჩევდა. მათ შორის ქ. თბილისი და თბილისის გუბერნია – 2, ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი – 1. ასეთ მცირერიცხოვან ამამრჩეველებს, რა თქმა უნდა, არჩევნების შედეგებზე რაიმე არსებითი გავლენის მოხდენა

არ შეეძლოთ.

მემამულეთა საარჩევნო კრებებში პირდაპირ მონაწილეობდნენ ისინი, ვინც მიწისთვის ყოველწლიურად იხდიდა არანაკლებ 15 მანეთს საერობო გადასახადს. სხვათა შორის, ამის თაობაზე დიდი კამათი გაიმართა თავის დროზე სოლსკის კომისიაში. ეორონცოვ – დაშკოვის პროექტით, რუსეთში მოქმედი წესის მსგავსად, მემამულეების არჩევნებში მონაწილეობის ცენზი 30 მანეთი უნდა ყოფილიფო. კავკასიის ერების დელეგაციის წევრები კი მოითხოვდნენ მის 15 მანეთამდე შემცირებას, რაც საბოლოოდ მიღწეული იქნა კიდეც. 15 მანეთზე ნაკლები გადასახადის გადამხდელები არჩევნებში მონაწილეობდნენ არაპირდაპირ, ანუ რწმუნებულების საშუალებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეუერთდებოდნენ ქალაქის ამომრჩეველთა კრებას, მაშინ მათ ეძლეოდათ არჩევნებში პირდაპირ მონაწილეობის უფლება.

საარჩევნო წესის (დებულების) მეექვსე მუხლის საფუძველზე ლეჩხუმის, რაჭის და შორაპანის მაზრებში (ქუთაისის გუბერნია), ბორჩალოსა და თიანეთის მაზრებში (თბილისის გუბერნია) ცალკე არ ჩატარდებოდა ქალაქის მცხოვრებთა არჩევნები, ისინი უნდა შეერთებოდნენ მიწათმფლობელთა საარჩევნო ყრილობებს.

არჩევნებისას ქალაქებს უნდა შეერთებოდა შემდეგი დაბები: ართვინი – ბათუმს; არდაგანი, ყარაღიზმანი და ოლთისი – ყარსს; რედუტ – კალე – ზუგდიდს; სენაკის მაზრა – ფოთს. შესაძლებელი იყო სოფლების შეერთებაც. სასოფლო – საარჩევნო კრებები რწმუნებელების ასარჩევად უნდა ჩატარებულიყო წინასწარ მითითებულ ადგილზე სოფლის მამასახლისის თავმჯდომარეობით. ცალკეული სოფლის თუ შეერთებული სოფლების კრება (ყრილობა) ყოველ ათ კომლზე ირჩევდა თითო რწმუნებულს სამაზრო კრებაზე გასაგზავნად. იმ შემთხვევაში, თუ სოფელში ათ კომლზე ნაკლები ცხოვრობდა, მაშინ ხდებოდა მხოლოდ ერთი რწმუნებულის არჩევა. ბათუმისა და ყარსის

ოლქებში სოფლის რწმუნებულების არჩევა წარმოებდა სასოფლო ოლქების ყრილობებზე. თითოეული ასეთი ყრილობა ირჩევდა ორ რწმუნებულს.

მეშამულე ამომრჩეველების სიებს ადგენდნენ ოლქებისა და მაზრების უფროსები. ქალაქის ამომრჩეველთა სიებს – ქალაქის გამგეობები. ხოლო იქ, სადაც თვითმმართველობა არ იყო, ეს საქმე მინდობილი ჰქონდა პოლიციას. მემამულეთა და სოფლის რწმუნებულთა კრებებს თავმჯდომარეობდნენ მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები, ან მომრიგებელი მოსამართლეები.

საგუბერნიო და საოლქო საარჩევნო კომისიები უნდა შექმნილიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ამ უკანასკნელს უნდა დაქვემდებარებოდა ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი. საგუბერნიო და საოლქო – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო საოლქო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც სასამართლოს საერთო კრება ნიშნავდა, კომისიის წევრებად – მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, მომრიგებელი მოსამართლე, ქალაქისთავი (სადაც საქალაქო თვითმმართველობა იყო), გადასახადის ინსპექტორი და ა.შ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრების ანუ დეპუტატების არჩევა უნდა მომხდარიყო ოლქების და გუბერნიების ამომრჩეველთა კრებებზე (ყრილობებზე), რომლებიც უნდა გამართულიყო საოლქო და საგუბერნიო დედაქალაქებში. კერძოდ, თბილისის გუბერნიისა – თბილისში; ქუთაისის გუბერნიისა – ქ. ქუთაისში; ბათუმისა და სოხუმის ოკრუგისა – ქ. ბათუმში. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევი კრებების სწორად წარმართვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ოლქისა და გუბერნიის სამხედრო გუბერნატორებს.

ამრიგად, მთელი საარჩევნო პროცედურა საქართველოში ხელში ჰქონდა ჩაგდებული ჯარს, პოლიციას და მოსამართლეებს, ანუ რუსეთის ადგილობრივ მმართველ ადმინისტრაციას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამომრჩეველთა არჩევნებს, მის რაოდენობას და შემადგენლობას, რადგან ისინი იძლეოდნენ სასურველი დეპუტატის არჩევის გარანტიას. საარჩევნო წესის თანახმად, თბილისის გუბერნია ირჩევდა 49 ამომრჩეველს, ქუთაისის გუბერნია – 45 ამომრჩეველს, ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი – 16 ამომრჩეველს. ქალაქ თბილისს ცალკე ჰქონდა 80 ამომრჩეველის არჩევის უფლება.

გუბერნიებისა და ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა შემადგენლობასა და მათ რაოდენობაზე სათანადო წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი.

ცხრილი №1.

№	გუბერნიები და ოლქები	ამომრჩეველთა საერთო რაოდ.	გლეხებისაგან		მემამულეებისაგან		ქალაქებისაგან (ბურჟუაზ.-გან)		შენიშვნა
			რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	
1	თბილისის გუბ.	49	21	43	20	41	8	16	ცხრილში მუშა ამომრჩეველები ქალაქის ამომრჩეველებთან ერთად არიან შესულნი
2	ქ.თბილისი	80	–	–	–	–	80	100	
3	ქუთაისის გუბ.	45	22	49	15	33	8	18	
4	ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრ.	16	8	50	2	13	6	37	
	ს უ ლ	190	51	27	37	19	102	54	

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს გუბერნიებსა და ოლქებში, ქ. თბილისის გამოკლებით, ცალ-ცალკე აღებულ მემამულეებსა და ბურჟუაზიასთან შედარებით, უფრო მეტი ამომრჩეველის არჩევის უფლება გლეხებს ჰქონდათ[1], რაც შემ-

1. „დილა“, 1907, №17

დეგი ძირითადი მიზეზებით აიხსნებოდა: ჯერ ერთი, საქართველო აგრარული ქვეყანა იყო და მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, მეორე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცარიზმი ჯერ იმედს ამყარებდა გლეხთა მონარქიულ ილუზიებზე და მასში დასაყრდენს ეძებდა. მესამე, ხელისუფლება ქართველ თავადაზნაურობას, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის გამო, ერთგვარად მწყრალად უყურებდა. ამასთან, გლეხებისათვის ხსენებულ უპირატესობას პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ისინი თავისი განათლების დაბალი დონის და მოუმზადებლობის გამო, „მომწიფებულნი" არ იყვნენ საპარლამენტო მოღვაწეობისათვის. ამიტომ იძულებულნი იყვნენ ამომრჩეველებად ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, თუ პარტიული მუშაკები აერჩიათ. რაც შეეხება ქალაქ თბილისს, აქ ბუნებრივია უმრაველესობას ბურჟუაზია და ქალაქში მაცხოვრებელი მემამულეები შეადგენდნენ და არჩევნებში მონაწილეობის უპირატესობაც მათ ჰქონდათ.

ამომრჩეველთა რაოდენობა და შემადგენლობა მაზრების მიხედვით კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი №2.

№	გუბერნიები და ოლქები	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	გლეხებისაგან (სოფლის ყრილობის რწმუნ.)	მემამულეებისაგან	ქალაქებისაგან (ბურჟუაზიისაგან)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	თბილისი გუბერ.					
1	თბილისის მაზრა	5	2	2	1	
2	ახალქალაქის მაზრა	5	3	1	1	
3	ახალციხის მაზრა	4	2	1	1	

1	2	3	4	5	6	7
4	ბორჩალოს მაზრა	7	2	5	-	
5	გორის მაზრა	11	3	6	2	
6	დუშეთის მაზრა	4	2	1	1	
7	სიღნაღის მაზრა	6	4	1	1	
8	თელავის მაზრა	5	2	2	1	
9	თიანეთის მაზრა	2	1	1		
	ს უ ლ	49	21	20	8	
II	ქუთაისი გუბერნია					
1	ქუთაისი მაზრა	12	5	3	4	
2	ზუგდიდის მაზრა	6	3	2	1	
3	ლეჩხუმის მაზრა	3	2	1		
4	ოზურგეთის მაზრა	5	2	2	1	
5	რაჭის მაზრა	4	2	2		
6	სენაკის მაზრა	7	3	2	2	
7	შორაპანის მაზრა	8	5	3		
	ს უ ლ	45	22	15	8	
III	ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი					
1	ბათუმის ოლქი	6	1	1	4	
2	ართვინის ოლქი	4	3		1	
3	სოხუმის ოლქი	6	4	1	1	
	ს უ ლ	16	8	2	6	

ამომრჩეველთა არჩევნების შემდეგ იმართებოდა სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნები. საარჩევნო წესის მიხედვით კავკასიიდან სახელმწიფო სათათბიროში, ისე როგორც წინათ, სულ 29 დეპუტატი უნდა აერჩიათ, მათ შორის საქართველოდან – 8. კერძოდ, თბილისის გუბერნიას – 3, ქ. თბილისს – 1, ქუთაისის გუბერნიას – 3, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგს – 1. წინათ, ამ უკანასკნელ ოლქსა და ოკრუგს, ცალ-ცალკე თავისი საკუთარი დეპუტატის არჩევის უფლება ჰქონდათ. ახლა კი, როგორც უკვე ითქვა, ისინი ერთ საარჩევნო ოლქად გააერთიანეს და მხოლოდ ერთი დეპუტატის არჩევის უფლება დაუტოვეს. სამაგიეროდ, ქუთაისის გუბერნიას დაუმატეს იმ ერთი დეპუტატის ადგილი და მათი რიცხვი აქ ორიდან სამამდე გაზარდეს.

§4. პოლიტიკური პარტიები და მათი დამოკიდებულება სათათბიროსადმი

1905 წლისთვის საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია, ჯგუფი და მიმდინარეობა არსებობდა. მათ შორის იყო როგორც ქართული პარტიები, ისე რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები. ამ პარტიებიდან ყველას ერთნაირი ძალა და გავლენა არ ჰქონდა. ზოგიერთი აღმოცენების შემდეგ მალე წყვეტდა არსებობას, ანდა რაიმე მნიშვნელოვან კვალს ვერ ამჩნევდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ყველაზე ძლიერსა და გავლენიანს საქართველოში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრთა წარმოადგენდა. 1906 წლისთვის საქართველოში ითვლება 409 ბოლშევიკი და 5.100 მენშევიკი, ხოლო 1907 წელს – 1.037 ბოლშევიკი და 13 .000 მენშევიკი[1]. პარტიის წევრთა აბსოლუ-

1. Политические партий россий в период революции 1905- 1907гг. М., 1987, с. 28, 35, 42.

ტური უმრავლესობა გუბერნიის დედაქალაქების პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები თავის მოღვაწეობაში მთავარ ყურადღებას სოციალურ საკითხს უთმობდნენ ვიდრე ეროვნულს, იბრძოდნენ მთელი რუსეთის პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. მათი აზრით, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის, ან ავტონომიის მოთხოვნა, დაასუსტებდა რევოლუციურ ძალებს, ხელს შეუშლიდა იმპერიის მასშტაბით საერთო პოლიტიკური რევოლუციის განხორციელებას, გათიშავდა პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობას. ამიტომ მოითხოვდნენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას და მის დამხობას რევოლუციური გზით.

ამასთან ერთად, ქართველი სოციალ-დემოკრატები არც ბრძოლის მშვიდობიან გზას გამორიცხავდნენ. საკუთარი ტაქტიკიდან გამომდინარე, მათ არცერთი ხელსაყრელი მომენტი და შესაძლებლობა არ უნდა გაეშვათ ხელიდან თავისი იდეების პროპაგანდისათვის, მუდამ ხალხის შუაგულში უნდა ეტრიალათ და ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ეწარმოებინათ. ამისათვის მთელი სისრულით იყენებდნენ საკუთარ პრესას. ეს ტაქტიკა ჯერ კიდევ, ადრე, ხელისუფლების მიერ ბულიგინის სათათბიროს მოწვევის განზრახვის დროს ჰქონდათ შემუშავებული. ნ.ჟორდანია წერს: „რევოლუცია თანდათან ღრმავდებოდა მთელს იმპერიაში, მის შესასუსტებლად მთავრობამ გამოსცა ბრძანება სახელმწიფო დუმის მოწვევის შესახებ (ბულიგინის დუმა). ჩვენმა ორგანიზაციებმა დაადგინეს მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რის დასაცავად დაიბეჭდა წერილები „სოციალ-დემოკრატში". ეს იყო გაგრძელება „კვალის" ტაქტიკის, ვიყოთ ყველგან, სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა". [1]

---

1. ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ.49.

ბოლშევიკებმა მუშებსა და გლეხებს ბულიგინის სათათ-ბიროს აქტიური ბოიკოტისაკენ მოუწოდეს და მთელი სააგი-ტაციო კამპანია შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციური არმიის და დროებითი რევოლუციური მთავრობის მოთხოვნის ლოზუნგით წარმართეს.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფე-რენციამ, რომელიც შეიკრიბა რიგაში 1905 წლის სექტემბერში, სახელმწიფო სათათბიროს მიიმართ ტაქტიკის შესამუშავებლად, მოიწონა ბოლიგინის სათათბიროსადმი აქტიური ბოლშევიკური ხაზი და დაგმო მასში მონაწილეობის მენშევიკური პოლიტიკა.[1]

ბოიკოტის ტაქტიკას 1905 წლის 11 დეკემბრის ახალი საარჩევნო კანონით გათვალისწინებული პირველი სახელმწიფო სათათბიროს (ვიტეს სათათბირო) არჩევნების პერიოდშიც იცავდნენ. ლენინის თქმით, სათათბიროს არჩევნებს ბოიკოტს უცადებდნენ იმიტომ, რომ არჩევნებში მონაწილეობით ბოლშე-ვიკები უნებურად ხალხში სათათბიროსადმი რწმენას განამტკი-ცებენ, ამით შეასუსტებდნენ „სახალხო წარმომადგენლობის" გაყალბების საწინააღმდეგო ბრძოლის ძალას. სათათბირო პარლამენტი კი არა, თვითმპყრობელობის ხრიკი იყო. მათ უნდა ჩაეფუშათ ეს ხრიკი არჩევნებში მსონაწილეობის უარყოფით.[2]

ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, რომელბმაც ბოიკოტი გამოუცხადეს პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს, ქართული მენშევიკები მონაწილეობას იღებდნენ მის არჩევ-ნებში, იცავდნენ ადრე შემუშავებულტაქტიკას, მიაჩნდათ, რომ არჩევნებში მონაწილეობასე უარის თქმა, ნიშნავდა ბრძოლის ველიდან პროლეტარიატის გაქცევას. ეს კი ხელ-ფეხს უხსნიდა მთავრობას „კონსტიტუციური" გზით, ახალ-ახალი დარტყმები მიეყენებინა მშრომელი ხალხისათვის.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით, მართალია

---

1. სკკპ ისტორია, თბ., 1959, გვ.121
2. ვ.ლენინი, თხზ.ტ.10, გვ.101

სათათბირო, ვერც სოციალურ საკითხებს გადაჭრიდა და ვერც სახალხო ხელისუფლებას განახორციელებდა, მაგრამ როგორც ტრიბუნა ხელს შეუწყობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას და მის დამხობას, დასაბამს მისცემდა ხალხის ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის და რესპუბლიკურ-დემოკრატიული მმართველობის დამყარების პროცესს. სათათბირო იქნებოდა ხალხის – მუშების და გლეხების გამაერთიანებელი და გამარევოლუციონერებელი ორგანო. როდესაც ხალხი მტკიცედ დაირაზმებოდა მის გარშემო, მაშინ სათათბირო ადგილს დაუთმობდა საყოველთაო დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ დამფუძნებელ კრებას.[1]

არჩევნებში მონაწილების საკითხზე პარტიულ ორგანიზაციებში იმართებოდა კრებები, სადაც გამოჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ყველგან საკუთარი კანდიდატების გაყვანის რეზოლუციები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციები. სათათბიროს მიმართ მათი დადებითი დამოკიდებულება მოცემული იყო აგრეთვე ამომრჩევლებისადმი ამ ორგანიზაციების საერთო მიმართვაშიც, სადაც სათათბირო მიჩნეული იყო რეაოლუციისა და ხალხის გამარჯვების მძლავრ საშუალებად.[2] ამიტომ სათასბიროში უნდა გაეგზავნათ ისეთი დეპუტატები, რომლებიც მას შემატებდნენ რევოლუციურ მხნეობას, სიმტკიცეს და სულს, დაიცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს, შექმნიდნენ პირობებს ნამდვილი დემოკრატიული წყობისათვის. „სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან, – წერდა გაზეთი „ლამპარი", – ქართველი სოციალ-დემოკრატების პირით, მთელი ქვეყანა გაიგებს ქართველი ერის სულისკვეთებას და მის ჭირვარამს. მათიეე პირით გაიგებენ ყველა დაჩაგრულ

---

1 „ლამპარი", 1906, №50.

2 „ლამპარი", 1906, №29

ეროვნებათა და განსაკუთრებით კი ჩვენი ძმების – სომხების, თათრების და კავკასიის სხვა დაჩაგრული ერების სულის-კვეთებას და ჭირ-ვარამს."[1]

რადიკალიზმის მიხედვით მეორე ადგილი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ეკავა, ამ ადგილს ინარჩუნებდა იგი სიძლიერის მიხედვითაც. აღნიშნული პარტია თავის ბრძოლის მთავარ მიზნად ეროვნულ საკითხს აყენებდა და მთელ მუშაობას საქართველოს ეროვნულ – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობის აღდგენისაკენ წარმართავდა, თუმცა არსებულ ეტაპზე, შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ავტონო-მიის მოთხოვნას სჯერდებოდა.

თავისი მიზნის განხორციელებისათვის ფედერალისტებმა ყურადღება მიაქციეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, მაგ-რამ უნდა ითქვას, რომ თავიდან მის არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე პარტიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ერთი ნაწილი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მომხრე იყო, მეორე კი არა. ბოიკოტისტების აზრით, სათათბირო არ იყო ნამდვილი წარმომადგენლობითი ორგანო, იგი სახელმწიფო საბჭოთი იყო შეზღუდული. ამ შემთხვევაში სათათბირო, რაგინდ დემოკრა-ტიულიც არ უნდა ყოფილიყო, ვერ შეძლებდა ბიუროკრატიული სისტემის ნაცვლად დემოკრატიული მმართველობის შემოღებას. ამას ემატებოდა ისიც, რომ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის პირობებში მეფეს ჰქონდა უფლება მისი გვერდის ავლით მიეღო სასურველი კანონპროექტები. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ საკანონმდებლო მოქმედების ბიუროკრატიული წესი მოსპობილი არ იყო. ქვეყანაში ვერ დამყარდებოდა ნამდვილი სამოქალაქო მშვიდობა, თანასწორობა და წესრიგი, ვიდრე არ მოხდებოდა ნამდვილი დემოკრატიული გარდაქმნები და ამის საფუძველზე არ ჩატარდებოდა სათათბიროს ნამდვილი

1. „ლამპარი", 1906, №32

დემოკრატიული არჩევნები.[1]

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მომხრეთა აზრით, არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელი იყო შემდეგი გარემოების გამო: ჯერ ერთი, ყველგან, სადაც კი მომხდარა სახელმწიფო წყობილების რადიკალური ცვლილება, იგი ხალხის წარმომადგენელთა დაწესებულების მეშვეობით განხორციელებულა. როგორიც უნდა ყოფილიყო ეს წარმომადგენლობა და რა სახის ნაკლოვანებები უნდა ჰქონდა მას, იგი წარმოადგენდა მაინც მოსახდენი ძირითადი ცვლილებების ერთ-ერთ საფუძველს. აღნიშნულ წარმომადგენლობას ჰქონდა დიდი ავტორიტეტი ხალხის თვალში, მის გადაწყვეტილებას უფრო დიდი საერთო მნიშვნელობა გააჩნდა, ვიდრე რომელიმე კომიტეტის, გინდ კავშირის დადგენილებას.

მეორე, სათათბიროში მონაწილეობით, დეპუტატებს მთელი ქვეყნისთვის უნდა გაეცნოთ ქართველი ხალხის აუტანელი მდგომარეობა, პროტესტით მიემართათ რუსეთის საუკეთესო შვილებისათვის, რათა საქართველოში აღარ გამეორებულიყო ის საშინელებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა არსებულ სინამდვილეში.

მესამე, ჩეხეთის წარმომადგენლობით დაწესებულებაში მონაწილეობა საჭირო იყო იმიტომაც, რომ ქართველ დეპუტატებს, ამ დაწესებულების მოწინავე ელემენტებთან ერთად, იერიში მიეტანათ იმ წყობილების დასამხობად, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი საქართველო.

ბოიკოტის ტაქტიკას არც ფედერალისტების პრესამ დაუჭირა მხარი. 1905 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილ წერილში „სახელმწიფო სათათბირო და კავკასია", რედაქცია აღნიშნავდა, რომ სათათბირო თავისი უფლებამოსილების შეზღუდულობის გამო ვერ დაიცავდა ხალხის და დაჩაგრული ერების ინტერესებს, მაგრამ ამასთან ერთად, ხაზს

1. „ცნობის ფურცელი", 1906, №№3005,3012

უსვამდა იმას, რომ ხალხი შეძლებდა მისი ხასიათის შეცვლას. ამიტომ ქართველებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ არჩევნებში და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით ეცადა ამ დაწესებულების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნა.

კამათის შემდეგ გადაწყდა პარტიის მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ა.ჯორჯაძის თქმით, ამ ორ მიმართულებას შორის დავა მიმდინარეობდა არა საერთოდ პარლამენტარიზმის შესახებ, არამედ კონკრეტულად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე. პირველად ამ საკითხზე უარყოფითი დადგენილებაც კი იქნა მიღებული, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ სათათბირო ოპოზიციური იქნებოდა, მაშინ პარტიამ გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობაო. „რაკი პრინციპულად არ იყო უარყოფილი პარლამენტარიზმი, ეროი ტაქტიკური დადგენილების შეცვლა ძნელი საქმე აღარ უნდა ყოფილიყო, პარტიამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში“.[1]

ფედერალისტების საარჩევნო პლატფორმაში, ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ სათათბირო არ იყო ნამდვილი საკანონმდებლო დაწესებულება, მასში მონაწილეობდნენ იმდენად, რამდენადაც სურდათ მისი გამოყენება ბრძოლის იარაღად რეოლუციურ მიზანთა მიღწევის საქმეში. სათათბიროს ნიადაგი უნდა მოემზადებინა დამფუძნებელი კრებისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ დამყარდებოდა ნამდვილი სახალხო მმართველობა, რომლის დროს ერთადერთი კანონმდებელი ფედერაციულ საფუძველზე შეკავშირებული მთელი რუსეთის ხალხი იქნებოდა.[2]

სოციალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების მიერ სათათბიროს როლის შეფასება არსებითად იდენტურია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველ მენშევიკებთან შედარებით ფედერალისტები სათათბიროს უფრო მეტ მნიშვნელობას

1. ა.ჯორჯაძე, ძველი და ახალი ტფილისი, 1906, გვ.89
2. „მეგობარი“, 1906, №57

ანიჭებდნენ, უფრო მეტად ემხრობოდნენ ბრძოლის მშვიდობიან ფორმას. ა.ჯორჯაძის თქმით, დემოკრატიული პარლამენტი და ხალხის პოლიტიკური თავისუფლება იმიტომ იყო აუცილებელი, რომ დასავლეთ ევროპის მსგავსად რუსეთშიც აღმოფხვრილიყო კლასთა სისხლიანი შეტაკების მიზეზები, მისი ხაზგასმით, იმხანად დასავლეთ ევროპაში კლასთა ანტაგონიზმი განიმუხტება და მომავლის ბედი წყდება არა ბარბაროსული ბრძოლითა და სისხლიანი რევოლუციებით, არამედ პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი, კულტურული მეთოდებით, მომავალი იბადება არა ბრძოლის ველზე, არამედ საარჩევნო ურნაში.

1906 წელს საქართველოში აღმოცენდა ქართული დემოკრატიული, ანუ ქართველ ავტონომისტ კონსტიტუციურ – დემოკრატიული პარტია, გამოქვეყნდა მისი პროგრამაც. აღნიშნული პარტიის პროგრამა მოითხოვდა პარლამენტის გზით რუსეთის თვითმპყრობელური წყობილების დემოკრატიულ გარდაქმნას, რასაც საქართველოში უნდა მოპყოლოდა ავტონომიური მმართველობის დამყარება და საკუთარი პარლამენტის შექმნა. საქართველოს პარლამენტს უნდა გადაეჭრა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები: სწავლა-განათლების – მართლწესრიგის განმტკიცების, ჯანმრთელობის დაცვის, ფოსტა-ტელეგრაფის, საეკლესიო და სხვა. იმპერიის ნებისმიერი აქტი საქართველოში ითვლებოდა ძალის არმქონედ, თუ მისი განხორციელების თანახმა არ იქნებოდა საქართველოს პარლამენტი. პროგრამის მიხედვით, რუსეთის კომპეტენციაში რჩებოდა ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება.[1]

ქართული დემოკრატიული პარტია სიხარულით შეხვდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს გახსნას, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა[2]. ეს შემთხვე-

1. „ცნობის ფურცელი, 1906, №2982
2. Государственная дума, стенографические отчеты, сесся первая, заседание IV, т. I, СПБ, 1906, с. 102.

ვითი არ იყო, რადგან ამ პარტიის წევრები დიდ იმედებს ამყარებდნენ სათათბიროზე, გულწრფელად სწამდათ, რომ იგი პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა საქართველოს ავტონომიისათვის. აღნიშნული პარტია ფედერალისტებთან ბლოკში მონაწილეობდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, თუმცა მისი მოღვაწეობა ხანმოკლე და უფერული იყო. ა.ჯორჯაძის თქმით, „ეს ახალი პარტია უდღეური გამოდგა, მას თითქმის არავითარი მოქმედება არ გამოუჩენია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი დემოკრატიული პარტია ფედერალისტურ პარტიასთან ახლოს მდგომი, მსგავსი პროგრამის მქონე და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების იყო. ამიტომ მისი წევრები, მიმდევრები, თუ თანამგრძნობნი, ფედერალისტებთან ერთად, ხშირად იწოდებოდნენ როგორც ეროვნულ-დემოკრატები. ამასთან, როგორც ადრე თერგდალეულების მოღვაწეობის პერიოდში, ისე ამ დროს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურად არ არსებობდა, იგი არაოფიციალურად იყო სხვადასხვა მოძრაობების, თუ იდეოლოგიის სახით. ოფიციალურად კი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შედარებით გვიან – 1917 წელს დაარსდა.

სიძლიერის მიხედვით მესამე ადგილი (სოციალ- დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების შემდეგ) საქართველოში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს ეკავათ.[1]

მათ შორის შედარებით ძლიერი იყო თბილისის ორგანიზაცია, რომელიც 1905 წლის ნოემბერში აღმოცენდა. მის ბეჭდვით ორგანოებად ითვლებოდნენ „ნოვოე ობოზრენიე“ და „კრუგაზორი“. პარტიას ხელმძღვანელობდა ბიურო, რომლის თავმჯდომარე გ.თუმანიშვილი იყო. 1906 წლის გაზაფხულისათვის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა მიმართულება არსებობდა, 500 წევრს

1. „ივერია“, 1906, №8

აერთიანებდა.[1] მათ შორის უმრავლესობას მსხვილი სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ეს უკანასკნელნი, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის პროგრამა მეტნაკლებად ეროვნული ერთეულებისათვის ითვალისწინებდა ავტონომიას, საქართველოზე ამ სტატუსის გავრცელების წინააღმდეგი იყო.

ქუთაისში მომქმედი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია, რუსეთის კადეტების მსგავსად, თავისთავს ხშირად „ხალხის თავისუფლების" პარტიასაც უწოდებდა. პარტიას სათავეში ედგა ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დ.მიქელაძე, კ.ჩიკვაიძე, დ.კვირკველია, დ.ნიჟარაძე, კ.ლორთქიფანიძე და დ.წულუკიძე.[2] კონსტიტუციურ – დემოკრატიული პარტიის ორგანიზეციები იყო თგრეთვე ბათუმსა და სოხუმშიც.

კადეტების დამოკიდებულება სათათბიროსადმი ერთმნიშვნელოვანი იყო. ისისნი კმაყოფილნი იყვნენ მისი მოწვევით, მიაჩნდათ, რომ სათათბიროს საშუალებით შეძლებდნენ საკუთარი ინტერესების დაცვას, მიაღწევდნენ მეფის მხრიდან სასურველ დათმობებს და უფლებების გაფართოებას. ასეთ პირობებში ხელისუფლების წინააღმდეგ დაპირისპირებას და მდგომარეობის გამწვავებას აზრი არ პქონდა, ყველაფერი „პარლამენტური" გზით უნდა მოგვარებულიყო. ამიტომ აქტიურად უჭერდნენ მხარს არჩევნებში მონაწილეობას.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა რუსეთის სოციალისტ – რევოლუციონერთა, ანუ ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები და კომიტეტები, რომელებიც საქართველოში 1903-1905 წლებში აღმოცენდნენ. ქართველი ესერები კი ძირითადად ეროვნულ-ფედერაციულ პოზიციებზე იდგნენ. ამის საშუალებას მათ პარტიის პროგრამაც აძლევდათ, რომელიც მხარს უჭერდა ეროვნული

1. Политические партий россий в перед революции 1905- 1907гг. М., 1987, с. 128.

2. „შრომა", 1906, №12

რაიონების ავტონომიას. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში მომქმედი ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტი იყვნენ, რასაც მათი წევრების მცირერიცხოვნობა განაპირობებდა. 1905 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში სულ ითვლებოდა ამ პარტიის 1.032 წევრი. მათ შორის: ქუთაისის გუბერნიაში – 722 წევრი, თბილისის გუბერნიაში – 145 წევრი, ბათუმში – 110 წევრი.[1]

ესერთა პარტია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობას ემხრობოდა. ამ პარტიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ პარტიას, როგორც სათათბიროს არჩევნები, ისე სათათბიროს ტრიბუნა უნდა გამოეყენებინა მასების რევოლუციური სულის გასაძლიერებლად და მათ დასარაზმად. ამასთან, მშრომელებისათვის უნდა გაექარწყლებინა იმის იმედი, რომ სათათბირო თავისი საკანონმდებლო მოქმედებით დააკმაყოფილებდა მათ ძირითად მოთხოვნებს, დაემტკიცებინათ, რომ ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეეძლო მხოლოდ მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული მშრომელი ხალხის მიერ მოწვეულ დამფუძნებელ კრებას.[2]

დემოკრატიულ პარტიებს შორის სიძლიერით ბოლო ადგილი რადიკალურ პარტიას ეკავა. ეს პარტია მხოლოდ თბილისში იყო და ისევე როგორც კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, სომეხ მოსახლეობას ეყრდნობოდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, შეძლებული სომეხი ინტელიგენციის ინტერესებს გამოხატავდა. აღნიშნული პარტია სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობას უჭერდა მხარს, საქართველოს ავტონომიას ალმაცერად უყურებდა[3], თუმცა ტაქტიკური მოსაზრებით, ფართო ადგილობრივ პოლიტიკურ თვითმმართველობას ემხრობა.

---

1. Политические партий россий в перед революции 1905- 1907гг. М., 1987, с. 73,86
2. „მეგობარი“, 1906, №62
3. „იუერია“, 1906, №8

„ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირი, ანუ „რუს პატრიოტთა“ საზოგადოება (პარტია), იყო რუსეთშიც არსებული ამავე სახელწოდების პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია. „რუსი პატრიოტების“ პროგრამა სასტიკად ილაშქრებდა რევოლუციისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, გამოდიოდა თვითმპყრობელობის პოლიტიკის აქტიურ გამტარებლად ამიერკავკასიაში, იბრძოდა რუსეთის მთლიანობის დაცვისათვის. ცენტრისტული მისწრაფების ეს შოვინისტური ორგანიზაცია დაბეჯითებით მოითხოვდა ამიერკავკასიაში რუსი გლეხების გადასახლებას და მიწებით მათ უზრუნველყოფას.[1]

1906 წელს თბილისში ითვლებოდა „პატრიოტული საზოგადოების“ 2.000 წევრი, ბათუმში – 100 წევრი. პარტია სცემდა გაზეთებს: „ლეტოპის პატრიოტიჩესკოგო ობშჩესტვა“-ს და „გოლოს კავკაზა“-ს. ამ დროს თბილისში „ოქტიაბრისტების“ პარტიასაც ჰყავდა 100 წევრი.[2]

„დაშნაკცტუნი“ სომეხი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ნაციონალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია იყო, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების თავის ინტერესებისათვის გამოყენება სურდა. „ხნჩაკი“ მშრომელი სომეხი ხალხის მოსარჩლედ გამოდიოდა. იგი სიტყვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორიენტაციისა იყო, მაგრამ საქმით ეს არ ეტყობოდა.[3]

თითოეული პოლიტიკური პარტია იცავდა თავისი სოციალური ძალის ანუ ბანაკის ინტერესებს. ასეთი ბანაკი საქართველოში სათათბიროს არჩევნების პერიოდში სულ ხუთი იყო: პროლეტარულ-გლეხური, ეროვნულ-დემოკრატიული, ლიბერალურ-მონარქისტული, მთავრობის და სომეხი ნაციონალისტების. პროლეტარულ-გლეხურ ბანაკს ხელმძღვანელობდა სოციალ-

---

1. „ისარი“, 1907, №163.
1. Политические партий россий в перед революции 1905- 1907гг. М., 1987, с. 73,86
3. „იყერია“, 1906, №8.

დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიულ ბანაკს – ფედერაციური პარტია, ლიბერალურ – მონარქისტულ ბანაკს – კონსტიტუციურ – დემოკრატიული პარტია, მთავრობის ბანაკს – „რუს პატრიოტთა“ პარტია, სომეხი ნაციონალისტების ბანაკს – „დაშნაკცტუნი“.

ამრიგად, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა იყო ნამორჩენილი, განუვითარებელი და ყოველგვარ დემოკრატიულობას მოკლებული, ემსახურებოდა გაბატონებული კლასების – მემამულეების და ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას. ამაში მდგომარეობდა მისი არსი. ხალხის უუფლებობა, ბიუროკრატიისა და პოლიციის უკონტროლობა და თვითნებობა – ასეთი იყო რუსეთის პოლიტიკური ყოფა – ცხოვრების ძირითადი ნიშნები.

ეყრდნობოდა რა კარგად ორგანიზებულ ბიუროკრატიას და უზარმაზარ სამხედრო ძალას, თვითმპყრობელობა უკონტროლოდ ბატონობდა კოლოსალურ ქვეყანაში, მისი მატერიალური რესურსები ფაქტიურად განუსაზღვრელი იყო. ეს ქმნიდა მანევრირების საშუალებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ბიუროკრატიისა და სამხედრო თავადაზნაურობის მოძალეობის გამო, რუსეთის იმპერიალიზმს სამხედრო – ფეოდალურ იმპერიალიზმს უწოდებდნენ.

ამასთან, ბურჟუაზიის გაძლიერების კვალობაზე ცარიზმი იძულებული იყო მის მიმართ დათმობაზე წასულიყო და ქვეყანაში „რეფორმებზე“ და ბურჟუაზიული მართვა-გამგეობის ელემენტების შემოღებაზე ეფიქრა, თუმცა ევროპის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის შემოღება ვერ გაბედა და რუსეთში მისი სუროგატი – სახელმწიფო სათათბირო დაარსა. დიდმპყრობელურ – შოვინისტური პოლემიკის გამო, ცარიზმი ამ დამახინჯებულ „პარლამენტში“-ც კი ზღუდავდა სხვა ერების წარმომადგენლობას. კავკასიის ერებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დიდი ბრძოლა გადახდათ, რათა ამ მხარისათვისაც მიეცათ ადგილი სათათბიროში.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები რეაქციის პირობებში მიმდინარეობდა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშრომელების მიერ ნებისმიერი ლეგალური ორგანოს გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას იღებდნენ სათათბიროს არჩევნებში. მეორე სათათბიროდან ბოლშევიკებმაც კი უარყვეს მისადმი ბოიკოტის ტაქტიკა. ამასთან, მემარცხენე პარტიებმა კარგად იცოდნენ, რომ სათათბირო არ იყო ნამდვილი პარლამენტი, მისი გამოყენება სურდათ მხოლოდ თავიანთი პროგრამული კრების მოწვევისათვის, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ნამდვილი პარლამენტის ფუნქციით.

თავი II. პირველი სახელმწიფო სათათბირო

§1. პირველი სახელმწიფო საათათბიროს არჩევნების მიმდინარეობა და მისი შედეგები საქართველოში

1906 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა მეფის ნაცვლის ცირკულიარი კავკასიაში პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების შესახებ. ვორონცოვ-დაშკოვი წინადადებას აძლევდა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ გამოექვეყნებინათ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა კანონი და განკარგულება, დროზე დაეწყოთ საარჩევნო სიების შედგენა. არჩევნების მოსამზადებელ პერიოდათ დაწესებული იყო ერთი თვე. ის იწყებოდა 1906 წლის 25 თებერვალს და მთავრდებოდა იმავე წლის 24 მარტს. ამ ხნის მანძილზე უნდა დაედგინათ, თუ ვის ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ვის არა. სხვა ცირკულიარით, მეფის ნაცვალი განმარტავდა, რომ ერთი თვის შემდეგ სამი კვირა ეთმობოდა ამომრჩეველთა სიების გამოცხადებას და მასში შესწორებების შეტანას. მერე უნდა ჩატარებულიყო წვრილ მიწათმფლობელთა სასოფლო ყრილობები (კრებები). ერთი კვირის შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა მსხვილ მიწათმფლობელთა სამაზრო ყრილობები და ამის შემდეგ, კიდევ ერთი კვირის თავზე, შეიძლებოდა საგუბერნიო, ან საოლქო საარჩევნო ყრილობების მოწვევა.[1] ე.ი. არჩევნების მთელს კამპანიას, დასაწყისიდან დამთავრებამდე, ეთმობოდა დაახლოებით სამი თვე.

მეფის ნაცვალი ავალებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ემოქმედათ საარჩევნო ინსტრუქციით და პირადად მისი მითითების შესაბამისად. ყოველ გუბერნიაში, ოლქსა და მაზრაში დროზე შეედგინათ საარჩევნო კომისიები, განესაზღვრათ სხვადასხვა საფეხურის არჩევნების ჩატარების ვადები

1. "Кавказъ", 1906, N56.

და არჩევნების მიმდინარეობის ყოველი წვრილმანი ეცნობებინათ მისთვის.

რუსეთში მზადდებოდა ამომრჩეველთა სამნაირი სია: წინასწარი, ძირითადი და დამატებითი. კავკასიასა და საქართველოში კი, დროის სიმცირის გამო, უნდა შემდგარიყო მხოლოდ ერთი – ძირითადი საარჩევნო სია. მასში შეტანილნი იქნებოდნენ ისინი, ვისაც 1905 წლის 6 აგვისტოს და 11 დეკემბრის ბრძანებულებით ენიჭებოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.[1]

თებერვლის ბოლო რიცხვებიდან საქართველოში დაიწყო წინასაარჩევნო მზადება, სხვადასხვა საფეხურის კომისიებისა და ამომრჩეველთა სიების შედგენა, სოფლების, მაზრების და ქალაქების საარჩევნო უბნებად დაყოფა, არჩევნების ვადების განსაზღვრა და სხვა.[2] არსებული წესით, როგორც უკვე აღენიშნეთ, ჯერ უნდა ჩატარებულიყო სასოფლო და სამაზრო ყრილობები, ხოლო შემდეგ გუბერნიის, ან ოლქის საარჩევნო ყრილობა, სადაც საბოლოოდ ხდებოდა სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნი დეპუტატის არჩევა.

მარტის დასაწყისში თბილისის გუბერნიაში უკვე შექმნილი იყო საგუბერნიო და სამაზრო საარჩევნო კომისიები. გუბერნიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე კ.ლემერმანი, წევრებად – საოლქო სასამართლოს წევრი ე.ჩემისოვი და თბილისის ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი ვ.ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი).

სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებად დაინიშნენ საოლქო სასამართლოს წევრები; თბილისის მაზრაში – ნ.პერესელინი, გორის მაზრაში – ა.მირონოვიჩი, დუშეთის მაზრაში – ს.ლაზარევი, სიღნაღის მაზრაში – ვ.პადალკო, თელავის მაზრაში – ა.ჭავჭავაძე, თიანეთის მაზრაში – ა.მოსკალევი, ბორჩალოს მაზრაში – ი.მაგიურა და ამიერკავკასიის ოკრუგში – ნ.ტარსაიძე. დანიშნულნი იქნენ სამაზრო კომისიის წევრებიც.

---

1. „ცნობის ფურცელი", 1906, №3009
2. "Кавказъ", 1906, №42.

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით, თბილისის სახაზინო პალატამ დუშეთის, ახალქალაქის, სიღნაღის, თელავის, ახალციხის, გორის ქალაქის თავებს, აგრეთვე თიანეთის და ახალქალაქის მაზრის უფროსებს დაუგზავნა იმ ცენზიან მოქალაქეთა სია, ვინც მიწისა და სავაჭრო – სამრეწველო დაწესებულებებისათვის იხდიდა გადასახადს. სახაზინო პალატის ცნობით, თიანეთის მაზრაში იყო დაახლოებით 200 მსხვილი და 600 წვრილი მიწათმფლობელი. მსხვილი მიწათმფლობელები არჩევნებში მონაწილეობდნენ პირდაპირ, წვრილმანი – არაპირდაპირ, მინდობილობით, ანუ რწმუნებულების მეოხებით. ძირითად სარეწაო გადასახადს იხდიდა 46 კაცი, ხოლო სახელმწიფო 2% გამოსაღებს – 202 კაცი. აქედან, 4 კაცი წელიწადში იხდიდა 15 მანეთზე მეტს და უფლება ჰქონდა არჩევნებში პირდაპირ მიეღო მონაწილეობა, ხოლო დანარჩენები – 15 მანეთზე ნაკლებს და ამის გამო არჩევნებში მონაწილეობდნენ არაპირდაპირ.

ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში პირდაპირ მონაწილეობის უფლება ჰქონდა 80 მსხვილ მიწათმფლობელს, არაპირდაპირ – 54 წვრილ მიწათმფლობელს. სახელმწიფო 2%-იან გადასახადს ვაჭრობა – მრეწველობისათვის იხდიდა 353 კაცი. მათ შორის: წელიწადში 15 მანეთზე მეტს 4 კაცი, ნაკლებს – 349 კაცი.[1]

თბილისის მაზრაში მსხვილი მიწათმფლობელების სიაში შეტანილი იყო 230 კაცი, წვრილში – 2.227 კაცი.[2]

იმავე სახაზინო პალატის მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში, თბილისის გარდა, სულ არჩევნებში პირდაპირი მონაწილეობის უფლებით სარგებლობდა 2.906 მსხვილი მიწათმფლობელი, არაპირდაპირ – 26.227 წვრილი მიწათმფლობელი. სახელმწიფო 2%-იან გადასახადის გადამხდელთაგან არჩევნებში პირდაპირ მონაწილეობდა 196 კაცი, არაპირდაპირ – 3.928

1. "Кавказъ", 1906, №54.
2. "Кавказъ", 1906, №83.

კაცი.[1]

1906 წლის მარტიდან საქართველოში დაიწყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანია. მას თან ახლდა კლასობრივი ბრძოლა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მწვავე ურთიერთდაპირისპირება, რომლებიც გამარჯვებისათვის არაფერს არ თაკილობდნენ და მრავალ მიუღებელ ხერხს იყენებდნენ: ქმნიდნენ ხელოვნურ ინციდენტებს, ხევდნენ მოწინააღმდეგეთა საარჩევნო ბიულეტენებს, მიმართავდნენ მუქარას, დაშინებას და სხვა. მაგალითად, ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც თბილისის თვითმმართველობაში და სხვა დაწესებულებებში იყვნენ გაბატონებულნი, ქალაქი ისე დაყვეს ათ საარჩევნო უბნად, რომ შეძლებული კლასების წარმომადგენლებს რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველები შეხვედროდათ. სადაც მდიდრები ცხოვრობდნენ ათას მცხოვრებზე ირჩევდნენ სამჯერ და ოთხჯერ მეტ ამომრჩეველს, ვიდრე ღარიბთა მრავალმოსახლიან უბნებში. კერძოდ, ქალაქის მეოთხე ნაწილში, „დვორცოვი ნომრების", სოლოლაკისა და „ღიპიანთა უბანში", ათას მცხოვრებს არგუნეს 9 ამომრჩეველი, ხოლო ღარიბი და მუშა ხალხით დასახლებულ დიდუბეს და ნაძალადევს – 2 ამომრჩეველი.

ამასთან, „ქალაქის მამებს" არ აუხსნიათ უბრალო ხალხისათვის არჩევნების მნიშვნელობა და არც უცდიათ, რომ ყველა მოქალაქეს ესარგებლა თავისი უფლებებით. უფრო მეტიც, საარჩევნო სიების შემდენელთ მუშათა უბნებში ფეხიც კი არ შეუდგამთ. ცალკეულ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატების მომხრეები არ შეპქონდათ სიაში, ბევრი პირი საჩივრის შეტანის შემდეგ ახერხებდა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებას. მაგალითად, თბილისში კერძო საარჩევნო კომისიამ ქალაქის ხელისუფალთ საარჩევნო სიაში 5.000 გამოტოვებული ამომრჩეველი ჩააწერინა.[2]

1. "Кавказъ", 1906, №54.
2. „ლამპარი", 1906, №17

ბევრ უსამართლობას ჩადიოდა მთავრობა. საარჩევნო კრებებზე დაწესებული იყო პოლიციის მკაცრი კონტროლი, ბიუროკრატია ყოველნაირად ცდილობდა ამომრჩეველთა გადაბირებას, მისთვის სასურველი პირების არჩევას, უარს ამბობდა სიებში „არასანდო“ ამომრჩეველების შეტანაზე, რისთვისაც საარჩევნო კომისიების ბევრ საჩივარს ღებულობდნენ.

ხელისუფლება ძალადობას განსაკუთრებით გლეხთა რწმუნებულების არჩევნების დროს მიმართავდა, ფიქრობდა, რომ მეფისადმი ერთგულების ილუზიის და განათლების დაბალი დონის პირობებში ადვილად შეძლებდა მათზე ზეგავლენის მოხდენას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევდა, რადგან გლეხები მოელენათა განსჯის საკმაო უნარს ამჟღავნებდნენ. ეს ხელისუფალთ აღიზიანებდათ და გლეხების მიმართ „საჭირო ზომებს“ მიმართავდნენ, თუმცა მათ მოქმედებას ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. მაგალითად, შორაპნის მაზრაში, პირველი სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა რწმუნებულების არჩევის დროს, ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობას. ბოქაული მახარაძე ჯარით სოფლიდან სოფელში დადიოდა და ხალხს ემუქრებოდა, მთავრობის მომხრეები აირჩიეთ, თორემ დაისჯებითო, მაგრამ მუქარის არვის შეშინებია და რწმუნებულებად სოციალ-დემოკრატები აირჩიეს.[1]

რაჭაში, პატარა ონისა და ბუგუეულის საზოგადოებაში, გლეხებმა რამდენჯერმე თქვეს უარი არჩევნებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ მათი ინტერესების დამცველი არავინ იყო. ადმინისტრაციამ საარჩევნო კრება მეოთხედ დანიშნა, მაგრამ თავისი მომხრე პირების არჩევნა მაინც ვერ შეძლო, თუმცა ის კი „მოახერხა“, რომ რამდენიმე გლეხს სახლ-კარი გადაუწვა.[2]

ბაღდათის საბოქაულოს და სოფელ დიმის საზოგადოებაში

1. „ლამპარი“, 1906, №6

2. „ლამპარი“, 1906, №19

გლეხების მიერ დასახელებულ რწმუნებულებს პოლიციამ უნდობლობა გამოუცხადა და თვითონ მისცა მათ რწმუნებულებად ასარჩევ პირთა კანდიდატურები.[1] ასეთ მოვლენებს სხვაგანაც ბევრს ჰქონდა ადგილი.

არცთუ იშვიათად, გლეხებს დროზე არ აგებინებდნენ კრების ჩატარების ზუსტ ადგილს და დროს. ამით ხელისუფლებას სურდა კრებაზე მოსულ გლეხთა მცირე ჯგუფის თავის გავლენაში მოქცევა. ეს ნათლად გამოჩნდა ზესტაფონში, ჩოხატაურში და ოზურგეთში 1906 წლის 17 აპრილს დანიშნულ წვრილ მემამულეთა კრებებზე.[2]

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიის გაძლიერების კვალობაზე მთავრობა სულ უფრო და უფრო ახალ ხრიკებს მიმართავდა. 1906 წელს გამოცემულ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთერთი საარჩევნო ცირკულიარი ადგილობრივ ადმინისტრაციას ავალებდა ყოველნაირად ჩამოეშორებინათ არჩევნებისაგან მთავრობის მოწინააღმდეგე კანდიდატები. ასეც ხდებოდა. ადმინისტრაცია თვითნებობდა, ხალხის მეთაურებს და ყველა იმას, ვინც აცხადებდა, რომ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში სათათბიროში იბრძოლებდა ძველი წყობილების დამხობისათვის, აპატიმრებდა.

პოლიცია ჩუმად აგროვებდა ცნობებს დეპუტატობის კანდიდატებზე, სწავლობდა თითოეულის პიროვნებას და პოლიტიკურ მიმართულებას. მაგალითად, პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, ახალციხის მაზრიდან, დებულების მიხედვით კანდიდატებად დასახელებულ ა.აივაზოვისა და გ.ბაიბურთელის შესახებ ახალციხის მაზრის უფროსი საიდუმლოდ აცნობებდა თბილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ორივე კანდიდატი სანდო პირი იყო და არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ.[3] ხშირად ხელისუფლება არჩევნებს შლიდა

1. „შრომა", 1906, №№10,11
2. „შრომა", 1906, №16
3. სსცია, ფ.29,აღწ.1,საქმე1371,ფურც.14

და განმეორებით ატარებდა.

ასეთ პირობებში ზოგიერთი პოლიტიკური პარტია საჭიროდ თელიდა მონათესავე პარტიებთან ბლოკის შეკვრას და საარჩევნო კამპანიაში მთავრობის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლას. ბლოკის საკითხზე ცხარეკამათი გაიშალა იმდროინდელ პრესაშიც, სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად უჭერდნენ მხარს ბლოკის ტაქტიკას მემარცხენე პარტიებთან და თვით თავიანთ მთავარ მეტოქე – სოციალ-დემოკრატებთანაც კი, მაგრამ ეს უკანასკნელნი უარს ამბობდნენ ფედერალისტებთან ბლოკზე.

ფედერალისტების მოთხოვნას – საარჩევნო კამპანიაში მონათესავე მემარცხენე პოლიტიკური პარტიების ერთიანი ბლოკით გამოსვლის შესახებ მხარს უჭერდა გაზეთი „ივერია". მას საზიანოდ მიაჩნდა პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული მტრული ურთიერთდამოკიდებულება, ქიშპი და დავა, ხაზს უსვამდა იმას, რომ პარტიების უპირველესი საზრუნავი საქართველოს ინტერესების დაცვა უნდა იყოს. ყოველივე ამის გამო, გაზეთი გულისტიკივილით წერდა, რომ „ჩვენებური პარტიები სექტებს ემსგავსებიან და ერთმანეთის წინააღმდეგ ომობენ მაშინაც კი, როცა მათივე ინტერესი მოითხოვს შეთანხმებას და სოლიდურ საქმიანობას".

„ივერიას" მიაჩნია, რომ უკუღმართი საარჩევნო კანონის გამო, სათათბირო დამახინჯებული პარლამენტია. ასეთ პირობებში მისი მუშაობის მთავარ პოლიტიკურ საკითხს კონსტიტუციის მიღება წარმოადგენს. ეს კი დამოკიდებულია პარტიულ ძალთა განწყობილებაზე. ამიტომ არჩევნების დროს დემოკრატიული პარტიების ტაქტიკა უნდა იყო ერთიანი მოქმედება და დეპუტატად საკუთარი კანდიდატების გაყვანისათვის ურთიერთდახმარება.

გაზეთის შენიშვნით ამ მხრივ საქართველოში არაფერი არ კეთდება, რადგან ასეთი ტაქტიკა ზოგიერთი პარტიის მიერ მიჩნეულია „კლასობრივი ბრძოლისა და პარტიული სიწმინდის"

საწინააღმდეგო მოქმედებად, რითაც ისინი დიდ შეცდომას უშვებენ. „თითოეულს პგონია, – მიუთითებს წერილის ავტორი, – რომ მხოლოდ თავისი ძალით შესძლებს იმ თეზისების განხორციელებას, რომელიც მას თავის პროგრამაში უწერია და ამიტომ არა თუ საჭიროდ, არამედ პირდაპირ მავნედ მიაჩნია სხვებთან შეთანხმება და თავის პროგრამის ამა თუ იმ ნაწილის განსახორციელებლად მოკავშირის გაჩენა“.

გაზეთი ცდილობს ყოველნაირად დაასაბუთოს პარტიების შეთანხმების აუცილებლობა, კომპრომისის საჭიროება საერთო მიზნის მისაღწევად. ამის დასამტკიცებლად მოყავს გერმანიის და ინგლისის პარტიული ცხოვრების და საპარლამენტო ბრძოლის მგალითები.[1]

„იერიას“ შექმნილ ვითარებში ძალიან აკვირვებს სოციალ-დემოკრატების საარჩევნო ტაქტიკა, სხვა მემარცხენე პარტიებთან შეთანხმებაზე უარის თქმა და განზე გადგომა. ამიტომ მის წინააღმდეგ მოითხოვს უკიდურეს მოქმედებას, ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს ავტონომიის მომხრე პარტიები უნდა შეერთდნენ და ერთიანი იერიში მიიტანონ სოციალ-დემოკრატიაზე.

გაზეთს მარტო სოციალ-დემოკრატების საარჩევნო ტაქტიკა და სიძლიერე არ აწუხებდა. მას არანაკლებ საშიშად მიაჩნდა აგრეთვე კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია თბილისში, რომელიც ძირითადად სხვა ეროვნების წარმომადგენლებს აერთიანებდა. არჩევნებში მათ გამარჯვებას ფედერალისტები, მიუხედავად განსხვავებული იდეური შეხედულებისა, მაინც სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას ამჯობინებდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი წერდა: „თუ სოციალ-დემოკრატიის გამარჯვების შანსი ტფილისში, ქართული პარტიების დახმარებით, ცოტათი მაინც არის მასალოდნელი, მაშინ, რასაკვირველია, ორივე პარტია – ფედერალისტური და დემოკრატიული

1. „იერია“, 1906, №3

ყოველი მიზეზის გარეშე ვალდებულია მის კანდიდატებს მისცეს ხმა, მოუპოვოს გამარჯვება სადეპუტატო კანდიდატად გამოსულ ქართველ სოციალ-დემოკრატს და ამგვარად გააშავოს ტფილისის „კონსტიტუციური დემოკრატია“. რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონდეს სოციალ-დემოკრატიას თეორიასა და პრაქტიკაში ეროვნული საკითხის შესახებ, მას მაინც, ტფილისის „კადეტებთან“ შედარებით, მეტი დოვლათი და სიკეთე სცხია ამ მხრივაც.[1]

ქართველი სოციალ-დემოკრატების სხვა პარტიებთან შეთანხმებაზე უარის თქმას, გარდა პროგრამული სხვაობისა, საფუძვლად ედო მათი გავლენის და სიძლიერის რწმენა. ამიტომ სოციალისტ-ფედერალისტების ყოველ მოწოდებას ერთიანი მოქმედების შესახებ სოციალ-დემოკრატები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, უგულებელყოფდნენ საქართველოს ავტონომიის იდეას და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ჩაგრული მშრომელის ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებს საარჩევნო კამპანიაში დამოუკიდებლად გამოსვლისა მაინც ეშინოდათ და საიდუმლო გარიგებაზე არ ამბობდნენ უარს, მოქმედებდნენ „ფარული ბლოკის“ ტაქტიკით. მათ თითქმის მუდამ ჰქონდათ საიდუმლო კავშირი თბილისის მსხვილ სომეხ ძურჟუაზიასთან. რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას, იგი ყოველთვის სახალხოდ ცდილობდა მონათესავე პარტიასთან შეთანხმებას და არჩევნებში ერთიანი ძალით მოქმედებას, ხელმძღვანელობდა „ღია ბლოკის“ ტაქტიკით. მაგალითად, პირველი სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნების დროს თბილისში შეიქმნა ორი საარჩევნო ბლოკი. ერთში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატები და „ხნჩაკისტები“,[2] ხოლო მეორეში – სოციალისტ-ფედერალისტები, ქართველი დემოკრა-

---

1. „იბერია“, 1906, №8

2. ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 49.

ტები და რადიკალები.[1] ამ უკანასკნელთა შეთანხმების ლოზუნგი იყო – ტაქტიკური საარჩევნო ბლოკი იმ პარტიებთან, რომლებიც აღიარებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას და მხარს უჭერდნენ ფართო ადგილობრივ პოლიტიკურ თვითმართველობას. არჩევნებში მონაწილეობდნენ აგრეთვე კონსტიტუციურ-დემოკრატიული, „პატრიოტული“ და სხვა პარტიები.

1906 წლის 6 მაისს სამი მემარცხენე პარტიის – სოციალისტ-ფედერალისტური, ქართული დემოკრატიული და რადიკალური პარტიების ბლოკმა თბილისელი მოქალაქეებისადმი გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც შემდეგი იყო ნათქვამი: „მოქალაქენო! დადგა დიდებული ისტორიული მომენტი, დადგა ის დრო, როცა თქვენ უნდა წარმოსთქვათ თქვენი მძლავრი და თავისუფალი სიტყვა ახალი ცხოვრებისა და რუსეთის სრული განახლების დასაცავ-ელად. დიდებულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ჩვენი ქვეყანა ქალაქ ტფილისის მეთაურობით მოწინავე რაზმებში იდგა და არც ახლა ჩამორჩება უკან.

მოქალაქენო! თქვენ სასტიკად დაგმობთ ძველ რეჟიმს და მტკიცედ მოითხოვთ სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ძირითად განახლებას.

თქვენ ეტყვით მთელ რუსეთსა და მთელ ქვეყანას, რომ ჭეშმარიტად სახალხო თავისუფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, რომელიც მოწვეული უნდა იქნას საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარული კენჭისყრით.

თქვენ იტყვით, რომ ენდობით ყველა იმათ, ვინც მოითხოვს სიკვდილით დასჯის გაუქმებას და სრული ამნისტიის გამოცხადებას პოლიტიკური და სარწმუნოებრივი „დამნაშავეთათვის“.

მოქალაქენო, დადგა დიდი ისტორიული მომენტი, დადგა ის

---

1. „შრომა“, 1906, №10.

დრო, როცა ერთმანეთს შეეტაკა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ორი მრისხანე მტერი: თვითმპყრობელური ბიუროკრატია და სრული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი. ამ ბრძოლაში ხალხმა უნდა აჯობოს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან და დააყენოს იგი მშვიდობიან და ძლიერი განვითარების გზაზე. მაშ მიაშველეთ ხალხისათვის ბრძოლაში გაწვრთნილ მებრძოლთ მხნე და მტკიცე რწმენის წარმომადგენელი, რომელიც არ შეუშინდება არაფერ დაბრკოლებას და ძველ რეჟიმს არაფერს არ დაუთმობს.

სამი მემარცხენე პარტიის კავშირი ტფილისში უზრუნველყოფს ასეთ წარმომადგენლის არჩევას. ამიტომ აირჩიეთ ამომრჩეველებად ქართული დემოკრატიულისა, რადიკალურისა და სოციალისტ – ფედერალისტთა პარტიების კანდიდატები. ეს პარტიები შეთანხმდნენ, რათა თბილისის ყველა მოქალაქეთ, განურჩევლად ეროვნებისა, მისცენ შეძლება მოთხოვონ: 1.გაუქმება იმ განსაკუთრებული კანონებისა და დროებითი წესებისა, რომლითაც ბიუროკრატიამ შეზღუდა 17 ოქტომბერს მოპოვებული თავისებურებანი; 2.სრული ამნისტია პოლიტიკური და სარწმუნოებრივი „დამნაშავეთათვის"; 3.სიკვდილით დასჯის გაუქმება; 4.მოწვევა დამფუძნებელი კრებისა საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარული კენჭისყრით, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილი კონსტიტუციის შემოღებას და ყველა დაჩაგრულ ერებს მიანიჭებს ფართო პოლიტიკურ თვითმართველობას".[1]

ბლოკის მოწოდებას მალე მოჰყვა სოციალ-დემოკრატების საპასუხო მოწოდება თბილისელი ამომრჩეველებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „მოქალაქენო! 10 მაისს თბილისის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ 80 კაცი, რომლებიც მომავალში აირჩევენ სათათბიროს წევრს. ამ წევრმა უნდა გამოხატოს სათათბიროში ქ.თბილისის საჭიროება, მისი იმედები, მისი სურვილები.

---

1. „შრომა", 1906, №27

ღარიბ, ჩაგრულ ხალხთა სარგებლობა მოითხოვს, რომ სათათბიროს წევრად ისეთი კაცი იქნას არჩეული, რომელიც სისწორით იცნობს ღარიბი ხალხის, მუშათა კლასის ცხოვრებას, რომელსაც მშრომელ ხალხში უცხოვრია, მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამი საკუთარი აქვს გაცნობილი, მუშა ხალხის გულისცემა შეუსწავლია, მშრომელი ხალხის სიკეთისათვის წამებულა, მუშა ხალხის კეთილდღეობა თავის მიზნად დაუსახავს.

აი, ასეთი კაცი საჭიროა აირჩიოს იმ 80 ამომრჩეველმა, რომლებსაც ჩვენ 10 მაისს ავირჩევთ. ვისაც სურს, რომ დუმაში მდაბიო, ღარიბი ხალხის წარმომადგენელი გავიდეს, ის უნდა ეცადოს, რომ 10 მაისსაც მდაბიო, ღარიბი კლასის კანდიდატებმა გაიმარჯვონ.

ამ პარტიას გამგელებულნი ებრძვიან მდიდარ-შეძლებული ხალხის პარტიები. ეს პარტიები ყველანი ერთად შეერთდნენ და უნდათ თბილისიდან ისეთი კაცი ამოირჩიონ სათათბიროში გასაგზავნად, რომელსაც მუშა ხალხთან საერთო არა აქვს რა, რომელიც სრულებით არ იცნობს ხალხის ჭირ-ვარამს, რომელიც ფუფუნებაშია აღზრდილი და ღარიბი კაცის გულში არ ჩაუხედია. როგორ დაიცავს ასეთი კაცი მუშათა კლასის სარგებლობას? რაც უნდა გულკეთილი იყოს იგი, ვერ შეძლებს ჩაგრულ-ყველფილი ხალხის სახელით ლაპარაკს.

მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იბრძვის ხალხის სრული გაბატონებისათვის, მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს სურთ მეფის თვითმპყრობელობა ხალხის თვითმპყრობელობაზე შეცვალონ. ყველა ეს მაძღარი ვაჟბატონები, ყველა ეს რადიკალ-ფედერალისტ-დემოკრატები, ყველა ეს კადეტები გაჭირვების დროს ხალხს განუდგებიან. მათ ეს ხშირად ჩაუდენიათ და არც ახლა გაუჭირდებათ.

ამხანაგო მუშებო! თქვენი პარტია, თქვენი კლასის სარგებლობა გავალებთ, რომ 10 მაისს ყველანი ფეხზე დადგეთ, ყველანი მოხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან და მოიხადოთ თქვენი პარტიული ვალი. ის პარტიის წევრი არ არის, ვინც თუნდაც

ერთ კენჭს დაუკარგავს სოციალ-დემოკრატიას. ამხანაგებო, თქვენს პარტიას, თქვენი ხმა ესაჭიროება.

ღარიბნო, ჩაგრულო მოქალაქენო! თუ არ გსურთ, რომ სათათბიროში ჩაგრული ხალხის მაგიერ ილაპარაკოს ვინმემ, თუ არ გსურთ, რომ მხოლოდ გასუქებულმა დაიცვას თავისი ჯიბე, მოგროვდით 10 მაისს საარჩევნო დარბაზში და მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი, მიეცით კენჭი სოციალ-დემოკრატების კანდიდატებს. გააშავეთ ყველა განცხრომის შვილნი-რადიკალები, ქართველ ნაციონალისტ-დემოკრატები, ფედერალისტები, კადეტები.

ღარიბო და ჩაგრულო მოქალაქენო! ნუ დაებრიყვინებით განებივრებულ და გალაღებულ კლასებს, ეყოთ რაც აქამდე იბატონეს. ღარიბმა კლასებმა უნდა აირჩიონ თავისი წარმომადგენლები – სოციალ-დემოკრატები![1]

სოციალ-დემოკრატების აგიტაცია – პროპაგანდამ მართლაც გაჭრა. ბლოკში გაერთიანებული პარტიების სურვილის საწინააღმდეგოდ, ამომრჩეველთა არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია, მან მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და ცხადია, ყველაზე მეტი ამომრჩეველი აირჩია. 80 თბილისელი ამომრჩეველიდან 71 სოციალ-დემოკრატი იყო, ხოლო 9-კადეტი. სხვა პარტიებმა ამომრჩეველთა არჩევა ვერ მოახერხეს.[2]

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი გ.ლასხიშვილი იგონებს: „ტფილისში ჩვენ სასტიკად დავმარცხდით, ვერცერთ საარჩევნო ნაწილში ამომრჩეველები ვერ გავიყვანეთ, მხოლოდ საგუბერნიო ამომრჩეველთა შორის გვყავდა საკმაო რიცხვი.[3]

არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამომრჩეველთა არჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რაც უფრო მეტი ამომრჩევ-

1. „ლამპარი“, 1906, №16

2. „ლამპარი“, 1906, №19

3. გ.ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, გვ.233

ლის არჩევას შეძლებდა პარტია, თუ ბლოკი, მას სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევის მეტი გარანტია ჰქონდა.

თბილისში ჩატარებულ ამომრჩეველთა მონაწილე პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შესახებ სათანადო წარმოდგენას იძლევა ცხრილი.

ცხრილი №3

უბნები	სოციალ-დემოკრატები	კონსტიტუ-ციურ-დემო-კრატები	ბლოკი (უედერ., ქართ. დემ., რადიკ.)	პატრიო-ტები	სხვები
1	1302	232	169	320	
2	438	110	118	60	
3	189	142	94	23	
4	248	286	73	39	
5	443	335	30	16	
6	298	28	8	1	79
7	1355			82	270
8	445		33	86	37
9	1217	242	165	100	
10	2352	134	160	92	213
სულ	8287	1509	850	819	599

ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) წარმატებას თბილისში დადებითად გამოეხმაურა ბოლშევიკების ბელადი ლენინი. საქმე ის იყო, რომ 1906 წლის აპრილში რსდმპ სტოკჰოლმის გამაერთიანებელი მეოთხე ყრილობის

შემდეგ, ბოლშევიკებმა და ლენინმა, უარყვეს სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკა და მხარი დაუჭირეს მის არჩევნებში მონაწილეობას. თუმცა, ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები რუსეთში უკვე დამთავრებული იყო. ბოლშევიკების ახალი ტაქტიკური მიდგომა შეეხო მხოლოდ იმ რაიონებს, სადაც არჩევნები დაგვიანებით ტარდებოდა და მათ შორის კავკასიას და საქართველოს. ამასთან, მთავარ პირობად ის იქნა წამოყენებული, რომ პარტიას დამოუკიდებლად ემოქმედა და ბლოკი არავისთან არ შეეკრა.

როგორც ვთქვით, ლენინი მიესალმა თბილისში სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას, მაგრამ თავისი ორპირი ბუნებიდან გამომდინარე, იქვე დააკნინა ამ წარმატების მნიშვნელობა, იმ მოტივით, რომ სახელმწიფო სათათბირო ნამდვილი პარლამენტი არ იყო. „მაინც და მაინც ნუ მოტყუვდებით თბილისის გამარჯვების მნიშვნელობით, – წერს იგი, – სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო წარმატებანი საესებით და უეჭველად გვახარებს და ნამდვილად ჩამოყალიბებული და თუნდაც რამდენადმე „სერიოზული" პარლამენტის პირობებში, რუსეთში იგი არ არის„.[1]

თქმა არ უნდა არჩევნებში ბოლშევიკებს რომ გაემარჯვათ მისი განცხადებაც ალბათ სხვანაირი იქნებოდა, მაგარამ მისდა სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, ბოლშევიკებმა კავკასიაში მუშაობა ვერ გარდაქმნეს და ვერ მოახერხეს სახელმწიფო სათათბიროში საკუთარი კანდიდატის არჩევა.

ბათუმში საარჩევნო ბრძოლის ველზე გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები და კადეტები, რომლებიც დაუნდობლად აკრიტიკებდნენ ერთმანეთის საარჩევნო პროგრამებს. ყველაზე მეტად სოციალ-დემოკრატიული პარტია აქტიურობდა. 16 მაისს მოეწყო ამომრჩეველთა არჩევნები.

---

1. ვ.ლენინი, თხს.ტ.10, გვ.515

ქალაქის გამგეობის შენობას დიდძალი ხალხი მოაწყდა. სოციალ-დემოკრატებისაგან ამომრჩეველებად დასახელებულნი იქნენ: ა.შატილოვი, ნ.აღნიაშვილი, კ.გოგოლაძე და მ.კალანდაძე. ფედერალისტებმა თავის კანდიდატებად წამოაყენეს გრ.ვოლსკი, გ.ჟურული, ა.დეკანოზიშვილი და მ.აბაშიძე. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისაგან კენჭს იყრიდნენ: დალი, ხუდადოვი, სულეიმან ბეგ ტულუმბა-ზადე და აგაპიევი. გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. მათ მიღეს 2.477 ხმა, ფედერალისტებმა – 717 ხმა, კადეტებმა – 414 ხმა.[1]

1906 წლის 15 აპრილს ქუთაისში ჩატარდა ამომრჩეველთა არჩევნები. ქალაქში არსებული ოთხი პარტიიდან არჩევნებში მონაწილეობდა სამი: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიები. მეოთხე პარტია, სოციალისტ-რევოლუციონური, ბოიკოტის გზას დაადგა. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია ენერგიულ აგიტაციას ეწეოდა და გამარჯვების მეტ-ნაკლები შანსი ჰქონდათ. ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და კადეტები. მათ თავიანთ კანდიდატებად წამოაყენეს გ.ზდანევიჩი, თ.აბაშიძე, ს.ხუნდაძე, და მ.ქიქოძე. სოციალ-დემოკრატებმა კი ამომრჩეველებად დაასახელეს ივ.გომართელი, პ.დონდაროვი, ს.ჯაფარიძე და ნ.მაჭავარიანი, მაგრამ არჩევნების მომენტში დარბაზში შემოიჭრა სოციალისტ-რევოლუციონერების ჯგუფი, საარჩევნო ბიულეტენები დაიტაცა და გაიქცა. არჩევნები ჩაიშალა.[2]

განმეორებით არჩევნები 24 აპრილს დაინიშნა სოციალ-დემოკრატებმა კიდევ უფრო გააძლიერეს საარჩევნო აგიტაცია, გამოაქვეყნეს მოწოდება მოსახლეობისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოქალაქენო! ხვალ 24 აპრილს, ორშაბათს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ქალაქის გამგეობაში მოხდება არჩევნები სათათბიროს წევრთა ამომრჩეველებისა.

1. „ლამპარი", 1906, №28
2. "Кавказъ", 1906, №98.

არჩევნების საშუალებით თქვენ უნდა გამოთქვათ თქვენი რწმენა და მიმართულება, არჩევნებითვე უნდა ცხადყოთ, თუ რომელი პარტიის მხარეზეა თქვენი თანაგრძნობა. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ რომელ პარტიას აღჭურავთ თქვენი ნდობით.

მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც ქუთაისში შემოანათა თავისუფლების შუქმა და ჩვენი ქალაქი ჩაება საერთო განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში, თქვენ ცნობთ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას, მედგრად იდექით მისი წითელი დროშის ქვეშ. არა მარტო თქვენ, არამედ მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი რკალივით ერტყა იგივე სოციალ-დემოკრატიულ დროშას. მუშა ხალხი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით – აი, ვის მიქონდა და მიაქვს თავისი ზურგით რუსეთის რევოლუციის დიდი საქმე. ერთი სიტყვით, სოციალ-დემოკრატია – აი, ვინ იყო, არის და იქნება განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, მისი სულისჩამდგმელი და გულის აღმძვრელი.

და აი, მოქალაქენო, მოგიწოდებთ თქვენ, ერთი ან ორი საათით შეაჩეროთ ჩვეულებრივი მუშაობა, რომ პირნათლად შეასრულოთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მიდით არჩევნებზე, აირჩიეთ სოციალ-დემოკრატები: ი.გომართელი, პ.დონდაროვი, ნ.მაჭავარიანი, ს.ჯაფარიძე".[1]

გაურკვეველი მიზეზების გამო 24 აპრილს დანიშნული არჩევნები ქუთაისში არ ჩატარდა, იგი 9 მაისს შედგა. არჩევნებში სოციალისტ-ფედერალისტები დამარცხდნენ, გამარჯვება წილად ხვდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს.

სოციალ-დემოკრატებმა ასევე წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის მაზრაშიც.

არჩეული რვა ამომრჩევლიდან ხუთი სოციალ-დემოკრატი, ორი კადეტი და ერთი უპარტიო იყო. ფედერალისტებმა თავისი კანდიდატურის გაყვანა ვერ შეძლეს.[2]

1. „ლამპარი", 1906, №5
2. „შრომა", 1906, №№22,31

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთელ რიგ ადგილებში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის მაზრებსა და ქალაქებში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდ მეტოქეობას უწევდნენ სოციალისტ-ფედერალისტური და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიები. ამ პარტიებს ცალ-ცალკე, თუ ბლოკის სახით, ამომრჩეველებად არცთუ იშვიათად, გაპყავდათ თავისი კანდიდატები, უფრო მეტად ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა მსხვილი მემამულეების კრებაზე, სადაც წესის თანახმად თავს იყრიდნენ წვრილი მემამულეების მიერ არჩეული ხმოსნებიც.

შორაპნის მაზრაში, მემამულეთა კრებაზე ამომრჩეველთა არჩევნებში, ისე როგორც ქუთაისში, ერთმანეთს სამი პარტია უპირისპირდებოდა: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და კონსტიტუციურ-დემოკრატიული. გაიმარჯვეს სოციალისტ-ფედერალიისტებმა, მათ ხუთი კანდიდატი გაიყვანეს. ესენი იყვნენ: კ.აბაშიძე, ბ.კელესჯერიძე და სხვები. სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ ორი ამომრჩეველის არჩევა შეძლეს, ერთი კი უპარტიო იყო. კადეტებს ხელი მოეცარათ.[1]

ზუგდიდის მაზრაში მემამულეებს 6 ამომრჩეველი უნდა აერჩიათ. აქ ყველას ფედერალისტებმა აჯობეს და ექვსივე კანდიდატი თავისი გაიყვანეს. პირიქით მოხდა ოზურგეთისა და სენაკის მაზრაში, სადაც ამომრჩეველებად ყველა სოციალ-დემოკრატი აირჩიეს. მათ შორის ი.რამიშვილი, მ.ქურიძე, ე.ბეგეჭკორი, გ.იოსელიანი, ს.გაგუა, მ.კუპრეიშვილი და ქვითბერიძე.[2]

რაჭის მაზრაში მემამულეთა კრებაზე სოციალ-დემოკრატებმა ვერცერთი ამომრჩეველი ვერ გაიყვანეს. გამარჯვებული ოთხი ამომრჩეველიდან სამი ფედერალისტი იყო (დ.ყიფიანი, ი.ჯაფარიძე, ნიკოლაიშვილი), ხოლო ერთი კადეტი

1. „შრომა“, 1906, №№18

2. „შრომა“, 1906, №№18,22

(ხუგაშვილი). ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ლეჩხუმის მაზრაშიც. არჩეული სამი ამომრჩეველიდან ორი ფედერალისტი იყო,ხოლო ერთი კადეტი.[1]

ფოთში ამომრჩეველებად აირჩიეს ფედერალისტების და კადეტების ბლოკის კანდიდატები, ქალაქის თავი ნ.ნიკოლაძე და მისი მოადგილე, ფედერალისტი ი.ფანცხავა.[2]

სულ ქუთაისის გუბერნიაში ამამრჩეველებად არჩეულ 45 ამომრჩეველიდან ფედერალისტი იყო 17, ხოლო სოციალ-დემოკრატი – 21, კადეტი – 5 და უპარტიო – 2. ყველაზე მეტი ამომრჩეველი სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში.[3]

ქუთაისის გუბერნიის ამომრჩეველთა რაოდენობისა და პარტიულობის შესახებ ნათელ სურათს იძლევა ცხრილი.

ცხრილი №4

№	მაზრების დასახელება	ამომრჩეველთა რიცხვი	სოციალ-ისტ-ფედერალისტები	სოციალ-დემოკრატები	კონსტიტუციურ-დემოკრატები	უპარტიოები
1	ქუთაისი მაზრა	8		5	2	1
2	ქ.ქუთაისი	4		4		
3	შორაპნის მაზრა	8	5	2		1
4	ზუგდიდის მაზრა	6	6			
5	ოზურგეთის მაზრა	5		5		
6	სენაკის მაზრა	5		5		
7	რაჭის მაზრა	4	3		1	
8	ლეჩხუმის მაზრა	3	2		1	
9	ქ.ფოთი	2	1		1	
	ს უ ლ	45	17	21	5	2

1. „შრომა“, 1906, №№18,22
2. „შრომა“, 1906, №18; „ლამპარი“, 1906, №32
3. „შრომა“, 1906, №22

ფედერალისტები და კადეტები გორშიც აქტიურობდნენ. აქ ისინი ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ და შეძლეს კიდეც ამომრჩეველად თავისი კანდიდატის პროფ. ალ.ხახანაშვილის გაყვანა, რომელიც კადეტი იყო.[1] კადეტებს საკმაოდ ჰყავდათ მომხრეები სოხუმშიც.[2] აღნიშნულ პარტიებს წინასწარი არჩევნების სხვადასხვა ეტაპზე თავიანთ კანდიდატებად ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანიც ჰყავდათ დასახელებული, მათშორის: ნ.მარი, ზ.ავალიშვილი, ლ.ანდრონიკაშვილი, კ.სტაროსელსკი და სხვები, მაგრამ მათი საბოლოო გამარჯვება ვერ უზრუნველყვეს.

კიდევ უფრო დრამატული იყო მოვლენები უშუალოდ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნების დროს. სოციალისტ-ფედერალისტები და ქართველი დემოკრატები, გამარჯვების მიზნით, ახლა უფრო აშკარად კრავდნენ ბლოკს კადეტებთან.

მათ წინააღმდეგ დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. თავის საარჩევნო მოწოდებებში იგი ყოველნაირად ცდილობდა მოწინააღმდეგე პარტიების სახელის გატეხვას და დამცირებას, მათ წარმოსახვას მოღალატე პარტიებად, ერთადერთ ჭეშმარიტ და ხალხზე მზრუნველ პარტიად თავის გასაღებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციის მოწოდება თბილისის გუბერნიის ამომრჩეველებისადმი, რომელშიც დახასიათებული იყო არსებული მომენტი, სათათბიროს როლი და მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები. ამომრჩევლებზე ზემოქმედების მიზნით, მოწოდება მაღალი პათეტიკური ტონით დაწერილი და დიდი მორალური პასუხისმგებლობის გრძნობით დამუხტული იყო.

„მოქალაქენო, – ნათქვამი იყო მოწოდებაში, – 26 მაისს, თქვენ

1. „ლამპარი", 1906, №32
2. „შრომა", 1906, №11

უნდა აირჩიოთ, თქვენს შორის დეპუტატები სახელმწიფო დუმაში გასაგზავნათ. თქვენ უნდა შეასრულოთ განსაკუთრებით მძიმე და პასუხისგებელი მოქალაქეობრივი ვალი.

თქვენ შემოგცქერით მთელი გუბერნია, რომელმაც წარმოგაგზავნეთ ამომრჩევლებათ. თქვენსკენ არის მოპყრობილი ჩვენი ქვეყნის ყურადღება, არჩევნების შედეგებს გაფაციცებით ელის მთელი იმპერია საზოგადოთ და სახელმწიფო დუმა კერძოთ. ქვეყანა სასოებით ელის, რომ თქვენ პირნათლად და ღირსეულად შეასრულებთ ხალხის ნდობას და მით თვალსაჩინოდ წინ წასწევთ მიმდინარე განმანთავისუფლებელი მოძრაობის სახალხო საქმეს.

დღეს რამდენადაც უფრო ადვილად არის თქვენი მოვალეობის შესრულება, იმდენად უფრო პასუხისმგებელია იგი. დღეს როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა, ისე პარტიების ვინაობა, ყველასათვის გაცილებით უფრო ნათელი და აშკარა არის, ვინემ ეს იყო ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა პირველად დაიწყო არჩევნები.

დღეს არავისთვის უნდა იყოს საეჭვო, რომ სახელმწიფო დუმა ის ძლიერი იარაღია, რომლის დახმარებით რევოლუცია უნდა მივიდეს თავის ლოგიკურ დასკვნამდე – ხალხის გამარჯვებამდე. ამას კარგად ხედავს თვით მთავრობა და ამისთვისაც გადაწყვიტა თავიდან მოიშოროს როგორმე სახიფათო დუმა. ამის სისრულეში მოსაყვანათ იგი მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელის და მანამდე კი უკანასკნელ საშუალებას ხმარობს დუმა გადააქციოს უბრალო სალაყბო კრებად. ასეთ პირობებში დუმის მოქმედება უნდა იყოს მტკიცე, სწორი, პირდაპირი, თავგამოდებული. ასეთ პირობებში დუმას ესაჭიროება დეპუტატები, რომელნიც მას განუცხოველებენ ოპოზიციონურ მხნეობასიმტკიცეს და შთაბერავენ რევოლუციურ სულს. დუმას ესაჭიროება დეპუტატები, რომელნიც ერთგულად და თავგანწირულად დაიცავენ მშრომელი ხალხის ყველა სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, წინ წამოაყენებენ

დუმის რევოლუციონურ თაოსნობას და მით დუმასა და ხალხს შორის გასჭედავენ ცხოველ კავშირს, შექმნიან პირობებს ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად.

მოქალაქენო! დღეს თქვენ საკმაოდ გაცნობილი გექნებათ ყველა ბურჟუაზიული პარტიები და მათ შორის უფრო ცნობილი კადეტების პარტია. გასულ ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში მათ მიერ ჩადენილ მოღალატეობას რომ თავი დავანებოთ და გადავხედოთ მათ შემდეგ მოქმედებას დუმაში, თუ დუმის გარეთ, თქვენ ხელში გექნებათ არა ერთი და ორი ფაქტი კადეტების მოქალაქეობრივი ლაჩრობისა და პოლიტიკური უილაჯობის, რაც ხალხისადმი პირდაპირ მოღალატეობას უდრის. ჩვენებური კადეტები ხომ რუსეთისაზე კიდევ უფრო უარესები არიან, უფრო მარჯვნივ სდგანან. რაც შეეხება რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიებს საზოგადოდ და კერძოდ ფედერალისტებს, დღეს ყველა საქმეში ჩახედული ადამიანი ხედავს მათ პარტიულ უძლურებას და პოლიტიკურ უსუსურობას.

მოქალაქენო! ჩვენს მხარეში, ყველგან სადაც ვერც შავბნელმა რეაქციამ გატეხა ხალხის ძლიერი სული და ვერც ბურჟუაზიულმა პარტიებმა აუბნიეს იმას გზა-კვალი, ყველაგნ არჩეულნი არიან სოციალ-დემოკრატები. ხალხმა ასეთი არჩევანით ნათელყო, რომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ენდობა ვერცერთ ბურჟუაზიულ პარტიას, რაც უნდა დიდ რევოლუციონერად მოქონდეს თავი. ხალხმა არჩევნით აღიარა, რომ ავაზაკურ, ძველ მთავარობასთან და გასისხლიანებულ ძველ რეჟიმთან, მას არაფერი აქვს სალაპარაკო, გარდა ამისა, რომ ეს მთავარობა და რეჟიმი ძირფესვიანად და სამარადისოდ უნდა მოისპოს; მის ნანგრევებზე, გაწმენდილ ნიადაგზე უნდა დამყარდეს ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, სრული დემოკრატიული წეს-წყობილება, ნამდვილი სახალხო თავისუფლება. და ამ მიზნის განხორციელებას ხალხის ღრმა რწმენა ელის

სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ატეხილ თავგამოდებულ ბრძოლაში.

მოქალაქენო! მთელი დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, პოლიტიკური პარტიების ურთიერთობა, ყველაფერი, თვითონ ბუნება, იმპერატიულათ თქვენ გიკარნახებთ რა უნდა იყოს თქვენთვის, ამომრჩეველთათვის მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული შესრულება.

მოქალაქენო! თქვენ უნდა დეპუტატებათ აირჩიოთ კანდიდატები იმ პარტიისა, რომლის დროშაზე მუშა ხალხს თავისი სისხლით წაუწერია: „ან ბრძოლაში სიკვდილი და ან ხალხის სრული გამარჯვება"; ადამიანობა, თავისუფლება, ფართე ასპარეზი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლის-სოციალიზმის განსახორციელებლად!

მოქალაქენო! თქვენ პირნათლად და ღირსეულად შეასრულებთ ამ წმინდა მოვალეობას!

მოქალაქენო! აირჩიეთ დეპუტატებათ სოციალ-დემოკრატიის კანდიდატები!"[1]

1906 წლის 26 მაისს ერთდროულად შედგა თბილისის გუბერნიის და ქალაქ თბილისის ამომრჩეველთა ყრილობები (კრებები) სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ასარჩევად. გუბერნიის არჩევნებზე გამოცხადდა 46 ამომრჩეველი. ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ სოციალისტ-ფედარელასტები, ქართველი დემოკრატები და კადეტები. მათ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ნაფიცი ვექილი, ფედერალისტი ი.ბარათაშვილი და ორი კადეტი – პროფ. ა.ხახანაშვილი და ექიმი ა.აივაზოვი. დეპუტატობის კანდიდატებად კენჭს იყრიდნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატები: ლ.მამულაშვილი, ს.წერეთელი და ვ. ხახანაშვილი. არჩევნებში პირველმა ი. ბარათაშვილმა გაიმარჯვა. მან მიიღო 26 თეთრი და 24 შავი

1. „ლამპარი", 1906, №28

კენჭი. ვ. ხახანაშვილი დამარცხდა. მას 22 თეთრი და 24 შავი კენჭი აღმოაჩნდა; ს. წერეთელმა, ლ. მამულაშვილმა, ა. ხახანაშვილმა და ა. აივაზოვმა ხმების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, თითოეულმა 23-23 ხმა.

მეორე დღეს გაიმართა დამატებითი არჩევნები თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის. გამარჯვებულნი გამოვიდნენ ს. წერეთელი და ა. აივაზოვი, რომლებმაც მიიღეს 25-25 ხმა 23-23 ხმის წინააღმდეგ. ლ. მამულაშვილი და ა. ხახანაშვილი დამარცხდნენ. პირველს აღმოაჩნდა 24 თეთრი და 24 შავი კენჭი, ხოლო მეორეს – 22 თეთრი და 26 შავი კენჭი.[1]

ამრიგად, თბილისის საგუბერნიო არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტების, ქართველი დემოკრატების ბლოკი, სახელმწიფო სათათბიროს სამი დეპუტატისაგან ორი მათი წარმომადგენელი იყო.

დიდი იყო ვნებათაღელვა თბილისში სახელმწიფო სათათბიროს ერთიდეპუტატის ასარჩევად. სოციალ-დემოკრატები თავიანთ სააგიტაციო ფურცლებში ამომრჩეველებს მოუწოდებდნენ, რომ დეპუტატად აერჩიათ ისეთი კაცი, რომელიც სათათბიროში იბრძოდა ქ. თბილისის საჭიროებისათვის, დაიცავდა პროლეტარიატის და უბრალო ხალხის ინტერესებს. ამის გაკეთება მათი აზრით, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიტატებს შეეძლოთ, სხვებს კი არა.[2] ამიტომ მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ ნ. ჟორდანიასათვის.

ნ. ჟორდანიას გადმოცემით, თვითონ მას სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობაზე არასოდეს არ უფიქრია. ამდენად მისთვის მოულოდნელი იყო, როცა, რსდმპ სტოკჰოლმის გამაერთიანებელი ყრილობიდან სამშობლოში მომავალმა, ვლადიკავკაზში შემთხვევით შეიტყო, რომ თბილისში ამომრჩევლებად უმეტესად არჩეულნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები და

1. „Кавказъ“, 1906, №21,22; „შრომა“ 1906, №43

2. „ლამპარი“, 1906, №16

მათ მიერ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად იგი იყო დასახელებული.

ნ. ჟორდანიამ თბილისში ჩამოსვლისთანავე, თავისი პირადი თვისებიდან გამომდინარე, უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე, რომ ის არ იყო სათათბიროსათვის შესაფერისი კანდიდატი, კარგი მჭერმეტყველი, მაგრამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც მას უთხრეს, რომ საკითხი ყველგან შეთანხმებული და გადაწყვეტილი იყო. ამის შემდეგ იგი დათანხმდა არჩევნებში მონაწილეობაზე.[1]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა, არჩევნებში სხვა პარიტიებიც მონაწილეობდნენ. კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა პარტიამ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ა. ხატისოვი, ქ. კალანტარი და ა. ბაბოვი.[2]

ქ. თბილისის ამომრჩეველთა ყრილობაზე 80 ამომრჩეველიდან გამოცხადდდა 73 ამომრჩეველი. ყველა მათგანმა უკლებლივ ხმა მისცა ნ. ჟორდანიას და იგი არჩეული იქნა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ქ. თბილისიდან. მანამდე კი, კენჭისყრაზე უარი განაცხადეს მისმა მეტოქეებმა, რაც ორი გარემოებით იყო ნაკარნახევი: ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისში ამომრჩეველთა აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ და ცხადია, მათ კანდიდატსაც გამარჯვების დიდი შანსი გააჩნდა. მეორე, სოციალ-დემოკრატები საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი იყვნენ, იცავდნენ რუსეთის მთლიანობას და ინტერნაციონალიზმს. ეს სომეხ კანდიდატებს სავსებით აკმაყოფილებდათ, რადგან არც სომეხი ბურჟუაზია უჭერდა მხარს საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას, მიაჩნდა, რომ საქართველოს ავტონომიის პირობებში მისი ინტერესები შეილახებოდა. ამიტომ იგი უფრო კავკასიის საოლქო ავტონომიის

1. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ.53
2. „შრომა“, 1906, №10

იდეას უთანაგრძნობდა.

არჩევნებში გამარჯვებულ ნ. ჟორდანიას სიტყვით მიმართა ქალაქის თავმა ვ. ჩერქეზიშვილმა და რწმენა გამოთქვა, რომ თბილისელთა რჩეული გაამართლებდა ხალხის იმედებს. ნ.ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს და აღნიშნა, რომ გლეხები არც თავის რჩეულთაგან და არც სათათბიროსაგან არ უნდა ელოდნენ მიწას და თავისუფლებას, მათ ბრძოლით უნდა მოიპოვონ ერთიც და მეორეც.[1]

სოციალ-დემოკრატია დიდ აგიტაციას ეწეოდა ქუთაისშიც. აქ მთელ საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საარჩევნო კომისია. მის მიერ გამოცემული მოწოდებების მსგავსად, გამსჭვალული იყო ამომრჩეველებზე ზემოქმედების დიდი ძალით, მასში ნაჩვენები იყო ის მოტივები, თუ რატომ უნდა აერჩიათ სახელმწიფო სათათბიროს წევრებად ამ პარტიის წარმომადგენლები და ითხოვდნენ მხარდაჭერას. გაზეთ „ლამპარში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მოწოდებაში, რომელიც ძვალსა და რბილს მსჭვალავდა, ნათქვამი იყო შემდეგი: „ხვალ გაჩაღდება ბრძოლა ორ ბანაკს შორის. პირველი ბანაკია - ბანაკი მშრომელთა, ჩაგრულთა, ბანაკი მდაბიო ხალხისა. ამ ბანაკს წინამძღოლობს სოციალ-დემოკრატიული პარტია. მეორე ბანაკში თავი მოიყარეს შეძლებული კლასის წარმომადგენლებმა: მემამულეებმა, მსხვილმა ვაჭრებმა, ადვოკატებმა, ექიმებმა, ჩინოვნიკებმა, მღვდლებმა და სხვა. ამ ბანაკს სათავეში უდგას ორი შეერთებული პარტია – „კადეტების" და სოციალ-ფედერალისტების პარტია..."

შემდეგ მოწოდებაში ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ სოციალ-დემოკრატია არის მთელი მშრომელი ხალხის ჩაგრული მასების ინტერესების ერთერთი გამომხატველი, კერძო საკუთრების და ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, მთელი

1. „Кавказъ", 1905, №121; 2Шрома", 1906, №42

საზოგადოებრივ, პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელი. ეს პარტია წარმოშვა პროლეტარიატმა, ცხოვრებამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენში არც ერთი სხვა პარტია არ იყო; პროლეტარიატი საყოველთაო უბედურების ტახტის დამხობით აღმართავს საყოველთაო ბედნიერების ტახტს".[1]

1906 წლის 24 მაისს ქუთაისში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის ამომრჩეველთა ყრილობა სახელმწიფო სათათბიროს სამი წევრის ასარჩევად. არჩევნები მეტად მწვავე და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ სოციალ-ფედერალისტური, ქართული დემოკრატიული და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიები. დასახელებული პარტიებიდან არცერთს არ ჰქონდა იმის იმედი, რომ პარტიული სიით გაეყვანა თავისი კანდიდატები. ამიტომ მათ დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ისეთი პირები, რომლებიც ცნობილნი იყვნენ არა პარტიული საქმიანობით, არამედ თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით და მოქალაქეობით.[2]

სოციალ-დემოკრატებისაგან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად კენჭს იყრიდნენ ი. გომართელი, ს. ჯაფარიძე და ი. რამიშვილი. ბლოკმა სახელმწიფო სათათბიროს წევრობის კანდიდატებად დაასახელა კ. აბაშიძე, ვ. მიქელაძე, იხ ფანცხავა, ნ. ნიკოლაძე, ო. დადეშქელიანი, დ. ნიუარაძე და უ. ჯგუშია.

არჩევნების პროცესში ოთხმა უკანასკნელმა კანდიდატმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. კენჭი იყარეს დანარჩენმა კანდიდატებმა. გამარჯვებული გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები: ი. გომართელი, ს.ჯაფარიძე და ი.რამიშვილი. პირველმა მიიღო 27 ხმა 16-ის წინააღმდეგ, მეორემ – 25 ხმა 17-ის წინააღმდეგ და მესამემ – 26 ხმა 16-ის წინააღმდეგ.[3]

---

1. „ლამპარი", 1906, №5
2. „ივერია", 1906, №19
3. „შრომა", 1906, №41.

დიდი გულმოდგინებით მიმდინარეობდა საარჩევნო აგიტაცია ბათუმში. როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე კადეტები, მწვავედ აკრიტიკებდენენ ერთმანეთის პროგრამებს. თითოეული პარტია ხალხის ინტერესების დამცველად ასაღებდა თავს და ყველანაირად ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩეველებზე, რისთვისაც უკან არაფერზე არ იხევდნენ. 31 მაისს აქ ჩატარდა სახელმწიფო სათათბიროს წევრის ასარჩევი კრება, რომელშიც მონაწილეობდა 17 ამომრჩეველი, მათ შორის სოხუმის ოკრუგიდანაც.[1] კენჭს იყრიდნენ გადამდგარი გენერალ-მაიორი, მსხვილი მიწათმფლობელი და მემარჯვენე პ.შერვაშიძე, სოციალ-დემოკრატი, ექიმი ა. შატილოვი და ავტონომისტი ს. აბაშიძე. ფედერალისტებს კანდიდატი არ ჰყოლიათ. არჩევნების დროს ს. აბაშიძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა. კენჭი იყარეს პ. შერვაშიძემ და ა. შატილოვმა. გაიმარჯვა პ. შერვაშიძემ, რომელმაც მიიღო 10 თეთრი და 7 შავი კენჭი. ა. შატილოვი გააშავეს, მის საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა 6 თეთრი და 11 შავი კენჭი.[2]

პირველი სახელმწიფო სათათბიროდან არჩეული დეპუტატების სოციალური წარმოშობის, განათლებისა და პარტიულობის შესახებ, რეალურ სურათს იძლევა ცხრილი №5.

ამრიგად, პირველი სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კომპანიაში საერთო გამარჯვება ქართველმა მენშევიკებმა მოიპოვეს. არჩეული 8 დეპუტატიდან 5 მენშევიკი, 1 კადეტი და 1 მემარჯვენე იყო. სოციალ-დემოკრატების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ხალხთან სიახლოვემ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მედგარმა ბრძოლამ და საარჩევნო აგიტაციის უკეთ მოწყობამ ითამაშა.

აფასებდა რა პირველი სახელმწიფო სათათბირო არჩევნების შედეგებს, ფედერალისტების გაზეთი „შრომა“ წერდა:

1.ბათუმის ოლქის და სოხუმის ოკრუგის ამომრჩეველთა რიცხვი შემდეგ 16 ნაცლად 17 გახადეს.

2. „შრომა“, 1906, №№46,49

ცხრილი №_

№	გუბერნია, ოლქი	გვარი, სახელი	სოციალური წარმოშობა	განათლება	პროფესია	პარტიულობა
1	თბილისის გუბერნია	1. ბარათაშვილი იოსები	აზნაური	უმაღლესი	იურისტი	ს.ფედერალისტი
		2. წერეთელი სიმონი	სასულიერო წოდ.	დაამთავრა თბ-ლისის სასულ. სემინარია	მღვდელი, ჟურნალისტი	ს.დემოკრატი
		3. აივაზოვი არტემი	ვაჭარი	უმაღლესი	ექიმი	კადეტი
2	ქ.თბილისი	4. ჟორდანია ნოე	აზნაური	დაუმთ.უმაღლესი	ჟურნალისტი	ს.დემოკრატი
3	ქუთაისი გუბერნია	1. გომართელი ივანე	გლეხი	უმაღლესი	ექიმი	ს.დემოკრატი
		2. ჯაფარიძე სერგი	აზნაური	უმაღლესი	იურისტი	ს.დემოკრატი
		3. რამიშვილი ისიდორე	გლეხი	დაამთავრა თბ-ის სასულიერო სემინ.	მასწავლებელი	ს.დემოკრატი
4	ბათუმის ოლ-ქი და სოხუ-მის ოკრუგი	1. შერვაშიძე პ.	აზნაური	უმაღლესი	გენერალ-მაიორი	შემარჯვენე უპარტიო

„არჩევნები დასრულდა, სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს, სოციალ-ფედერალისტები დავმარცხდით და ეს დამარცხება არსად ისეთი სასატიკი არ იყო, როგორც ტფილისში. საბოლოოდ გამოირკვა რომ სათათბიროში ჩვენი დეპუტატების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იქნებიან.

მართალია სოციალ-დემოკრატები არჩევნების დროს მიმართავდნენ აკრძალულ ხერხს, აშინებდნენ ამომრჩევლებს და მათი დიდი უმრავლესობა არც კი გამოცხადდა არჩევნებზე, მაგრამ ამით ჩვენ თავს ნუ ვინუგეშებთ, არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ხალხისა საქართველოში ჩვენს მოწინააღმდეგეს და პოლიტიკურ მეტოქეს სოციალ-დემოკრატიას ენდობა და არა ჩვენ. ჩვენ უნდა გავარკვიოთ ამის მიზეზები და უფრო მეტად უნდა შეეებრძოლოთ ხალხის უნდობლობას. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მუხლი ჩვენი და სოციალ-დემოკრატების პროგრამების განსხვავებისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენ ვემსახურებით არა მარტო ხალხის განთავისუფლებას ეკონომიური ექსპლუატაციისაგან, არამედ მასთან ერთად მის დახსნას ეროვნული ჩაგვრისაგან, რომ ჩვენ ვეტრფით არა მარტო თვითმპყრობელობის დამხობას, ამასთან ერთად, ცენტრალიზმის გაუქმებას.

ჩვენ გვწამს და ვიცით, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს სწორედ ჩვენი იდეალი შეეფერება და არა სოციალ-დემოკრატებისა. მაშასადამე ჩვენთვის ეჭვგარეშე უნდა იყოს, რომ საკმარისია ხალხმა ჭეშმარიტება შეიტყოს – რა განსხვავებაა ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომ მდგომარეობა ძირეულად შეიცვალოს და ჩვენგან წამოყენებული იდეალისათვის ბრძოლაში თვით ხალხი ჩაებას. კავშირი, ცოცხალი და რეალური კავშირი ხალხის ფართო მასებთან – აი, ერთადერთი ნამდვილი საშუალება ყველა ჩვენი მეტოქის დასაძლევად.

სადაც კი სოციალ-ფედერალისტებმა ხალხთან დაახლოება სცადეს, იმუშავეს მათთან, იქ არჩევნებში ხალხმა სწორედ

სოციალ-ფედერალისტებს გამოუცხადეს ნდობა და არა სოციალ-დემოკრატებს. ქუთაისის გუბერნიაში გლეხობამ ბევრგან ამჯობინა ჩვენი კანდიდატები სოციალ-დემოკრატების კანდიდატებს. ეს მეტად საგულისხმო გარემოებაა, რომლის აზრი ისაა, რომ მომავალი აუცილებლად სოციალ-ფედერალისტებს გვეკუთვნის, თუკი ინტელიგენტურ არისტოკრატული ილუსიებს საბოლოოდ დავაღწევთ თავს და მთელ ჩვენ ენერგიას მშრომელ ხალხთან რეალური კავშირის დამყარებას მივცემთ.

დამარცება ზოგჯერ გამარჯვებაზე უფრო ხელსაყრელია. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია დავმალოთ ჩვენი დამარცება, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ სოციალ-ფედერალისტების პარტია ამ დამარცებას უკეთ გამოიყენებს ხალხის ინტერებს სამსახურისათვის, ვიდრე გამარჯვებას".[1]

თუ სოციალ-ფედერალისტები ასე აფასებენ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას არჩევნებში, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოიქცეოდნენ თვით სოციალ-დემოკრატები. მართლაც, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიაჩნდათ, რომ სოციალ-დემოკრატების წარმატება არჩევნებში განპირობებული იყო ამ პარტიის პროგრამით, მათ შორის სოციალ-დემოკრატების სწორი პოზიციით ეროვნულ საკითხში. „თუ ყველა მემარცხენე პარტიათა შორის გამარჯვება წილად ხვდა სოციალ-დემოკრატიას, – წერდა გაზეთი „ლაპარი", – ამის ერთადერთი მიზეზთაგანია ამ პარტიის პოზიცია ეროვნულ საკითხში. ყველამ კარგად უწყის, სადაც გამწვავებულა ეს საკითხი, სოციალ-დემოკრატია ერთადერთი პარტიაა, რომელიც თავგამოდებით ესწრაფვის ყველა აქ მოსახლე ერების სრულ თანასწორობას. ამან მიანიჭა გამარჯვება სოციალ- დემოკრატიას".[2]

ცხადია, სოციალ-დემოკრატები აჭარბებდნენ, როცა არჩევნებში გამარჯვების ფაქტორად ეროვნულ საკითხში მათ სწორ პოზიციას თვლიდნენ, რადგან ეროვნული საკითხის

1. „შრომა", 1906, №37
2. „ლამპარი", 1906, №35

მნიშვნელობა მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული. სოციალ-დემოკრატები არც იმაში იყვნენ მართალნი, როდესაც გამარჯვებით გადიდგულებულნი ფედერალისტებს უკიჟინებდნენ – „თქვენთვის ნაციონალური საკითხი ნაციონალური კაპიტალის, ნაციონალური მიწა-წყლის დაცვაა“ – რადგან სწორედ ეს იყო სამშობლოს და ერის სიყვარული, ზრუნვა მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სიძლიერისათვის.

§2. ქართველი დეპუტატების პრაქტიკული მოღვაწეობა პირველ სახელმწიფო სათათბიროში

პირველმა სახელმწიფო სათათბირომ მუშაობა 1906 წლის 27 აპრილს დაიწყო. საქართველოს და კავკასიის დეპუტატები მასში თავიდან არ მონაწილეობდნენ, რადგან აქ არჩევნები დაგვიანებით ჩატარდა. იმ დროს, როცა რუსეთის ცენტრალური გუბერნიების დეპუტატები სათათბიროს ტრიბუნაზე იდგნენ და თავის მოთხოვნებს აყენებდნენ, საქართველოსა და კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მიმდინარეობდა.

1906 წლის 2 ივნისს ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი, ს. ჯაფარიძე და ს. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრნენ. რკინიგზის ვოგზალზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ. მან ხალხს მოუწოდა ყოფილიყვნენ მზად ბრძოლისათვის. ი. რამიშვილმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სათათბიროში დაიცავდნენ მთელი რუსეთის ხალხების ინტერესებს წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. აღნიშნა, რომ დეპუტატს მაშინ ექნებოდა ძალა, როცა მას მხარს დაუჭერდა ხალხი. შეკრებილმა საზოგადოებამ დეპუტატებს ბევრი ადრესი გადასცა და ბევრიც სიტყვიერად

დააბარა, უპირველეს ყოვლისა კი ამნისტია.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე ნ. ჟორდანიამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დეპეშა გამოუგზავნა, რომლითაც ადგილზე არსებულ ვითარებას აცნობებდა, „მივედით 7 ივნისს. სადგურზე დაგვხვდნენ პეტერბურგის ფაბრიკების და ქარხნების მუშათა დეპუტატები. მოგვთხოვეს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შედგენა, ვიმოქმედოთ გაბედულად და მედგრად. დაგვპირდნენ მხარდაჭერას."[1]

ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სათათბიროში პირველად 8 ივნისს გამოჩნდნენ. ისინი თავიდან „შრომის ჯგუფში" ჩაწერნენ, მაგრამ მალე გამოეყვნენ და ცალკე ფრაქცია დააარსეს. იგი 18 დეპუტატს აერთიანებდა. ფრაქციის თავმჯდომარედ ნ. ჟორდანია აირჩიეს. რუსეთის სოციალ – დემოკრატიული პარტია სათათბიროში ქართველი მენშევიკებით იყო წარმოდგენილი. „შრომის ჯგუფში" დარჩა ფედერალისტი ი. ბარათაშვილი, რომელიც მიწის კომისიაში აირჩიეს. კადეტი ა. აივაზოვი და მემარჯვენე პ. შერვაშიძე, სხვა ფრაქციაში ჩაწერნენ.

„შრომის ჯგუფიდან" სოციალ – დემოკრატების გამოყოფა იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ ისინი არა მარტო საარჩევნო კამპანიის დროს უარყოფდნენ ბლოკს სხვა მემარცხენე პარტიებთან, არამედ თვით სახელმწიფო სათათბიროშიც.

ფედერალისტების ლიდერი ა. ჯორჯაძე უარყოფითად აფასებდა „პარლამენტში" სოციალ-დემოკრატების ასეთ პოზიციას. მისი აზრით, „ვერცერთი პოლიტიკური პარტია, რაგინდ ძლიერი იყოს იგი, თავის საკუთარი ძალღონით, სხვა პარტიების დაუხმარებლად, ვერ გაიყვანს ვერცერთ კანონს".[2]

მართალია, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგი იყო სათათბიროში რაიმე ბლოკსა სხვა პარტიებთან, მათ შორის

---

1. „ლამპარი", 1906, №38

2. ა. ჯორჯაძე, ძველი და ახალი, ტფილისი, 1906, გვ. 103

მემარცხენეებთანაც კი, მაგრამ ამასთან ერთად, ისინი მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ პარტიის ნებისმიერ ოპოზიციურ აქტს, რომელიც მიმართული იყო მთავრობის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა აღნიშნული საკითხზე იყო „ცალკე გზით სიარული, ერთად თავდასხმა"[1]

სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გამოდიოდა მტკიცე პარტიული დისციპლინის დაცვის მოთხოვნით. თავის ერთ-ერთ სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მიიღო სათათბიროში ფრაქციის სამოქმედო წესდება. მასში ნათქვამი იყო, რომ სათათბიროში პარტიული ფრაქცია მოქმედებს ყრილობის დადგენილების თანახმად, როგორც პარტიის ოფიციალური ორგანო, მისი ცენტრალური დაწესებულებათა მუდმივი კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. ფრაქციაში შედის სათათბიროში არჩეული ყველა სოციალ-დემოკრატი, როგორც პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები, ისე პარტიის ყრილობის მიერ არჩეული დეპუტატები, რომლებიც პროგრამის აღიარებასთან ერთად, თანახმა იყვნენ სათათბიროში ემოქმედათ პარტიის ცენტრალური ორგანოების სახელმძღვანელო დირექტივებით. ფრაქციის წევრობა არ შეეძლო იმ დეპუტატს, თუ ამის წინააღმდეგი იყვნენ მისი ამომრჩეველები.

ფრაქცია ღებულობდა ახალ წევრებს, გამოდიოდა როგორც მთლიანი ერთეული, უმცირესობა ემორჩილებოდა უმრავლესობას იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობა წინააღმდეგი იყო ფრაქციის დადგენილებისა, არ ეთანხმებოდა პარტიის დირექტივებს, ან პროგრამას, მაშინ პროტესტს იხილავდა ცენტრალური კომიტეტი და მისი დადგენილება სავალდებულო იყო მთელი ფრაქციისათვის.

ფრაქციის მთელ საქმეებს ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში იგი ღებულობდა ფრაქციისათვის სავალდებულო დადგენილებებს,

1. „წინ", 1907, №19

რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად უნდა წარდგენოდა ფრაქციას და ცენტრალურ კომიტეტს.[1]

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ჩამოყალიბება სათათბიროში კრიტიკის საგანი გახდა. ცენტრისტები და მემარჯვენეები ამტკიცებდნენ, რომ მისი დაარსება მხოლოდ სირთულეებს შექმნიდა სათათბიროში და ვერავითარ დადებით ნაყოფს ვერ მოიტანდა. ამ „არგუმენტს" საკადრისი პასუხი გასცეს ი. რამიშვილმა, ნ. ჟორდანიამ და სხვებმა. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ ფრაქციის შექმნა აშინებდათ დემოკრატიისა და თავისუფლების მტრებს.[2]

სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მოღვაწეობა სახელმწიფო სათათბიროში ემყარებოდა გარკვეულ სამოქმედო ტაქტიკას. იგი გამოიხატებოდა მთავრობის მკაცრ და დაუნდობელ კრიტიკაში. აღნიშნული პარტიის ქართველი დეპუტატები ცხადყოფდნენ ქვეყნის მართვა – გამგეობის, საფინანსო სისტემის და მთელი წყობილების უვარგისობას, მოთხოვდნენ აგრარული საკითხის სამართლიან გადაჭრას, გმობდნენ განაპირა ქვეყნების ერებისა და ეროვნებების მიმართ რუსიფიკატორულ-კოლონიურ პოლიტიკას. ასეთი მუშაობით მათ უნდა მოემზადებინათ მშრომელი მასები ხელისუფლების წინააღმდეგ მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მხრიდან მთავრობის მკაცრიკრიტიკა წითელი ზოლივით გასდევდა ოთხივე მოწვევის სათათბიროს.

მთავრობის კრიტიკის დაწყებას პირველ სახელმწიფო სათათბიროში დასაბამი მისცა ი. რამიშვილის გამოსვლამ 1906 წლის 12 ივნისის სხდომაზე. მან მკაცრად გააკრიტიკა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც შეეცადა კავკასიაში შექმნილი რთული ვითარებისათვის საკუთარი ინტერპრეტაცია მიეცა, გვერდი აევლო სადამსჯელო რაზმებისა და მოხელეთა

1. „ლამპარი," 1906, №51

2. „ლამპარი", 1906, №53

თვითნებობისათვის. ი. რამიშვილმა ამხილა მთავრობა საქართველოსა და კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის გატარებაში, ხალხის მოთხოვნების იგნორირებაში, ერების ურთიერთდაპირისპირებაში და პირველ რიგში სომეხ-თათართა შეტაკების პროვოცირებაში, აღნიშნა, რომ იგი აწიოკებს მოსახლეობას, წვავს მათ სარჩო-საბადებელს და თავის ნამოქმედარს უსირცხვილოდ აბრალებს ხალხს. თბილისში ეკლესია მოქმედებს პოლიციასთან მჭიდრო კავშირში, უჩვენებს მათ დასარბევი მუშების სახლებს და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე მან მოითხოვა მთავრობის გადადგომა და სათათბიროს წინაშე ანგარიშვალდებული მინისტრთა კაბინეტის შექმნა. ბოლოს ი.რამიშვილმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით სათათბიროში შეიტანა რეზოლუცია შემდეგი მუხლებით: 1. 17 ოქტომბრიდან მოყოლებული სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა მოქალაქეთა უფლებების უხეში დარღვევა იყო; 2. ადმინისტრაცია თვითონ ჩადიოდა ყოველგვარ ავაზაკობას, წვავდა სოფლებს, არღვევდა მოქალაქეთა უფლებებს, პიროვნების ხელშეუხებლობას, აწყობდა მოქალაქეებზე თავდასხმებს, ძარცვა-გლეჯას და სხვა, მაგრამ სათათბირომ ხმის უმრავლესობით უარყო რეზოლუცია.[1]

მთავრობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ფედერალისტი დეპუტატი ი. ბარათაშვილიც. მან აღნიშნა, რომ ცარიზმმა კავკასია აწიოკების ბუდედ აქცია. ხალხის საწინააღმდეგო ღონისძიებები ამ მხარეში ყოველთვის წინასწარ არის მოფიქრებული და დაგეგმილი. ამის დასამტკიცებლად მან წაიკითხა კავკასიის პოლიციის უფროსის გენერალ შირინკინის მოხსენება გაგზავნილი მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი მოულოდნელ ამბავს წარმოადგენდა ადგილობრივი მოხელეებისათვის, რომელთა უმრავლესობა პრინციპულად არ თანაუგრძნობდა

1. „ლამპარი", 1906, №44

სახელმწიფოს სურვილის განხორციელებასო. აკლებამ და აწიოკებამ, – განაგრძო ი. ბარათაშვილმა, – განსაკუთრებით ინინა თავი საქართველოში. 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის საქალაქო საბჭოს შენობაში შეიკრიბნენ მუშები, რომელთაც სახელმწიფო სათათბიროსადმი მიძღვნილ საყარაულო კრებაზე დასწრება სურდათ, მაგრამ კრება არ შედგა. დაშლის მოთხოვნას მუშები არ დაემორჩილნენ. მაშინ ჯარმა და პოლიციამ იერიში მოიტანა მუშებზე, რის შედეგად მოკლული და დაჭრილი იქნა 200-მდე მუშაო. მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის საპროტესტოდ თბილისში გამართულ მუშათა დემონსტრაციასაც ტყვია დაუშინესო.

ი. ბარათაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ მეფის ნაცვალი, გენერალი შირიკინი და გენერალი ალიხანოვი ყოველთვის შეგნებულად მოქმედებდნენ, რომ ვორონცოვ-დაშკოვის თანხმობით ალიხანოვმა მთელი ქუთაისი გადაწვა. იგი სათათბიროს ტრიბუნიდან მოითხოვს მთელი სახელმწიფო წყობილების შეცვლას ხალხის სასარგებლოდ.[1]

16 ივნისს სახელმწიფო სათათბიროში წაკითხული იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია, სადაც გამოჩნდა მისი სამოქმედო პროგრამა და პოლიტიკური პოზიცია. დეკლარაციაში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სათათბიროში იბრძოლებდა ხალხის სრული ძალაუფლების დასამყარებლად, სიტყვის, პრესის, კავშირების, გაფიცვების შეუზღუდველი თავისუფლების მოსაპოვებლად, მოქალაქეთა თანასწორობის და პიროვნების ხელშეუხებლობის დასამკვიდრებლად, ყველა თანამდებობაზე არჩევითობის შემოსაღებად, თანამედროვე ჯარის სახალხო მილიციით შესაცვლელად.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მუშათა კლასისათვის მოითხოვდა 8 საათიან სამუშაო დღეს, ხელფასების მომატებას,

1. „შრომა“, 1906, №№47,61

ჯარიმების მოსპობას, გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემას, ერებისათვის თანასწორობას და თვითგამორკვევის უფლებას.

დეკლარაციაში ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ ფრაქციას სურდა სათათბიროს გადაქცევა ხალხის რევოლუციური მოძრაობის საერთო ცენტრად, მისი გამოყენება მასების პოლიტიკური გამოფხიზლებისა და რევოლუციური სულისკვეთებით აღსაზრდელად. როდესაც სათათბირო ამ მისიას შეასრულებდა, იგი ადგილს დაუთმობდა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის საფუძველზე არჩეულ დამფუძნებელ კრებას.

დაბოლოს, დეკლარაციაში სოციალ-დემოკრატიული პარტია აცხადებდა: „ჩვენ მივდივართ სათათბიროში როგორც მცირერიცხოვანი ჯგუფი და ვიცით, რომ რუსეთის პირველ „პარლამენტში“ სუსტად გაისმება ხმა საკუთრებას მოკლებული ხალხისა, მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ ეს ხმა იქნება გამომხატველი სურვილებისა მრავალი მილიონი პროლეტარიატისა, რომელიც სათათბიროს გარეშე ეწევა ბრძოლას. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს მოღვაწეობას სათათბიროში მხარს დაუჭერს მთელი მუშათა კლასი და იმედი გვაქვს გაღატაკებული გლეხობაც და ხალხის მასა საერთოდ.[1]

პირველ სახელმწიფო სათათბიროში კადეტები ბატონობდნენ. 478 დეპუტატიდან კადეტი იყო 179, ავტონომისტი – 63, ოქტიაბრისტი – 16, უპარტიო – 105, ტრუდოვიკი – 97, სოციალ-დემოკრატი – 18.[2]

რამდენადაც პირველი მოწვევის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობას კადეტები შეადგენდნენ, კანონპროექტების უმრავლესობაც მათ მიერ იქნა შეტანილი თავიანთი პროგრამის შესაბამისად. კერძოდ, კადეტებმა სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტები აგრარული საკითხის,

---

1. „ლამპარი“, 1906, №50
2. БСЭ, III изд. т. 7, 1972, с. 153

სიკვდილით დასჯის გაუქმების, ამნისტიის, კრებებისა და პრესის თავისუფლების, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების და სხვათა შესახებ. ამ კანონპროექტებს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა.

სათათბიროს საქმიანობაში მთავარი ადგილი აგრარულმა საკითხმა დაიკავა. კადეტების მიერ სათათბიროში შეტანილი აგრარული კანონპროექტი ზომიერი იყო. იგი ითვალისწინებდა გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემას გამოსყიდვით. თავისი ზომიერების მიუხედავად, კადეტების აგრარულმა კანონპროექტმა და მათ მიერ სათათბიროში შეტანილმა სხვა ზემოაღნიშნულმა კანონპროექტებმა, ხელისუფლება გააღიზიანა და მისი ზეწოლის გამო, სათათბიროს ისინი არ განუხილავს. სამაგიეროდ მთავრობა სათათბიროს თავის კანონპროექტებს ახვევდა თავს. ერთ-ერთი ასეთი იყო კანონპროექტი კრებების შესახებ, რომელიც „წესრიგის დაცვის" მი'ნნით დიდ უფლებებს აძლევდა პოლიციას.

ამ კანონპროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ პროექტში ხალხის უფლებებზე მხოლოდ ერთ პარაგრაფში იყო ლაპარაკი, დანარჩენებში კი – პოლიციის უფლებებზე. „ჩვენ ვფიქრობთ, – განაცხადა მან, – რომ რუსეთის ხალხი, რომელმაც თავისი ბრძოლით დაამტკიცა პოლიტიკური სიმწიფე, ღირსია სრული, შეუზღუდავი თავისუფლებისა". ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლა, მთავრობის ძალის დასუსტება, რათა მას აღარ შეძლებოდა ხალხისათვის ანგარიშსწორება. მისი თქმით, ამას თხოულობდა პარტიისა და პროლეტარიატის ინტერესები.

ნ. ჟორდანიამ გააკრიტიკა რა მთავრობის კანონპროექტი, აღნიშნულ საკითხზე თვითონ შეიტანა სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კანონპროექტი, რომელიც 3 მუხლისაგან შედგებოდა.

1. რუსეთის ყველა მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ

ყველგან და ყოველთვის შეუზღუდველად და შეუვიწროებლად, რისთვისაც არავისაგან ნებართვის აღება საჭირო არ არის და იმსჯელონ რაზეც სურთ.

2. მთავრობის მოხელენი, რომლებიც შეავიწროებენ კრების თავისუფლებას, სისხლის სამართალში იქნებიან მიცემულნი.

3. გაუქმებულად ითვლება ყველა ის კანონი, რომლებიც ზღუდავენ კრების თავისუფლებას და დამყარებულნი არიან განსაკუთრებულ კანონებზე.

ნ ჟორდანიამ მოითხოვა, რომ მის მიერ შეტანილი კანონ-პროექტის მუხლები დადებოდა საფუძვლად მომავალ კანონ-პროექტს, ხოლო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შესასწორებლად დაებრუნებინათ უკან. მის ამ განცხადებას მემარცხენეთა მხრიდან ოვაცია მოპყვა.[1]

ნ. ჟორდანიას მიერ სათათბიროში შეტანილ კანონპროექტს მხარი დაუჭირა ი. რამიშვილმა. დაგმო რა მთავრობის კანონ-პროექტი, მან მოითხოვა ხალხის განთავისუფლება პოლიციის ყოველგვარი დევნისა და თვალთვალისაგან. კერძოდ მან განაცხადა: „რესეთის ხალხი თხოულობს მეტ თავისუფლებას, თხოულობს მეტ დემოკრატიზმს, ვინემ საფრანგეთის და ინგლისის ხალხები თხოულობდნენ, როცა იქ შემუშავდა მათი კანონპროექტები, რუსეთის მებრძოლი ელემენტები არ ჰგავს იმათ, რომლებიც იყვნენ საფრანგეთში და ინგლისში რევო-ლუციის დროს. ჩვენ გვყავს უკეთესი პროლეტარიატი, რევოლუციური გლეხობა და ბნელი თვითმპყრობელობა, რომელიც ამ შეგნებული ელემენტების წინააღმდეგ მოქმედებს. მუშებისა და გლეხების შეგნებულობა იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ თავისუფლებამ დიდი ნაბიჯი გადადგას წინ რუსეთში... ჩვენ ვუჩვენებთ ევროპას მეტი რადიკალიზმისა და უკეთესი დემოკრატიული წყობის განხორციელების მაგალითს“.[1]

ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სათათბიროში

---

1. „ლამპარი“, 1906, №53

2. „ლამპარი“, 1906, №54

გლეხთა ხმებით იყვნენ არჩეულნი და ბუნებრივია, მათი მთავარი საზრუნავი საქართველოში აგრარული საკითხის გადაჭრა იყო. ამ მიზნით მათ მიწის საკითხზე შეიმუშავეს ვრცელი მოხსენება (კანონპროექტი), რომელიც ითვალისწინებდა გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემას და აპირებდნენ მის სათათბიროში შეტანას, მაგრამ არ შეუტანიათ, საქმე ის იყო, რომ მანამდე „შრომის ჯგუფმა“ 33 დეპუტატის ხელმოწერით მეორედ შეიტანა სათათბიროში თავისი კანონპროექტი აგრარულ საკითხზე. ისინი წინადადებას იძლეოდნენ მთელი მიწა გადაცემული ყოფილიყო „საყოველთაო – სახალხო მიწის ფონდში“, რომელსაც გლეხთა კომიტეტები გაანაწილებდნენ მიწათმოქმედთა შორის. გლეხთა კომიტეტებს უნდა განესაზღვრათ გამოსყიდვის ნორმებიც. ეს პროექტი მიმართული იყო მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისაკენ, თუმცა მემამულეებს უნაზღაურდებოდათ მათთვის ჩამორთმეული მიწის საფასური.

დეპუტატი ტრუდოვიკები გმობდნენ ცარიზმს, მემამულეებს, მოითხოვდნენ მიწას და თავისუფლებას ხალხისათვის. „ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, – ამბობდა ერთი გლეხი დეპუტატი. ხალხს მეტი არ შეუძლია აიტანოს უსამართლობა, სიღატაკე და ჩაგვრა მოხელეთა მხრივ, რუსეთი აღელდა, როგორც დიდი ოკეანე, ხალხმა რწმენა დაკარგა, მთავრობისა აღარ სჯერაო. ჩვენ აქ გამოგზავნილი ვართ ხალხისმიერ იმისათვის, რომ მოვუპოვოთ მას მიწა და თავისუფლება.“

ტრუდოვიკების კანონპროექტმა მთავრობა კიდევ უფრო გააღიზიანა, ამიტომ იგი სათათბირომ არ მიიღო და არც კომისიას გადასცა. მთავრობას მიწის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ სურდა და სათათბიროც მას ემორჩილებოდა. სწორედ ასეთი არახელსაყრელი ვითარების გამო თქვეს უარი ქართველმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა სათათბიროში აგრარულ საკითხზე საკუთარი კანონპროექტის შეტანაზე.[1]

---

1. „ლამპარი“, 1906, №54

სათათბიროში ქართველი დეპუტატები აქტიურად რეაგირებდნენ თვითმპყრობელობის მიერ მთელი რუსეთის მასშტაბით ჩადენილ დანაშაულებებზე. ერთ-ერთ ასეთ დანაშაულს წარმოადგენდა მეფის ხელისუფლების მიერ ბელოსტოკის გაფიცული მუშების კარატული მეთოდებით დარბევა-აწიოკება. ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა რეზოლუცია, სადაც დაგმობილი იყო ხელისუფლების მხეცობა. რეზოლუცია წაიკითხა ი.რამიშვილმა სათათბიროს 35-ე სხდომაზე 1906 წლის 29 ივნისს, რამაც თავის არგუმენტირებულობით და ლოგიკურობით დამსწრეთა ყურადღება მიიქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი დეპუტატები სათათბიროში არ გამოდიოდნენ ურიგოდ. ერთგვარი უპირატესობა ამ მხრივ ი. რამიშვილს ჰქონდა. ნ. ჟორდანიას გადმოცემით, იგი პირადად სათათბიროს დეპუტატობაზე იმიტომ დათანხმდა, რომ დასავლეთ საქართველოდან დეპუტატებად კარგი ორატორები გავიდნენ, რომელთა შორის იყო ი. რამიშვილი და მისი იმედი ჰქონდა.

ქართველი დეპუტატების ცალკეულ გამოსვლებს სათათბიროში დადებითად აფასებდა თვით ლენინიც. „წარმატებად მიგვაჩნია, წერდა იგი, – ამხ. რამიშვილის სიტყვა სათათბიროს და მისი „მშვიდობისმოყვარეობის“ „საშიშროების“ შესახებ. წარმატებად – მისივე რეზოლუცია ბელოსტოკის დარბევის გამო, წარმატებად-საუცხოო კრიტიკა კადეტური კანონპროექტებისა კრებების შესახებ და საერთოდ კადეტური პროჟექტორობის საკითხის სწორი დაყენება“.[1]

სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას მთავრობის წევრებისადმი შეკითხვები წარმოადგენდა, რომელსაც სათათბირო ამტკიცებდა. შეკითხვების ინტენსიური

---

1. ლენინი, თხზ. ტ. 11, გვ.23

კურსი აღებული იქნა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ უარი თქვა სათათბიროს მიერ შემუშავებული კანონპროექტების მიღებასა და დამტკიცებაზე. შეკითხვების დიდი ნაწილი ეხებოდა ადმინისტრაციის დანაშაულობებს და მისი მიზანი ამ უკანასკნელის მხილება იყო.

1906 წლის 12 ივნისს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით წაკითხული იქნა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიაში კვლავ გრძელდებოდა მოსახლეობის დარბევა-აწიოკება, ეროვნული შუღლის გაღვივება, რასაც მოჰყვა სომეხ-თათართა ახალი შეტაკება და სისხლის ღვრა. ი.რამიშვილი და სხვა კავკასიელი დეპუტატები მოითხოვდნენ გაეგოთ, იცოდა თუ არა ყოველივე ამის შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და თუ იცოდა, რა ზომები იქნა მიღებული მის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ ამ სისხლის ღვრაში. ეს შეკითხვა ერთხმად იქნა სათათბიროში მიღებული, ჩაითვალა საჩქაროდ და გადაეცა შესაბამის კომისიას.[1]

1906 წლის 26 მარტს თბილისში იფეთქა სამეგრელოს პოლკის ჯარისკაცთა აჯანყებამ. მეფის ხელისუფლებამ 27 ჯარისკაცი დააპატიმრა და სასამართლოს გადასცა. მათ მკაცრი სასჯელი ელოდათ. პროტესტის ნიშნად 22 ივნისს თბილისელმა წვრილმა ვაჭრებმა და მრეწველებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა გაფიცულები 150 ათასი მანეთით დააჯარიმა. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სათათბიროში ნ. ყორდანიამ მიიღო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა 12 000 წვრილი ვაჭარი. მათ გუბერნატორის გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნდათ და ითხოვდნენ დახმარებას. ამის გამო, სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა შეკითხვა შეიტანეს სათათბიროში შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, სადაც

1. „შრომა", 1906, №57; Государственная дума, стенографические отчеты, т. II, СПБ, 1906, с. 1087-1088.

მოითხოვდნენ ამ უკანასკნელს განემარტა, თუ რა იცოდა მან თბილისში მომხდარი ამბების შესახებ. შეკითხვას ხელს აწერდა 30 დეპუტატი. სათათბირომ შეკითხვა მიიღო.[1]

სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყებოდა დამსჯელი ექსპედიციის დაწყებას ბათუმში. ამასთან დაკავშირებით 32 დეპუტატის ხელმოწერით სათათბიროში შეტანილი იქნა შეკითხვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის – გორემიკინის სახელზე, იცოდა თუ არა მან რაიმე ამ ექსპედიციის შესახებ და თუ იცოდა, რა ზომების მიღებას აპირებდა. შეკითხვას ხელს აწერდნენ: ი. გომართელი, ი. ბარათაშვილი, ნ. ჟორდანია, ს.ჯაფარიძე და სხვები ეს შეკითხვა საჩქაროდ იქნა მიჩნეული.[2]

ხელისუფლება საქართველოში რევოლუციაში მონაწილეობის ბრალდებით ბევრ უდანაშაულო პირსაც აპატიმრებდა და ციმბირში ასახლებდა. ასეთი ბედი ელოდა ქუთაისელ ახალგაზრდას თ. ჩიკვაიძეს. ამის შესახებ ქართველ დეპუტატებს ს. ჯაფარიძეს და ი. გომართელს დეპეშით აცნობებდნენ დაპატიმრებულების მშობლები. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ყველა ქართველმა დეპუტატმა და სხვებმა, სულ სათათბიროს 32 წევრმა, შეკითხვით მიმართეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ რა იცოდა აღნიშნული ამბის შესახებ. შეკითხვა საჩქარო წესით იქნა მიღებული.[3]

ბაქოდან ნ. ჟორდანიას სახელზე გაგზავნილი იქნა დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა სამხედრო სასამართლოს მიერ დანიელიანცისა და აგამონოვისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანას. დეპეშას ხელს აწერდა 400 მუშა და ითხოვდნენ ბრალდებულთა დაცვას. ნ. ჟორდანიამ ამ საკითხზე შეკითხვით მიმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯომარეს და

---

1. „შრომა“, 1906, №65,66
2. Государственная дума, стенографические отчеты, т. II, СПБ, 1906, с. 1553.
3. Там же, с. 1609.

მოითხოვა სათანადო განმარტება. სათათბირომ შეკითხვა საჩქაროდ ჩათვალა.[1]

მეფის ხელისუფლება რევოლუციონერებთან ერთად სდევნიდა პრესას, არბევდა რედაქციებს, აპატიმრებდა რედაქტორგამომცემლებს. თბილისში პოლიცია ეძებდა ჟურნალ „ვსტან სპიაშჩის" რედაქტორს როსტოკს, მაგრამ მან მოასწრო მიმალვა. გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ დაეპატიმრებინათ მისი მეუღლე, შვიდი ბავშვი და თბილისიდან გაესახლებინათ ოლენიცკის გუბერნიაში. ამის შესახებ დეპეშა მიიღო ი. რამიშვილმა. მან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სათათბიროში შეიტანა შეკითხვა, თუ რა იცოდა მთავრობის მეთაურმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ და თუ იცოდა, რას აპირებდა კანონის ასეთი დარღვევის გამო. შეკითხვას, რომელიც საჩქაროდ იქნა მიჩნეული, ხელს აწერდა 30 კაცი, მათ შორის ყველა ქართველი დეპუტატი.[2]

სათათბიროს სახელზე შემოვიდა საქართველოდან გამოგზავნილი განცხადება, რომელიც იტყობინებოდა, რომ 1906 წლის იანვარში გორისა და დუშეთის მაზრებიდან გენერალ-გუბერნატორის ბაუერის მიერ არხანგელსკისა და ოლენეცკის გუბერნიებში გადასახლებული იქნა 200 გლეხი „აგრარული უწესრიგობის" გამო. 75-ს დართეს სამშობლოში დაბრუნების ნება, რომელთაც უნდა ემგზავრათ სახელმწიფოს ხარჯზე, მაგრამ პეტერბურგის პოლიცია არ აძლევდა მათ არც ფულს და არც ბილეთს. ამის გამო, 30 დეპუტატმა სათათბიროში შეიტანა შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, თუ რა იცოდა ამ საქმესთან დაკავშირებით. ეს შეკითხვა სათათბირომ საჩქაროდ მიიჩნია და დაამტკიცა. შეკითხვას ხელს აწერდნენ ქართველი და სხვა დეპუტატები.[3]

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის გან-

1. Государственная дума, стенографические отчеты, т. II, СПБ, 1906, с. 1753-1754.
2. Там же, с. 1799.
3. Там же, с. 1801.

ყოფილებამ დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს მურომცევს, რომელთაც ატყობინებდა, რომ აღნიშნული პარტია მხარს უჭერდა სათათბიროს გადაწყვეტილებას სრული ამინისტიის და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ამავე დროს ყურადღებას ამახვილებდა კავკასიის მდგომარეობაზე, რომელიც გუბერნატორების ხელში უკონტროლობის სამფლობელოდ იყო გადაქცეული. კონსტიტუციურ-დემოკრატები გმობდნენ მოსახლეობის მიმართ ადმინისტრაციის ძალადობას და ჟურნალ-გაზეთების დახურვის პრაქტიკას, სათათბიროს თხოვდნენ კავკასიაში სამხედრო წესების გაუქმებას და ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებას.[1]

1906 წლის 4 ივლისს დეპუტატ ი. ბარათაშვილის სახელზე გაზეთ „შრომის" რედაქციის მიერ გაგზავნილი იქნა წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ პოლიციის მიერ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის შ. ჩიტაძის მხეცურად მოკვლის და რამდენიმე მასწავლებლის დაჭრის ამბავს. მას სთხოვდნენ სათათბიროსთვის გაეცნო ეს აღმაშფოთებელი ფაქტი და დაენიშნათ გამოძიება. ანალოგიური შინაარსის დეპეშები მიიღეს სხვა ქართველმა დეპუტატებმაც. ნ. ჟორდანიას სახელზე გაგზავნილ დეპეშას ხელს აწერდა 563 ქალი.[2]

შ. ჩიტაძის მკვლელობის საკითხი განიხილეს სათათბიროს მუშაობის უკანასკნელ საათებში. შეკითხვას მხარი დაუჭირეს და სიტყვები წარმოსთქვეს ი. ბარათაშვილმა, ნ. ჟორდანიამ და ს. ჯაფარიძემ, რომლებმაც ერთსულოვნად დაგმეს მთავრობის სისხლიანი მოქმედება. ამ საკითხს ფართოდ გამოეხმაურა რუსული პროგრესული პრესაც. თბილისში მომხდარი ამაზრზენი ფაქტის შესახებ წერდნენ გაზეთები „მისლი", „გოლოს ტრუდა", „ეხო", „კრესტიანსკი დეპუტატი", „დვადცატი ვეკ"

1. „შრომა", 1906, 55
2. „შრომა", 1906, №76

და სხვები.[1]

ამ შეკითხვებზე, როგორც წესი, ხშირად პასუხის გაცემა ჭიანურდებოდა, ანდა მინისტრების მიერ გაცემულ პასუხებში ყოველთვის გამართლებული იყო მთავრობის მოქმედება.

მთავრობა თავიდანვე მტრულად შეხვდა სათათბიროს და მის დამცირებას ცდილობდა. ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა, როცა ხელმწიფის სეფე სიტყვის შემდეგ, სათათბიროს მიერ არჩეულ კომისიას, ნება არ მისცეს მეფისათვის პირადად გადაეცა საპასუხო ადრესი, სადაც მოკლედ იყო ჩამოთვლილი სათათბიროს პროგრამა. 13 მაისს ამ ადრესს პასუხი გასცა სამინისტრომ თავის დეკლარაციაში, რითაც უარყო სათათბიროს მოთხოვნები. ამის გამო სათათბირომ იმთავითვე უნდობლობა გამოუცხადა სამინისტროს.

სამაგიეროდ სამინისტრო ობსტრუქციას უწყობდა სათათბიროს, რაც წინასწარ იყო მოფიქრებული. ეს ყველაზე მეტად სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის წარმოდგენის დროს გამოვლინდა, რომლის განხილვა სამინისტრომ ერთი თვით გადადო. როგორც ვნახეთ ასეთი ბედი ეწიათ სხვა კანონპროექტებსაც. ასე იყო, თუ ისე, კანონმდებლობის საქმე სათათბიროში დავიწყებული არ ყოფილა, მაგრამ ეს კანონმდებლობა თავისთავად სახელმწიფო წყობილებას ვერ შეცვლიდა და ხალხს ვერ დააკმაყოფილებდა, რომელიც სათათბიროსაგან ელოდა არსებულ ადმინისტრაციულ და სამხედრო ძალმომრეობის მოსპობას. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ სათათბირომ მოითხოვა ძველი სამინისტროს გადადგომა და მის ნაცვლად ახლის შექმნა, რომელიც პატივს ცემდა ახლად შემუშავებულ კანონებს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. გორემიკინის სამინისტრომ უარი თქვა გადადგომაზე. ასეთმა ვითარებამ სათათბირო კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. ერთი მხრივ, ძველი წყობილების დამცველები მას თითქოს

1. „შრომა", 1906, №77

ნებას რთავდნენ ეკანონმდებლა, მაგრამ მეორე მხრივ, სახელმწიფო ცხოვრებაში ჩარევის უფლებას არ აძლევდნენ, ხალხი კი სწორედ ამას ითხოვდა.

სათათბირო ხალხის მხარდაჭერის გზას დაადგა, განსაკუთრებით 8 ივნისის შემდეგ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ადმინისტრაციას დარბევაში ამართლებდა. აქედან მოყოლებული სათათბირო მეფის ადმინისტრაციას შეკითხვებით ებრძოდა. ამ ბრძოლას ემსახურებოდა რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის კავკასიასა და საქართველოში, დარბევის მხილება და გამოძახება. სამინისტროს უნდობლობის ობიექტურობის დასაბუთების გზით სათათბიროს წევრები თითქმის ყოველდღე აძლევდნენ მინისტრებს შეკითხვებს და ამით ააშკარავებდნენ მთავრობის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს.

შეკითხვებით და დანაშაულობათა მხილებით სათათბირო ზნეობრივ ძალას ხმარობდა, რადგან სხვა იარაღი მას არ გააჩნდა.

სათათბიროს მუშაობაში მთავარი ადგილი აგრარულ საკითხს ეკავა, რომლის გადაჭრისათვის შეუპოვრად იბრძოდნენ „ტრუდოვიკები“ და სხვა მემარცხენე პარტიები. საკითხის განხილვას თან ახლდა მრავალი შეკითხვა და მთავრობის კრიტიკა. ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდებოდა. აგრარული საკითხის განხილვამ ხელისუფლება ძალიან გააღიზიანა. იგი ხედავდა, რომ ასეთი „ურჩი“ სათათბირო მას არ გამოადგებოდა და მისი გარეკვისათვის ემზადებოდა. 1906 წლის 8 ივლისს გარეკა კიდეც. ამასთან ერთად ძველი სამინისტროც დაითხოვა.

სამინისტროს დათხოვის მიზეზს მეფე არ ასახელებდა, მაგრამ იგი ისედაც ყველასათვის გასაგები იყო. მას აღარ შეეძლო სახელმწიფოს სათავეში ჰყოლოდა ისეთი სამინისტრო, რომლის დანაშაულობანი სათათბიროს წევრებმა მთელს ქვეყანას ამცნეს. სამაგიეროდ ნიკოლოზ მეორე, 9 ივლისს გამოქვეყნებულ თავის მანიფესტში, საჯაროდ აცხადებდა

სათათბიროს დათხოვნის „მიზეზებს“, სათათბიროს ბრალად ედებოდა, რომ მან თავის გზას გადაუხვია და საკანონმდებლო მოღვაწეობის მაგიერ ხელმწიფის მიერ დანიშნული მოხელეების საქმიანობის გამოააშკარავებას შეუდგა, დაიწყო ძირითადი კანონების ნაკლის ჩვენება და მოითხოვა მათი შეცვლა, ვერ გაამართლა გლეხთა იმედები. მეფე აღნიშნავდა, რომ სწორედ „უკანონობისა“ და „ურჩობის“ გამო ითხოვდა სათათბიროს და მის მაგიერ მალე მოიწვევდა ახალ „პარლამენტს“.

ამრიგად, ნიკოლოზ მეორე ეშმაკზე უფრო ეშმაკურად მოიქცა. ის კი არ უთხრა ხალხს სათათბიროს იმიტომ ვითხოვ, რომ შენს ინტერესებს იცავსო, არამედ ის, რომ შენს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებსო. საბწუხაროდ, ეს მართლაც ასე იყო. სათათბირომ ვერაფერი ვერ გააკეთა. 1906 წლის 27 აპრილიდან 8 ივლისამდე, ე.ი. თავისი არსებობის 72 დღის, ანუ 2 თვისა და 11 დღის მანძილზე, თითქმის სულ მუდამ ფუსფუსებდა, ადგენდა კანონპროექტებს, მაგრამ ამ მუშაობას არავითარი შედეგი არ მოუცია, მხოლოდ ეს იყო, რომ აღნიშნული დროის მანძილზე დაასრულა შემუშავება ერთადერთი კანონპროექტისა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც სულ ორი პატარა მუხლისაგან შედგებოდა და დაამტკიცა დამშეული გლეხებისათვის 15 მილიონი მანეთის გამოყოფა.

სახელმწიფო სათათბიროს უნაყოფო მოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას თავიდანვე წინ გადაეღობა ბიუროკრატია, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა დეპუტატების იმ განზრახვას, რომ რუსეთის კანონმდებლობაში შეეტანათ დემოკრატიული ელემენტები. გარდა ამისა, რუსეთის ბიუროკრატიამ, სათათბიროს მუშაობის პერიოდში, იმდენი უკანონო საქციელი ჩაიდინა, რომ სათათბირო ძალაუნებურად ნახევარზე მეტ დროს ამ უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ანდომებდა. სათათბიროს ნაყოფიერების გასაძლიერებლად მისი დათხოვნა კი არ იყო საჭირო, არამედ ბიუროკრატიისა

და ბიუროკრატიული მმართველობისა, რასაც არაპირდაპირ მოითხოვდა იგივე სათათბირო.[1]

სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწეობა უნაყოფო გამოდგა ქართველი დეპუტატებისათვისაც. მთავრობის მიერ სათათბიროსადმი დაკავშირებული მტრული პოზიციის გამო, მათ ვერ შეძლეს სათათბიროში საქართველოსთვის რაიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტის შეტანა და ხელისუფლებას ძირითადად შეკითხვებით ებრძოდნენ. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასიაში მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გვიან ჩაატარა და ამის გამო, ქართველი დეპუტატები პეტერბურგში სათათბიროს მუშაობის დაწყებიდან თვენახევრის შემდეგ ჩავიდნენ. მათ კარგად ვერც კი მოასწრეს ვითარებაში გარკვევა, რომ მეფემ სათათბირო გარეკა კიდეც. პირველ სახელმწიფო სათათბიროში ქართველმა დეპუტატებმა სულ 28 დღე დაჰყვეს.

1906 წლის 8 ივლისს დილით, ხალხის წარმომადგენლებს სათათბიროს (თავრიდის სასახლის) კარები დაკეტილი დახვდათ. 9 ივლისს რუსეთის „პარლამენტის" 200-მდე ყოფილმა დეპუტატმა (კადეტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, „შრომის ჯგუფმა"), თავი მოიყარეს ფინეთის ქალაქ ვიბორგში და „ბელვედერის" სასტუმროში, სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარის ს. მურომცევის მეთაურობით, გახსნა დათხოვილი სათათბიროს წევრების დახურული კრება. აქ დაადგინეს, რომ პარტიებს ემოქმედათ ერთად თვითმპყრობელობის დასამხობად, ცალ-ცალკე შეედგინათ და წარმოედგინათ ხალხისადმი გათვალისწინებული მიმართვის პროექტები საერთო მიმართვის პროექტის შესადგენად. მიმართვის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი დეპუტატები, განსაკუთრებით კი ს. ჯაფარიძე და ი. ბარათაშვილი. საბოლოოდ კრებამ მიიღო კადეტების მიერ შედგენილი მიმართვა „ხალხისადმი, ხალხის

1. „შრომა", 1906, №82

წარმომადგენლებისაგან“, რომელსაც ეიბორგის მანიფესტი ეწოდა.

მანიფესტში ნათქვამი იყო: „რუსეთის მოქალაქენო! 8 ივლისის ბრძანებულებით სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილია. როდესაც თქვენ ჩვენ აგვირჩიეთ თქვენს წარმომადგენლებად, თქვენ დაგვავალეთ ჩვენ მიგვეღწია მიწისა და თავისუფლებისათვის. ვასრულებთ რა თქვენს დავალებას და ჩვენს ვალს, ჩვენ ვადგენდით კანონებს ხალხისათვის თავისუფლების უსრულველსაყოფად, ჩვენ მოვითხოვდით უპასუხისმგებლო მინისტრების გაძევებას, რომლებიც უკანონოდ არღვევდნენ კანონებს, ახშობდნენ თავისუფლებას. ყველაზე მეტად ჩვენ გვსურდა გამოგვეცა კანონი მშრომელი გლეხობისათვის, სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და საეკლესიო მიწების გამოყოფის და კერძო მემამულეთა მიწების იძულებითი გასხვისების შესახებ. მთავრობამ ასეთი კანონი მიიჩნია დაუშვებლად, ხოლო როცა სათათბირომ ერთხელ კიდევ დაჟინებით დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება მიწის იძულებითი გასხვისების შესახებ. მთავრობამ ასეთი კანონი მიიჩნია დაუშვებლად, ხოლო როცა სათათბირომ ერთხელ კიდევ დაჟინებით დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება მიწის იძულებითი გასხვისების შესახებ, სახალხო წარმომადგენლები დაითხოვეს.

ახლანდელი სათათბიროს ნაცვლად მთავრობა დაპირებას იძლევა მოიწვიოს სხვა შვიდი თვის შემდეგ. მთელი შვიდი თვის განმავლობაში. რუსეთი უნდა დარჩეს სახალხო წარმომადგენლობის გარეშე, ისეთ დროს, როცა ხალხი იმყოფება დაქცევის ზღვარზე, მრეწველობა და ვაჭრობა მოშლილია, როცა მთელი ქვეყანა მოცულია მღელვარებით და როცა სამინისტრომ საბოლოოდ დაამტკიცა თავისი უუნარობა დააკმაყოფილოს ხალხის საჭიროება. მთელი შვიდი თვის მანძილზე მთავრობა იმოქმედებს თვითნებურად და იბრძოლებს ხალხის მოძრაობის წინააღმდეგ, რათა მიიღოს დამჯერი და მლიქვნელი სათათბირო,

ხოლო თუ იგი შეძლებს მთლიანად ჩაახშოს სახალხო მოძრაობა, მაშინ არავითარ სათათბიროს არ მოიწვევს.

მოქალაქენო! იდექით მტკიცედ სახალხო წარმომადგენლების გაქელილი უფლების და სახელმწიფო სათათბიროს დასაცავად. არცერთი დღე არ უნდა დარჩეს რუსეთი სახალხო წარმომადგენლობის გარეშე. თქვენ გაქვთ საშუალება მიაღწიოთ ამას: მთავრობას არა აქვს უფლება სახალხო წარმომადგენლობის თანხმობის გარეშე აკრიფოს გადასახადები, გაიწვიოს ხალხი სამხედრო სამსახურში. ახლაკი, როცა მთავრობამ დაითხოვა სახელმწიფო სათათბირო, თქვენ უფლება გაქვთ მას არც ჯარისკაცი მისცეთ და არც ფული. და თუ მაინც დამაინც მთავრობა ამისათვის მიმართავს სესხს, მისი აღება სახალხო წარმომადგენლობის თანხმობის გარეშე იქნება ძალის არ მქონე, რუსი ხალხი არასოდეს არ ცნობს და არ გადაიხდის მას. სახალხო წარმომადგენლობის გარეშე, არცერთი კაპიკი არ მისცეთ ხაზინას, არცერთი ჯარისკაცი – არმიას. დაიცავით მტკიცედ თქვენი უარი, დადექით თქვენი უფლებების დასაცავად ყველა ერთად, როგორც ერთი კაცი. ხალხის ურყევი და საერთო ნების წინაშე, არცერთ ძალას დგომა არ შეუძლია.

მოქალაქენო! ამ იძულებით, მაგრამ საჭირო ბრძოლაში თქვენს მიერ არჩეული ხალხი, თქვენს გვერდით იქნება".[1]

ვიბორგის მანიფესტს ხელი მოაწერა 181 კაცმა, მათ შორის იყვნენ ქართველი დეპუტატები, სოციალ-დემოკრატები: ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი, ი.გომართელი, ს. ჯაფარიძე, ს. წერეთელი; ფედერალისტი – ი. ბარათაშვილი და კადეტი – ა. აივაზოვი. სათათბიროს მერვე წევრს საქართველოდან, მემარჯვენე პ. შერვაშიძეს ვიბორგის კრებაში მონაწილეობა არ მიუღია და მანიფესტზე ხელი არ მოუწერია.

სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ დეპუტატთა ხელშეუხებლობის ვადა დამთავრდა. მთავრობამ დაიწყო

1. Судь над первой Государственной думой, СПБ, 1908, с. 82.

სასტიკი რეპრესიების გატარება და ვიბორგის მანიფესტზე ხელმომწერი დეპუტატების დაპატიმრება, პარტიების კლუბებისა და სოციალისტური მიმართულების გაზეთების დახურვა. ზოგიერთი დეპუტატი მიიმალა. უმრავლესობა გაასამართლეს და ყველას სამ-სამი თვე პატიმრობა მიუსაჯეს. ქართველ დეპუტატებს სასამართლოში თავი ღირსეულად ეჭირათ, ცდილობდნენ სასამართლოს გამოყენებას მეფის ხელისუფლების ანტისახალხო პოლიტიკის მხილებისათვის. ი. ბარათაშვილმა სასამართლოში განაცხადა, რომ ვიბორგის მანიფესტზე ხელმოწერა დანაშაული არ იყო. შემდეგ დასძინა: „მე მივდივარ აქედან, როგორც ბრალდებული, მაგრამ იცოდეთ, რომ დადგება დრო, როცა რუსი მოქალაქეები იქნებიან არა ბრალდებულები, არამედ ბრალმდებელნი და თვითონ გაასამართლებენ თავის მოძალადეებს“.[1]

ი. რამიშვილი სასამართლოს დაწყებამდე 5 თვე იჯდა შლისერბურგის ციხეში კრონშტადის მუშების წინაშე გამოსვლისათვის, მას შერყეული ჰქონდა ჯანმრთელობა, სასამართლოზე უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ თავისი სათქმელი მაინც თქვა, აღნიშნა, რომ დეპუტატები არ არიან ქვეყნის მტრები, მეფემ სათათბიროს გარეკვით ჩაიდინა ახალი დანაშაული, მოატყუა ხალხი და ამიტომ მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა, სწორედ ამას ისახავდა მიზნად ჩვენი მათდამი მიმართვაო. დაბოლოს ი. რამიშვილმა განაცხადა: თქვენ შეგიძლიათ მოგვცეთ სასჯელი, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ ხალხის სასამართლოს ვერსად გაექცევით. მთავრობას დარჩენია ერთი რამ: ან დათმობაზე წავიდეს, ან არა და, თვითონ ცხოვრება აიძულებს დათმობას.“

ი. რამიშვილს ხუთი თვე ციხეში ჯდომა ჩაუთვალეს ვიბორგის მანიფესტზე ხელმოწერისათვის გათვალისწინებულ

1. Судь над первой Государственной думой, СПБ, 1908, с. 34-35.
2 Там же, с. 77-78.

სამთვიან სასჯელში და სასამართლოს დამთავრების შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ მერე სისტემატურად მეთვალყურეობდნენ და სდევნიდნენ, როგორც „არა საიმედო პიროვნებას“. 1908 წლიდან 1914 წლამდე იგი ბერჯერ დააპატიმრეს და გაათავისუფლეს.

ნ. ჟორდანია მანიფესტზე ხელმოწერის გამო ერთხანს იმალებოდა ყალბი პასპორტით. 1908 წელს დააპატიმრეს თბილისში და გაგზავნეს პეტერბურგში. სასამართლომ მას 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა: სამი თვე ვიბორგის მანიფესტზე ხელმოწერისათვის და სამი თვე ყალბი პასპორტისათვის. 3–3 თვე მიუსაჯეს აგრეთვე ს. ჯაფარიძეს და ს.წერეთელს. ეს უკანასკნელ სასჯელს დუშეთის ციხეში იხდიდა. ი. გომართელი და ა. აიკაზოვი სასამართლოში არ გამოცხადდნენ და მათ დაუსწრებლად მიუსაჯეს სამ-სამი თვე პატიმრობა.

§3. პირველი სახელმწიფო სათათბირო და საქართველოს ავტონომიის საკითხი.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს სოციალურ საკითხთან ერთად მწვავედ იდგა აგრეთვე ეროვნული საკითხიც. იმპერიის მოსახლეობის 57%-ს შეადგენდნენ არარუსი ეროვნებანი, რომელნიც თვითმპყრობელობისაგან ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ, მათ შორის საქართველოშიც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია თვითმპყრობელობის კოლონიურ-რუსიფიკატორულ პოლიტიკას და გმირულად იბრძოდა მის წინააღმდეგ. რუსეთში დაწყებული რევოლუცია ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოში პატრიოტული გრძნობების გაღვივებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.

რევოლუციის წინა ხანებში ეკონომიკისა და კულტურის

განვითარების კვალობაზე, ერთი მხრივ, გაძლიერდა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესი. მეორე მხრივ, საქართველო გადაიქცა მრავალეროვნულ ქვეყნად, რომლის მოსახლეობის თითქმის მესამედი არაქართული წარმოშობისა იყო. ამათგან უმრავლესობას წარმოადგენდნენ სომხები და რუსები, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყვნენ მიმოფანტული და დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულებს ვერ ქმნიდნენ.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული კონსოლიდაციის თავისთავად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ვითარებას და ეროვნულ საკითხს სხვადასხვა სოციალურ ძალთა გააფორებული ბრძოლის საბაბად ხდიდა.

დაწყებულმა რევოლუციამ რუსეთის ყველა ერი და ეროვნება, საქართველოს საზოგადოების ყველა კლასი აამოძრავა. არსებული მდგომარეობით საერთო უკმაყოფილების ტალღამ მეტნაკლებად ყველა სოციალური ფენა გაიტაცა, თუმცა სხვადასხვა კლასს, ცხადია, სხვადასხვანაირად ესახებოდა ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საქართველო.

ქართველი თავადაზნაურობის რეაქციული (კონსერვატული) ნაწილი თვითმპყრობელურ-მემალულური რეჟიმის შენარჩუნებას მიიჩნევდა „ეროვნულ“ საქმედ. აჯანყებულ მუშათა და გლეხთა დასათრგუნავად კონტრევოლუციურ რაზმებს ქმნიდა. ამავე დროს მღვდელი გოროდცევის მეთაურებით შეიქმნა შავრაზმული ორგანიზაციები, რომელბშიც თავი მოიყარა დიდპყრობელური შოვინიზმით გაჟღენთილმა კონტრევოლუციონერებმა. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლიბერალური ქართველი თავადაზნაურობა შიშით შეპყურებდა საქართველოს მოთხრა-განადგურების მიზნით მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებსაც და აჯანყებული

მშრომელი ხალხის ბრძოლასაც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის თეითმპყრობელურ-მემალური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი სიტყვიერად პროტეტს უცხადებდა მეფის ბიუროკრატიას და დამსჯელ არმიას, მაგრამ საქმით ხალხის მხარეზე დგომას ვერ ბედავდა. ლიბერალური თავადები მეფის მთავრობასთან აჯანყებული გლეხების მორიგების გზით „წესრიგის" აღდგომაზე ამყარებდნენ ქართველი ერის განთავისუფლების იდეას.

ლიბერალურ თავადაზნაურობას იმედი ჰქონდა, რომ დაწყებული რევოლუციის ვითარებაში ცარიზმი საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოსათვის ებოძებინა ეროვნული ავტონომია, თუ ამას თავადაზნაურობა მოითხოვდა. 1905 წლის აპრილში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის საგანგებო კრებებმა მიიღეს „უქვეშევრდომილესი ადრესი" ხელმწიფე იმპერატორის სახელზე საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით. „ქართველი ხალხის კულტურული განვითარება, – ეწერა ადრესში, – იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედს, მიენიჭება უფლება იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები".[1]

აქედან გამომდინარე, ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა მეფის 1905 წლის 11 დეკემბრის ახალ საარჩევნო კანონს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამიერიდან იწყებოდა რუსეთის განახლებისა და მისი კონსტიტუციურ-დემოკრატიული გარდაქმნის ნამდვილი ხანა, რაც საშუალებას მისცემდა საქართველოს აღედგინა თავისი წართმეული უფლებები, მოეპოვებინა სრულყოფილი დომოუკიდებლობა და ავტონომია.

ალექსანდრე მიქაბერიძის გადმოცემით, მეფის საარჩევნო კანონმა სახელწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ

1. „იუერია", 1906, № 3.

„საქართველოს მოსახლეობაც აამოძრავა, პარტიებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ბევრნი იყვნენ ისეთი ფენები, რომელნიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ კანონისადმი მაინც დიდ ინტერესს იჩენდნენ. ასეთი იყო თავადაზნაურთა დიდი ნაწილი, საეკლესიო კულტის მსახურნი და მშრომელი ინტელიგენცია. მათ მიერ იმართებოდა კრებები და ცდილობდნენ ამა თუ იმ სახით, ორგანიზებულად მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ერთ-ერთი ასეთი კრება გაიმართა ფრეილინის ქუჩაზე ტფილისის საადგილმამულო ბანკის სამმართველო შენობაში. ამ კრებას, თავადაზნაურობასა და ინტელიგენციასთან ერთად, დაესწრო ილია ჭავჭავაძეც. კრებას უნდა განეხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახით მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა უპარტიოებს. კრებაზე გამოსულ ორატორთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ამიერიდან ბოლო მოეღებოდა უსამართლობას, აღდგებოდა ქართველი ხალხის შელახული უფლებები, წარსულს ჩაბარდებოდა მისი ტანჯვა, აყვავდებოდა საქართველოს ეკონომიკა, კულტურა, დაისადგურებდა კანონიერება. ერთი სიტყვით, ქვეყანა აღორძინების გზას დაადგებოდა“.[1]

ეს აზრი უარყო დამსწრე ილია ჭავჭავაძემ, აღნიშნა, რომ თვითმპყრობელობის პირობებში ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობის განხორციელება შეუძლებელი იყო, რითაც პარლამენტარიზმის იდეით აღფრთოვანებული მეფის მომხრეები დიდად გააკვირვა.

ასევე დიდი სიხარული გამოხატეს ლიბერალურმა წრეებმა სათათბიროს გახსნისა და მუშაობის დაწყების გამო. სათავადაზნაურო საკრებულოებიდან, ქალაქის გამგეობიდან თუ მაღალი თანამდებობის პირებიდან, აგრეთვე ჯგუფებიდან, სათათბიროს და მისი თავმჯდომარის მურომცევის სახელზე საქართველოდან არა ერთი და ორი მისალოცი დეპეშა იქნა

1. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, თბ., 1987, გვ.89-92

გაგზავნილი, რომლებიც მოუწოდებდნენ მედგრათ ებრძოლათ დემოკრატიისა და კანონმდებლობისათვის. ამასთან, მათში გამოთქმული იყო რწმენა, რომ სათათბირო უყურადღებოდ არ დატოვებდა დეპეშების გამგზავნთა სურვილებსა და მისწრაფებებს, იგი იქნებოდა მეფის ერთგული ფენების ინტერესების დამცველი. კერძოდ ასეთი დეპეშები იქნა გაგზავნილი ქართველ ავტონომისტ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის, „ხალხთა თავისუფლების (კადეტების) პარტიის თბილისის ორგანიზაციის, თბილისის საქალაქო სათათბიროს და სხვათა მიერ.[1]

პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყებისას პეტერბურგში დაარსდა სრულიად რუსეთის ავტონომისტ-ფედერალისტების კავშირი, ხოლო შემდეგ ამ კავშირის საპარლამენტო ფრაქცია. კავშირი თავიდან 200-ზე მეტ წევრს აერთიანებდა. მასში შედიოდნენ პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სხვათა წარმომადგენლები. კავშირის ბურჯებად ითვლებოდნენ პროფესორები ბოდუენ დე კურტენე, ლუჩინსკი, ლედნიცკი, კოლუბიაკინი, შრამი და სხვები.[2] კავშირს საპატიო წევრად მიწვეული ჰყავდა ილია ჭავჭავაძე.

ავტონომისტების კავშირი პარტიულობითაც მრავალფეროვანი იყო. იგი აერთიანებდა „ტრუდოვიკებს", კადეტებს და სხვებს, მაგრამ უმეტესობას მაინც უპარტიოები შეადგენდნენ. კავშირს და მის ფრაქციას სათავეში მოსკოველი ვექილი, წარმოშობით პოლონელი ალექსანდრე ლუდნიცკი ედგა. ეს უკანასკნელი პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად მინსკის გუბერნიიდან იყო არჩეული.

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი და მისი საპარლამენტო ფრაქცია თავისი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად თვლიდნენ არარუსი ერებისათვის ავტონომიის მინიჭებას. საპარლამენტო ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული

1. Государственная дума, стенографические отчеты, т. I, СПБ, 1906, с. 102.
2. „შრომა", 1906, № 37.

პროგრამა მინიმუმში ნათქვამი იყო, რომ „ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქცია არსდება ავტონომიის იდეის დასა- ცავად". ფრაქცია მომხრე იყო რუსეთის მთლიანობისა და მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციისა, რაც უნდა მომხდარიყო რუსეთის ძირითადი კანონების საფუძველზე. ყველა ავტონომიური ერთეულის გეოგრაფიული საზღვრები უნდა შემუშავებულიყო ავტონომისტთა კავშირის პრინციპების მიხედვით, ავტონომიის ტერიტორიაზე გარანტირებული უნდა ყოფილიყო მცირე ერების მოქალაქეობრივი, კულტურული და ეროვნული უფლებები, მშობლიური ენის გამოყენება, თვითგამორკვევის უფლება. გაუქმებული უნდა ყოფილიყო ყველა ის კანონი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ერთ ერს მეორესთან მიმართებაში.[1]

ავტონომისტ-ფედერალისტების კავშირმა მალე მჩქეფარე მუშაობა გააჩაღა. ეროვნული მხარეების დეპუტუტები აქტიურად მსჯელობდნენ ავტონომიის პრობლემებზე, თავიანთი ქვეყნის მომავალზე და რუსეთთან დამოკიდებულებაზე. ეს ზრდიდა ქართველი ავტონომისტების ინტერესს კავშირისადმი, მაგრამ ვინაიდან ცარიზმმა კავკასიაში ხელოვნურად შეაფერხა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ქართველი დეპუტატები თავიდან ვერც სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობდნენ და ვერც კავშირის საქმიანობაში. ლიბერალური ქართველი თავადაზნაურობა ამან ძალიან დააფიქრა, ეგონა, რომ მისთვის საინტერესო მოვლენები სწორედ სათათბიროს მუშაობის საწყის ეტაპზე იჩენდნენ თავს. ამიტომ არ დაახანეს და ქართველი დეპუტატების არჩევამდე და პეტერბურგში ჩასვლამდე, სპეციალურად გაგზავნილი დეპეშებით ა.ლედნიცკის თხოვეს საქართველოს ავტონომიის იდეის დაცვა, როცა ნიკოლოზ მეორის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესზე იქნებოდა ლაპარაკი. კერძოდ, თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლის

1. „ივერია", 1906, № 12

მოვაოლეობის შემსრულებელი ა.ჯამბაკურ-ორბელიანი 1906 წლის აპრილში ლედნიცკის დეპეშით ატყობინებდა, რომ ჯერ კიდევ შარშან ჰქონდა აღძრული თავადაზნაურობას შუამდგომლობა ავტონომიის შესახებ, მაგრამ ხელისუფლების მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ქუთაისელი ავტონომისტები ა.ლედნიცკის წერდნენ: „დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა დეპუტატები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, როცა სეფე სიტყვის შესახებ იქნება სჯა-ბაასი, თქვენ თავზე მიიღოთ და დაიცვათ საქართველოს უფლება თვითმმართველობის შესახებ დამოკრატიულ საფუძველზე. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ხალხის დამშვიდება, ან მისი ელემენტარული პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება“.[1] ა.ლედნიცკის ამავე საკითხზე ქართული დემოკრატიული პარტიის კომიტეტმაც გაუგზავნა.

საქართველოდან გაგზავნილი დეპეშები განიხილეს ავტონომისტთა კავშირის კრებაზე და მათ მხარი დაუჭირეს. კრებამ დაადგინა: „იშუამდგომლოს სათათბიროს წინაშე, რომ საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ შეტანილი იქნას მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში“, საქართველოს დეპუტატების ჩასვლამდე კრებამ ავტონომისტების კავშირის თავმჯდომარეს ა.ლედნიცკის დაავალა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის დაცვა. მან სათათბიროს წარუდგინა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ.

ა.ლედნიცკიმ პირნათლად შეასრულა ქართველების დავალება, „პარლამენტში“ მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის განხილვის დროს. 1906 წლის 3 მაისს, წარმოთქვა ძლიერი სიტყვა ავტონომიის დასაცავად. მან მშვენიერად დაახასიათა საქართველოს ტანჯვა-ვაება, მისი დამცირება და შეურაცყოფა. სათათბირომ რამდენჯერმე ტაშით დააჯილდოვა

1. „შრომა“, 1906, № 26.

ა.ლედნიცკი.[1] „იმ ხმებს, – განაცხადა ლედნიცკიმ, – რომელიც აქ გაისმა, არ შეიძლება არ შევუერთოთ ის ხმა, რომელსაც ძლიერი ეღერადობა აქვს განმათავისუფლებლ მოძრაობაში. ეს არის ეროვნული წუხილის ხმა. სხვადასხვა ერის საუკეთესო შვილები რუხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გვერდით იდგნენ და იბრძოდნენ საერთო იდეისათვის. დღეს, როცა სათათბიროს ვუდგენთ პასუხს, ცალკეული ერის წარმომადგენლები გვახსენებენ თავს და გამოსთქვამენ რწმენას, რომ მათი ეროვნული წუხილი და მოთხოვნები, არ იქნება დავიწყებული ხალხის წარმომადგენლების მიერ სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში... ჩვენ მოვუსმინეთ პოლონეთის სამეფოს წარმომადგენლებს, რომელბიც ცეცხლისა და წამლის კვამლში იხრჩობიან. ჩვენ ჯერ კიდეე არ შეგვიძლია მოვუსმინოთ საქართველოს და კავკასიის წარმომადგენლებს, მაგრამ ვიცით, რომ მათი მთები და ველები გაჟღენთილია სისხლითა და ცრემლით, შეძრულია მომაკედავი ბავშვების და გაუპატიურებული ქალების კვნესით, დაფარულია გადამწვარი სოფლებითა და სახლების ფერფლით.

მე ვფიქრობ, რომ ამ საერთაშორისო კაციჭამიობას დაედება ზღვარი, რომ ცალკეული ოლქების სამართლიანი მისწრაფება – მიეცეთ მათ სრული თავისუფლება ეროვნული ყოფის.., მისი ავტონომიისა და ავტონომიური თვითმმართველობის ორგანიზაციაში, ჰპოვებს აქ მხარდაჭერას.., რადგან მიმართულია არა რუსეთის სახელმწიფოს დაშლისაკენ, არამედ განმტკიცებისაკენ."[2]

მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის შედგენა-განხილვაში ბევრმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა, რომელსაც თან ახლდა ცხარე კამათი და აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი რეაქციონერი მოითხოვდა, რომ ადრესში სულ არ ეხსენებინათ

---

1. „შრომა", 1906, № 26.
2. Государственная дума, стенографические отчеты, т. I, СПБ, 1906, с. 102-103.

ეროვნული საკითხი, დემოკრატები კი პირიქით, – ეროვნული საკითხისა და ავტონომიის მოთხოვნის ადრესში შეტანას გადაუდებლად მიიჩნევდნენ. საბოლოოდ მიღებული იქნა დადგენილება, რომელშიც ეროვნულ საკითხზეც იყო ლაპარაკი, თუმცა არა ისე, როგორც ეს ავტონომისტებს სურდათ. კერძოდ, ეროვნული საკითხის შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი: „სახელმწიფო სათათბირო აუცილებლად თვლის თავის გადაუდებელ ამოცანებს შორის აღნიშნოს ცალკეული ერების დიდი ხნით მომწიფებული მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხის გადაჭრის შესახებაც. რუსეთი წარმოადგენს სახელმწიფოს დასახლებულს სხვადასხვა ტომებით და ეროვნებებით. ყველა ამ ტომის და ეროვნების სულიერი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მათი ყოფის ცალკეული თავისებური მოთხოვნების დაკმაყოფილებით. სახელმწიფო სათათბირო იზრუნებს ამ სამართლიანი საჭიროების დასაკმაყოფილებლად."[1]

ამრიგად, მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში ავტონომიის საკითხი არ იქნა შეტანილი. კადეტური სათათბირო, რომელიც მოსეენებით რადიკალობდა და მეფეს უპირისპირდებოდა, მოერიდა მის ზედმეტ განაწყენებას, რითაც აჩვენა, რომ იგი მეფესთან უფრო მეტად ითანამშრომლებდა, ვიდრე მის წინააღმდეგ იბრძოლებდა.

ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობა მალე მიხვდა, რომ სახელმწიფო სათათბირო ეროვნულ საკითხში არაფრის გამკეთებელი არ იყო და საქართველოს ავტონომიის საკითხი იმპერიის ფარგლებს გარეთ – საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე დასვა. ლიბერალურმა თავადაზნაურობამ გაიხსენა 1905 წლის აპრილში ხელმწიფე იმპერატორისადმი გაგზავნილი „უქვეშევრდომილესი ადრესი". საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით და 1907 წელს, ამ ადრესის საფუძველზე შედგენილი პეტიცია ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას

1. "Двадцатый век", 1906, №44.

გაუგზავნა და რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის აღდგენა მოითხოვა[1], მაგრამ ამას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია.

შედარებით მრავალრიცხოვანი ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობისაგან დიდად არ განსხვავდება მცირერიცხოვანი და სუსტი ეროვნული ბურჟუაზიის პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსეთის თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას უფრო ოპოზიციურად ეკიდებოდა და საერთო-სახალხო მოძრაობაში ხელმძღვანელი როლის მოსაპოვებლად ერთი მხრივ, კონტრრევოლუციურ თავადაზნაურობას და სომხურ ბურჟუაზიას ეკინკლაობდა, მეორე მხრივ, რევოლუციურ მუშათა კლასს ებრძოდა. ქართველმა ბურჟუაზიამ ვითარებიდან გამომდინარე, ხმა ამოიღო საქართველოს ავტონომიის დასაცავად. მუნიციპალიტეტის მოხსენებებში თითქმის ყველგან ჰქონდა ხაზი გასმული საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. ამასთან, იმისთანა ავტონომიას, რომელსაც ეაჭრობა-მრეწველობის თავისუფალი განვითარებისათვის საზღვარი არ ექნებოდა შეკრული.[2]

წვრილი ბურჟუაზიის, გლეხობის, თვით მუშათა ერთი ნაწილი ყოველთვის გულგრილი ვერ რჩებოდა ლიბერალური თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის პატრიოტული მოწოდებისადმი და დროდადრო მათ გავლენას ემორჩილებოდა.

საქართველოს ავტონომიის იდეას რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში განსაკუთრებული გალმოდგინებით იცავდა ეროვნული დემოკრატიის მოტრფიალე ილია ჭავჭავაძე. იგი ამ ხანებში ცდილობდა საკუთარი პატრიის დაარსებას და ლიბერალებთან – კადეტებთან დაკავშირებას, რადგანაც უკანასკნელნი განაპირა მხარეებს ავტონომიას ჰპირდებოდნენ. ამ საქმეში კადეტები დიდ იმედებს ამყარებდნენ სათათბიროზე.

---

1. „დროება“, 1909, № 155

2. ა.ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ.227

მართალია, ილია არ თანაუგრძნობდა სათათბიროს, მაგრამ როცა თვითმპყრობელობამ ამ უუფლებო „სახალხო წარმომადგენლობაში“ თავიდან მონაწილეობის გარეშე დატოვა საქართველო და კავკასია, ილიამ ეს ერის დიდ შეურაცხყოფად მიიჩნია, ხმა აღიმაღლა ქართველი ხალხის დამცირების და აბუჩად აგდების ახალი გამოვლენის წინააღმდეგ. თავისი შეუდრეკელობით აიძულა ცარიზმი უარი ეთქვა ადრინდელ უსამართლო გადაწყვეტილებაზე და ამ უკანასკნელს კავკასიისათვისაც მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ამის გარდა, მოხდა ისე, რომ 1906 წლის 7 აპრილს, ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. სახელმწიფო საბჭო სახელმწიფო სათათბიროს „ზედა პალატა“ იყო და ბუნებრივია, მის წევრებს შეეძლოთ ნებისმიერ დროს დასწრებოდნენ სათათბიროს სხდომებს. ამ უფლებას მთელი სისრულით იყენებდა ილია, რადგან სათათბიროში ქართველი დეპუტატებიც მონაწილეობდნენ და აინტერესებდა მათი პოზიცია ეროვნულ საკითხში. ილია განსაკუთრებით ხშირად ესწრებოდა პირველი სათათბიროს სხდომებს, პარალელურად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ავტონომისტ-ფედერალისტების კავშირისა და მისი ფრაქციის მუშაობაში, სადაც იგი, როგორც უკვე აღნიშნეთ, საპატიო წევრად იყო მიწვეული.

ავტონომისტ-ფედერალისტების საპარლამენტო ფრაქციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პეტერბურგის ქართველი სტუდენტები და სხვებიც საქართველოს ავტონომიის იდეას იცავდნენ. მათ შორის იყო პეტერბურგში მოღვაწე პროფესორი`ზ. ავალიშვილი და პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მომავალი დეპუტატი ვ. გელოვანი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ატყობინებდა ავტონომისტთა ფრაქციის სხდომების ჩატარების დროს, მოწიწებით თხოვდა სხდომებში მონაწილეობას. ამის

დასტურია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ვ. გელოვანის ერთი პატარა ბარათი ილიასადმი, საიდანაც ვიგებთ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი სტუდენტობა ილიას დასწრებას ავტონომისტთა ფრაქციის სხდომებზე. „გახლდით თქვენთან, ბატონო ილია, – წერს ვ. გელოვანი ბარათში, – მინდოდა დღეს წამობრძანებულიყავით ავტონომისტთა ფრაქციის კრებაზედ, რომელიც არის დანიშნული ამ საღამოს 9 საათზედ".[1]

როგორც უკვე ითქვა, ილია აქტიურ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, ესწრებოდა ავტონომისტთა საპარლამენტო ფრაქციის სხდომებს, მაგრამ წუხდა, რომ მისი წევრები არ იცნობდნენ საქართველოს და ყველა საკითხზე ცალკე მოხსენების წაკითხვა იყო საჭირო მის გასაცნობად. ამასთან, თვით კავშირის წევრებს შორის არ იყო თანხმობა, რადგან ლიტვაში მცხოვრები პოლონელის მოთხოვნა არ სიამოვნებდა ლიტველს და პირიქით, – პოლონეთში მცხოვრები ლიტველისა – პოლონელს. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ლატვიის, ესტონეთის და უკრაინის წარმომადგენელთა შორისაც. ეს წინააღმდეგობები წარმოადგენდნენ კავშირის სუსტ მხარეებს, რაც კარგად შეამჩნია ილიამ და გაუქარწყლა ამ ორგანიზაციის მნიშვნე- ლობის იმედები. ილიას თანამშრომლობისათვის იწვევდნენ აგრეთვე იმ პერიოდში მის მსოფლმხედველობასთან ახლოს მყოფი სხვა მემარცხენე პარტიებიც. 1906 წლის 21 ივნისს „ხალხთა თავისუფლების" პარტიის სამდივნომ ი.ჭავ- ჭავაძეს გაუგზავნა სპეციალური ბარათი, სთხოვდა დასწრებას პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე.[2]

ი. ჭავჭავაძე მოუთმენლად ელოდა დაგვიანებული ქართველი დეპუტატების პეტერბურგში ჩამოსვლას და სათათბიროში

---

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი.ჭავაჭავაძის ფონდი №478
2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი.ჭავაჭავაძის ფონდი №43

მუშაობას, აინტერესებდა მათი ტაქტიკა. ქართველთა დეპუტატების პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ ილია უფრო დაუახლოვდა სათათბიროს, იშვიათად აცდენდა მის სხდომებს, მაგრამ სამწუხაროდ, პირველ სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყვნენ (რვიდან ხუთი), რომლებიც იმხანად საკვლევით უგულებელყოფდნენ ეროვნულ საკითხს. რაზეც დაეთანხმნენ ილიას ის იყო, რომ აღუთქვეს: საქართველოს ავტონომიის საკითხისათვის არც თავს გამოიდებდნენ და არც ხელს შეუშლიდნენ მას.[1] ილია მაშინ ამაზეც კმაყოფილი დარჩა, რადგან ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან სხვას კარგს არაფერს ელოდა.

ილია მწარედ ჩააფიქრა თვით სათათბიროს პოზიციამაც, როცა პოლონეთზე აღძრულმა მოხსენებამ პირველ სახელმწიფო სათათბიროში ვერ გამოიწვია უმრავლესობის თანაგრძნობა. ეჭვი შეეპარა აგრეთვე სათათბიროს მიერ ამინისტიის, სიკვდილით დასჯის გაუქმების, ავტოკეფალიის და აგრარული საკითხების გადაჭრაში. პირველი სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის ამბავი რომ შეიტყო, ამან ძალიან დააღონა.

საქართველოს ავტონომიის იდეას, პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის წინ, სოციალ-დემოკრატების გარდა, დიდ წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი სომეხი ბურჟუაზია. იგი საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, თავს ლაღად გრძნოდა და მიაჩნდა, რომ საქართველოს ავტონომიის შემთხვევაში მისი ეროვნული და ეკონომიკური ინტერესები შეიზღუდებოდა. ამიტომ სომეხი ბურჟუაზიული ინტელიგენცია საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ მიმართულ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად საქართველოს ავტონომიის უარყოფის „თეორიულ დასაბუთებასაც“ შეეცადა, მითუმეტეს, რომ ამ საქმეში ზურგს უმაგრებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

---

1. ე. „განათლება“, 1908, №3-4,გვ.129

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინ, საქართველოში ავტონომია-ფედერაციის შესახებ, ფართოდ გაიშალა კამათი. მთელი 1906 წლის მანძილზე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, თუ ჯგუფების წარმომადგენლები, ეროვნულ საკითხებზე კითხულობდნენ ლექციებს, რეფერატებს და მოხსენებებს, საქართველოს მოწყობის შესახებ ადგენდნენ სხვადასხვა პროექტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გ.გვაზავა, გ.თუმანიშვილი, ვ.ჩერქეზიშვილი და სხვები. დისკუსიაში მონაწილე ყველა ქართველ ავტონომისტს ერთნაირი შეხედულება ჰქონდა თავისი ქვეყნის მომავალი მართვა-გამგეობის შესახებ, ისინი ემხრობოდნენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. რაც შეეხება სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ისინი საქართველოს ავტონომიას ან მხარს არ უჭერდნენ, ანდა მის მნიშვნელობას აკნინებდნენ. ამის სანაცვლოდ კავკასიის ერთიან ავტონომიას ითხოვდნენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ამ საკითხზე განსხვავებული აზრიც არსებობდა.

დასამახსოვრებელი იყო 1906 წლის გაზაფხულზე კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში გამართული დისკუსია საქართველოს და კავკასიის მოწყობის შესახებ, რომელიც თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა. კამათი გამოიწვია კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციის ბიუროს თავჯდომარის გ.თუმანიშვილის მიერ წაკითხულმა ლექციამ თემაზე: „სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობა კავკასიისათვის“, რომელმაც ის აზრი გამოთქვა, რომ უნდა დაწესებულიყო კავკასიის ერთიანი პოლიტიკური ავტონომია საერთო სეიმით, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ერებს უნდა მინიჭებოდათ ექსტერიტორიული კულტურული ავტონომია.

კავკასიის საერთო ავტონომიის და სომეხი მოსახლეობის გაერთიანების იდეას ემხრობოდა მთელი სომხობა. მაგალითად, კალანტარის აზრით, კავკასია შემდგარი უნდა ყოფილიყო რამდენიმე კანტონისაგან (ოლქისაგან). თითოეულ კანტონს უნდა ჰქონოდა თავისი ადგილობრივი საკანონმდებლო და

აღმასრულებელი ორგანოები, ხოლო მთელ კავკასიას, თავისი ფედერაციული პარლამენტი და საკანონმდებლო უფლება.[1]

საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა ქ.ვერმიშევი. მისი აზრით, კავკასიაში მცხოვრებ თითოეულ ერს ცალკე გაუჭირდებოდა ცხოვრება, საკუთარი კულტურული ცენტრის შექმნა. ერთიანი ძალით კი დაძლეული იქნებოდა წინააღმდეგობა. ეს მითუმეტეს მაშინ, როცა მისი თქმით, კავკასიაში მცხოვრებ ერებს ბევრი საერთო ჰქონდათ, ეიდრე სხვაობა. შექმნილი იყო კულტურის საერთო ცენტრიც – თბილისი. აქედან გამომდინარე ქ. ვერმიშევი საჭიროდ თვლიდა კავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხის კოლექტიურ განაწილებას პარლამენტში, რათა ერთიანი ძალით ებრძოლათ კავკასიის ხალხებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად. ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის პირობებში, მისი აზრით, კავკასიის დეპუტატები სათათბიროში სოლიდურად ვერ იმოქმედებდნენ.

ვერმიშევის ბრძოლას საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ უფრო ადრე სავალალო შედეგი მოპყვა. გ.ლასხიშვილის მოგონებით, 1905 წლის აპრილში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა რუსეთის „ეოლნო ეკონომიჩესკოეს“ საზოგადოებისაგან ეოდოეოზოვის პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესით და პრინციპით უნდა მომხდარიყო რუსეთში მომავალი საპარლამენტო არჩევნები. ეს საზოგადოება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან თხოულობდა ხსენებული პროექტის განხილვას და მასზე თავისი აზრის მოწოდებას. პროექტის განხილვა მიმდინარეობდა დაძაბულად, მასში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიებიც. სოციალ-ფედერალისტებმა დაიწუნეს პროექტი, რადგან კავკასია ორი-სამი ოლქით იყო წარმოდგენილი. მათ მოითხოვეს, რომ საქართველო ცალკე ოლქად ყოფილიყო გამოყოფილი, რადგან

1. „ივერია“, 1906, №10

მას ავტონომია სურდა. თბილისის საქალაქო საბჭომ ამ საკითხის გამო დააგინა, რომ მხარი დაეჭირა საქალაქო საბჭოს რეზოლუციისათვის. ამასთან, აირჩია კომისია ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნათა გამოსარკვევად. კომისიამ რამდენიმე თვე იმუშავა და ბოლოს უნდა დანიშნულიყო საბჭოს სხდომა. მას უნდა განეხილა საკითხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კავკასიის მართვა-გამგეობა მომავალში. ერთერთ სხდომაზე (1905 წლის 29 აგვისტო) მუშა ხალხმაც მოითხოვა დასწრება. ქალაქის თავმა ვერმიშევმა სხდომა გადადო. ხალხმა ეს იწყინა და თვითონ გადაწყვიტა კრების ჩატარება, რასაც მოჰყვა მათი დარბევა და დახვრეტა. [1]

კავკასიის ავტონომიის მოთხოვნაში ვერმიშევს მხარს უჭერდა ადელხანოვი. რაც შეეხება ალიბეგოვს, იგი უფრო შორს წავიდა, ყველას თვალწინ თავის უვიცობა და ტენდენციურობა გამოამჟღავნა, განაცხადა, რომ საქართველოს ავტონომია არ შეიძლებოდა, რადგან მის ტერიტორიაზე მრავალი „სხვადასხვა ერი“ ცხოვრობდა. კერძოდ, იმერლები, მეგრელები, ქართველები და ა.შ. მისმა ასეთმა განცხადებამ დიდად ააღელვა აუდიტორიის ქართული ნაწილი.[2]

იურიდიულ საზოგადოებას კავკასიის მოწყობის შესახებ, გ. თუმანიშვილმა თავისი პროექტიც წარუდგინა. ავტორის აზრით, სახელმწიფო სათათბიროს დაწესება ვერ ცვლიდა კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეს, რადგან სათათბიროში წარმომადგენელი არ ჰყავდა კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერს. სათათბიროს შემადგენლობის დიდი უმრავლესობა არ ეცნობოდა ადგილობრივ ცხოვრებას. ამიტომ მისი აზრით, მმართველობის სისტემა კავკასიაში ისევ ბიუროკრატიული რჩებოდა.

აქედან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებდა სახელმწიფო სათათბიროს პარალელურად კავკასიაში მეფის ნაცვლის

---

1. გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1939, გვ.197,233
2. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 223

ინსტიტუტთან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – კავკასიის საოლქო საკრებულოს დაწესებას, სადაც კავკასიაში მაცხოვრებელი ყველა ეროვნების წარმომადგენელი შეეიდოდა. საკრებულოს უნდა ჰქონოდა საინიციატივო, საკონტროლო და კანონ-პროექტის განხილვის ისეთი უფლება, როგორც სახელ- მწიფო სათათბიროს, მაგრამ მხოლოდ იმ საკითხებისა, რომლებიც კავკასიას შეეხებოდნენ.

საკრებულო განიხილავდა საკითხებს და გადასცემდა მეფის ნაცვალს. მოწონების შემთხვევაში ეს უკანასკნელი თავის მხრივ, მას დასამტკიცებლად წარუდგინეს იმპერატორს. მეფის ნაცვალი ამ შემთხვევაში შეასრულებდა იმ როლს, რასაც რუსეთის სახელმწიფო საბჭო ასრულებდა სახელმწიფო სათათბიროსადმი. ე.ი. მეფის ნაცვალს ეკისრებოდა ზედა პალატის ფუნქცია.

წარმოდგენილ პროექტს მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდა. ამასთან ერთად, იგი წინააღმდეგობრივიც იყო. მთავარი ნაკლი ის იყო, რომ საკრებულო მოკლებული იყო დამოუკიდებ- ლობას და იგი მეფის ნაცვლის კონტროლს ექვემდებარებოდა. არ არსებობდა ისეთი საკითხები, რომლებიც მხოლოდ კავკასიას ეხებოდა და სხვას კი არა. ცალკეულ საკითხებზე საკრებულოსა და მეფის ნაცვლის შეუთანხმებლობის, ან მათ შორის წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში, ეს საკითხები სახელმწიფო სათათბიროს უნდა გადასცემოდა და მას განეხილა. ასეთ პირობებში კი, კავკასიის საოლქო საკრებულოს ფაქტიურად განსახილველი აღარაფერი რჩებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კავკასიის საჭიროების არმცოდნე სახელმწიფო სათათბირო, რომლის მაგივრადაც ყალიბდებოდა საკრებულო, ამ შემთხვევაში ყველაფრის მცოდნე გამოდიოდა.[1]

სომეხი ბურჟუაზიის მიერ საქართველოს ავტონომიის მიმართ

---

1. „შრომა“, 1906, №8

დაკავებული პოზიცია ქართველ ავტონომისტების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. სომეხ ბურჟუაზიასა და ქართველ ავტონომისტებს შორის გაჩაღებულ დისკუსიაში, საქართველოს ავტონომიის იდეების პროპაგანდაში, განსაკუთ- რებით გამოირჩეოდა ნაფიცი ვექილი გ. გვაზავა. მართალია, იგი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს წევრი იყო, მაგრამ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადა- რაჯოზე იდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციურ- დემოკრატიული პარტიის პროგრამა არ უარყოფდა ერებისათვის პოლიტიკურ ავტონომიას, თუმცა ამ პარტიის წევრებს მიაჩნდათ, რომ ეს საკითხი საბოლოოდ მაინც სათათბიროს უნდა გადაეჭრა.[1]

თავის გამოსვლებში გ. გვაზავა შედგრად იცავდა საქარ- თველოს ავტონომიის იდეას, ამტკიცებდა, რომ საქართველოს- თვის აუცილებელი იყო ავტონომიური თვითმმართველობა. ავტონომიის მქონე ესა თუ ის ერი, არა თუ გაეთიშებოდა რუსეთს, როგორც ამას სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, არამედ პირიქით, კულტურულად უფრო დაუახლოვდებოდა მას.[2] აღნიშნავდა, რომ მთელი კავკასიის ავტონომიის განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან ავტონომიურ პარლამენტში თავს იყრიდა სხვადასხვა ერის წარმომადგენლები და ხელს შეუშლიდნენ ერთმანეთის კულტურულ-ეროვნულ და ეკონომიკურ განვითარებას.[3]

ვერმიშევის შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობ- და კავკასიაში მხოვრებ ერებს შორის საერთოს მოძებნას თავისი მოსაზრების გასამართლებლად, გ.გვაზავა ამტკიცებდა, რომ ვერაფერ საერთოს ვერ ხედავდა რაჭველ გლეხსა და შუშელ სომეხს შორის. ამასთან ის თავის მხრივ კითხულობდა, თუ რომელი ენა იქნებოდა გამოყენებული კავკასიის საერთო

1. „ცნობის ფურცელი", 1906, №2999
2. „ივერია", 1906, №6
3. „ცნობის ფურცელი", 1906 , №3026

სიემში. მისი აზრით, თუ ქართულ, სომხურ, ან აზერბაიჯანურ ენებიდან ერთერთს გამოიყენებდნენ, დანარჩენი ერების სახელი შეიბღალებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სეიმის ენად რუსულს აღიარებდნენ, მაშინ თავისუფლების და ავტონომიის პრინციპი ირღვეოდა. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ ავტონომიის საკითხის გარდა იყო მოქალაქეობრივი თავისუფლების, ძველი რეჟიმის შეცვლის და სხვა საკითხები, რომელიც კავკასიის დეპუტატებს ერთნაირად აწუხებდათ და ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეს დაუჭერდნენ მხარს, რომ მოქალაქეობრივი თავისუფლების განხორციელების საქმეში ავტონომიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[1]

გ. გვაზავას საჯარო გამოსვლები მეტწილად იმართებოდა იურიდიულ და ე.წ.საარტისტო საზოგადოებებში. ამ გამოსვლებს თავიდან ხელს უშლიდა სომეხი ბურჟუაზია, მაგრამ შემდეგ, ლექციების კვალიფიკაციისა და არგუმენტირებულობის ზრდის კვალობაზე, ოპოზიციონერები თავიანთი დამოკიდებულების გამომჟღავნებას სახალხო ღონისძიებისადმი აშკარად ვეღარ ბედავდნენ. 1906 წლის 29 აპრილს კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში ეროვნულ საკითხზე გამართულ ცხარე დისკუსიის შემდეგ, იურიდიულმა საზოგადოებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღიარებდა კავკასიის ერებისათვის ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის მიღების უფლებას. ამასთან, არსებულ ვითარებაში სასურველად ცნობდა საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის განხორციელებას.[2]

სომეხი ბურჟუაზიის ბრძოლას საქართველოს ავტონომიის წინააღდეგ სათანადო შეფასება მისცა იმდროინდელმა ქართულმა პრესამ. გაზეთი „იეერია" წერდა, რომ ექსტერიტორიალური ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა მხოლოდ იმ

---

1. „ლამპარი", 1906, №6

2. ა. ჯარჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ.223

ეროვნებას შუძლია, რომელსაც მთლიანი ტერიტორია არა აქვს და სხვა ერებში გაბნეულად არის ჩასახლებული. კავკასიაში სომხობა ერთ მთლიან ტერიტორიაზე არ არის დასახლებული და ამიტომ მათთვის ძნელია ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის განხორციელება. მათთვის ხელსაყრელია ექსტერიტორიალური ანუ მოელს კავკასიაში გაერთიანება, განუყოფელი კავკასია, როგორც რუსი „პატრიოტებისათვი" – განუყოფელი რუსეთი. ძნელი გასაგები და საკვირველი ის გახლავთ, – სარკაზმულად შენიშნავდა გაზეთი, – რომ ქართველებისათვისაც, რომელთაც დღეს საკუთარი ტერიტორია უჭირავთ, თურმე ტერიტორიული ავტონომია არ მოხერხდება და კავკასიის ავტონომიაში ისინი მხოლოდ ექსტერიტორიულად უნდა იქნან შესულნი".[1]

ეროვნულ საკითხში სომეხი ბურჟუაზიის შეხედულებას ეთანხმებოდა სოციალ-დემოკრატების დიდი ნაწილის შეხედულება, რომლებიც ერების ტერიტორიული ავტონომიის ნაცვლად მხარს უჭერდნენ კავკასიის საოქო თვითმმართველობას.[2] ამასთან ისინი სომხებივით, არც საქართველოს ავტონომიის მხარდამჭერი ღონისძიების ჩაშლაზე ამბობდნენ უარს. სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებულ აუტანელ პირობებს უქმნიდნენ ცნობილ ქართველ ანარქისტს ვარლამ ჩერქეზიშვილს. მაგალითად, 1906 წლის 4 ივნისს თბილისის საქალაქო გამგეობის დარბაზში ვ. ჩერქეზიშვილის ლექციის დროს – რომელიც საქართველოს მოწყობის საკითხს შეეხებოდა, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა ისეთი აურზაური ასტეხეს, რომ ლექციის წარმმართველი გ. ლასხიშვილი და თვითონ ლექტორი ვ. ჩერქეზიშვილი, იძულებულნი გახდნენ დარბაზი დაეტოვებინათ.[3]

ვ. ჩერქეზიშვილი ქართული ანარქიზმის ერთერთი ლიდერი

1. „იბერია", 1906, №13
2. „ლამპარი", 1906, №18
3. „იბერია"1906, №№13,14

იყო. ანარქიზმი უარყოფდა ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას, ნებისმიერ მმართველობას. მიუხედავად ამისა, ქართულ ანარქიზმს, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ახასიათებდა ეროვნული ტენდენცია. ე. ჩერქეზიშვილი თავგამოდებული მომხრე და დამცველი იყო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა. ამიტომ ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატები მას ასე თავგამოდებით.

სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნულ საკითხებში ამხნევებდა სომეხ ბურჟუაზიას, იგი უფრო გაბედულად ებრძოდა საქართველოს ავტონომიის იდეის დამცავ საზოგადოებრივ აზრს, ავტონომიის მომხრე პარტიებს და ცალკეულ პირებს. სოციალ-დემოკრატების პოზიციით წაქეზებული სომეხი ბურჟუაზია, რომელსაც ხელთ ეპყრა თბილისის მართვა-გამგეობის სადავეები, ამ ბრძოლას საარჩევნო კამპანიის დროსაც აწარმოებდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საარჩევნო სიებში არ შეეტანათ საქართველოს ავტონომიის მომხრე პირები, ცდილობდა იმას, რომ სათათბიროში მოღვაწეობისათვის გზა გაეხსნა მხოლოდ რუსეთის ერთიანობის შენარჩუნების მომხრე ძალებისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს ავტონომიას მხარს უჭერდნენ სოციალ-ფედერალისტები, მათ ისე როგორც ეროვნულ-დემოკრატებმა და ლიბერალებმა, ხელისუფლებასთან ბრძოლის მშვიდობიანი ფორმა აირჩიეს და საქართველოს ავტონომიის საკითხის გადაჭრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დაუკავშირეს.

როგორც ავღნიშნეთ, ქართველ ერის სანუკვარი ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მაშ, რატომ მოითხოვდნენ ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას და არა მისი სრული დამოუკიდებლობის აღდგენას? იმიტომ, რომ იმდროინდელ საერთაშორისო და შინაპოლიტიკურ ვითარებაში, ბრძოლა რუსეთისაგან გამოყოფისათვის უსარგებლო და საშიშ ავანტიურად მიაჩნდათ. ამიტომ სოციალ-ფედერალისტები და

ეროვნულ-დემოკრატებიც, რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის და პირველი მსოფლიო ომის წინა წლებშიც, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას სჯერდებოდნენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალ-ფედერალისტები ავტონომიის ცნებაში ბოლშევიკებისათვის მიუღებელ შინაარს დებდნენ. მათი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვება, ავტონომიურ სახელმწიფოს პარლამენტისა და მთავრობისათვის ქვეყნის შინა მმართველობის ყველა ფუნქციების გადაცემა, ცენტრში კი მხოლოდ სამხედრო საქმისა და საგარეო პოლიტიკის დელეგირება.

საქართველოს ავტონომიის საკითხი სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენდა. ამასთან, როგორც უკვე დავინახეთ, ზოგიერთი ამ იდეის მომხრე ფიქრობდა, ევროპაში ეძია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაეყენებინა საერთაშორისო ინტერნაციონალურ ორგანოებში. ამ აზრს, საქართველოს ავტონომიის მომხრეთაგან, ბევრი არ იზიარებდა, მიაჩნდა, რომ საზღვარგარეთის დახმარების იმედად ყოფნა ფუჭი ოცნება იყო და თანაც ეს არც რუსეთის იმპერიის მესვეურთ მიანიჭებდათ დიდ „სიამოვნებას". ამიტომ ემხრობოდნენ საკითხის ადგილზე გადაწყვეტას და ამ საქმისათვის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გამოყენებას. ამ იდეს გულმოდგინედ იცავდა ფედერალისტების ლიდერი ა. ჯორჯაძე. იგი აღნიშნავდა, რომ პრობლემების გადაჭრა ადგილზე უნდა მოხდეს. ამისათვის საჭიროა ხელთ გექონდეს საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის ისტორიულ-უფლებრივი იურიდიული დოკუმენტი და იგი წარვადგინოთ არა საერთაშორისო სამსჯავროში, არამედ რუსეთის პარლამენტში საბრძოლველად, რადგან, ა. ჯორჯაძის აზრით, „პარლამენტი უფლების განსამტკიცებელი ასპარეზია. ამიტომ იურიდიული საბუთი არსად ისე არ გამოდგება, როგორც პარლამენტის ტრიბუნაზე".[1]

1.ა.ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ.227

ფედერალისტები აქტიურად ჩაებნენ პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიაში. მათ წინააღმდეგ მთელი ძალით იბრძოდნენ სოციალ-დემოკრატები, უტეხდნენ სახელს, წარმოსახავდნენ თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველებად. ამომრჩეველებს მოუწოდებდნენ არ მიეცათ მათთვის ხმა, ამტკიცებდნენ, რომ მშრომელთა ნამდვილი ინტერესების გამომხატველნი მხოლოდ თვითონ იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების ამგვარ აგიტაციას ჰქონდა საერთო წარმატება, ფედერალისტებმა პირველ სახელმწიფო სათათბიროში მაინც მოახერხეს ერთი საკუთარი დეპუტატის არჩევა.

სათათბიროში ავტონომიისათვის პოლონელები აქტიურობდნენ. ეს იძლეოდა იმის იმედს, როს ქართველი ფედერალისტი დეპუტატი ი. ბარათაშვილიც მოითხოვდა შესაფერის მომენტში საქართველოს ავტონომიას, თუმცა ამისათვის მას აქ სხვა ოპოზიციური პარტიებისა და ფრაქციისაგან სჭირდებოდა ძლიერი მხარდაჭერა, რაც სამწუხაროდ არ ჩანდა. მართალია, ი.ბარათაშვილი ჩაწერილი იყო „შრომის ჯგუფში", მაგრამ ეს ჯგუფი სათათბიროში ერთ-ერთი მცირერიცხოვანი იყო. ამასთან არც თეორიულად იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ ქართულ გაზეთებს თხოვდა მიეწოდებინათ მისთვის დასაბუთებული მეცნიერული აზრი ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შესახებ, ფედერაციისა და ავტონომიის შესახებ.[1]

თვითონ ი. ბარათაშვილი სათათბიროში ყურადღებით იყო, ცდილობდა მოხერხებულად გამოეყენებინა ყოველი ხელსაყრელი მომენტი, წინ წამოეწია ეროვნული საკითხი, ხშირად ეხმარა სიტყვები „საქართველო" და „ქართველი ერი". როცა იუსტიციის მინისტრმა გაამართლა საქართველოში დასჯა-დაპატიმრება, ფედერალისტების დეპუტატმა თავის სიტყვაში მკაცრად დაგმო ეს მოთხოვნა არსებული სახელმწიფო მართვის სისტემის და

1. „შრომა", 1906, №58

მთელი წყობილების შეცვლა, ადამიანის აუცილებელი და ბუნებრივი უფლების დაცვა. „ქართველი ერი, – განაცხადა ი. ბარათაშვილმა, – თავს არ ზოგავდა მტერთან ბრძოლის დროს, ქართველმა ერმა თავისი წვლილი შეიტანა განშანთავისუფლებელ მოძრაობაში და შემდგომშიც შესძლებს თქვენთან და თქვენს ამომრჩეველებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულ ბრძოლას ადამიანის აუცილებელ და ბუნებრივი უფლების მოპოვებისათვის.[1]

ბუნებრივია, რომ ი. ბარათაშვილმა პირველსავე სიტყვაში საქართველოს ავტონომიის საკითხის დასმა ვერ გაბედა, თუმცა უნდა ითქვას, რომ „მმართველობის სისტემის შეცლაში" იგი დეცენტრალიზაციას და საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებას გულისხმობდა, მხოლოდ „ადამიანის აუცილებელ და ბუნებრივ უფლებათა დაცვაში" – ქართველი ერის, ქართველი ადმიანების თავისუფლებას.

ი. ბარათაშვილს თავის პარტიის დავალების – სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხის პირდაპირ დასმა არ დასცალდა, რადგან მეფემ პირველი სახელმწიფო სათათბირო მალე გარეკა.

ამრიგად, ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობის სახელმწიფო სათათბიროზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. ახდა ი. ჭავჭავაძის წინასწარმეტყველება. ყველაზე დიდად შესაცხადებელი ის იყო, რომ ლიბერალებმა სათათბიროების მუშაობის მთელი ხნის მანძილზე ვერცერთხელ ვერ შესძლეს სათათბიროს საკუთარი დეპუტატის არჩევა და არანაკლებ დამაფიქრებელია კიდევ ის, რომ სათათბირო ვერ აღმოჩნდა ის პარლამენტი, რომელიც იმპერიაში მცხოვრებ არარუსი ერების ინტერესების დაცვაზე იზრუნებდა. უფრო მეტიც, ამ საკითხზე ლაპარაკს გაურბოდა. ასე შეეკვეცა ფრთები მოწინავე ქართველი თავადაზნაურობის ოცნებას სათათბიროს

1. „შრომა", 1906, №61

მეშვეობით საქართველოს ავტონომიის მოპოვების შესახებ.

საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა სომეხი ბურჟუაზია, ანდა ცდილობდა ამ საკითხის მიფუჩეჩებას. იგი ენერგიულად მოქმედებდა იმისთვის., რომ საქართველო კავკასიის საერთო ავტონომიაში მოექცია, წინააღმდეგი იყო ცალკე ეროვნებათა ავტონომიების შექმნისა. მისი მისწრაფების გამზიარებლად, ნებსით თუ უნებლიედ, გამოდიოდაქართული სოციალ-დემოკრატია.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში სოციალ-ფედერალისტები, ისე როგორც ლიბერალები და ეროვნულ-დემოკრატები, დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროზე. ცხარე საარჩევნო საპარლამენტო ბრძოლაში მათ შეძლეს კიდეც საკუთარი დეპუტატის არჩევა, მაგრამ მათმა წარმომადგენელმა, არხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გამო, პირველ სახელმწიფო სათათბიროში საქარ-თველოს ავტონომიის საკითხის დასმა ვერ მოახერხა.

თავი III. მეორე სახელმწიფო სათათბირო

§1. მეორე სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო კამპანია და არჩევნები საქართველოში

პირველი სახელმწიფო სათათბიროს გარეკვეის შემდეგ ხელისუფლებამ მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა გამოაცხადა. მას მუშაობა 1907 წლის 20 თებერვალს უნდა დაეწყო. მეფემ გამოცდილებით დაინახა, რომ 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონით არჩევნებში ბევრი მისი მოწინააღმეგე იმარჯვებდა. ამიტომ გადაწყვიტა მისი შეცვლა, მაგრამ ეს აშკარად ვერ გაბედა. სამაგიეროდ შეეცადა ძველი საარჩევნო კანონი ისე „განემარტა“, რომ მისგან არაფერი დარჩენილიყო ადრინდელი და ფაქტიურად თვითმპყრობელობას ახალი ხელსაყრელი კანონი შერჩენოდა ხელში. ეს საქმე სენატს დაავალეს. სენატმაც არ დააყოვნა და 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონი განმარტა ისე, როგორც მთავრობას გაეხარდებოდა. აღნიშნული „განმარტებები“ საჯაროდ 1906 წლის 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

როგორც უკვე ითქვა, ძველი საარჩევნო სისტემა მრავალსაფეხურიანი წოდებრივი, არაპირდაპირი და არათანასწორი იყო. გლეხ რწმუნებულთა, მიწათმფლობელთა და ქალაქის მცხოვრებთა საარჩევნო კრებები დამოუკიდებლად ირჩევდნენ ამომრჩეველებს, ეს უკანასკნელნი კი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს. არჩევნების ასეთი წესი განსაზღვრავდა 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის საფუძველს. სენატის განმარტებები ამ საფუძველს არ ეხებოდა. მისი არსი იყო მხოლოდ წინასაფეხურის (წინასწარი) საარჩევნო კრებებიდან მთავრობისათვის არასაიმედო პირების განდევნა.

ძველი საარჩევნო კანონით, ქალაქის მცხოვრებთა საარჩევნო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყველას, ვინც სახელმწიფო და საერობო გადასახადს იხდიდა, სამრეწველო მოწმობას (პატენტს) ფლობდა, სახაზინო

დაწესებულებებში მსახურობდა, ან ერთი წლის მანძილზე ქალაქში ბინა ჰქონდა დაქირავებული.

სენატის „განმარტება“ ახლა ამას უარყოფდა და საარჩევნო უფლება ეძლეოდა მხოლოდ ზოგიერთ ბინის დამქირავებელს. კერძოთ, იმათთვის ბინასაც ცალკე შესასვლელი და ცალკე სამზარეულო ჰქონდა. ამასთან, აქედან შესაძლებელი არ უნდა ყოფილიყო სხვა ოთახში გასვლა, ბინას არ უნდა ჰქონოდა შუა კარები და სხვა. საარჩევნო უფლება ერთმეოდათ ბინის ერთად დამქირავებლებს და საქველმოქმედო, ან სახაზინო ბინებში მცხოვრებთ. ყველაფერი ეს იყო ხელოვნურად შეკოწიწებული დაბრკოლებები და ემსახურებოდა მუშების ერთმანეთისაგან გათიშვა-განცალკევებას.

ძველი საარჩევნო კანონით, სახაზინო უწყების ყველა მოსამსახურე სარგებლობდა ქალაქის საარჩევნო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. სენატის „განმარტებით“ ეს უფლება წაერთვა რკინიგზის ყველა დაბალ მოსამსახურეს დაწყებული მემანქანიდან დამთავრებული ყარაულამდე და მეისრემდე.

1905 წლის 11 დეკემბრის კანონით არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ იმ საწარმოო-დაწესებულებების მუშებს, სადაც 50-ზე მეტი მუშა მუშაობდა. მაგრამ ახლა მათ უკვე ერთმეოდათ უფლება ესარგებლათ ცენზით, აღარ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, არც საქალაქო არჩევნებში და არც მიწათმფლობელთა სასოფლო კრებებში. ერთი სიტყვით, მუშათა საარჩევნო უფლებები ამჯერად წმინდა მუშათა კურიის საზღვრებით შემოიფარგლა.

მთავრობა მუშებს ართმევდა ხმას, ამტკიცებდა ერთ ადამიანს ერთი ხმა უნდა ჰქონდესო, თორემ ქალაქში მცხოვრებ მემამულეს რამდენიმე ხმას უტოვებდა. ამ უკანსაკნელს ძველებურად რჩებოდა უფლება მონაწილეობა მიეღო როგორც ქალაქის, ისე სოფლის მემამულეთა არჩევნებში. მემამულისათვის რამდენიმე ხმის დატოვებით, მეფემ იცოდა, რომ მემამულე

ყველა ამ ხმას მთავრობას მისცემდა, მუშას კი იმიტომ ართმევდა ხმას, რომ დარწმუნებული იყო ეს უკანასკნელი თავის ხმას მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა.

ამრიგად, ქალაქის საარჩევნო კრებიდან სენატმა თავისი „განმარტებებით“ განდევნა კერძო და სახაზინო დაწესებულებათა მუშები, საარჩევნო უფლება მოუსპო ქალაქის ყველა ღარიბს, რომლებსაც წარსულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, როგორც ბინის დამქირავებლებს.

ანალოგიურ შეზღუდვას ჰქონდა ადგილი გლეხთა საარჩევნო კრებების მიმართაც. ძველი საარჩევნო კანონის მიხედვით, სასოფლო ყრილობაზე დასწრების და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყველა გლეხს. სენატის „განმარტებით“ კი საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ოჯახის უფროსი გლეხები. ის გლეხები, რომლებსაც საკუთარი სახლ-კარი და სახნავ-სათესი ადგილები არ მოეპოვებოდათ, ან ცხოვრობდნენ სოფელში და არ ხელმძღვანელობდნენ მეურნეობას, საარჩევნო უფლებით არ სარგებლობდნენ.

ამრიგად, უმიწო გლეხები, ქალაქის მუშები და ინტელიგენცია, რომლებმაც სოფელი დატოვეს და ქალაქს მიაშურეს, თუნდაც ისინი სოფლის საზოგადების წევრები ყოფილიყვნენ, მოკლებულნი იყვნენ არჩევნებში მონაწილეობას.

სენატმა უყურადღებოდ არც მიწათმფლობელთა კრება (ყრილობა) დატოვა. 1905 წლის 11 დეკემბრის კანონით, არჩევნებში პირდაპირ, ან რწმუნებულთა მეოხებით არაპირდაპირ მონაწილეობას იღებდა ყველა მიწის მესაკუთრე, რომლებიც მიწის გადასახადს იხდიდნენ მისი სიდიდის მიხედვით. სენატის „განმარტებით“ საარჩევნო უფლება ერთმეოდათ იმ მიწიან გლეხებს, რომელთაც ადგილ-მამული საგლეხო ბანკის დახმარებით ჰქონდათ შეძენილი, ან ცხოვრობდნენ სხვის მამულში, თუნდაც ისინი მუდმივი მოიჯარადეები ყოფილიყვნენ და ადგილ-მამულიც სამუდამო სარგებლობაში ჰქონდათ. ამით მიწათმფლობელთა კრებაზე საარჩევნო უფლება მოესპოთ

კავკასიაში ხიზნებს, სოხუმის ოლქის მთელ გლეხობას და თათარ-სომეხთა პროვინციებში ყველა გლეხს, ვინც აღალარ-ბეგების, ან სომეხი მელიქების მამულში ბინადრობდნენ.

ამრიგად, მთავრობამ სენატის პირით საარჩევნო უფლება წაართვა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს და ქალაქში მცხოვრებ ყველა ღარიბ გლეხს. გლეხთა საარჩევნო კრებიდან განდევნა უმიწაწყლო გლეხები – გლეხთა წრიდან გამოსული ქალაქში გადმოსახლებული მუშები და ინტელიგენცია და ამით გლეხობას ხელმძღვანელები ჩამოაშორა. მიწათმფლობელთა კრებაზე საარჩევნო უფლება წაართვა თითქმის მთელ გლეხ-კაცობას და ამით მთელი საარეჩევნო კრება ბევრ ადგილას მხოლოდ თავადაზნაურობისა და მღვდლების ხელში დატოვა. ასეთი იყო სენატის „განმარტებების" ძირითადი შინაარსი. ამით მთავრობამ ფაქტიურად ძველი საარჩევნო კანონი ერთიანად გააუქმა და ახალი შემოიღო.[1]

თვითმპყრობელობას ძველი საარჩევნო კანონის უკუღმართად განმარტება იმიტომ დასჭირდა, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, გლეხები ბევრგან რწმუნებუ-ლებად ირჩევდნენ მათ საზოგადოებაზე მოწერილ უსახლკარო, განათლებულ ადამიანებს, რაც მეტად სახიფათო შეიქმნა მთავრობისათვის. მუშებისა და გლეხებისაგან გამოსული სწავლამიღებული ხალხი უმეტესწილად მთავრობის დაუნდო-ბელი მტრები იყვნენ. მათ პირველ სათათბიროში ბევრი უსიამოვნება მიაყენეს მინისტრებს შეკითხვებით. სენატის „განმარტებები" ემსახურებოდა იმას, რომ ახალი მოწვევის სათათბიროში გზა გადეკეტათ თვითმპყრობელური რეჟიმის მოწინააღმდეგე დეპუტატებისათვის.[2]

მთავრობამ სენატის „განმარტებებს" მალე ახალი საარჩევნო წესები მიაყოლა. რომელსაც უნდა უზრუნველეყო მთელი

---

1. „ტალღა", 1906, №18
2. „ზარი", 1906, №1

საარჩევნო პროცესის სასურველი კალაპოტით წარმართვა. იგი შესანიშნავად ხელუდავდა ამომრჩეველთა თავისუფალ მოქმედებას, კრძალავდა აგიტაციას, უძნელებდა დემოკრატიულ პარტიებს მუშაობას, დიდ უფლებებს ანიჭებდა პოლიციას.

არჩევნების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის თავადაზნაურობაც დიდად იყო დაინტერესებული. საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ სრულიად რუსეთის გაერთიანებულ თავადაზნაურთა საზოგადოებამ, მისმა მუდმივმოქმედმა საბჭომ საინსტრუქციო წერილი გაუგზავნა გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლებს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პირველ სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობას მემარცხენე ძალები შეადგენდნენ. კონსერვატიული ელემენტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ამის გამო, ეს დაწესებულება მთავრობას დაუპირისპირდა. სათათბიროს სასურველი შემადგენლობისათვის საჭირო იყო არჩევნების მაჟორიტარული პრინციპის პროპორციული პრინციპით შეცვლა. ამის თაობაზე წერილის ავტორები ითხოვდნენ გუბერნატორების დასკვნას.[1]

1906 წლის ნოემბრიდან კავკასიაში დაიწყო წინაასაარჩევნო მზადება: იქმნებოდა საარჩევნო კომისიები, დგებოდა ამომრჩეველთა სიები, ბეჭდავდნენ ბიულეტინებს. ამომრჩეველთა სიებს ადგენდნენ როგორც ოლქის და მაზრის უფროსები, ისე ქალაქის საბჭოები (თითმმართველობები).

თბილისის გუბერნიაში სამაზრო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა შემადგენლობა ადრინდელთან შედარებით, საფუძვლიანად შეიცვალა. თბილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიის თავჯომარედ, ისე როგორც წინათ, დაინიშნა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ლემერმანი. სამაზრო კომისიების თავმჯდომარეებად დაინიშნენ ოლქის სასამართლოს წევრები: თბილისის მაზრაში – კოვაჩი, გორის მაზრაში – ტარსაიძე, დუშეთის მაზრაში – რიბინი, სიღნაღის მაზრაში – ერმოლაევი,

1. სსცია, ფ.214, საქმე 2850, ფურც.35

თელავის მაზრაში – ა. ჭავჭავაძე, თიანეთის მაზრაში – მაგიურა, ახალციხის მაზრაში – პრიმო, ბორჩალოს მაზრაში – კუსიკოვი, ზაქათალის ოლქში – პადალკო. კომისიის წევრებად დაინიშნენ აღნიშნული მაზრების მომრიგებელი შუამავალნი.[1]

თბილისში ქალაქის ამომრჩეველთა სიაში, შეტანილი იყო, 33,934 ამომრჩეველი, ქუთაისში – 8.578 ამომრჩეველი, ბათუმში – 2.225 ამომრჩეველი. წინა არჩევნებთან შედარებით თბილისში საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 5.000 კაცით მეტი, ქუთაისში – 2.625 კაცით მეტი, ბათუმში – 600 კაცით მეტი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ამომრჩეველი სიიდან იყო გამოტოვებული. მაგალითად, თბილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიამ მოქალაქეთა 1000-ზე მეტი საჩივარი მიიღო, სადაც ითხოვდნენ საარჩევნო სიებში შეტანას.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასაარჩევნო კამპანია კავკასიასა და საქართველოში 1906 წლის ნოემბრიდან დაიწყო, მაგრამ ამ დროისათვის არც კავკასიაში და არც რუსეთში ცნობილი არ იყო არჩევნების ჩატარების დრო. დიდი ყოყმანის შემდეგ მთავრობამ 1906 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დაწყების ნება დართო, მაგრამ ამ ბრძანებაში არ იყო კავკასია და პოლონეთი. ხელისუფლება ამ მხარეებში განგებ აბრკოლებდა არჩევნების დანიშვნას. ამის მიზეზი ის იყო, რომ მთავრობას მაინცდამაინც არ ჰქონდა გამარჯვების იმედი შიდა რუსეთში, გრძნობდა რომ სათათბირო ისევ ოპოზიციური იქნებოდა და არ უნდოდა თავიდან გაერთულებინა საქმე კავკასიისა და პოლონეთის წარმომადგენლების დასწრებით, რომელნიც მისი აზრით, უეჭველად მემარცხენეები იქნებოდნენ. ასეთი მანევრით იგი ფიქრობდა ჯერ შიდა რუსეთის ოპოზიციას გამკლავებოდა და შემდეგ მთელი ძალით ახლად მოსულებს შებმოდა.[3]

---

1. „მეგობარი", 1906, №49
2. „ისარი", 1906, №7
3. „მეგობარი", 1906, №63

1906 წლის 8 დეკემბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ პოლონეთსა და დონის გუბერნიაში. ამ ადგილებში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტაციის არჩევნები დაინიშნა 6 თებერვალს. ეს უმაღლესი ბრძანება არ ეხებოდა კავკასიას, თურქესტანს, კასპის იქეთა მხარეს, შუა აზიის ოლქებს და ციმბირს.

კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დაწყებას მთავრობა არ ჩქარობდა. მხოლოდ 1907 წლის 11 იანვარს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, რომლის ძალით გლეხთა რწმუნებულის, წვრილ და მსხვილ მემამულეთა, მუშათა და ქალაქის მცხოვრებთა წინასწარი საარჩევნო კრებები ძირითადად 11 იანვარის მომდევნო რიცხვებში უნდა ჩატარებულიყო, ხოლო საგუბერნიო და საოლქო კრებები სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ასარჩევად, ისე როგორც რუსეთში, იმავე წლის 6 თებერვალს.[1]

ამრიგად, მთავრობის ბრძანების გამოქვეყნებას მაშინვე არჩევნების დაწყება მოჰყვა. ეს ხელისუფლებამ განგებ გააკეთა, მას სურდა გაუგებრობა შეეტანა ამომრჩეველთა შორის, საარჩევნო ვადების მოულოდნელი დანიშვნით არ მიეცა ხალხისათვის მომზადების და მოლაპარაკების საშუალება. ამის გამო, არჩევნები ბევრგან შეუმჩნეველად ჩატარდა. მაგალითად, გორში 13 იანვარს შემდგარ წვრილ მემამულეთა კრებას 300 კაცის ნაცვლად 13 კაცი დაესწრო, რადგან გლეხობამ არ იცოდა კრების ჩატარების დრო. თბილისის მაზრაში, პირველი უბნის წვრილ მემამულეთა კრებაზე, რამდენიმე ასეული კაცის მაგიერ მხოლოდ სამი კაცი მოვიდა. არადა, ხსენებულ მაზრაში ამ დროს 3.000 მიწათმფლობელიდან 1700 წვრილი მიწათმფლობელი იყო. რაჭა-ლეჩხუმში მოსახლეობამ არჩევნების შესახებ არაფერი იცოდა. ეს მხოლოდ აქ გავრცელებული პროკლამაციით გახდა ცნობილი. გარე კახეთის წვრილ მიწათმფლობელთა

1. „Кавказъ", 1906, №16.

კრებას 15 იანვარს მხოლოდ 38 კაცი დაესწრო, რადგან გლეხებს დროზე არ შეატყობინეს არჩევნების ჩატარების თარიღი.[1]

მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა თავის მომხრე კანდიდატების ასარჩევად. ამ მიზნით პოლიციას და თავის აგენტებს ადგილებზე უგზავნიდა ინსტრუქციებს. ერთ-ერთ ასეთ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ არ აერჩიათ კარგი ორატორები, ისეთი ამომრჩეველებისათვის მიეცათ ხმა, რომლებიც მთავრობის მიერ შექმნილ ყოველ კანონ-პროექტზე თანხმობას განაცხადებდნენ.[2]

უნდა ითქვას, რომ მეფის რეჟიმის მომხრეები ამ დავალების შესრულებისათვის ენერგიულად ზრუნავდნენ. მთავრობის მოხელეები სოფლებში ადგენდნენ იმ პირთა სიებს, რომელნიც ერთ დროს ქალაქად მუშაობდნენ. ამით ადმინისტრაციას სურდა მათი ზედამხედველობაში მოქცევა, საარჩევნო უფლების წართმევა და რევოლუციისაგან სოფლის ჩამოშორება.

მსგავს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი თბილისშიც. ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი ქალაქის თავს ვ.ჩერქეზიშვილს აცნობებდა, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი ისეთ ბიულეტენს ღებულობდა, რომ იქ წინასწარ იყო ჩაწერილი ასარჩევი კანდიდატების გვარები.[3] არც ქუთაისი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. პოლიციის მიერ ამომრჩეველებისათვის სახლში მიტანილ ბიულეტენში ხშირად უკვე მითითებული იყო იმ ასარჩევ პირთა ვინაობა, ვისთვისაც ბიულეტენის მიმღებთ უნდა მიეცათ ხმა.[4] ბათუმში 9 და 10 ნოემბერს ქალაქის გამგეობას დიდძალი ხალხი მიაწყდა, რომელიც თხოულობდა საარჩევნო სიებში შეტანას. ამის გარდა, სახელმწიფო დაწესებულებებში ბევრ მოსამსახურეს მოსდიოდა წერილი, სადაც უთითებდნენ, რომ

---

1. „ისარი", 1906, №№9,16; „მეგობარი", 1906, №73
2. „ტალღა", 1906, №14
3. „Кавказъ", 1906, №16.
4. „ისარი", 1906, №№21

ამა და ამ პარტიას მიეცით ხმაო.[1]

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინ საქართველოში კვლავ დიდი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ პარტიებს შორის ბლოკის საკითხმა. ფედერალისტები და მათი პრესა ისევ დიდ ყურადღებას უთმობდნენ პარტიების შეთანხმების საკითხს, ემხრობოდნენ მონათესავე პარტიებთან ერთად მოქმედების იდეას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „მეგობარი", სადაც აღნიშნულ საკითხზე 1906 წელს დაიბეჭდა წერილების სერია საერთო სათაურით: „მომავალი არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა". ერთ-ერთი წერილი გამოქვეყნდა გაზეთის მეთერთმეტე ნომერში. მისი ავტორი მხარს უჭერდა ისეთ მონათესავე პარტიასთან კავშირს, რომელსაც ხალხში მტკიცე დასაყრდენი ჰქონდა, ის პარტიები არ მიაჩნდა ნაძლეილად, რომელნიც ბიულეტენების ჩაყრის შემდეგ წყვეტდნენ არსებობას. ასეთ პარტიებს იგი პოლიტიკურ პარტიებს კი არა, საარჩევნო კომისიებს უწოდებდა.

პუბლიცისტის შენიშვნით, რა თქმა უნდა, პარტიისათვის „ცალკე მოქმედება სჯობს, თუნდაც ამ ცალკე მოქმედების წყალობით პარტიამ ვერცერთი თავისი კანდიდატი ვერ გაიყვანა. სჯობია იმიტომ, რომ საარჩევნო აგიტაციის დროს პარტიას ახალი წევრების შეძენა და თავისი პროგრამის პროპაგანდა შეუძლია ხალხში, მაგრამ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს „განმათავი- სუფლებელი მოძრაობის ინტერესს, რომელმაც კონკრეტული პირობების მიხედვით შეიძლება მოითხოვოს ერთგვარი ხასიათის პარტიათა საარჩევნო ბლოკი".

ეხება რა პარტიათა სიახლოვის საკითხს, კერძოდ იმას, თუ ვისთან შეიძლება ბლოკი, წერილის ავტორი ხაზს უსვამს, რომ „საქართველოში, მოქმედ პარტიათა შორის, ჩვენთან (ფედერა-

1. „ტალღა", 1906, №27

ლისტებთან-ი.გ.) ყველაზე მეტი ნათესაობა სოციალ-დემოკრატიას აქვს.

ამიტომ იქ, სადაც ჩვენი პარტია განცალკევებული საარჩევნო კამპანიის მოწყობას ხელსაყრელად არ ცნობს, იმ მოსაზრებით, რომ ამას შეიძლება მოყვეს განმათავისუფ- ლებელი მოძრაობის დაქსაქსვა რეაქციონერების სასიხარულოდ, იქ პარტიამ სოციალ-დემოკრატიასთან ერთად უნდა იმოქმედოს".

ფედერალისტებს შორის ტაქტიკის საკითხში ერთსულოვნება არ არსებობდა, ამიტომ ამ პარტიის ცალკეული წევრები, თუ ჯგუფები, სოციალ-დემოკრატებთან ბლოკს სხვადასხვანაირად უყურებდნენ. როგორც უკვე დავინახეთ, ზოგი მხარს უჭერდა მათთან საარჩევნო კავშირს, მაგრამ ამასთან ერთად, ზოგი ამის წინააღმდეგი იყო.

„მეგობარში" გამოქვეყნებულ წერილს სოციალ-დემოკრატებთან ფედერალისტების ბლოკის შესახებ, იმავე გაზეთში მალე მოპყვა საპასუხო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა „იმერელი ამომრჩეველი". რედაქცია შენიშნავდა, რომ წერილს კი ბეჭდავდა, მაგრამ არ იზიარებდა ავტორის მიერ გამოთქმულ ცალკეულ აზრს და მოტანილ საბუთს.

„იმერელი ამომრჩეველი" არ ეთანხმება გაზეთ „მეგობრის" 1906 წლის მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებული წერილის ავტორის აზრს იმის თაობაზე, რომ მომავალ არჩევნებში ფედერალისტებს საარჩევნო ბლოკი შეეკრათ სოციალ-დემოკრატებთან, იმის გამო, რომ თითქოს ამ პარტიას ყველაზე მეტი ნათესაობა სოციალისტ-ფედერალისტებთან ჰქონდა. სოციალ-დემოკრატებთან ფედერალისტების ბლოკის შეუძლებლობის მიზეზი მისი აზრით, ჯერ ერთი, მდგომარეობდა იმაში, რომ სოციალ-დემოკრატები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ლანძღავდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს, უწოდებდნენ მათ ბურჟუებსა და ფეოდალების პარტიას. მეორე, და მთავარი კი, ის იყო, რომ ხსენებულ პარტიებს შორის ნათესაობასთან ერთად, თვალში

საცემი განსხვავებაც არსებობდა: ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას, ანუ დეცენტრალიზაციის პრინციპებს იცავდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები – რუსეთის მთლიანობის, ანუ ცენტრალიზაციისას.

„იმერელი ამომრჩეველი", მართალია, უარყოფს ბლოკს სოციალ-დემოკრატიასთან, მაგრამ სამაგიეროდ მხარს უჭერს ფედერალისტების კავშირს სხვა მემარცხენე პარტიასთან, აღნიშნავს, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ფედერალისტური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციამ ორი შეცდომა დაუშვა. ერთი ის, რომ არჩევნებს გამოუცხადეს ბოიკოტი, ხოლო მეორე ის, რომ კავშირი არ შეკრეს სხვა მემარცხენე პარტიასთან და მოინდომეს მარტო მოქმედება. ავტორის თქმით, ფედერალისტებს, რომ ბლოკი შეეკრათ კადეტებთან, მაშინ ქუთაისში დეპუტატად მათი ორი კაცი მაინც გავიდოდა. ამის გამო, იგი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მსგავსი შეცდომა არ დაეშვათ მომავალში, ყველა მემარცხენე პარტია გაერთიანებულიყო და ერთიანი ძალით ებრძოლათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შემდეგ წერილის ავტორი მიუთითებს, რომ მართალია, ყველა მემარცხენე ქართული პარტიის მიზანს თვითმპყრობელობის მოსპობა შეადგენს, მაგრამ ამ ფაქტს ხსენებული პარტიებისათვის სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენთვისო, – ხაზს უსვამს იგი, – „თანამედროვე რეჟიმის შეცვლას ექნება მნიშვნელობა მაშინ, როდესაც იგი მოხდება დეცენტრალიზაციის პრინციპით. თუ ეს არ მოხდა, მაშინ რუსეთის რეჟიმის შეცვლა ვერ იქნება ნაყოფიერი მომავლისათვის. ამიტომ მომავალ არჩევნებში ჩვენ უნდა შეეერთდეთ იმათთან, ვისაც სურს საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობა".

ასეთ პარტიებად „იმერელ ამომრჩეველს" თბილისური ქართული დემოკრატიული და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიები მიაჩნია. იგი არ უარყოფს წინა არჩევნებში ფედერალისტებისა და ქართველი დემოკრატების ბლოკის დამარცხების

ფაქტს, მაგრამ თელის, რომ დამარცხება მოხდა არა ეკონომიკური პროგრამის მიზეზით, არამედ პოლიტიკური პროგრამის გამო, რადგან ეს პროგრამა საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. ავტონომია კი ისეთი გახურებული შანთი იყო, რომ მისი წითელი ფერი სიგიჟეს ჰგვრიდა ყველა ცენტრალისტს, პირველ რიგში სოციალ-დემოკრატიას. ამიტომ ავტორის შენიშვნით, ქართული სოციალ-დემოკრატია ნამდვილი რუსული პარტია იყო.

დასასრულს წერილის ავტორი მოუწოდებს ფედერალისტებს დღენიადაგ ემზადონ მომავალი არჩევნებისათვის, დაიჭირონ ფართო და საფუძვლიანი კავშირი ქართულ დემოკრატიულ პარტიებთან, გამოუცხადონ ბრძოლა ყველა ცენტრალისტს, რადგან „ყოველგვარი ცენტრალიზმი, სოციალისტურია თუ სხვაგვარი, არის ბორკილი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისა, არის სულთამხუთავი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, არის უძლიერესი კეტელი აღმართული იმ გზაზედ, რომელსაც მიყავს საერთო ბედნიერებისაკენ ხალხი“.[1]

სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის ბლოკის საკითხი სადაო გახდა მათი ბრძოლის მეთოდების გამოც. სოციალ-დემოკრატები თავიანთ ბრძოლაში მთავარ ყურადღებას ფიზიკური ძალის გამოყენებას უთმობდნენ, ფედერალისტებს შორის კი ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა: ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ფიზიკური ძალის გამოყენებას, ხოლო მეორე ნაწილი ფიზიკური ძალის აბსოლუტიზაციის წინააღმდეგი იყო და უპირატესობას პარლამენტურ ბრძოლას ანიჭებდა.

ამასთან დაკავშირებით, „იმერელი ამომრჩევლის“ პასუხს „მეგობარში“ მოჰყვა პასუხის პასუხი. წერილის ავტორი არ ეთანხმება მის შეხედულებებს სოციალ-დემოკრატებთან საარჩევნო ბლოკის უგულვებელყოფის შესახებ, მოითხოვს ყველა

1. „მეგობარი“, 1906, №23.

უკიდურესი მემარცხენე პარტიის გაერთიანებას და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიანი ფიზიკური ძალის გამოყენებას. მისი აზრით, ფიზიკური ძალის გამოყენების ტაქტიკა განაპირობებს ყველა უკიდურესი მემარცხენე პარტიის და მათ შორის სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ნათესაობას.

სტატიის ავტორი ხაზს უსვამს, რომ უკიდურეს მემარცხენე პარტიებს გარდა, საქართველოში არის არაუკიდურესი მემარცხენე პარტიებიც, რომელთა ტაქტიკა ფიზიკური ძალის გამოყენების ნაცვლად, საზოგადოებრივი აზრით ფიქრობს თვითმპყრობელობაზე ზემოქმედებას და მასზე გამარჯვების მოპოვებას. ასეთებია კადეტები და ქართველი დემოკრატები. ამიტომ უკიდურესმა მემარცხენე პარტიებმა მათთან კავშირი არ უნდა დაამყაროს, შეთანხმება მხოლოდ უკიდურეს მემარცხენე პარტიებს შორის უნდა მოხდეს, ისინი არიან ნამდვილი ოპოზიციაო. თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდება, მაშინ რეაქცია ადვილად გაუსწორდება თითოეულ პარტიას, მათ წარმომადგენლებსაც ისე ადვილად გარეკავს პარლამენტიდან, როგორც გარეკა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებიო.

„იმერელი ამომრჩეველის“ ოპონენტის აზრით, პარტიათა ერთად მოქმედება ტაქტიკის საკითხია. ტაქტიკის მსგავსება პარტიათა პროგრამების გარკვეული ნაწილის მსგავსების დამადასტურებელია. ასეთ საერთო სამოქმედო ინტერესს სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის წარმოადგენდა ის, რომ ორივე პარტია მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის იბრძოდა და ორივეს ავტოკრატიული მმართველობის გაუქმება მიაჩნდა არსებული მომენტის ისტორიულ დანიშნულებად.

წერილის ავტორს, სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის შეთანხმების ხელისშემშლელ მიზეზად საქართველოს ავტონომიის საკითხი არ მიაჩნდა. მისი აზრით, არსებულ სიტუაციაში მთავარი იყო თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრის ერთიანი ძალით დანგრევა და ამის გამო,

აუცილებლობას არ წარმოადგენდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში აღიშნული პარტიების ურთიერთდაპირისპირება.[1]

„იმერელი ამომრჩეველის“ ოპონენტს მალე ამოუდგა გვერდში „Cz“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი. გაზეთ „მეგობარში“ გამოქვეყნებულ წერილებში იგი მკვეთრად უსვამდა ხაზს სოციალ-დემოკრატებთან ფედერალისტების კავშირის შესაძლებლობას და ფიზიკური ძალის გამოყენების საჭიროებას რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფიზიკური ძალის გამოყენების იდეას არ იზიარებდა „იმერელი ამომრჩეველი“, იგი უპირატესობას ბრძოლის მშვიდობიან და ლეგალურ საშუალებას ანიჭებდა, რის გამოც წერდა;“ დუმა, გინდ პარლამენტი, სრულიადაც არ არის „ფიზიკური ძალის“ ასპარეზი, ეს ერთადერთი ლეგალური იარაღია ზოგიერთი იდეალის განსახორციელებლად. შეიძლება პარლამენტი შეიქმნეს საქმეში ფიზიკური ძალის ჩარევის ინიციატორად, შეიქმნეს ისეთ მწვავე ხანებში, როგორსაც დღეს რუსეთი განიცდის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში „ფიზიკური ძალა“ გამოდის სცენაზე მაშინ, როცა „ლეგალური“ თავდება და თავის დღეში თავისთავად „ლეგალური“ მოქმედების ასპარეზი „ფიზიკური ძალის“ სცენად ვერ გადაიქცევა.“

„იმერელი ამომრჩეველი“ გმობს ისეთ პარტიებს, რომელთაც მარტო ფიზიკური ძალა მიაჩნდათ თავიანთი პოლიტიკური და სოციალური იდეალების განხორციელების საშუალებად და უარყოფენ პარლამენტურ მოქმედებას. მისი თქმით, სოციალისტ-ფედერალისტები ისეთ პარტიას ეკუთვნიან, რომელიც არ არის იმის მიმდევარი, რომ ყოველ წუთს ფიზიკური ომი აწარმოოს. ამიტომ, ვინც ბრძოლას არ ემხრობა, ის ისეთ სხვა პარტიას უნდა შეუთანხმდეს, ვისთანაც შეთანხმება შეიძლება და ვისაც ლეგალური ბრძოლა გაუხდია მოქმედების ტაქტიკად. წერილის ავტორი არც იმ აზრს უჭერს მხარს, რომ თითქოს სოციალისტ-

1. „მეგობარი“, 1906, №25

ფედერალისტები, ისე როგორც სხვა მემარცხენე პარტიები, სათათბიროში სალაყბოდ მიდიან და განმარტავს, რომ სოციალისტ-ფედერალისტები სათათბიროში მიდიან დამფუძნებელი კრების მოწვევის, კანონების შემუშავების, პარლამენტური წყობისა და დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით.

ამის გარდა, „იმერელ ამომრჩეველს" სათათბიროს ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად განაპირა ქვეყნის ბედის გადაწყვეტა მიაჩნია. მისი აზრით, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ იმპერიაში შემავალ ეროვნულ ერთეულებს ავტონომიის უფლებები მიენიჭებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთში თუნდაც რესპუბლიკა დაარსეს, არც ერთი განაპირა ქვეყნისათვის ის ხელსაყრელი არ იქნება. სოციალ-დემოკრატები ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ასეთ შემთხვევაში ისინი ფედერალისტების მოკავშირეები ვერ იქნებიან, რადგან სათათბიროში წინ აღუდგებიან ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნასო.

თავისი ახალი ოპონენტის საწინააღდეგოდ, რომელიც სათათბიროს „სალაყბოს" უწოდებდა, „იმერელი ამომრჩეველი" აღნიშნავს, რომ „სოციალ-ფედერალისტები სახელმწიფოებრიობას უარსა ჰყოფენ, პარლამენტურ „ლაყბობას" იღებენ, ვითა ერთ-ერთ გარდამავალ საშუალებას იდეალის მისაღწევად. ამ საშუალებას – პარლამენტურ ბრძოლას, სოციალ-ფედერალისტები იღებენ ვითა აუცილებელ ჭირს, რომელიც უნდა გამოიყენონ მომავალი იდეალების განსახორციელებლად. ჩვენ ვიცავთ მშრომელი ხალხის ინტერესებს და ჩვენი პარტია უარყოფს ყოველგვარ დიქტატურას, ვისიც არ უნდა იყოს ეს დიქტატურა. სოციალ-დემოკრატია კი, მხოლოდ პროლეტარიატის, ე.ი. ქარხნის მუშათა კლასის წარმომადგენლად ხდის თავს და დიქტატურობას მოწიწებით თაყვანს სცემს, რაც სრულ ჰარმონიაშია მათ ცენტრალურ სულისკვეთებასთან". ყოველივე ამის გამო, წერილის ავტორი შეცდომად თვლის ოპონენტის აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს სოციალისტ-ფედერალისტებსა

და სოციალ-დემოკრატებს შორის „ერთაზროვნება“ არსებობდეს.

„იმერელი ამომრჩეველის“ აღნიშვნით, საქართველო უნდა გადაიქცეს თავისებურ შვეიცარიად, რომლის კანტონები ისტორიულად უკვე შექმნილია. ესენი არიან: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, ოდიში, სვანეთი და აფხაზეთი. გარდა ამისაო, წერს ავტორი, ჩვენ ყველა მშრომელის განთავისუფლებას ვფიქრობთ, სოციალ-დემოკრატები კი – მხოლოდ ქარხნის მუშებისას. მათ მარტო ისინი მიაჩნიათ გაძარცვულებად, სხვები კი არა. ასეთი ძირითადი განსხვავების გამო, სოციალისტ-ფედერალისტებს სოციალ-დემოკრატებთან არავითარი კავშირის დაჭერა არ შეუძლიათო.

ამასთან ერთად, „იმერელი ამომრჩეველი“ მთლიანად არ გამორიცხავს ფიზიკური ძალის გამოყენების და სოციალ-დემოკრატიასთან ფედერალისტების ბლოკის შესაძლებლობას, მაგრამ მისი აზრით, ეს მოხდება მხოლოდ უნებლიედ, პარტიებს შორის რაიმე წინასწარი შეთანხმების გარეშე, შექმნილი ვითარების გამო. საერთოდ კი, პუბლიცისტი მტკიცედ დგას ძველ პოზიციაზე და გაფრთხილებას იძლევა, რომ ფედერალისტები ვერც მომავალ მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში დაიჭერენ კავშირს სოციალ-დემოკრატებთან, საჭიროა სხვა მემარცხენე პარტიებთან შეთანხმება, თუ არ გვინდა წარსული შეცდომის გამეორებაო.[1]

„იმერელი ამომრჩეველის“ და „Gz“ წერილებს გაზეთ „მეგობარში“ მოჰყვა ანონიმი ავტორის კრიტიკული წერილი, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ ზემოთხსენებულ ავტორთა შეხედულებებიდან არცერთი არ იყო სწორი. წერილის ავტორს არასაკმარისად მიაჩნია „Gz“ მტკიცება იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატებთან შესაძლებელი იყო სოციალისტ-ფედერალისტების ბლოკი აღნიშნულ პარტიათა პროგრამული ნათესაობის, და უპირველეს ყოვლისა, ორივეს მიერ თვითმპყრობე-

1. „მეგობარი“, 1906, №32.

ლობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროების აღიარების გამო, რადგან მისი თქმით, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძვიან კადეტებიც და რადიკალებიც, და ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელნიც სოციალისტური პარტიების მონათესავენი ყოფილანო.

წერილის ავტორის შენიშვნით, თვით სოციალ-დემოკრატების მოქმედება და პროგრამა ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმს, რის გამოც ეს პარტია უფრო ბურჟუაზიული იყო, ვიდრე სოციალისტური. ამიტომ სოციალ-დემოკრატებს არაფერი ჰქონდათ საერთო ფედერალისტებთან, რომლებიც სოციალიზაციას იცავდნენ.

გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატები მომხრენი იყვნენ ცენტრალიზაციისა, ხოლო ფედერალისტები – დეცენტრალიზაციისა. განსხვავება იყო ტაქტიკურ და ეროვნულ საკითხებშიც. ყოველივე ამის გამო, ავტორის დასკვნით, სოციალისტ-ფედერალისტების პარტია არ იყო სოციალ-დემოკრატების მონათესავე. ამიტომ სოციალისტ-ფედერალისტებთან კი არ უნდა შეეკრათ ბლოკი, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებთან (ესერებთან – ი.გ.), ისინი იყვნენ მისი მონათესავენი. მართალია, ხსენებული პარტია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ ამისი არ უნდა შეშინებოდათ. თუ ესერებთან ვერ შეკრავდნენ კავშირს, მაშინ ფედერალისტები საარჩევნო კომპანიაში ცალკე უნდა გამოსულიყვნენ.[1]

სოციალისტ-ფედერალისტების მიერ სოციალისტ-რევოლუციონერებთან საარჩევნო კამპანიაში ერთიანი ბლოკით გამოსვლის მოთხოვნა არ იყო შემთხვევითი. ესერების პროგრამა ეროვნულ საკითხში ახლოს იდგა ფედერალისტების პროგრამასთან. კერძოდ, სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამა აღიარებდა რუსეთის მომავალ რესპუბლიკაში შემავალი ერებისათვის ავტონომიურ და ფედერაციულ მოწყობას და თვითგამორკვევის უფლებას.

1. „მეგობარი“, 1906, №№42,43

ეროვნულ საკითხში ფედერალისტების პროგრამასთან რამდენადმე ახლოს იყო კადეტების პროგრამაც. ამ უკანასკნელთ, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებლად მიაჩნდათ საოლქო ავტონომიის შემოღება და საოლქო წარმომადგენლობითი კრების არჩევა, რომელსაც ექნებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრის უფლება. ამასთან ერთად, ავტონომიის იდეის განხორციელებას მთელი იმპერიის მასშტაბით კადეტები პრაქტიკულად შეუძლებლად თვლიდნენ. ამიტომ საოლქო ავტონომიის შემოღება, მათი აზრით, უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ იმპერიის იმ ნაწილში, სადაც ამის მოთხოვნა აღმოჩნდებოდა. და მაინც ყოველივე ეს, კადეტებისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით და ორჭოფულად იყო ნათქვამი. ისინი უპირატესობას საბოლოოდ ხალხთა კულტურულ თვითგამორკვევას ანიჭებდნენ.

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიძლიერე და გავლენა, ამასთან მისი დამოუკიდებლად მოქმედების პრინციპზე მტკიცედ დგომა, აიძულებდა ფედერალისტებს ერთიანი საარჩევნო ბლოკით გამოსულიყვნენ სხვა მონათესავე პარტიებთან, მათ შორის ესერებთან და კადეტებთან.

პარტიათა ბლოკის შესახებ კამათი სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა. ფედერალისტური მიმართულების გაზეთ „მეგობრის“ გვერდით პაექრობაში ჩაერთო სოციალ-დემოკრატების ბეჭდვითი ორგანო „ტალღა“. მან დაიწყო პარტიათა ბლოკის საკითხის ცალკეული თეორიული ასპექტების ერთგვარი დამუშავებაც.

„ტალღა„ ერთმანეთისაგან განასხვავებდა პარტიებს შორის ზოგადი შეთანხმების და მჭიდრო ბლოკის ტაქტიკას. გაზეთის შენიშვნით, ზოგადი შეთანხმება დროებითია. ამ დროს პარტია დამოუკიდებელი რჩება და ნებისმიერი სხვა პარტიის კრიტიკის საშუალება აქვს. მჭიდრო ბლოკის ტაქტიკა კი გულისხმობს სხვა რევოლუციურ პარტიასთან ერთად საერთო საარჩევნო

პლატფორმის მიღებას და საერთო კანდიდატისათვის მხარდაჭერას. ასეთ დროს პარტია დამოუკიდებლობას კარგავს. ამიტომ პარტიამ უნდა განახორციელოს ზოგადი შეთანხმების ტაქტიკა, როგორც არჩევნების დროს, ისე სათათბიროში და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა.[1]

ზოგადი შეთანხმების პროინციპის საფუძველზე „ტალღა" მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავშირს სხვა ოპოზიციურ პარტიასთან არჩევნების სხვადასხვა საფუძველზე მხოლოდ რუსეთში, იმ მოტივით, რომ იქ მეფის მომხრე რეაქციული ძალები ძლიერია. „ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ, – წერდა გაზეთი, – სხვა პროგრესულ პარტიებს იქ, სადაც საკუთარი ძალები შედარებით სუსტია და საკუთარი კანდიდატის გაყვანის იმედი არა გვაქვს. სამაგიეროდ მათი დახმარებით გავიყვანთ ჩვენს კანდიდატებს იქ, სადაც ისინი ჩვენზე შედარებით სუსტი არიან. შეთანხმების მიზანია სასურველი დეპუტატის გაყვანა".[2]

ამასთან ერთად, „ტალღა" ამიერკავკასიასა და საქართველოში, სოციალდემოკრატიული პარტიის სხვა მემარცხენე პარტიებთან შეთანხმების ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავდა, ამტკიცებდა, რომ აქ მთავრობის მომხრე რეაქციული ძალები უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე რუსეთში. მათ არ შეუძლიათ საარჩევნო კამპანიაზე რაიმე კვალის დაშჩნევა და მითუმეტეს საკუთარი დეპუტატობის კანდიდატის გაყვანა. ამის გამო, გაზეთის აზრით, ამიერკავკასიასა და საქართველოში ასპარეზი პროგრესულ პარტიებს რჩებოდათ. მათ შორის მშრომელთა ნამდვილი პარტია მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იყო, ხოლო დანარჩენი – ბურჟუაზიისა. ბრძოლა სწორედ მათ შორის გაიმართებოდა. ამიტომ საარჩევნო შეთანხმება სოციალ-დემოკრატებსა და სხვა მემარცხენე პარტიებს შორის ყოველად დაუშვებელი იყო.[3]

---

1. „მეგობარი", 1906, №№40,41
2. „ტალღა", 1906, №19
3. იქვე

უფრო მეტიც, სოციალ-დემოკრატები თვით ფედერალისტებს ურჩევდნენ, თუ ისინი მართლა სოციალისტები იყვნენ, არავისთან შეეკრათ კავშირი და სახელმწიფო სათათბიროს მომავალ არჩევნებში არ გამოსულიყვნენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ყველა პარტიას დამოუკიდებლად ემოქმედა.[1] მსგავს შეხედულებებს ავითარებდნენ ბლოკის საკითხზე აღნიშნული პარტიის სხვა გაზეთებიც.

1907 წლის იანვრიდან საქართველოში დაიწყო საარჩევნო კამპანია, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, მათ შორის ბოლშევიკებიც ამ უკანასკნელთა შორის, მეორე სათათბიროს არჩევნების წინ, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. უმრავლესობა კვლავ ბოიკოტს ემხრობოდა, მაგრამ როცა ლენინმა მხარი დაუჭირა სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობას, ბოლშევიკებმა შეცვალეს თავისი პოზიცია და არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეს. მათ სურდათ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნა გამოეყენებინათ რევოლუციური ინტერესებისადა მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის მხილებისათვის. ამასთან, ლენინმა მხარი დაუჭირა ბლოკსაც ტრუდოვიკებთან, ესერებთან და სხვა მემარცხენე პარტიებთან კადეტების წინააღმდეგ.[2]

პოლიტიკური პარტიები ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ მოწოდებებს ამომრჩეველებისადმი, ითხოვდნენ მხარდაჭერას. ამომრჩეველებისადმი გათვალისწინებული მოწოდებები თავის ადგილს პოულობდა პოლიტიკური პარტიების პლატფორმებშიც. „ჩვენ ვიწვევთ ამომრჩეველებს, – წერდა ფედერალისტების ორგანო „მეგობარი“, – ხმა მისცენ ჩვენი პარტიის და იმ პარტიების კანდიდატებს, რომელთაც ჩვენ შევუთანხმდებით, რადგან ვიცით, რომ სახელმწიფო სათათბიროში სოციალისტ-ფედერალისტების და ჩვენი მოკავშირე პარტიების დეპუტატები მედ-

1. „მეგობარი“, 1906, №98

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ.211-212

გრად იბრძოდნენ დღევანდელი ცხოვრების აუტანელი პირობების შესაცვლელად და თავისუფლების დასამყარებლად".[1]

ისე, როგორც წინა არჩევნებში, პოლიტიკური პარტიები არც ახლა ერიდებოდნენ ამომრჩეველთა დაშინებას და მუქარას, დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს მათი გადაბირებისათვის. ხშირად პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში ნაციონალური ელფერით იმოსებოდა. მაგალითად, მეორე სათათბიროს არჩევნების დროს, თბილისში ერთმანეთს უპირისპირდება სოციალ-დემოკრატიული პარტია და „დაშნაკცუნი". ეს უკანასკნელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანია, სომხებსა და ქართველებს შორის ბრძოლად გადაექცია, არ სურდა დაენახა სომეხთა კლასებად დაყოფა, ბურჟუაზიიდან სომეხი პროლეტარიატის გამოყოფის ფაქტი, რომელიც ყველა ეროვნების პროლეტარიატის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა.[2]

1907 წლის 28 იანვარს გაიმართა ქ.თბილისის 80 ამომრჩევლის არჩევნები, რომელთაც შემდეგ უნდა აერჩიათ სახელმწიფო სათათბიროს 1 დეპუტატი. პარტიებს შორის ხმები ასე განაწილდა: 1.სოციალ-დემოკრატიული პარტია – 7.987 ხმა; 2. „დაშნაკცტუნი" – 4.359 ხმა; 3. „პატრიოტები" – 1.455 ხმა; 4.კადეტები – 588 ხმა; ხნჩაკისტები – 220 ხმა.[3]

პირველ საარჩევნო უბანში არჩეული იქნა 9 სოციალ-დემოკრატი, მეორეში – 3, მეოთხეში – 9, მეექვსეში – 4, მერვეში – 5, მეცხრეში – 12 და მეათეში – 12. მესამე საარჩევნო უბანში არჩეული იქნა 3 დაშნაკი, მეხუთეში – 8, მეშვიდეში – 15. სულ თბილისელ ამომრჩეველებად არჩეული იქნა 54 სოციალ-დემოკრატი და 26 დაშნაკი.[4]

---

1. „მეგობარი", 1906, №57
2. „ტალღა", 1906, №40
3. „ისარი", 1907, №22
4. „ისარი", 1907, №21

ფედერალისტები და მათთან ბლოკში მყოფი პარტიები თბილისის არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. ისინი თითქოს წინასწარ იყვნენ შეგუებულნი იმ აზრს, რომ აქაც და სხვაგანაც, სოციალ-დემოკრატები გაიმარჯვებდნენ და ამდენად სათათბიროში საქართველოს ინტერესების დამცველი არავინ იქნებოდა, რადგან ქართველი სოციალ-დემოკრატები მთელი რუსეთის სახელით ილაპარაკებდნენ. ამასთან დაკავშირებით ფედერალისტების ორგანო „ისარი" წერდა: „დღეს უნდა გადაწყდეს, ვინ იქნება არჩეული მომავალში თბილისის დეპუტატად სათათბიროში. საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ: 1.სოციალ-დემოკრატები, 2.დაშნაკცუნი, 3.კადეტები და 4. „პატრიოტები". ყველა ცალკე გამოდის საკუთარი სიით.

არ გამოვიდნენ საარჩევნო ასპარეზზე სოციალ-ფედერალისტები, ესერები და ქართული ავტონომისტ-დემოკრატები. კადეტებსა და „პატრიოტებს" არ შეუძლიათ დიდი ძალა მოიკრიბონ. ასე, რომ უმთავრესი ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და დაშნაკებს შორის გაიმართება".

„არ ვიცით, თბილისში სოციალ-დემოკრატები გაიმარჯვებენ თუ არა, მაგრამ დანარჩენ საქართველოში გამარჯვება მათ მხარეზე იქნება. მაშასადამე, მეორე სათათბიროშიც ქართველებს არ ეყოლებათ თავისი დეპუტატები. პირველ სათათბიროში ერთი მაინც მოვა, მეორეში არავინ იქნება. თუმცა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატია უმთავრესად ქართველებისაგან შედგება, მაგრამ ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნიან. მათ ადგილობრივი პირობებისა და მდგომარეობის შესაბამისად არა აქვთ შემუშავებული პროგრამა და ყველაფერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ემორჩილებიან. ჩვენგან წასული დეპუტატები მხოლოდ დამატებაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა. ამის გამო, ქართულ სოციალ-დემოკრატიას, არ შეუძლია თავისი რამე თქვას, თავისი ქვეყნის განსაკუთრებულ ტკივილზე იზრუნოს, თუ ამას ცენტრალური კომიტეტი არ

უბრძანებს„..

„ჩვენ ნაციონალისტები არა ვართ და ვიწრო ეროვნული გრძნობებით არ ვლაპარაკობთ, მაგრამ არ შეგვიძლია არანორმალურ მოვლენად არ ჩავთვალოთ, რომ რუსეთის პარლამენტში ასეთი ცალმხრივი წარმომადგენლობა ეყოლება ჩვენს ქვეყანას“.

„ცალმხრივი წარმომადგენლობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ვიწვევდით სოციალ-დემოკრატიას შეთანხმებაზე სხვა ჩვენებურ მემარცხენე პარტიებთან, რათა სათათბიროში წარმომადგენელი ყოფილიყო სხვა მიმართულება, სხვა მისწრაფება ჩვენი ერისა... მაგრამ ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ მარტო ყოფნა არჩია მენშევიკების ბანაკის „სახელისა და დიდების“ გაძლიერებისათვის. კავკასიის სოციალ-დემოკრატიის „ძლევა- მოსილების“ დამტკიცებისათვის. ეს რომ მავნებელი და მცდარი ტაქტიკაა, ამას ცხოვრება მალე დაამტკიცებს“-ო.[1]

სოციალ-დემოკრატებმა ამომრჩეველთა არჩევნებში ასევე წარმატებას მიაღწიეს თბილისის გუბერნიაშიც. აქ შემავალი 9 მაზრის 49 ამომრჩეველიდან აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ. თბილისის გუბერნიაში ამომრჩეველთა არჩევნების დროს, წვრილ და მსხვილ მემამულეთა კრებებზე ადგილი ჰქონდა მძაფრ დაპირისპირებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც კახეთის ზონა იყო. 27 იანვარს თელავის სასამართლოს შენობაში ჩატარდა მაზრის წვრილ და მსხვილ მემამულეთა კრება (ყრილობა) სახელმწიფო სათათბიროს ორი ამომრჩეველის ასარჩევად. მსხვილ მემამულეთა სიაში შეტარილი იყო 189 მემამულე, გამოცხადდა 78, ხოლო წვრილ მემამულეთა სიაში – 93 მემამულე, გამოცხადდა 90. დიდ უმსგავსოებას ჩადიოდნენ სოციალ-დემოკრატები, ისინი ხალხს აშინებდნენ, ემუქრებოდნენ სიკვდილითაც კი, თუ

1. „ისარი“, 1907, №20

მათთვის სასურველ კანდიდატებს არ მისცემდნენ ხმას. სომხურ მოსახლეობაში საარჩევნო აგიტაციას ეწეოდნენ დაშნაკელებიც. 28 იანვარს ქ.თელავიდან ამომრჩეველად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ამონაშვილი.[1] ფშავ-ხევსურებს ამომრჩეველად ვაჟა-ფშაველა ჰყავდათ დასახელებული.

თბილისის გუბერნიის ამომრჩეველთა სოციალური მდგომარეობის შესახებ მაზრების მიხედვით სათანადო წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი.

ცხრილი №6

№	მ ა ზ რ ა	სულ ამომრჩ.	მ ა თ შ ო რ ი ს					
			მიწათ-მფლობ.	ქერქო-მეწარმე	ვაჭარი	მოსამ-სახურე	ხელო-სანი	მუშა
1.	ახალქალაქის	4	2			1	1	
2.	ახალციხის	4	3			1		
3.	ბორჩალოს	7	2	4	1			
4.	გორის	11	6	3	2			
5.	დუშეთის	4	1		1	1	1	
6.	სიღნაღის	6	4			2		
7.	თელავის	5	4	1				
8.	თიანეთის	2	1			1		
9.	თბილისის	6	1		1	2		2
	ს უ ლ	49	24	8	5	8	2	2[2]

1. „ისარი", 1907, №№22,25
2. ცხრილი შედგენილია გაზეთ „Кавказъ"-ის 1906 წლის №24-ის დამატებაში მოცემული მასალების მიხედვით.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატია დიდ მუშაობას ეწეოდა ქუთაისის გუბერნიაში. ქალაქ ქუთაისის და გუბერნიის საარჩევნო კომისიები სცემდნენ მოწოდებების და პროკლამაციების სპეციალურ ფურცლებს ამომრჩეველებისადმი, მაზრაში გლეხებთან სამუშაოდ აგზავნიდნენ აგიტატორთა ბრიგადას, დაუნდობლად აკრიტიკებდნენ ფედერალისტებს, წარმოსახავდნენ მათ ბურჟუებისა და ხალხის მოღალატე პარტიად.[1]

სოციალ-დემოკრატების მასირებული დაწოლის მოგერიებას სოციალისტ-ფედერალისტები სხვა მემარცხენე პარტიებთან კავშირის გზით ცდილობდნენ. მეორე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნების დროს ქუთაისის გუბერნიაში საერთო ბლოკით გამოვიდნენ სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პარტიები. ისინი, ერთობლივად გამოცემულ მოწოდებაში, ხალხს ურჩევდნენ, რომ მათი კანდიდატებისათვის მიეცათ ხმა, ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ერისა და ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველები მხოლოდ ისინი იყვნენ.[2]

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია გლეხთა პარტია იყო, მოითხოვდა მიწას და თავისუფლებას. ვინაიდან გლეხებში ბევრგან დიდი გავლენა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს და ამ პარტიის კანდიდატები წარმატებას გლეხთა ხმებით აღწევდნენ, ფედერალისტებს ესერებთან კავშირით გლეხობის გადმობირება სურდათ. უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ადგილებში ბლოკი გამარჯვებასაც აღწევდა.

1907 წლის იანვრის დასაწყისში, შორაპნის მაზრაში, მსხვილ მემამულეთა ყრილობაზე ხმების დიდი უმრავლესობით გაიმარჯვეს სოციალ-ფედერალისტებისა და ესერების ბლოკის კანდიდატებმა: გ.ზდანევიჩმა, კ.აბაშიძემ, თ.ხუსკივაძემ, დ.გ.ჭუმბურიძემ. სოციალ-დემოკრატების კანდიდატებმა –

1. „ტალღა“, 1906, №32; „ისარი“, 1907, №21
2. „მეგობარი“, 1906, №63

ვ.ჯაფარიძემ, გ.წერეთელმა, კ.ჩხეიძემ, ნ.გაჩეჩილაძემ და ა.წერეთელმა, ნაკლები ხმები მიიღეს.[1]

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბლოკი ქ.ქუთაისშიც დაუპირისპირდა. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია კი ცალკე გამოვიდა. 24 იანვარს ჩატარებულ ამომრჩეველთა კრებაზე ამომრჩეველებად არჩეულნი იქნენ სოციალ-დემოკრატები; ი.წერეთელი (1329 ხმა), ბ.მდივანი (1218 ხმა), გ.ლორთქიფანიძე (1308 ხმა), ნ.მაჭავარიანი (1292 ხმა), ხოლო ბლოკისაგან – გ.ზდანევიჩი (1179 ხმა), მ.ქიქოძე (1033 ხმა), რ.დათეშიძე (923 ხმა), ი.გობეჩია (894 ხმა)[2]

ოზურგეთში ამომრჩეველთა არჩევნებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები: ჭ.ლომთათიძე, გ.მახარაძე, ს.ურვანიძე, და კალანდაძე.[3]

ფოთში ამომრჩეველთა არჩევნებში ერთმანეთს სამი პარტია ებრძოდა. ესენი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები და კადეტები.[4]

ამომრჩეველთა არჩევისათვის განსაკუთრებით მწვავე იყო დაპირისპირება სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის გორის მაზრაში. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, სამივე ამომრჩეველი ამ პარტიის წარმომადგენელი იყო.[5]

ქუთაისის გუბერნია სულ 45 ამომრჩეველს ირჩევდა. წინასწარი მონაცემებით, არჩეული 38 ამომრჩეველიდან, 30 სოციალ-დემოკრატი იყო და მათი საბოლოო გამარჯვებაც აღარავითარ ეჭვს არ იწვევდა.[6]

ბათუმში 1907 წლის 26 იანვარს მოხდა მეორე სახელმწიფო

1. „ისარი“, 1907, №18
2. „ისარი“, 1907, №119
3. „წინ“, 1907, №3
4. „საყვირი“, 1907, №1
5. „წინ“, 1907, №3
6. „ისარი“, 1907, №3

სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნები. 3.334 კაციდან არჩევნებზე გამოცხადდა 1423 კაცი, ანუ 42,5%. ხმის უმრავლესობით ამომრჩეველებად არჩეულნი იქნენ ა.შატილოვი (990 ხმა), ი.კაკაბაძე (953 ხმა), ს.ტარვერდოვი (936 ხმა), კ.კანდელაკი (940 ხმა)[1], ყველა სოციალ-დემოკრატი. ამომრჩეველთა არჩევნებში სოციალ-დემოკრატებს ასევე წარმატება ჰქონდათ ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგშიც.

1907 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო გამგეობის შენობაში ჩატარდა სახელმწიფო სათათბიროს ერთი დეპუტატის არჩევნები ქ.თბილისიდან. 80 ამომრჩეველიდან კრებაზე გამოცხადდა 78 ამომრჩეველი. მათ შორის 53 სოციალ-დემოკრატი და 25 დაშნაკი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ა.ზურაბოვი (ზურაბიანი), ს.შაუმიანი და ს.ზავარიანი. ორმა უკანასკნელმა არჩევნების დროს თავისი კანდიდატურები მოხსნეს, კენჭი იყარა ა.ზურაბოვმა და გაიმარჯვა. მან მიიღო 52 ხმა 25 ხმის წინააღმდეგ, ერთმა ამომრჩეველმა თავი შეიკავა. ყველა მოწინააღმდეგე მისი ეროვნების დაშნაკელი იყო.

ამრიგად, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად თბილისიდან არჩეული იქნა სოციალ-დემოკრატი ა.ზურაბოვი, რომელიც ადრე ქალაქის გამგეობის საშშენებლო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწედ მუშაობდა.[2]

იმავე დღეს, თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, გაიმართა თბილისის გუბერნიის ამომრჩეველთა საგუბერნიო კრება სახელმწიფო სათათბიროს სამი დეპუტატის ასარჩევად. 49 ამომრჩეველიდან კრებას ესწრებოდა 46 ამომრჩეველი. გამარჯვებულნი გამოვიდნენ ა.ჯაფარიძე, ს.ჯუღელი და ნ.კაციაშვილი. თითოეულმა მათგანმა მიიღო 36-36 ხმა 10-10 ხმის წინააღმდეგ. სამივე დეპუტატი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.[3]

1. „ისარი", 1907, №23
2. „ისარი", 1907, №25,27
3. „ისარი", 1907, №27

პოლიციის და ჯარის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები ქუთაისის გუბერნიაში. საგუბერნიო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც 1907 წლის 6 თებერვალს ჩატარდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობაში, 45 ამომრჩეველიდან გამოცხადდა 43 ამომრჩეველი. აკლდა ორი ამომრჩეველი გურიიდან – გ.მახარაძე და ჭ.ლომთათიძე. მათ დეპეშით შეატყობინეს კრების არჩევნებში მონაწილეობის თანხმობა. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ი.წერეთელი, ჭ.ლომთათიძე, გ.მახარაძე, ი.კოპალეიშვილი, გ.ზდანევიჩი, კ.აბაშიძე, მ.ქიქოძე. პირველი ოთხი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, დანარჩენი სამი – სოციალ-ფედერალისტურ პარტიას.

არჩევნების შედეგები ასეთი იყო; ი.წერეთელმა მიიღო 34 თეთრი და 8 შავი კენჭი, ჭ.ლომთათიძემ – 34 და 7, გ.მახარაძემ – 34 და 9, ი.კოპალეიშვილმა – 32 და 11, გ.ზდანევიჩმა – 9 და 33, კ.აბაშიძემ – 8 და 34, მ.ქიქოძემ – 8 და 34. [1]

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატებად არჩეულნი იქნენ სოციალ-დემოკრატები: ი.წერეთელი, ჭ.ლომთათიძე და გ.მახარაძე.

განსაკუთრებული შეუპოვრობით ხასიათდებოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები ბათუმში. 6 თებერვალს აქ თავი მოიყარეს ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოლქის ამომრჩეველებმა. არჩევნებში სულ მონაწილეობა უნდა მიეღო 17 ამომრჩეველს. მათ შორის შვიდს ბათუმის ოლქისა და ქ.ბათუმიდან, 6-ს სოხუმის ოკრუგიდან და ოთხს ართვინის ოლქიდან. კრებაზე გამოცხადდა 15 ამომრჩეველი. ორი ამომრჩეველი ვერ ჩამოვიდა ართვინის ოლქიდან. კრებას თავმჯდომარეობდა გადამდგარი გენერალ-მაიორი კვიცინსკი. სათათბიროს წევრობის კანდიდატებად დაასახელეს მუშა ლევაშკევიჩი, გადამდგარი გენერალ-მაიორი პ.შერვაშიძე, ექიმი

1. „ისარი“, 1907, №28

ა.შატილოვი და ქალაქის თავი ნ.თავდგირიძე. მალე ორმა უკანასკნელმა უარი თქვა კენჭისყრაზე. ყუთები დაუდგეს პირველ ორს, მაგრამ ვერცერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა. არჩევნები მეორე დღისათვის გადაიდო. 7 თებერვალს კრებაზე 16 ამომრჩეველი გამოცხადდა, მაგრამ ვერც ამ დღეს მოხერხდა სათათბიროს დეპუტატის არჩევა.

მესამედ დანიშნული არჩევნების დღეს ქალაქის გამგეობის შენობა ჯარით და პოლიციით გაივსო. სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი იქნენ კ.კანდელაკი, პ.შერვაშიძე და ნ.თავდგირიძე. პირველმა ორმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღეს; 7-7 ხმა 8-8 ხმის წინააღმდეგ. ნ.თავდგირიძეს ხმა მისცა 3 ამომრჩეველმა, 12 კი მის წინააღმდეგ გამოვიდა. თანაბარი ხმების გამო, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, კ.კანდელაკის და პ.შერვაშიძის კანდიდატურას დამატებით უყარეს კენჭი. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატმა კ.კანდელაკმა და ის გახდა მეორესახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბათუმის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან.[1]

მეორე სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატების სოციალური წარმოშობის, განათლების და პარტიულობის შესახებ, ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 7.

ამრიგად, მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანია საქართველოში სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დამთავრდა. არჩეული 8 დეპუტატიდან ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. არჩევნების შედეგები სხვა მხრივაც იპყრობდა ყურადღებას. მეორე სახელმწიფო სათათბიროს ქართულ დეპუტატთა შემადგენლობა, პირველ სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატთა შემადგენლობასთან შედარებით, უფრო მუშურ-გლეხური და განათლებით მასზე დაბლა მდგომი იყო.

1. „ისარი", 1907, №31

ცხრილი №7

№	გუბერნია, ოლქი	გვარი, სახელი	სოციალური წარმოშობა	განათლება	პროფესია	პარტიულობა
1	თბილისის გუბერნია	1. ჯაფარიძე არჩილი		დაუმთ.უმაღლესი		ს.დემოკრატი
	.	2. ჯუღელი სეევერიანი	სასულიერო წოდ.	საშინ.განათ.	ლიტერატორი	ს.დემოკრატი
		3 კაციაშვილი ნიკოლოზი	გლეხი	პირე.დაწყ.განათ.	მიწათმფულ.	ს.დემოკრატი
2	ქ.თბილისი	4. ზურაბოეი არჩაკი	აზნაური		ჟურნალისტი	ს.დემოკრატი
3	ქუთაისი გუბერნია	1. ლომთათიძე ჭოლა	გლეხი	პირე.დაწყ.განათ.	მებაღე	ს.დემოკრატი
		2. მახარაძე გერასიმე	სასულ.წოდება	დაუმთ.უმაღ.	ლიტერატორი	ს.დემოკრატი
		3. წერეთელი ირაკლი	აზნაური	დაუმთ.უმაღლესი		ს.დემოკრატი
4	ბათუმის ოლ-ქი და სოხუ-მის ოკრუგი	1. კანდელაკი კონ-სტანტინე	სასულ.წოდება	პირე.დაწყ.განათ.	ქარხნის მუშა	ს.დემოკრატი

§2. ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების პრაქტიკული საქმიანობა მეორე სახელმწიფო სათათბიროში

ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების უმრავლესობა მეორე სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მისაღებად 11 თებერვალს გაემგზავრა. ისინი თბილისის რკინიგზის ვაგზლიდან საზეიმოდ გააცილეს. სადგურზე – ყარაიაზში, განჯაში, აჯიქაბულში, ბალაჯარაში, დერბენტში და სხვაგან, მათ ხვდებოდათ ხალხი, რომლებიც იმპერიის დედაქალაქისაკენ მიმავალთ თავის მოთხოვნებს აბარებდნენ. დეპუტატები საკუთარ გეგმებზე ლაპარაკობდნენ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის მხარდაჭერას მოითხოვდნენ.[1]

სათათბიროს გახსნის წინ ქართველმა დეპუტატებმა ჩამოაყალიბეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომლის თავმჯდომარედ ი.წერეთელი აირჩიეს. ფრაქცია აერთიანებდა 65 დეპუტატს. აქედან გადამწყვეტი ხმა ჰქონდა 54, ხოლო სათათბირო – 11; მენშევიკი იყო 36, ხოლო ბოლშევიკი – 18. ფრაქციაში, რომლის დასახმარებლად პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული იქნა სპეციალური ჯგუფი ნ.ჟორდანიას მეთაურობით, წამყვან როლს ქართველი მენშევიკები ასრულებდნენ.

1907 წლის 18 თებერვალს პეტერბურგში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირველი კრება, რომელსაც ესწრებოდა 36 წევრი გადამწყვეტი ხმით და 13 წევრი სათათბირო ხმით. განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. მიიღეს შემდეგი სახის დადგენილება: 1. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ადგილს იკავებს უკიდურეს მემარცხენეთა გვერდით; 2. სოციალ-დემოკრატები არ დაიკავებენ არც პრეზიდიუმის თავმჯდომარის და არც მისი მოადგილის თანამდებობას, რადგან მათ ხშირად აქვთ კავშირი სასახლისა და თვითმპყრობელური

1. „წინ“, 1907, №3

ბიუროკრატიის წარმომადგენლებთან; 3. ფიცის დადების მაგიერ ფიცს ხელს მოაწერენ. 4. გამოაქვეყნებენ განცხადებას იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ხალხის წინაშე იქნება პასუხისმგებელი და არა მთავრობის წინაშე.

კრებაზე აირჩიეს ფრაქციის დროებითი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი.წერეთელი, ა.ჯაფარიძე, მიტროვი, კირიენკო, ალექსინსკი და სხვები. დროებით სახელმძღვანელოდ მიღებული იქნა პირველი სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წესდება.

მომდევნო დღეს, 1907 წლის 19 თებერვალს, შედგა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეორე კრება. განიხილეს 3 საკითხი: 1. პრეზიდიუმის შესახებ; 2. სოციალ-დემოკრატების რევოლუციური და ოპოზიციური ფრაქციების თათბირებზე დასწრება; 3. განაწესები სათათბიროსადმი.

აღნიშნულ საკითხებზე მიიღეს შემდეგი დადგენილება; 1. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დროებით კომიტეტს მიაჩნია, რომ სათათბიროს პრეზიდიუმი შემდგარი უნდა იქნას მემარცხენეებისაგან. ამიტომ წინადადება მიეცათ „ტრუდოვიკებს“ წამოაყენონ თავისი კანდიდატები სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ორი მოადგილის თანამდებობაზე. თუ ორს ვერ მოახერხებენ, მაშინ მხარი დაუჭირონ ერთი ტრუდოვიკის და ერთი კადეტის კანდიდატურას; 2. ფრაქცია ღებულობს მონაწილეობას კადეტების მიერ მოწყობილ რევოლუციურ და ოპოზიციურ თათბირებში; 3. პირველი სათათბიროსადმი მიცემული განაწესებიდან (სულ იყო 24 განაწესი) გამოიყენონ მხოლოდ ორი, დანარჩენი გადასინჯონ და ახალი შეიმუშაონ.[1]

სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხვა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიების ფარაქციასთან დამოკიდებულობის საკითხი კვლავ ფართო მსჯელობის საგანი

1. „წინ“, 1907, №12

გახდა. მორიგ კრებაზე, დიდი კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ „სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მოქმედებს დამოუკიდებლად. ამათან იგი მონაწილეობას მიიღებს სხვა მემარცხენე პარტიების ფრაქციების კრებებში და მხარს დაუჭერს მას იმ პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადაჭრაში, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია თავის სასარგებლოდ სცნობს.

ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში შემავალი ბოლშევიკები, რომლებიც ლენინის აკვიატებულ მითითებებს ასრულებდნენ. მათ, „ტრუდოვიკების" გარდა, სხვა პარტიების ფრაქციების მხარდაჭერა შეუძლებლად მიაჩნდათ. 13 ბოლშევიკმა ალექსინსკის მეთაურობით განაცხადეს, რომ ემორჩილებიან უმრავლესობას, მაგრამ ამასთან ერთად, ითხოვენ, რომ ამიერიდან მათ დართონ ნება ამგვარ კრებებს აღარ დაესწრონ.[1]

მეორე სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა 1907 წლის 20 თებერვალს. იგი მთავრობამ პირველი სათათბიროს გარეკვიდან 7 თვის შემდეგ მოიწვია. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია განგებ არ დაესწრო სათათბიროს გახსნას, ამით თავისი დემონსტრაციულობის ჩვენება სურდა.

რეპრესიების მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ მიიღო სასურველი შემადგენლობის სათათბირო, იგი უფრო მემარცხენე აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. 518 დეპუტატიდან „ტრუდოვიკი" იყო 104, კადეტი-98, ავტონომისტი-76, სოციალ-დემოკრატი-65, მემარჯვენე და ანარქისტი-54, უპარტიო-5, ესერი-37, კაზაკთა ჯგუფი-17, სახალხო სოციალისტი-16, დემოკრატიული რეფორმისტი - 1.[2]

პირველ სათათბიროსთან შედარებით მეორე სათათბიროს თავისებურება კიდევ ის იყო, რომ მის გახსნისას წაკითხული

---

1. „წინ", 1907, №14
   „ისარი", 1907, №43
2. БСЭ, III изд.т.7, 1972, с.154.

არ იქნა მეფის სეფე სიტყვა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ მთავრობა მაინცდამაინც დიდი სიხარულით არ ეგებებოდა მას. იგი არ მოელოდა, რომ ამდენი კონტრღონისძიებების შემდეგ სათათბირო ესოდენ ოპოზიციური და რევოლუციური იქნებოდა.[1]

1907 წლის 6 მარტს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა სათათბიროს წარუდგინა დეკლარაცია (უწვრილესი კანონპროექტების გროვა), რომელიც არაფერს არ ცვლიდა ქვეყანაში. შესატანი კანონპროექტების მიზანი იყო, რომ სათათბიროს მათ განსჯა-განხილვაზე დაეხარჯა მთელი ენერგია, სათათბიროს მუშაობა წყლის ნაყვად ექცია, ქვეყნისათვის დაენახვებინა, რომ მთავრობა ხალხისათვის სასარგებლო კანონებს ადგენდა, სათათბირო კი ხელს უშლიდა მის განხორციელებას. აქედან მთავრობის აზრით, ხალხს ის დასკვნა უნდა გაეკეთებინა, რომ სათათბირო არ ვარგა, იგი არავის უნდა და მაშასადამე, მისი დათხოვნაც არ უნდა გაკვირვებოდა.[2]

სტოლიპინი ქვეყანას ამცნობდა, რომ მთავრობის მიზანს შეადგენდა ქვეყნის დემოკრატიული განახლება, სათემო და საქალაქო თვითმმართველობის შემოღება, მათი უფლება-კომპეტენციის გაფართოება და ხალხთან დაახლოება, მაგრამ ყველაფერი ეს განუხორციელებელი იყო, რადგან საქალაქო თვითმმართველობებს საფუძვლად მაღალი ქონებრივი ცენზი ედო და ამის გამო, იქ ღარიბი ხალხისათვის ადგილი არ რჩებოდა.

დეკლარაციაში არაფერი იყო ნათქვამი კავკასიაში ერობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღების შესახებ. მთავრობა აქ ადგილობრივი რეფორმების გატარებას ნაადრევად თვლიდა. ამასთან დაკავშირებით, ფედერალისტების ორგანო „ისარი“ წერდა, რომ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ადრე ამ საკითხს უარყოფდნენ, იმედია ახლა მაინც წამოჭრიან

1. „ისარი“, 1907, №40
2. „წინ“, 1907, №10

სათათბიროშიო. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა დეპუტატებმა მხედველობაში იქონიონ ზოგიერთი განსაკუთრებული პირობა და გარემოება. მომავალი ადგილობრივი დაწესებულების ენად, რუსული ენის ნაცვლად, უნდა დაკანონდეს ქართული და მეორეც, ჩვენთვის, როგორც განაპირა ქვეყნისათვის, ადგილობრივ თვითმმართველობას უფრო მეტი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, ვიდრე შიდა რუსეთის დამახინჯებულ ერობასო.[1]

ქართველ დეპუტატებზე სათათბიროში აგრარული საკითხის დაყენების იმედსაც ამყარებდნენ. 1907 წლის გახაფხულზე თბილისში შესდგა კომისია, რომელმაც ითავა კავკასიისათვის აგრარული პროექტის შემუშავება. ეს პროექტი შემდეგ უნდა მიეწოდებინათ კავკასიელი დეპუტატებისათვის სათათბიროს სახელმძღვანელოდ. კომისიას მიზნად ჰქონდა მოესმინა შემდეგი საკითხები: 1. დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმება საქართველოში, განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში; 2. მიწათმფლობელობის საქმის გამორკვევა ბათუმის, დაღესტნისა და ზაქათალის ოლქებში; 3. ხიზნები; 4. ყულუხის უფლება; 5. სერვიტუტები: ტყით და საძოვრით სარგებლობა; 6. მიწის იჯარა; 7. მიწის რაოდენობა და მცირემამულიანთა მდგომარეობა; 8. ხიზნებისათვის დამატებითი ნადელის მიზომვა; 9. მიწის ფონდის დაარსება სახაზინო, კერძო მემამულეთა და სხვა მიწებისაგან; 10. გადასახადები; 11. ბეგარა; 12.სასოფლო-სამეურნეო საქმე კავკასიაში და სხვა.

მაგრამ აპრილში კომისიამ მხოლოდ ერთი მოხსენება მოისმინა. კერძოდ, როდიჩევ-ბელოვიჩისა, გლეხთა განთავისუფლება და დროებით ვალდებულების ინსტიტუტი". სულ ეს იყო და ეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ისარი" აღნიშნავდა: ეს საქმე ჩვენთან არ მოგვარდება თუ ადგილობრივი თვითმმართველობა არ დაარსდა, რომელიც შეკრებს საჭირო მასალებსო.[2]

---

1. „ისარი", 1907, №57
2. „ისარი", 1907, №46

სტოლიპინის დეკლარაციამ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის და სხვა მემარცხენე პარტიების ფრაქციათა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იმავე დღეს ი.წერეთელმა სათათბიროში წაიკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საპასუხო დეკლარაცია (განცხადება). მასში ჩვეულებრივ მკაცრად იყო გაკრიტიკებული მთავრობის მოქმედება პირველი სათათბიროს დარეკვიდან მეორე სათათბიროს მოწვევამდე. ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ მეფემ უკან წაიღო ის დაპირება, რაც ხალხს 17 ოქტომბრის მანიფესტით მისცა, ფეხქვეშ გათელა არსებული შეზღუდული კანონებიც კი. მთავრობა ხალხის წინააღმდეგ იყენებდა ჯარს, შავრაზმელებს, საველე სასამართლოებს, ციხეებს და სიკვდილით დასჯას. განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მუშებს და გლეხებს. სინამდვილეში იგი იწვევდა თავისი მოქმედებით რევოლუციას და არა „კრამოლნიკები", როგორც ამას მთავრობა რევოლუციონერებს უწოდებდა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია აცხადებდა, რომ ის არაფერს არ ელოდა მთავრობისაგან. ამასთან იცოდა, რომ არც მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნით შეიძლებოდა თვითმპყრობელობის და ბიუროკრატიის დამარცხება. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ხალხს. იგი გააღებდა ციხეების კარებს, მოიპოვებდა თავისუფლებას, გადაჭრიდა მიწის საკითხს და ა.შ. ფრაქციის განცხადებით, სათათბიროს არ ჰქონდა საკანონმდებლო უფლება, იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან არარაობად იყო ქცეული. მეფეს შეეძლო სათათბირო ერთი კვირის თავზეც დაეთხოვა, მაგრამ იგი ამით მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგან მალე მოხდებოდა ხალხის გაერთიანება და ხალხთან ერთად „საკონონმდებლო უფლება დაიმორჩილებდა აღმასრულებელ უფლებას". სოციალ-დემოკრატები სათათბიროში იმიტომ მონაწილეობდნენ, რომ იგი გაეხადათ სწორედ ხალხის, უპირველეს ყოვლისა კი პროლეტარიატის, შემოკრების ცენტრად, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებდა რუსეთის

განმათავისუფლებელ მოძრაობაში.[1]

სტოლიპინის დეკლარაცია მწვავედ გააკრიტიკა ა.ჯაფარიძემაც. იგი შეეხო ქვეყანაში უმუშევრობის საკითხს და აღნიშნა, რომ მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად არავითარ ზომებს არ მიიჩნევდა. ამიტომ შექმნილ სიტუაციაში გამოსავალი ერთი იყო – სახალხო რევოლუცია.[2] ჭ.ლომთათიძემ ყურადღება გაამახვილა კავკასიაში და დასავლეთ საქართველოში მძვინვარე შიმშილზე. ამაში ბარალი დასდო მთავრობას, რადგან მისი ბრძანებით ჯარი გურია-სამეგრელოში „წესრიგის დაცვის“ მოტივით კალიასავით შეესია სოფლებს და გლეხთა სიმინდის ყანები მთლიანად გაანადგურაო.[3] „მეორე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის პერიოდში სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია განსაკუთრებულ სიძულვილს აცხადებდა მთავრობისადმი და მოითხოვდა მისი წევრების მიმართ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ აწყდებოდა სათათბიროს უმრავლესობის წინააღმდეგობას“.[4]

ხელისუფლება ცდილობდა სათათბიროს წარედგინა უმნიშვნელო კანონპროექტები, რათა მათი განხილვით ყოფილიყო დაკავებული და ამით ხელი შეეშალა ოპოზიციური ფრაქციებისათვის მისთვის არასასურველი, მნიშვნელოვანი კანონპროექტების შეტანა-განხილვისათვის. მთავრობის მიერ სათათბიროში შეტანილი იქნა კერძოდ შემდეგი კანონპროექტები; 1. კავკასიის სასოფლო-სამურნეო საზოგადოებისათვის 1.000.000 მანეთის გამოყოფის შესახებ ამიერკავკასიაში დამშეული მოსახლეობის დახმარებისათვის; 2. თერგის ოლქის გარეუბნებში მცხოვრები მოსახლეობისადმი საკალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ; 3. ყარსისა და ბათუმის ოლქებში ქალაქებისა და ქალაქურ დასახლებებში უძრავ ქონებაზე

1. „ისარი“, 1907, №52.
2. „ისარი“, 1907, №59.
3. „ისარი“, 1907, №21.
4. Ерошин Н.П. Самодержавие накануне краха, м., 1975, с.99.

უფლებების განმტკიცების შესახებ; 4. კავკასიაში ჰიდროტექნიკურ კვლევა-ძიებაზე კრედიტის გამოყოფის შესახებ; 5. ელიზავეტპოლდის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გაფართოების შესახებ; 6. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის შენახვისათვის ასიგნების გაგრძელების შესახებ; 7. ბაქოს ქალაქის უფროსის თანამდებობის დაარსების შესახებ; 8. ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ (შეიტანა მეფისნაცვლის მოადგილემ ნოლდემ); 9. მცხეთის მიდამოებში მაგნიტური დაკვირვებისთვის 3.000 მანეთის გამოყოფის შესახებ და სხვა.[1] ეს კანონპროექტები სათათბიროში დასამარდნენ, არცერთს არ მისცემია შემდგომი მსვლელობა.

ცხადია, მთავრობის ასეთი უმნიშვნელო და ცალკეულ შემთხვევაში ღიმილის მომგვრელი დაქუცმაცებული კანონპროექტების შეტანა და მათზე მსჯელობა, არ აკმაყოფილებდა მემარცხენე პარტიების დეპუტატებს. მათთვის მთავარი იყო მიწის, ამნისტიის, სიკვდილით დასჯის გაუქმების და სხვა საკითხები.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სათათბიროში ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდა. მისი წევრები შედიოდნენ სხვადასხვა კომისიებში. კერძოდ, გ.მახარაძე – ფინანსურ კომისიაში, ს.ჯუღელი – საბიუჯეტო კომისიაში, ა.ჯაფარიძე – პიროვნების ხელშეუხებლობის კონონპროექტების განხილვა-მომზადების კომისიაში, ა.ზურაბოვი – სახელმწიფოს გასავალ-შემოსავლის კომისიაში, ჭ.ლომთათიძე – ადგილობრივი სასამართლოების გარდაქმნის კანონპროექტების განხილვის კომისიაში, ი.წერეთელი აგრერულ კომისიაში. ერთი სიტყვით, ქართველი დეპუტატები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კანონპროექტების შედგენა-განხილვაში, მთავრობის უსუსური და თავის

1. იხ. Список членов Государственной думы второго созыва по избирательным округам и партиям, СПБ, 1907, с.179-192; Опись дел архива канцелярии Государственной думы второго созыва, СПБ, 1907, с.3-8: Государственная дума, стенографические отчеты, т.I, СПБ, 1907, с.2292.

სასარგებლოდ შემუშავებული კანონპროექტების კრიტიკაში. 1907 წლის 12 მარტს სათათბიროში დაისვა საკითხი საველე სასამართლოების მოსპობის შესახებ. ამ საკითხზე ი.წერეთელმა მკაცრად გააკრიტიკა მთავრობა და მისი თავმჯდომარე სტოლიპინი.[1]

წეევამდელთა შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს, სადაც ლაპარაკი იყო ჯარის შეესების საჭიროებაზე, ა.ზურაბოვმა განაცხადა, რომ საჭირო არ იყო ისეთი ჯარი, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა. ასეთი განცხადება სათათბიროს თავმჯდომარის მიერ მიჩნეული იქნა დიდ შეურაცხოფად და ა.ზურაბოვს სიტყვა წაართვეს. პროტესტის ნიშნად მემარცხენე ფრაქციებმა – სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა, სახალხო სოციალისტებმა და შრომის ჯგუფმა" სხდომის დარბაზი დატოვეს.[2] ზურაბოვი ძლივს გადაურჩა პასუხისგებაში მიცემას.

სათათბიროს თამჯდომარის მიერ არასასურველი დეპუტატებისთვის სიტყვის წართმევა ხშირად ხდებოდა. ამიტომ ა.ჯაფარიძემ ამასთან დაკავშირებით დაწერა სპეციალური საჩივარი-განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერეს კავკასიელმა დეპუტატებმა. სიჩივარში პროტესტი იყო გამოთქმული დეპუტატისათვის კანონით გათვალისწინებული უფლების წართმევის გამო. ამ ხელმოწერების გამოყენებით მთავრობა შემდეგ ხელისმომწერთა დისკრედიტაციას შეეცადა.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა სათათბიროში ცალკე შეეტანა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კადეტებმა წამოაყენეს სათათბიროს გაფრთხილების ლოზუნგი, შეკვეცეს თავისი პროგრამული მოთხოვნები და დღის წესრიგიდან მოხსნეს საკითხები მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის, სიკვდი-

1. „წინ", 1907, №26
2. „წინ", 1907, №89

ლით დასჯის გაუქმების, პოლიტიკური ამნისტიის და სხვათა შესახებ. ვითარება არახელსაყრელი შეიქმნა და სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დროებით თავი შეიკავა თავის გადაწყვეტილების განხორციელებაზე, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სამხედრო მინისტრისადმი დეპეშის გაგზავნით, სადაც იყო მოთხოვნა სამხედრო დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის შეჩერების შესახებ.[1] ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბოლშევიკებს განგაში აეტეხათ. მათი ორგანო „ჩვენი ცხოვრება" ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა, რომ კადეტების ფრაქციამ უარყო ამინისტიის საკითხის დაყენება. ცოტა ყოყმანის შემდეგ მენშევიკი დეპუტატებიც დაეთანხმნენ ამას და უკან წაიღეს თავისი მოთხოვნაო. ამაზე მენშევიკები პასუხობდნენ, რომ ეს იყო ცილისწამება, რადგან ამნისტიის შესახებ საკითხის აღძვრა მხოლოდ დროებით ჰქონდათ გადადებული.[2]

ცენტრალური ადგილი მეორე სახელმწიფო სათათბიროში, ისე როგორც პირველში, აგრარულ საკითხს ეკავა. ხალხი მოითხოვდა „მიწას და თავისუფლებას". აგრარულ საკითზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში თავისი კანონპროექტი შეიტანა. სათათბიროში გამოსულმა ი.წერეთელმა მიწების კერძომესაკუთრული სისტემის ჩამოყალიბებაში რუსეთის მეფეები დაადანაშაულა. მათ ჩაუგდეს ხელში მსახურულ თავადაზნაურობას ხალხის კუთვნილი მიწაო. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს თავადი გოლიცინი ფლობს 1.067.000 დესეტინას, რუკოვიშნიკოვი – 842.000 დესეტინას, ბალაშოვი – 325.000 დესეტინას, შერემეტევი – 16.330 დესეტინას და ა.შ. ახლა გლეხობა ითხოვს, – აღნიშნა ი.წერეთელმა, – მეფე კი კერძო საკუთრების პრინციპს იცავს. ხალხის მიწა კერძო საკუთრებად იქცა, მაგრამ არც ეს კერძო საკუთრება

1. „წინ", 1907, №16
2. „წინ", 1907, №18

დაინდეს დამსჯელმა ექსპედიციებმა რესუთში, ბალტიის-პირეთში, კავკასიაში. გენერალმა ალიხანოვმა, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი ქუთაისის გუბერნია, გადაწვა კერძო სახლები არა მარტო რევოლუციონერებისა, არამედ მათი ნათესავებისაც.

დასასრულს ი.წერეთელმა თქვა: „უნდა დაინგრეს დღევანდელი სახელმწიფო თავისი ბიუროკრატიული საფუძვლებით და მის ნანგრევებზე აღორძინდეს ახალი სახელმწიფო კულტურულ საძირკველზე დამყარებული. ამ მიზანს უნდა შეეწიროს მემამულეთა მიწათმფლობელობა. უნდა შესდგეს კომისია აგრარული საკითხის შესამუშავებლად. კომისიას სოცალ-დემოკრატიული ფრაქცია გადასცემს აგრარული საკითხის ძირითადი საფუძვლების მასალას".

შემდეგ მან სათათბიროში შეიტანა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კანონპროექტი „რუსეთის მოწათმოქმედ მცხოვრებთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად", რომელიც ითვალისწინებდა შემდეგი ძირითადი პუნქტების განხორციელებას:

1. გაუქმდეს ყოველი შეეიწროება გლეხებისა საკუთარი მიწის მოხმარების საქმეში, რამდენადაც ეს შეეიწროება შედეგია გლეხთა წოდებრივი განკერძოებისა; რადგან წვრილი გლეხური მესაკუთრეობის გარდა არის მიწათმფლობელობის სხვა ფორმაც – მსხვილი მიწათმფლობელობა, ამიტომ შესღუდვა გლეხობისა მიწით სარგებლობის საქმეში ერთნაირი უნდა იყვეს სხვა მესაკუთრეებისათვისაც; ამასთან, ასეთ შესღუდვას საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოებრივი ინტერესები.

2. გამოუსყიდველად ჩამოერთვას და ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილ ორგანოებს გადაეცეს საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწები; რამდენადაც საუფლისწულო და სახაზინო მიწების ნაწილი ჯერ კიდევ დასახლებული არ არის და შეიძლება იგი გადასახლებულთათვის საადგილმამულო ფონდად გადაიქცეს, ამის გამო, თავისუფალი ადგილები, აგრეთვე ტყეები და წყალი, უნდა

დარჩეს დემოკრატიული სახემწიფოს ხელში.

3. გამოუსყიდველად უნდა ჩამოერთვათ მიწები კერძო მფლობელებთ, წერილ მიწათმფლობელთა გარდა და გადეცეს ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობებს. მასთან, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეულმა დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ მიწის რა ზომა უნდა დაექვემდებაროს კონფისკაციას.

4. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ მოსახლეობის რომელმა ნაწილმა უნდა ისარგებლოს საკუთრებაში გადაცემული მიწით.

5. მოქალექეთა უფლებრივი თანასწორობა და წოდებათა მოსპობა. ამასთან, ფრაქცია საჭიროდ თვლის, რომ აგრარული საკითხი წინასწარ განხილული იქნას მოსახლეობის მიერ არჩეულ კომიტეტებში.[1]

ამრიგად, წარმოდგენილ კანონპროექტში სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მხარს უჭერდა ყველა მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევას და ადგილობრივი თვითმმართველობების, ანუ მუნიციპალიტეტების მიერ გლეხებს შორის მის კანონმდებლობით ნორმირებულ განაწილებას. ი.წერეთლის განცხადებით, „მიწის მუნიციპალიზაცია იყო გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება.[2]

სოციალ-დემოკრატების მიერ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, სხვა არანაკლები მნიშვნელობაც ჰქონდა. ცენტრალიზაციის პრინციპების დამცველები, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მიწების გადაცემის მოთხოვნით, ფაქტიურად აქამდე მათთვის მიუღებელ ამ ინსტიტუტის აუცილებლობას და დეცენტრალიზაციას აღიარებდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ისარი“ წერდა: „ცენტრალიზაციის ისეთი პრინციპული

1. „ისარი“, 1907, №69

2. „ისარი“, 1907, №116

დამცველებიც კი, როგორც სოციალ-დემოკრატები არიან, იძულებულნი შეიქმნენ მიწის საქმის მოსაწესრიგებლად დეცენტრალიზაციის აუცილებლობა ელიარებინათ. მათ აგრარულ კანონპროექტში ნათქვამია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილმა ორგანოებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სახით ისარგებლებენ ადგილობრივი მცხოვრებნი მიწით"[1]

ლენინმა, რომელსაც აქამდე არაფერი არ მოსწონდა სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური ფრაქციისა, მხარი დაუჭირა ი.წერეთლის მიერ სათათბიროში შეტანილ აგრარულ კანონ-პროექტს. „სოციალ-დემოკრატებმა, – წერდა იგი, – პირდაპირ და აშკარად წამოაყენეს გამოუსყიდველად მიწების განსხვავების მოთხოვნა. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი წერეთელი თავის სიტყვაში ენერგიულად მოითხოვდა ამას. თავის სიტყვის დასასრულს წერეთელმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება, რომ საკითხი განსახილველად გადაეცეს ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებს (არჩეულთ რა თქმა უნდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით) და თქვენ მიიღებთ მიწის საკითხში პროლეტარული პოზიციის ნათელ სურათს. „მიწის მიმართ მემამულეთა უფლებები უარყოფილია. გარდაქმნის წესი განსაზღვრულია ნათლად". ადგილობრივი კომიტეტები – ეს ნიშნავს გლეხთა ინტერესების უპირატესობას მემამულეთა ინტერესებზე. გამოუსყიდველად განსხვისება – ეს ნიშნავს გლეხთა ინტერესების საესებით დაცვას, მემამულეთა კლასობრივი ანგარიშების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას".[2]

ი.წერეთელი მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სული და გული იყო. მისი გამოსვლები სათათბიროში ყოველთვის იქცევდა ყურადღებას, მოსწონდათ საზღვარგარეთაც. ი.წერეთელი მჭერმეტყველებითაც გამოირჩეოდა, მისი ბასრი სიტყვები და მოსწრებული

1. „ისარი", 1907, №74.

2. ლენინი, თხს. ტ. 12, გვ. 361.

რეპლიკები, შიშის ზარს სცემდნენ შავრაზმელებს. არადა მაშინ იგი სრულიად ახალგაზრდა – 26 წლისა იყო. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან მომუშავე ნ.ჟორდანია იგონებს: „ირაკლი მართლაც გამოდგა დიდი ორატორი, ჩვენ წინათ ამ მხრივ არ ვიცნობდით. იყო ამასთან ფრთხილი. ყველა დიდი გამოსვლისათვის წინდაწინ ემზადებოდა, წაიკითხავდა, შესწორებას შეიტანდა, დაიზეპირებდა და ჩინებულად წარმოსთქვამდა. ამასთან, წინასწარ ვვარაუდობდით, რომელი ფრაზის შემდეგ რა რეპლიკა შეიძლება ყოფილიყო და პასუხს იქვე მივაწერდით. უმრავლეს შემთხვევაში ეს ვარაუდი მართლდებოდა“.[1] ი.წერეთელი მხარს უჭერდა ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობას, თუმცა არაპოლიტიკური შინაარსისას.

სათათბიროში „ტრუდოვიკებმა“ ხელახლა წამოაყენეს თავიანთი აგრარული კანონპროექტი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, ე.ი. აგრარული რევოლუცია. „რამდენიც უნდა იკამათოთ, – ამბობდა გლეხთა ერთ-ერთი დეპუტატი, – მეორე დედამიწას ვერ შექმნით, მაშასადამე სხვა გზა არ არის, ეს მიწა ჩვენ უნდა მოგვცეთ“. ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს გლეხთა დეპუტა- ტების მოთხოვნას.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სათათბიროში ინტენსიურად იყენებდა შეკითხვებს, რომელსაც ღებულობდა შეკითხვების კომისია. თუ ეს უკანასკნელი შეკითხვას მიზანშეწონილად ჩათვლიდა, მაშინ გადაეცემოდა იგი სათათბიროს განსახილველად. ამასთან, შეკითხვას ძალა მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ მას ხელს 30 დეპუტატზე ნაკლები არ აწერდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეკითხვა არ მიიღებოდა. კავკასიას სათათბიროში 29 დეპუტატი ჰყავდა. ისინი სხვადასხვა პარტიებს ეკუთვნოდნენ. მათ შორის სრული თანხმობაც რომ ყოფილიყო,

1. ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 54-55.

დეპუტატთა ეს რიცხვი მაინც არ იყო საკმარისი ხელმოწერისათვის. ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს შეკითხვები მათთან იდეურად ახლოს მყოფი პარტიების დეპუტატების ხელმოწერით შეჰქონდათ.

1907 წლის 3 მარტს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა შეკითხვა ბაქოში გენერალ ტაუბეს გაგზავნისა და ამ უკანასკნელის მიერ გაფიცული მუშების დარბევის გამო. შეკითხვა კომისიას გადაეცა, მაგრამ იგი მას არ განუხილავს. ტაუბე პირიქით მოიქცა, მან ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა სტოლიპინს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და თან კავკასიის ნაცვალს დასდო ბრალი უმოქმედობაში – არაფერს აკეთებს მხარეში წესრიგის დასამყარებლად. იგი მუდამ ალამაზებს ვითარებას ყოველწლიურად წარმოდგენილი ანგარიშებშიო.[1]

მეორე სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით, 1907 წლის 2 აპრილს, 30 დეპუტატის ხელმოწერით შეტანილი იქნა შეკითხვა ადგილობრივი რეფორმის შესახებ[2], რომელშიც ნათქვამი იყო: „სათათბირომ უნდა განიხილოს იუსტიციის მინისტრის მიერ შემუშავებული კონსპროექტი ადგილობრივი სასამართლოების შესახებ. ეს რეფორმა არ გავრცელდა კავკასიაზე, რადგან იქ ერობა არ არის. ამავე მიზეზით არ გავრცელდება ის კანონიც, რომლის ძალითაც ხალხის გამორკვევის საქმე ადგილობრივ ხალხსვე გადაეცეს. ამგვარი ბედი მოელის საყოველთაო სწავლა-განათლების საქმეს კავკასიაში. ამიტომ ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გამოარკვიოს, აქვს თუ არა მეფის ნაცვალს განზრახვა წარმოუდგინოს სათათბირომ კანონპროექტი კავკასიაში ერობის შემოღების

1. „ისარი", 1907, №№75,79,93
2. Список членов Государственной думы второго созыва по избирательным округам и партиям, СПБ, 1907, с.205; ГОсударственная дума, стенографические отчеты, т.I, СПБ, 1907, с.1534-1535.

შესახებ და თუ აქვს, დაახლოებით როდის წარმოადგენს.

ამის გარდა, სასურველია ეიცოდეთ, – ნათქვამი იყო შეკითხვაში, – წრმოადგენს თუ არა მთავრობა შემდეგ კანონ-პროექტებს: 1. მეფის ნაცვლის ახლანდელი საბჭოს რეორგა-ნიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა; 2. სამაზრო მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ; 3. კავკასიის სასამართლოებში ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობის შესახებ; 4. საერობო სადარაჯო რაზმების რეორგანიზაციის შესახებ; 6. ყარსისა და ბათუმის ოლქებში სამხედრო-სახალხო გამგეობების მაგიერ საზოგადოებრივი საქალაქო გამგეობების შემოღების შესახებ; 7. სოფლის სასამართლოში ადგილობრივი ენის შესახებ; 8. კავკასიის ოლქის პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ; 9. კავკასიაში წყლის არხების მოწყობის შესახებ; 10. ყარსისა და ბათუმის ოლქებში არასაქალაქო მიწების მესაკუთრის ვინაობის დადგენის შესახებ; 11. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან კავკასიაში გლეხთა გადასახლების აკრძალვის შესახებ; 12. უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწების გადაცემის შესახებ; 13. დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ და სხვა. სულ შეკითხვაში ლაპარაკი იყო 30 კანონპროექტზე. ეს შეკითხვა გაამრავლეს და სათათბიროს წევრებს დაურიგეს.[1]

სოციალ-დემოკრატების მიერ შეკითხვაში აღძრულმა საკითხის გადაჭრის მოთხოვნამ ფედერალისტებს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა. გაზეთი „ისარი“ წერდა, რომ სათათ-ბიროში დასმული საკითხების საფუძველზე შესაძლებელი ხდება დეპუტატებმა წამოაყენონ ძირითადი საკითხი – მხარის დეცენტრალიზაცია. მათ ეძლევათ მასალა იმის დასამტკი-

1. „ისრარი“, 1907, №74

ცებლად, რომ ადგილობრივი მართვა-გამგეობა ადგილობრივთა ხელში უნდა იყოს. თუმცა კავკასიის ადმინისტრაციას ამ საკითხებზე თავისი კანონპროექტები აქვს შემუშავებულიო. შემდეგ გაზეთი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ კავკასიელი დეპუტატები უცდიან მთავრობის პროექტებს, თვითონ არ სარგებლობენ საკანონმდებლო ინიციატივითო.[1] მათ თვითონ უნდა შეედგინათ და შეეტანათ სათათბიროში კანონ-პროექტები. ამის მაგიერ კავკასიელმა დეპუტატებმა შეკითხვა შეიტანეს იმის შესახებ, თუ რას აპირებს სამხარეო ადმინის-ტრაცია საკანონმდებლო განზრახულობათა შესახებ. ასეთი გზით სათათბირო თავის ტვირთს იხსნის და შრომას კავკასიის ადმინისტრაციას აკისრებს. ის კი რასაც გააკეთებს ადვილი გასაგებიაო. უფრო საგულისხმო ის არის, – განაგრძობს გაზეთი, – რომ მთავრობის განზრახვის შეტყობა, გამოსარკვევი ხდება სათათბიროს გახსნის დღიდან 2-თვის შემდეგ და რომ, ჩვენი დეპუტატები ადგილობრივ საჭიროებათა მაგიერ უფრო მეტ ინიციატივას რუსეთის შიდა საქმეებზე იჩენენო.[2]

1907 წლის 2 აპრილს 31 დეპუტატის ხელმოწერით სათათბიროში შეტანილი იქნა შეკითხვა ლანჩხუთის ამბებთან დაკავშირებით. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 31 მარტს ლანჩხუთის რაიონში მივიდა დამსჯელი რაზმი და მოსახ-ლეობისაგან მოითხოვდა გადეხადათ ნარჩენი გადასახადი 5.000 მანეთი და 45.000 მანეთი ჯარიმა სახაზინო ტყის გაჩეხვისათვის. ამასთან მიეცათ 7 წვეევამდელი, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევას. რაზმმა ლანჩხუთსა და მის ახლო-მახლო რაიონებში დაიწყო ძარცვა-გლეჯა. არბევდნენ სახლებს, იტაცებდნენ ქონებას, აუპატიურებდნენ ქალებს. ჯარს ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკი პრიხოდკო, ტოლმაჩევი და ბათუმის მაზრის უფროსი ერმოლაევი. ამ უბედურების შესახებ ადგილობრივმა

1. „ისარი", 1907, №75

2. „ისარი", 1907, №92

გლეხებმა სათათბიროში აცნობეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ი.წერეთელმა სათათბიროში წარმოთქვა ძლიერი სიტყვა. მან დაახასიათა ის საშინელებანი, რასაც რუსეთის ჯარი სჩადიოდა საქართველოსა და კავკასიაში. ქუთაისის პოლიცმეისტერის 1906 წლის 1-ლი თებერვლის მოხსენების თანახმად, – ამბობდა ი. წერეთელი, – ჯარმა ქ. ქუთაისში 244.146 მანეთის ქონება გაანადგურა, 51 მაღაზია და სახლი გადაწვა, ხოლო ყვირილაში – 17. ზარალის საერთო რაოდენობამ 67.170 მანეთი შეადგინა. ამის გარდა, ცეცლს მისცეს მიხაილოვო, ფოთი, ბელოგორი, ოზურგეთი, ჭიათურა, ახალი სენაკი და სხვა, სადაც დაიწვა 307 სახლი და 63 მაღაზია. კაზაკები კლავდნენ კაცებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ალიხანოვი კი მოხსენებაში წერდა – მოსახლეობა ჯარს მშვიდობიანად ეგებებაო. ეს ცნობები გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ გამო- აქვეყნა, რის გამოც გუბერნატორის ბრძანებით გაზეთი დაკეტეს, ხოლო რედაქტორი გუბერნიიდან გააძევესო.

და აი, ახლა ლანჩხუთი! ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კერძო პირების დანაშაულის საპასუხოდ მთელი მოსახლეობის პასუხისმგებლობა შემოიღო, გადასახადის ასაკრეფად ხალხს ჯარი შეესია. ჯარი ხოცავს და აწიოკებს მშვიდობიან მოსახ-ლეობას, წვავს სოფლებს, ანადგურებს ნათესებს, რითაც მათ არსებობის საშუალებას უსპობენო.

„ბატონო წარმომადგენლებო, – მიმართა ბოლოს ი. წერე-თელმა სათათბიროს, – დამსჯელი ექსპედიციები ლანჩხუთში პირველი და უკანასკნელი არ არის. მთელი დამშეული სამეგრელო, მთელი საქართველო, რომელიც ასე საშინლად გაანადგურა გენერალმა ალიხანოვმა, ახლა პოლკოვნიკ ტოლმაჩევსკის დამსჯელ ექსპედიციას გადასცეს გასანად-გურებლად... ჩვენ კარგად ვიცით, სადამდისაც მიყავს მოსახლეობა ამგვარ ექპედიციებს. ისინი ნადირსავით ტყეში იმალებიან,მათი ავლადიდება იყიდება, ქმრებს თვალწინ

ცოლებს უუპატიურებენ, ბავშვებს ხოცავენ... ამით ხალხის გამოწვევა უნდათ, რომ მიზეზი იპოვნონ და შემდეგ სისხლით მორწყონ ყველაფერი", ი. წერეთელმა მოითხოვა, რომ სათათბიროს შეკითხვა ლანჩხუთის შესახებ სასწრაფო განხილვისათვის მიეღო.[1]

მართლაც, სათათბირომ შეკითხვა მაინც საჩქაროდ მიიჩნია. იგი პასუხის გასაცემად შინაგან საქმეთა მინისტრს გაეგზავნა. 5 აპრილს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა სათათბიროს თავმჯდომარეს გოლოვინს აცნობა, რომ ამ საკითხზე განმარტებით გამოვიდოდა კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილე, სტატ-მდივანი ბარონი ნოლდე. თვენახევრის შემდეგ ნოლდემ შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა: „ხელისუფლების მოქმედება სავსებით კანონზომიერი იყო". სათათბირომ 210 ხმით, 164 ხმის წინააღმდეგ, განმარტება დამაკმაყოფილებლად ცნო.[2]

შემდეგი შეკითხვა კავკასიაში არსებულ შიმშილს ეხებოდა. ეს შეკითხვა ბარონ ნოლდეს სახელზე, 31 დეპუტატის ხელმოწერით, სათათბიროში შეტანილი იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით. შეკითხვის ავტორები მოითხოვენ იმის გაგებას, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებდა მთავრობა დახმარებისათვის.[3]

1907 წლის 23 აპრილს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა შეკითხვა ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების თაობაზე. შეკითხვაში წამოყენებული მოთხოვნა ნოლდემ უარყო თავის განცხადებაში. სათათბირომ გაითვალისწინა ნოლდეს უარყოფითი აზრი და ქ. ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება არ მიიჩნია მიზანშეწონილად.[4]

1. „ისარი". 1907, №80
2. „ლახვარი", 1907, №40
3. Список членов Государственной думы второго созыва по избирательным округам и партиям, СПБ, 1907, с.205.
4. Там же, с.207; აგრეთვე: ГОсударственная дума, стенографические отчеты, I, 1907, с.2992.

მემარცხენე პარტიების ფრაქციების რადიკალურ მოღვაწეობას სათათბიროში თანდათანობით გამოყავდა მთავრობა წონასწორობიდან. იგი განსაკუთრებით გააღიზიანა „ტრუდოვიკების“ და სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებმა, აგრეთვე, გაუთვალისწინებელმა შეკითხვებმა. ამიტომ გადაწყვიტა სათათბიროს გარეკვა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინააღმდეგ შეთითხნეს პროვოკაციული ბრალდება შეიარაღებული გადატრიალების მომზადების შესახებ. საბაბი, რომელიც მთავრობამ გამოიყენა, შემდეგი იყო: პეტერბურგში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პეტერბურგის განყოფილებასთან დაარსდა სამხედრო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ჯარში ეწეოდნენ პროპაგანდას, აწყობდნენ კრებებს. ამ ორგანიზაციას უთვალთვალებდა ოხრანკა. ორგანიზაციის კრებები უმთავრესად იმართებოდა ფანტანკაზე 129 ნომერში. 1907 წლის 29 აპრილს კრება გაიმართა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში, მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრის გერიუსის თანდასწრებით. შეიმუშაევს განაწესის ტექსტი. ამის შემდეგ 29 ნომერში, ოზოლოის ბინაში. აქ ცხოვრობდნენ ი. წერეთელიც და ა.ჯაფარიძეც. 5 მაისს ამ ბინას თავს დაესხა პოლიცია, მაგრამ იქ არავინ დახვდათ. მან გამოკითხვით დააგინა, რომ ბინაზე მისულა მეორე სახელმწიფო სათათბიროს 35 წევრი, რომელთა შორის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წევრები ყოფილან. ამათ შემდეგ შემატებიათ 30 გარეშე პირი. პოლიციამ ნახა იატაკზე დაყრილი 6 წერილი და ერთი რეზოლუცია. რომლის შინაარსი ეხებოდა ნებადაურთველი სამხედრო ორგანიზაციის მოქმედებას. ამ ქაღალდების საფუძველზე სოციად-დემოკრატიული ფრაქციის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.[1]

მთავრობამ წინადადება მისცა სათათბიროს თავის შემად-

1. „წყარო“, 1907, №32

გენლობიდან გამოეყვანა სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, მაგრამ სათათბირომ პასუხი დააყოვნა. ამით ისარგებლა ცარიზმმა და 1907 წლის 3 ივნისს მეორე სახელმწიფო სათათბირო გარეკა.

ამ უმართებულო გადაწყვეტილების გამართლების მიზნით მეფე ყველაფერს სათათბიროს აბრალებდა. გამოქვეყნებულ უმაღლეს მანიფესტში ნიკოლოზ II იუწყებოდა: „ჩვენ მიერ მოწვეული II სათათბირო მოწოდებული იყო იმისათვის, რომ ჩვენი სურვილის თანახმად ხელი შეეწყო რუსეთის სიმშვიდისათვის, უპირველეს ყოვლისა საკანონმდებლო მუშაობით, ეროვნულისოდაც შეუძლებელია სახელმწიფოს ცხოვრება და მისი წყობილების გაუმჯობესება.

სათათბიროში მოღვაწეობა დეპუტატებისაგან მოითხოვდა დიდ პასუხისმგებლობას, მათ თავისი უფლებები უნდა გამოეყენებინათ გონიერი მუშაობისათვის რუსეთის საკეთილდღეოდ და სახელმწიფოს განსამტკიცებლად, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მეორე სათათბიროს შესამჩნევმა ნაწილმა არ გაამართლა ჩვენი იმედები. ისინი ქვეყნის განმტკიცების მაგიერ ხელს უწყობდნენ მის ნგრევას. ამ დეპუტატების მოღვაწეობა სახელმწიფო სათათბიროში წინ გადაეღობა ნაყოფიერ მუშაობას. ამ მიზნით მთავრობის მიერ შემუშავებული მრავალი ღონის- ძიება სახელმწიფო სათათბირომ, ან არ განიხილა, ან დააგვიანა განხილვა, ან კიდევ უარყო იგი.

შეკითხვების უფლება სათათბიროს დიდმა ნაწილმა გადააქცია მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლისა და სიძულვილის დასათეს საშუალებად. დასასრულ მოხდა ისეთი ამბავი, რომლის მსგავსი ისტორიაში არ მომხდარა. სასამართლო უწყებამ აღმოაჩინა შეთქმულება სათათბიროს ერთი ნაწილისა მთავრობისა და მეფის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა საქმის გარჩევამდე 55 ბრალდებული დეპუტატის დათხოვნა და ზოგიერთების დაპატიმრება, სახელმწიფო სათათბირომ დაუყოვნებლივ არ აღასრულა

მთავრობის ბრძანება. ყველაფერმა ამან გვაიძულა დაგვეთხოვა მეორე სახელმწიფო სათათბირო და 1907 წლის 1-ლი ნოემბირსათვის დაგვენიშნა ახალი სათათბიროს მოწვევა.

ორჯერ მოწვეული სათათბიროს უნაყოფობა აიხსნება იმით, რომ საქმის სიახლისა და და საარჩევნო წესის უვარგისობის წყალობით, სათათბიროში მოხვდნენ ისეთი კაცები, რომლებიც არ იყვნენ ნამდვილი გამომხატველნი ხალხის სურვილისა და საჭიროებისა. ამიტომ განვიზრახეთ შევცვალოთ საარჩევნო წესი.

რუსეთის სახელმწიფოს განსამტკიცებლად შექმნილი სახელმწიფო სათათბირო რუსული უნდა იყოს სულითა და გულით. სხვა ერებმა,რომლებიც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობენ, უნდა იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში თავიანთი წარმომადგენლები, მაგრამ იმდენი რომ მათზე არ იყოს დამოკიდებული რუსების შესახებ საქმის გადაწყვეტა. სახელმწიფოს იმ განაპირა ადგილებში, სადაც მცხოვრებთ საკმაო მოქალაქეობრივი განათლება არა აქვთ, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დროებით უნდა შეჩერდეს.

მხოლოდ რუსეთის მეფეს აქვს უფლება გააუქმოს კანონი და შემოიღოს ახალი. ჩვენ გამოვცემთ ახალ საარჩევნო კანონს, რომლის გამოცემა ნაბრძანები აქვს სენატს".[1]

სათათბიროს გარეკვის შემდეგ ხელისუფლებამ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაპატიმრება დაიწყო. დეპუტატთა დაჭერის საფრთხის შექმნისას პარტიამ ფრაქციის წევრებთან ერთად გაგზავნა ნ. ჟორდანია რჩევით – დამალულიყვნენ და ბრძოლა გაეგრძელებინათ არარეგალურად, ანდა წასულიყვნენ საზღვაგარეთ. ი. წერეთელი ამაზე არ დათანხმდა. მასთან მოსულ ნ. ჟორდანიას განუცხადა: „როგორ დავტოვო ამხანაგები ტყვეობაში, ვინ დაიცავს მათ და ჩვენს საქმეს"-ო. ა. ზურბოვმა გაქცევა გადაწყვიტა. ა.ჯაფარიძე ნ. ჟორდანიამ სახლში ვერ

1. „ისარი".1907, №57

ნახა. რაც შეეხება ბოლშევიკ დეპუტატებს, მათ ყველამ დამალვა ამჯობინა.[1]

დაპატიმრებამდე მემარცხენე დეპუტატები აპირებდნენ ფინეთში წასვლას და მოწოდების დაწერას ხალხისადმი, ისე როგორც პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა გააკეთეს, მაგრამ ჯარს და პოლიციას პეტერბურგის რკინიგზის ყველა სადგური მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი, ფინეთში მიმავალ ყველა დეპუტატს აპატიმრებდნენ. 7 ივნისამდე დააპატიმრეს ყველა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, ვინც სახლში დახვდათ, მათ შორის ქართველებიც ი.წერეთელი, გ. მახარაძე, კ, კანდელაკი, ჭ. ლომთათიძე, ა.ჯაფარიძე და ნ.კაციაშვილი.

სულ „სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით სასამართლოში მისცეს 70 დეპუტატი. მათ შორის მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია – 55 კაცი. დეპუტატების ნაწილი მიიმალა. „საქმის“ გარჩევა დაიწყო სენატში 1907 წლის 22 ნოემბერს. ბრალდებაში ნათქვამი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებმა 1907 წლის აპრილში ფრაქციის სახელით შეადგინეს აკრძალული საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა შეიარაღებული აჯანყებით არსებული წყობილების დამხობა და დემოკრატიული წყობილების დამყარება, აჯანყებაში მუშებისა და გლეხების ჩაბმა. მიზნად ჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა ფარული ორგანიზაციების გაერთიანება, აჯანყების შემდეგ ძალაუფლების დამფუძნებელი კრების ხელში გადაცემა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები სხვადასხვა ადგილზე აგზავნიდნენ თავის ხელმოწერილ განაწესებს და მოწოდებებს, როგორც მოსახლეობის, ისე ჯარის ნაწილებში აჯანყებისათვის. 5 მაისს დეპუტატ ოზოლის ბინაზე მიიღეს დეპუტაცია, რომელმაც მათ განწესი გადასცათ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები დეპუტაციას დაპირდნენ დახმარებას და სხვა.[2]

1. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ.57

2. „წყარო“, 1907, №32

1907 წლის 1 დეკემბერს ბრალდებულ სახელმწიფო სათათბიროს წევრების მიმართ გამოცხადდა განაჩენი: 11 დეპუტატს, მათ შორის ი. წერეთელს, ჭ. ლომთათიძეს და ა. ჯაფარიძეს გადაუწყვიტეს ღირსება-უფლების ჩამორთმევა და კატორღა 4 წლით; 12 დეპუტატს – ღირსება უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. დანარჩენი 11 დეპუტატი, მათ შორის კ. კანდელაკი და ნ. კაციაშვილი გაამართლეს. ა. ზურაბოვი და ს. ჯუღელი გადაიმალნენ.[1]

სათათბიროს გარეკეამ და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატების დაჭერამ ქალიან დააფიქრა ილია ჭავჭავაძე, რის გამოც თქვა: ეს ახალი უბედურებაა ჩვენთვის, ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას გვპირდება, ჩემნი დღენი კარგს ვერაფერს მოესწრება“-ო.[2] მისი წინასწარმეტყველება მალე გამართლდა, 1907 წლის 30 აგვისტოს იგი ვერაგულად მოკლეს. რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ილიასეული იდეა განუხორციელებელი დარჩა.

მეორე სახელმწიფო სათათბირომ სულ იარსება 103 დღე, ანუ 3 თვე და 11 დღე. ამ ხნის განმავლობაში გამართა 53 სხდომა. სათათბირო გარეგნულად სულ მუშაობდა, კომისიებში მზადდებოდა კანონ-პროექტები, მაგრამ ამ მუშაობას თავისი შედეგი არ მოპქონდა; მომზადებული კანონ-პროექტებიდან სათათბირომ განიხილა და მოიწონა მხოლოდ 3 კანონპროექტი: 1. დამშეულთათვის 6 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ, საიდანაც ამიერკავკასიას 1.200.000 მანეთი ერგებოდა; 2. სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ; 3. წვევამდელებით ჯარის ყოველწლიური შევსების შესახებ. დანარჩენ კანონპროექტებს, რომლებიც ეხებოდნენ ბიუჯეტს, მიწას, სიკვდილით დასჯას, ამინისტიას, ადგილობრივ თვით-

1. „ისარი“, 1907, №267.

2. ქ. „განათლება“, 1908, №3-4, გვ.121

მმართველობას, საგანგებო წესების გაუქმებას, პიროვნების ხელშეუხებლობას და სხვას, სათათბიროს მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონია.[1] სათათბირო განსაკუთრებით უფრთხოდა აგრარულ საკითხს, რამაც გამოიწვია კიდეც მისი მოღვაწეობის დასასრული.

ამრიგად, მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში დიდ გამარჯვებას მიაღწია სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქართველოს ორგანიზაციამ. არჩეული ყველა 8 დეპუტატი ამ პარტიას ეკუთვნოდა. მათი გამარჯვება იმით აიხსნებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია შედარებით ადრე აღმოცენდა და გავლენა მოიპოვა სოფლებში. აღნიშნული პარტიის საარჩევნო აგიტაციას ყურს უგდებდა გლეხობის დიდი ნაწილი. ამასთან სოციალ-დემოკრატები არჩევნების დროს მიმართავდნენ ძალადობასაც.

ფედერალისტური პარტია ახალი აღმოცენებული იყო და ხალხი ხეირიანადაც კი ვერ იცნობდა მის პროგრამას. მიუხედავად სოციალისტ-ფედერალისტების არჩევნებში დამარცხებისა, აშკარად ჩანდა, რომ ზოგიერთ ადგილას ეს პარტია თანდათანობით მეტ მომხრეებს იძენდა. მაგალითად ქუთაისის, შოროპანის და გორის მაზრებში გლეხთა კურიაში არჩეული სოციალ-ფედერალისტების რწმუნებულები გაცილებით უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე წინა არჩევნების დროს. მხოლოდ ეს იყო, რომ არჩევნების მომდევნო ეტაპზე ვერ შეძლეს მათ წარმატების მიღწევა.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს ქართველი სოციალ-დემოკრატების სოციალური შემადგენლობა, წინა სათათბიროს დეპუტატების სოციალურ შემადგენლობასთან შედარებით, უფრო მუშურ-გლეხური იყო. ფრაქცია სათათბიროში აგრძელებდა ადრე შემუშავებულ ტაქტიკას – მწვავედ აკრიტიკებდა მთავრობის პოლიტიკას, როგორც საერთოდ, ისე საქართველოსა

---

3. „ისარი“, 1907, №125

და კავკასიაში. ამით სურდა მისი წონასწორობიდან გამოყვანა და ხალხის თვალში დისკრედიტაცია. ამასთან უარყოფდა სხვა მონათესავე პარტიებთან ოფიციალურ კავშირს, მაგრამ მთავ-რობის საწინააღმდეგო ნებისმიერ აქტს მხარს უჭერდა.

ქართველმა დეპუტატებმა შესძლეს სათათბიროში აგრა-რული კანონპროექტის შეტანა, მას რაიმე მხარდაჭერა არ პქონია. უფრო სერიოზული და მრავალმხრივი მუშაობის გაშლა სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ვერ შეძლო, რადგან ცარიზმმა სათათბირო ოპოზიციონორობის გამო მალე გარეკა.

თავი IV. მესამე სახელმწიფო სათათბირო

1. მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მიმდინარეობა და მისი შედეგები საქართველოში

1907 წლის 3 ივნისს მეფემ დაპირებისამებრ ახალი საარჩევნო კანონი გამოსცა, რომელიც ძველისაგან განსხვავებით კიდევ უფრო რეაქციული იყო. აღნიშნული კანონით მოსახლეობის ფართო ფენების მიმართ შენარჩუნებული იქნა საარჩევნო უფლების ყველა შეზღუდვა – არჩევნების მრავალსაფეხურიანობა და წოდებრივი ხასიათი, ქონებრივი და ასაკობრივი ცენზი, საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ქალებისათვის, მოსწავლეთათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სხვა.

ახალი საარჩევნო კანონი არც არჩევნების ძველ, კურიალურ სისტემას ცვლიდა. როგორც წინათ, ისე ახლაც ამომრჩეველები 5 კურიად იყოფოდნენ. კერძოდ, არსებობდა გლეხების, მუშების, ქალაქის ამომრჩეველების (ბურჟუაზიის) და წვრილი და მსხვილი მემამულეების საარჩევნო კურიები. ფორმალურად ახალ კანონს არცერთი საზოგადოებრივი ჯგუფისათვის არ წაურთმევია საარჩევნო უფლება, მან მხოლოდ ზოგიერთი ჯგუფის უფლება შეამცირა და ზოგის გაადიდა. მოხდა ამომრჩეველთა რიცხვის გადანაწილება მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ამ მიზნით, მსხვილმა მემამულეებმა მიიღეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარი, ხოლო მუშათა კლასმა და გლეხობამ – მხოლოდ მეოთხედი. მემამულის ერთი ხმა უდრიდა მსხვილი ბურჟუაზიის 4 ხმას, გლეხთა 260 ხმას და მუშათა 543 ხმას. მემამულეები და კაპიტალისტები სათათბიროში შეადგენდნენ აბსოლუტურ უმრავლესობას.[1]

ახალმა საარჩევნო კანონმა უპირველეს ყოვლისა შეამცირა გლეხი ამომრჩევლების რიცხვი საგუბერნიო ყრილობაზე, მის ნაცვლად გაზარდა მემამულეთა რაოდენობა. გარდა ამისა,

---

1.სსრ კავშირის ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1979, გვ. 96

რუსეთის გლეხობას ძველი კანონის ძალით; უფლება ჰქონდა თითო გუბერნიიდან დამოუკიდებლად აერჩია თითო დეპუტატი. ახალი კანონის ძალით მას ეს უფლება ერთმეოდა.

ძველი კანონის თანახმად, გლეხებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ წერილი მემამულეების კურიაში და აერჩიათ რწმუნებული მსხვილი მემამულეების კრებაზე დასასწრებად. ამის მეოხებით გლეხები ხშირად იმარჯვებდნენ მსხვილ მემამულეებზე. 3 ივნისის კანონმა გლეხებს წაართვა ეს უფლება, ე.ი. ისინი განდევნა წერილი მემამულეების კურიიდან. ამიერიდან გლეხს შეეძლო მონაწილეობა მიეღო არჩევნებში მხოლოდ ერთხელ და ისიც სოფლის ყრილობაზე რწმუნებულების ასარჩევად. სოფლის ყრილობაში მონაწილეობდა ყველა გლეხი, თუ ის სოფელზე იყო მიწერილი, ჰქონდა სანადელო, ან შეძენილი საკუთარი მიწა, ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სოფელში და ეწეოდა პირად მეურნეობას.

სოფლის საზოგადოების რწმუნებულთა კრება ირჩევდა ორ რწმუნებულს სამაზრო კრებაზე დასასწრებად, სამაზრო კრება ირჩევდა ორ რწმუნებულს, ამომრჩევლებს საგუბერნიო კრებაზე (ყრილობაზე) გასაგზავნად. საგუბერნიო ყრილობაზე გლეხების მიერ ხმამიცემული ამომრჩევლები, სხვა კლასის და სოციალური ჯგუფების ამომრჩევლებთან ერთად, ირჩევდნენ სათათბიროს დეპუტატებს.

მუშათა კურიაში არჩევნები ბველებურად ტარდებოდა. აქ ცვლილება არ მომხდარა. ყოველი ფაბრიკა – ქარხანა, თუ სამთო-სამრეწველო დაწესებულება, სადაც 50-დან 1000-მდე მუშა მუშაობდა, ირჩევდა ერთ რწმუნებულს, ხოლო სადაც 1000 მუშაზე მეტი იყო, იქ ყოველ 1000 მუშაზე – თითო რწმუნებულს. შემდეგ მუშათა რწმუნებულები თავიანთ რიგებიდან ირჩევდნენ ამომრჩევლებს საგუბერნიო ყრილობისათვის. აქ მუშა ამომრჩევლები, სხვა ამომრჩევლებთან ერთად, მონაწილეობდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევაში.

მუშათა კურია ევროპული რუსეთის 65 გუბერნიიდან და ოლქიდან ძველებურად ისევ 47 გუბერნიასა და ოლქში რჩებოდა. მათ შორის პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ჩრდილო – დასავლეთ მხარეში და 19 ქალაქში. დასახელებული ადგილებიდან სულ არჩევნებში 237 მუშა ამომრჩეველი მონაწილეობდა.

ამის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასიიდან არჩევნებში სულ მონაწილეობდა 9 მუშა ამომრჩეველი. კერძოდ, ქ. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიიდან – 4, ქ, თბილისისა და თბილისის გუბერნიიდან – 2, ბათუმის ოლქიდან – 1, ყუბანის ოლქისა დაშავი ზღვის გუბერნიიდან – 2. კავკასიის დანარჩენ ადგილებში, აგრეთვე ციმბირისა და შუა აზიის რუსეთში, მუშათა კურია არ არსებობდა. ამრიგად, მთელს რუსეთში მუშათა კურიიდან სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობდა 246 ამომრჩეველი.[1]

3 ივნისის საარჩევნო კანონით, ქალაქის ამომრჩეველთა რიცხვი რამდენადმე შემცირდა. ამასთან ქალაქის ამომრჩეველები ორ თანრიგად, ანუ კატეგორიად გაიყო. ეს იყო ახალი კანონის მიერ შეტანილი საყურადღებო ცვლილება. პირველ კატეგორიაში მოექცა მსხვილი და ცოტაოდენი საშუალო ბურჟუაზია, მეორეში კი – წვრილი ბურჟუაზია, სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეები და ბინის დამქირავებელნი.

კერძოდ, პირველ კატეგორიაში მონაწილეობდნენ იმ დიდი ქალაქების ამომრჩეველები, სადაც 20 000 მცხოვრებზე მეტი ითვლებოდა და თითოეული ამომრჩეველის ქონება 1000 მანეთზე მეტი ღირებულების იყო.

პატარა ქალაქებიდან პირველ კატეგორიაში მონაწილეობდნენ ისეთი ამომრჩეველები, რომლებიც 300 მანეთის ქონებას ფლობდნენ, აგრეთვე სავაჭრო – სამრეწველო დაწესებულებების პატრონები, რაზედაც მათ სათანადო მოწმობები უნდა ჰქონოდათ.

---

1. „ჩვენი სიტყვა“, 1907, №27

მეორე კატეგორიაში შედიოდნენ: 1. ისეთი უძრავი ქონების მესაკუთრენი, რომელთა ქონება დიდ ქალაქებში 1000 მანეთზე ნაკლები ღირდა, ხოლო პატარა ქალაქებში – 300 მანეთზე ნაკლები; 2. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების პატრონები, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ პირველ კატეგორიაში; 3. ბინის დამქირავებელნი, რომლებიც ერთიწლის განმავლობაში იხდიდნენ ბინის გადასახადს; 4. ის პირნი, რომელნიც იხდიდნენ სამრეწველო გადასახადს; 5. მაზრაში მცხოვრები პირები, რომლებიც ღებულობდნენ პენსიას, ან ჯამაგირს, მსახურობდნენ სახელმწიფო, საერობო, ქალაქის, ან წოდებრივ დაწესებულებებში, აგრეთვე რკინიგზაზე.

ცვლილებები მიწათმფლობელთა კურიასაც შეეხო. ეს ცვლილებები შეღავათებს უფრო მსხვილ მემამულეებს აძლევდა. მემამულეები წინანდელივით მონაწილეობდნენ წვრილ და მსხვილ მემამულეთა საარჩევნო ყრილობებში (კრებებში). წვრილი მემამულეების ყრილობა ირჩევდა რწმუნებულებს მსხვილი მემამულეების ყრილობისათვის, ამ უკანასკნელთა ყრილობა კი – ამომრჩეველებს საგუბერნიო ყრილობისათვის. მსხვილ მემამულეებად ითვლებოდნენ ისინი, ვინც არ იხდიდა 30 მანეთზე ნაკლებ საერობო და სახელმწიფო გადასახადს, მამულების მმართველები, ის პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ 1500 მანეთზე ნაკლები უძრავი ქონება (ადგილ – მამულების და სავაჭრო – სამრეწველო მოწმობების გარდა), აგრეთვე წვრილი მემამულეების რწმუნებულები.

როგორც უკვე ითქვა, 3 ივნისის კანონმა წვრილი მემამულეების კრებიდან განდევნა გლეხები (სასოფლო ყრილობის მიერ არჩეული რწმუნებულები, რომლებსაც ადრე აქ დასწრების უფლება ჰქონდათ). ამიერიდან წვრილი მემამულეების კრებაში მონაწილეობის უფლება რჩებოდათ შემდეგი კატეგორიის პირებს: 1. თავადაზნაურებს, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ საქალაქო არჩევნებში და ამის შესახებ წინდაწინ შეიტანდნენ განცხადებას საარჩევნო კომისიაში; 4. გლეხებს,

რომელნიც საგუბერნიო, ან სამაზრო ქალაქებზე იყვნენ მიწერილნი და სოფლებში ფლობდნენ ადგილმამულს. საერთოდ ყველა მესაკუთრე გლეხს, რომელებიც სოფლის ყრილობაზე იყვნენ მიწერილნი და არ ეკუთვნოდნენ ე.წ. „ოჯახის უფროს“ გლეხებს.

ყველა კურიის ამომრჩეველები საგუბერნიო კრებაზე ერთად ირჩევდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს შემდეგი წესით: 1. იმ გუბერნიებში, რომელთა მართვა-გამგეობა საერთო წესს ემორჩილებოდა (შიდა რუსეთის გუბერნიები, აგრეთვე ტობოლის, ტომსკის გუბერნიები და დონის ოლქი), გლეხი ამომრჩეველებიდან ირჩევდნენ თითო დეპუტატს სხვა კლასის წარმომადგენლებთან ერთად, წინათ კი, თვითონ გლეხები ირჩევდნენ თავის დეპუტატს დამოუკიდებლად; 2. რუსეთის იმავე გუბერნიებიდან, არხანგელსკის გუბერნიის და დონის ოლქის გამოკლებით, თითო დეპუტატი აუცილებლად უნდა აერჩიათ მემამულე ამომრჩეველებიდან; 3. ასტრახანის, ანხანგელსკის, ვიტებსკის და სხვა გუბერნიებში (სულ 25 გუბერნია), საგუბერნიო ყრილობა ირჩევდა თითო დეპუტატს ქალაქის პირველი, ან მეორე თანრიგის (კატეგორიის) ამომრჩეველებიდან; 4. ასტრახანის და ორენბურგის გუბერნიებში, აგრეთვე დონის ოლქში, ირჩევდნენ თითო დეპუტატს კაზაკთა ამომრჩეველებიდან; 5. პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, ეკატერინოსლავის, კოსტრომის, ხარკოვის გუბერნიებში თითო დეპუტატს ირჩევდნენ მუშა ამომრჩეველებიდან. დანარჩენ დეპუტატს ირჩევდნენ საგუბერნიო ყრილობაზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდნენ ისინი.[1]

3 ივნისის კანონით განსაკუთრებით ეროვნული მხარეები დაზარალდნენ. კანონი საარჩევნო უფლებას ართმევდა აზიური რუსეთის მოსახლეობის წარმომადგენლობას, აერთებდა საარჩევნო ოლქებს. ეს იყო მისი ყველაზე მეტად თვალშისაცემი

1. „დილა“, 1907, №17

პირველი თაეისებურება. ამით ცარიზმი სამაგიეროს უხდიდა იმათ, ვინც პირველ და მეორე სახელმწიფო სათათბიროში მემარცხენე დეპუტატები გაგზავნა.

ახალი საარჩევნო კანონით მთელი კავკასია იყოფოდა 6 საარჩევნო ოლქად. ესენი იყვნენ: 1. თბილისის გუბერნია. 2. ქუთაისის გუბერნია. 3. ბათუმის, ყარსის ოლქები და სოხუმის ოკრუგი. 4. ბაქოს, ელიზავეტოპოლის და ერევნის გუბერნიები. 5. დაღესტნის ოლქი და ზაქათალის ოკრუგი. 6. თერგისა და ყუბანის ოლქები და შავი ზღვისპირეთის გუბერნია. წინათ კი 10 საარჩევნო ოლქი იყო.

მნიშვნელოვნად შემცირდა ამომრჩეველთა რიცხვი. წინათ თბილისის გუბერნია სახელმწიფო სათათბიროს 49 ამომრჩეველს ირჩევდა. ქალაქ თბილისს კი ცალკე პქონდა 80 ამომრჩევლის არჩევის უფლება, ე.ი. ორივე ერთად 129 ამომრჩეველს ირჩევდა. ახლა თბილისის გუბერნიის ამომრჩეველთა რაოდენობა ქალაქ თბილისიდან 55-მდე დაიყვანეს. ქუთაისის გუბერნიას 45 ამომრჩევლის მაგიერ 38 ამომრჩეველი უნდა აერჩია. ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი ადრე ერთად 16 ამომრჩეველს ირჩევდა, ყარსის ოლქის ჩათვლით კი – 33. ახლა სამივეს ერთად 27 ამომრჩევლის არჩევის უფლება მისცეს.

საქართველოში სათათბიროს ამომრჩეველთა რიცხვის შემცირებაზე და მემამულეთა და ბურჟუაზიის სასარგებლოდ მის გადანაწილებაზე ნათლად მეტყველებს ცხრილი №8.

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში გლეხი ამომრჩეველების რიცხვი თითქმის განახევრდა. მნიშვნელოვნად (3,5 – ჯერ თბილისიდან) შემცირდა ქალაქის საშუალო ფენების ამომრჩეველთა რაოდენობა. სამაგიეროდ გაიზარდა მემამულე და მსხვილი ბურჟუაზიის ამომრჩეველთა რაოდენობა.ასე იყო დანარჩენ კავკასიაშიც.

შემცირებული იქნა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა რიცხვიც. მაგალითად, პოლონეთს ახალი ნორმების მიხედვით შეეძლო აერჩია 14 დეპუტატი ნაცვლად 25-ისა; შუა აზიას,

ცხრილი №8

№	გუბერნიები, ოლქები	გლეხებისაგან		მემამულეებისაგან		ქალაქებისაგან		სულ		შენიშვნა
		წინათ	ახლა	წინათ	ახლა	წინათ	ახლა (თბილისი-ანად	წინათ	ახლა	
1	თბილისის გუბ.	21	12	20	29	29	14	49	55	მუშები ნა-გულისხმევი
2	ქ.თბილისი					80		80		არიან ქა-ლაქის ამო-
3	ქუთაისი გუბ.	22	9	15	22	8	7	45	38	მრჩველებში
4	ბათუმის, ყარ-სის ოლქები და სოხუმის ოკრუ-გი	21	14	2	4	10	9	33	27	
	ს უ ლ	64	35	37	55	106	30	207	120	

რომელსაც მეორე სათათბიროში ჰყავდა 21 დეპუტატი, მესამე სათათბიროში არცერთი ადგილი არ მიუღია. კავკასია 29 დეპუტატის ნაცვლად ახლა 10 დეპუტატს ირჩევდა. ე.ი. მათი რაოდენობა 19-ით, ანუ თითქმის 3 ჯერ შემცირდა. საქართველო 8-ის მაგიერ 3 დეპუტატს ირჩევდა. კერძოდ, თბილისის გუბერნია-1, ქუთაისის გუბერნია-1, ბათუმის და ყარსის ოლქები და სოხუმის ოკრუგი-1. ქალაქ თბილისს, ისე როგორც ქალაქ ბაქოს, წაართვეს საკუთარი დეპუტატის არჩევის უფლება. კავკასიაში სულ 10 გუბერნია და 9 მილიონზე მეტი მცხოვრები იყო. მაშასადამე, თითოეულ საარჩევნო ოლქზე და ყოველ მილიონ მცხოვრებზე თითო დეპუტატი მოდიოდა. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს რომ კავკასიას არასოდეს არ ჰქონდა იმ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატის არჩევის უფლება, რომლითაც რუსეთის გლეხები სარგებლობდნენ. ამ მხარეში არც ქალაქები იყოფოდნენ თანრიგად. საერთოდ, ახალი საარჩევნო კანონიდან გამომდინარე, მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების რიცხვი წინანდელ სათათბიროსთან შედარებით, 82 კაცით ნაკლები იყო. 524 დეპუტატის ნაცვლად ახლა442 დეპუტატს ირჩევდნენ.[1]

ახალი კანონის მერე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არარუსი მოსახლეობის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე მნიშვნელოვნად აფართოებდა რუსი მოსახლეობის უფლებებს. მთავრობა ხედავდა, რომ კავკასიაში მუშებსა და გლეხებს შორის დიდი გავლენა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამ პარტიას პირველ სახელმწიფო სათათბიროში 5, ხოლო მეორეში 8 დეპუტატი ჰყავდა. არარუსი მოსახლეობის ეოტუმს სახელმწიფო სათათბიროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. „ინოროდცებზე“ იყო დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებდა სათათ- ბირო. ამიტომ ცარიზმმა კავკასია, დეპუტატის რიცხვის შემცირების გარდა, სხვა მხრივაც დასაჯა.

1. „ისარი“, 1907, №№121, 122, 125

ახალი საარჩევნო კანონით, ამიერიდან ერთი დეპუტატის არჩევის უფლება, ისე როგორც სხვა ეროვნული მხარეებში, ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუსებსაც ეძლევათ. ე.ი. არსდებოდა რუსული კურია. ხელისუფლებას სურდა, რუსი მოსახლეობის გამოყენებით, რომელიც მეტწილად მონარქისტულად იყო განწყობილი, დაესუსტებინა ადგილობრივი ეროვნული და პოლიტიკური ძალები და არ მიეცა მათთვის არჩევნებში გამარჯვების საშუალება.

ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობისგან 73 ამომრჩეველის არჩევა იყო გათვალისწინებული. მათ შორის: ბაქოს გუბერნიიდან – 21, ელიზავეტოპოლის გუბერნიიდან – 6,ქუთაისის გუბერნიიდან – 2, თბილისის გუბერნიიდან – 21, ერევნის გუბერნიიდან – 4, ბათუმის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან – 5, დაღესტნის ოლქიდან – 7, ყარსის ოლქიდან – 7[1].

ახალი საარჩევნო კანონით, ისე როგორც წინათ, ყველა უბანში, მაზრასა თუ ოლქში უნდა ჩატარებულიყო სამი საარევნო კრება: 1. სოფლის საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა; 2. მაზრის მემამულეთა ყრილობა; 3. ქალაქის ამომრჩეველთა ყრილობა. არჩევნების ჩატარებისათვის მეფის ნაცვალს კავკასიაში უფლება ჰქონა საჭიროების შემთხვევაში, თავის შეხედულებებისამებრ, შეეერთებინა ცალკეული უბნები, ან მაზრები და დაენიშნა საერთო საარჩევნო ყრილობა (კრება), ანდა ერთი ოლქის მაზრის, ან უბნის მემამულენი და ქალაქის ამომრჩეველები გაეერთიანებია სხვა ოლქის მაზრის, ან უბნის მემამულეებსა და ქალაქის ამომრჩეველებთან[2].

მთავრობამ არჩევნების ჩატარების თადარიგი წინასწარ დაიჭირა. 1907 წლის ივლისში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, გამოცემული იქნა ცირკულარი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კავკასიის ადმინისტრაციას. აღნიშნული

1. „ისარი", 1907, №135
2. „ისარი", 1907, №117

დოკუმენტის საფუძველზე მხარეში შეუდგნენ საარჩევნო მზადებას: იქმნებოდა სამაზრო და საგუბერნიო კომისიები, დგებოდა ამომრჩეველთა სიები და სხვა. ამ ცირკულარს 27 აგვისტოს მოჰყვა არჩევნების ჩატარების წესი, ანუ ინსტრუქცია, რომელიც ბევრი წერილმანი ფორმალობის დაცვას ითვალისწინებდა.[1]

1907 წლის სექტემბერში მეფის ნაცვალმა გამოაცხადა კავკასიაში მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარების ვადები. თბილისის გუბერნიაში სოფლის ყრილობის რწმუნებულების არჩევნები უნდა გამართულიყო 14 სექტემბერს, წვრილ მემამულეთა წინასწარი კრებები – 15 სექტემბერს, მსხვილ მემამულეთა კრებები – 23 სექტემბერს, მუშათა რწმუნებულების არჩევნები – 14 სექტემბერს, ქალაქის ამომრჩეველთა კრებები – 27 სექტემბერს.[2] დეპუტატების ასარჩევად საგუბერნიო და საოლქო საარჩევნო კრებების (ყრილობების) მოწვევის თარიღად გამოცხადებული იქნა 14 ოქტომბერი.

თბილისში თითო მუშა რწმუნებულის არჩევის უფლება ჰქონდა შემდეგ სამრეწველო დაწესებულებებს:იარალოვის და ამხანაგობის მექანიკურ ქარხანას, ქართველ გამომცემელ ამხანაგობის სტამბას, ტრამვაის დეპოს, ბოზარჯიანცის, საფაროვის და ენფიანჯიანის თამბაქოს ქარხნებს; ტაიროვის, ალიხანოვის და ტოლეს საპნის ქარხნებს; დ. სარაჯიშვილის არყის ქარხანას, „მირის“ თამბაქოს ქარხანას, ფარსადანოვის ფეხსაცმელების ქარხანას, ხაჩატუროვის სტამბას, ვეტცელის ლუდის ქარხანას, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს, დეპოს, მოძრაობის სამსახურის სახელოსნოს ტელეგრაფის განყოფილებას.

გორის მაზრაში ანალოგიური უფლება გააჩნდა: ძმები

---

1. „ისარი“, 1907, №№126, 145, 214
2. „ისარი“, 1907, №201

მალიშევების ბორჯომის შუშის ქარხანას, დიდი მთავრის მიხეილის ბორჯომის წყლისა და ხე-ტყის სახერხ ქარხნებს, მიხაილოვის (ხაშურის) საორთქმავლო დეპოს. ბორჩალოს მაზრაში აღნიშნული უფლებით სარგებლობდა ალავერდის სპილენძის ქარხანა, შამბლუგის სპილენძის მაღარო, „შაგილელიარსკის" ქარხანა და მაღარო.[1]

უნდა ითქვას, რომ საარჩევნო სიების შედგენის დროს, თბილისსა და ქუთაისში, ნაკლებად აქტიურობდა ქალაქის მოსახლეობა, რადგან დაბალცენზიანებმა იცოდნენ, რომ სიებში მათ არ შეიტანდნენ, ხოლო მაღალცენზიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ სიებიდან არ გამოტოვებდნენ.

ხალხის ეს გულგრილი დამოკიდებულება არჩევნებსაც გადაედო. მაგალითად, 27 სექტემბერს თბილისში ჩატარდა თბილისისა და ბორჩალოს მაზრების რწმუნებულთა გაერთიანებული კრება, რომელშიც 27 000 რწმუნებულის მაგიერ მონაწილეობდა 6 919 რწმუნებული.[2]

ანალოგიურ სურათს ჰქონდა ადგილი კავკასიის სხვა რეგიონშიც.

რეაქციული საარჩევნო კანონის გამო, მემარცხენე პარტიებში თავი იჩინა დაბნეულობამ და გულგატეხილობამ. ამ დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, მენშევიკებშიც დაიწყო აგიტაცია სათათბიროს ბოიკოტის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ტამერფორსში მოწვეული იქნა რსდმპ კონფერენცია, რომელსაც საქართველოდან ნ. ჟორდანიაც ესწრებოდა. კონფერენციამ მხარი არ დაუჭირა სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკას. საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში სულ სხვა განწყობილება სუფევდა, აქ გულგატეხილობა და დაბნეულობა არ იგრძნობოდა. ტამეფორსიდან დაბრუნებულ ნ. ჟორდანიას საქარველოში გაუტეხავი სული დახვდა. მისმა

1. „ისარი", 1907, №157; „Кавказъ", 1907, №208
2. „ისარი", 1907, №214

ჩართვამ მუშაობაში კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის ერთიანობა.[1]

ამასთან ერთად, მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს საქართველოში ჰქონდა ერთი თვალშისაცემი თავისებურება, რომელიც რუსეთის მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს შორის შექმნილი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდა. კერძოდ ის, რომ არჩევნებში არ მონაწილეობდნენ სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციური პარტიები. ფედერალისტების კრებაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ წინა ორმა სათათბირომ ხალხს არაფერი მისცა. ახალმა საარჩევნო კანონმა მკვეთრად შეზღუდა მშრომელი ხალხის უფლებები, პარლამენტისკენ გზა მხოლოდ მდიდრებს გაუხსნა, კავკასია და საქართველოს დეპუტატების რიცხვი შეუმცირა. ყოველივე ამის გამო, ისინი უნდობლობას უცხადებდნენ სათათბიროს, თუმცა არჩევნების პირველ სტადიაზე შესაძლებლად თვლიდნენ არჩევნებში მონაწილეობას იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო პარტიის პროგრამის და ბოიკოტის ტაქტიკის დასაცავად.[2]

მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები და ბოლშევიკები), კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ქართული დემოკრატიული, ანუ ქართველ ავტონომისტ კონსტიტუციურ–დემოკრატიული და სხვა პარტიები.[3]

არჩევნების მომენტში პოლიტიკურ პარტიებს შორის ბლოკის შესახებ კამათი კვლავ გაგრძელდა. სოციალ-დემოკრატები ბლოკის საკითხში ისევ ძველ პოზიციაზე იდგნენ, მაგრამ 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ქვეყანაში რეაქციის გაძლიერების გამო, იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ შექმნილი ვითარებისათვის და თავიანთ

1. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 58
2. „ისარი", 1907, №178
3. „ისარი", 1907, №201

საარჩევნო ტაქტიკაში კორექტიული შეეტანათ – მონათესავე პარტიებთან ბლოკს დათანხმებოდნენ მხოლოდ არჩევნების ბოლო საფეხურზე, უშუალოდ დეპუტატის არჩევის მომენტისათვის, წინა საფეხურზე კი-არა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დილა“ თავის ერთ-ერთ წერილში, რომლის სათაური იყო „როგორი საარჩევნო ტაქტიკაა საჭირო კავკასიაში“ წერდა, რომ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ადგილზე, ადგილობრივი ძალების განწყობილების შესაბამისად. „ჩვენ პარტიული შეთანხმების საკითხს, – ნათქვამი იყო წერილში, – ეწყვეტთ დროისა და ადგილის მიხედვით. ჩვენ არა გვაქვს ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ჩვენ ვამბობთ: პროლეტარიატის პარტია ცალკე უნდა გამოვიდეს ბრძოლის ასპარეზზე იქ, სადაც ეს ცალკე გამოსვლა რეაქციას არ გაუწევს სამსახურს. პროლეტარიატის პარტია უნდა შეუთანხმდეს ოპოზიციურ პარტიებს იქ, სადაც ოპოზიციის დაქუცმაცებულობამ შეიძლება რეაქციას გაამარჯვებინოს.“

კითხვაზე, თუ როგორი იყო ძალთა განლაგება კავკასიასა და საქართველოში, საჭირო იყო თუ არა პარტიების შეთანხმება, გაზეთი პასუხობდა, რომ არჩევნების პირველ საფეხურებზე (რწმუნებულებისა და ამომრჩეველთა არჩევნები – ი.გ.) წინა არჩევნებთან შედარებით, არაფერი არ შეცვლილა, გლეხთა კურიაში გამარჯვების შანსი ძველებური რჩებოდა. ამიტომ ამ სტადიაზე სოციალ-დემოკრატიას შავრაზმელების მხრივ საფრთხე არ ელოდა და ვინმესთან შეთანხმებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

გაზეთის შენიშვნით, პარტიას არჩევნების საწყის საფეხურზე ცალკე მოუხდებოდა ბრძოლა კიდევ იმიტომ, რომ კავკასიაში და მაშასადამე საქართველოშიც, რუსეთისაგან განსხვავებით, ბურჟუაზიულ საფრთხეს ნაციონალიზმის საფრთხეც ემატებოდა. მართალია, ინტერნაციონალიზმის ერთგულმა პარტიამ აქ დიდი მუშაობა გასწია და მშრომელი ხალხი ჩამოაშორა ნაციონალიზმს, ყოველ შემთხვევაში

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მაინც, მაგრამ საშიშროება კელავ რჩებოდა. ამიტომ ასეთ პირობებში, ერთი მხრივ, საჭირო იყო მოპოვებული გამარჯვება, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალისტური პარტიებისაგან თავის შორს დაჭერა.

სამაგიეროდ, როგორც ვთქვით, სოციალ-დემოკრატებს მოკავშირეები უნდა ეძებნათ არჩევნების ბოლო ეტაპზე, საგუბერნიო ყრილობებზე, რადგან ახალი საარჩევნო კანონი უპირატესობას აქ თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას ანიჭებდა. ამასთან დაკავშირებით „დილა" წერდა: „სოციალ-დემოკრატიის მთელი ტაქტიკა იმაზე უნდა იყოს აგებული, რომ ნაციონალისტების ბანაკში განხეთქილება შეიტანოს, მემარჯვენე ნაციონალისტებს ჩამოაშოროს მემარცხენენი და თავის მხარეზე გადმოიბიროს".[1]

„დილას"მიერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მშრომელთა ერთადერთ დამცველად გამოცხადება, ხოლო არჩევნებში მონაწილე სხვა მემარცხენე პარტიების და მათ შორის უპირველეს ყოვლისა, სოციალ-ფედერალისტური პარტიის ბურჟუაზიულ და მოღალატე პარტიად მონათელა, არ იყო სწორი. უზნეობა იყო აგრეთვეაღნიშნული პარტიის ქართველ ერზე ზრუნვის ნაციონალიზმად გასაღება. გაზეთი რეაქციის შეფასებაშიც ცდებოდა, რადგან კავკასიაში, როგორც „ინოროდცების" მხარეში, იგი სუსტი კი არა, გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რუსეთში. ამასთან, სოციალ-დემოკრატები არც არჩევნების ბოლო საფეხურზე წასულან ბლოკზე სოციალისტ-ფედერალისტებთან და სხვა მემარცხენე პარტიებთან, როგორც ამას „დილა" ასაბუთებდა.

საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გულგრილს ვერავის ტოვებდა. ამ პროცესში ნებით თუ უნებლიედ მონაწილეობის მიღება უხდებოდათ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსაც. ისინი თავის შეხედულებებს

1. „დილა", 1907, №3

გამოსთქვამდნენ პარტიებს შორის დამოკიდებულებასა და მათ საპარლამენტო ტაქტიკასე, მიუთითებდნენ, რომ პარტიათა ურთიერთობის მთავარი განმსაზღვრელი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობა უნდა ყოფილიყო და მეტი არაფერი. აკაკი წერეთელიაღნიშნავდა: „ჩვენ ყოველგვარი პარტიის პატივისმცემელნი ვარი, რომელსაც კი სარჩულათ საქართველო უძევს და ჩვენი ცხოვრების წარმატებისათვის არის აღმოცენებული."[1]

ნ. ნიკოლაძე ფორმალურად თელიდა საქართველოში პარტიათა მისწრაფებას ბლოკისათვის, მიაჩნდა, რომ ეს სწრაფვა წარმოებდა მხოლოდ თითოეული პარტიის მიზნის მისაღწევად და არა საქართველოს ინტერესებისათვის, არც სათათბიროში უთანაგრძნობდა პარტიათა ბლოკს. მან უარყოფითად შეაფასა პირველ ხანებში ქართველი დეპუტატების „შრომის ჯგუფთან" შეერთება, რადგან მისი აზრით, საქართველოს წინაშე სპეციფიკური ამოცანები იდგა. მას ნაადრევად მიაჩნდა აგრეთვე ფედერალისტების მოთხოვნა საქართველოს ავტონომიის თაობაზე,მხარს არ უჭერდა სოციალ-დემოკრატების მიერ ძალის გამოყენების ქადაგებას სასურველი მიზნის მისაღწევად. ნ. ნიკოლაძის რწმენით, მიზნის მიღწევისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი და ზომიერი პოლიტიკა და არა ძალა. თანაც ამას საფუძვლად უნდა დადებოდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება. იგი მხარს უჭერდა რუსეთთან დროებითი კავშირის შენარჩუნებასაც.[2]

1907 წლის 27 სექტემბერს თბილისში ჩატარდა მესამე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნები. სოციალ-დემოკრატებმა მენშევიკებმა შეძლეს ამომრჩევლებად აერჩიათ: პ. გელეიშვილი, კ. ჩხეიძე, ვ. გაგუა, ა. კონდახჩევი, ნ. რამიშვილი, რაზმაძე და სხვები.[1]

მაგრამ საერთო ჯამში თბილისის გუბერნიაში ამომრჩევ-

---

1. „პატარა გაზეთი", 1906, №2
2. ნ. ნიკოლაძე, ჩემს პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913, გვ. 67, 69, 78

ლებად უფრო მეტად ლიბერალები და დემოკრატები გავიდნენ, რომლებიც ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ. ამან საგონებელში ჩააგდო სოციალ-დემოკრატები. ისინი კ. ჩხეიძეს უპირებდნენ დეპუტატად გაყვანას, ხოლო ლიბერალები-კადეტ ლ. ანდრონიკაშვილს. საკითხის გადაწყვეტა ერთი, თუ მეორე კანდიდატის სასარგებლოდ, თბილისელ სომეხ ბურჟუაზიაზე იყო დამოკიდებული,რომელთაც ქალაქის თავი ა. ხატისოვი ხელმძღვანელობდათ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრმა მასთან მოსალაპარაკებლად ნ. ჟორდანია გაგზავნა. ნ. ჟორდანიამ ა. ხატისოვს უთხრა: „ჩვენ ვართ დემოკრატები, თქვენ არა ხართ, მაგრამ სოციალიზმისათვის დღეს არ ვიბრძვით, არც მისი განხორციელებისათვის ვოცნებობთ ახლო მომავალში. ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ ძირითადი პოლიტიკური, ადამიანური უფლებები. თქვენი მიზანიც ეს არის ნაციონალურ საკითხში ჩვენი პოზიცია იცით, ვიცავთ ყველა დაჩაგრულ ერებს თანასწორად – თქვენსას, ჩვენსას, ყველასას და მათ შეთანხმებულ, თავისუფალ ცხოვრებას.“

ა. ხატისოვი ყველაფერ ამაში ნ. ჟორდანიას დაეთანხმა, მაგრამ თავიდან ყოყმანობდა იმაზე, თუ როგორ შეექცია ზურგი თანაპარტიელისათვის, თვითონაც და ლ. ანდრონიკაშვილიც კადეტები იყვნენ. ბოლოს ა. ხატისოვმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა და ნ. ჟორდანიას დახმარებას შეპირდა.[2]

1907 წლის 14 ოქტომბერს თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოს შენობაში, პ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, გაიმართა თბილისის გუბერნიის ამომრჩეველთა კრება მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად. 55 ამომრჩევლიდან ესწრებოდა 45 კაცი. სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული იქნენ თბილისის საქალაქო კურიის ამომრჩევლები, სოციალ-დემოკრატი კ. ჩხეიძე და

1. „ისარი“, 1907, №214

2. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 59

თელავის მაზრის მემამულეთა ამომრჩეველი, პეტერბურგის საოლქო სასამართლო პალატის ნაფიცი ექილი, კადეტი ლ. ანდრონიკაშვილი. არჩევნების პროცესში სოციალ-დემოკრატებმა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ საშინელი ცილისწამება გააჩაღეს. უფრო მეტიც, სომეხი ამომრჩეველის გამო, ლ. ანდრონიკაშვილმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. გამარჯვება კ. ჩხეიძეს დარჩა. მან მიიღო 24 ხმა 19 ხმის წინააღმდეგ, ორმა ამომრჩეველმა თავი შეიკავა.[1]

კ. ჩხეიძის არჩევაში გადამწყვეტი როლი ეროვნული საკითხის უგულებელყოფამ და სომეხმა ამომრჩეველებმა ითამაშეს.

ცხარე საარჩევნო ბრძოლებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოში. ყველა პარტია ცდილობდა მას ყოლოდა თავისი წარმომადგენელი რუსეთის „პარლამენტში". უფრო მეტად მაინც სოციალ დემოკრატები აქტიურობდნენ. 14 ოქტომბერს ქუთაისში გამართულ საგუბერნიო-საარჩევნო კრებაზე მათ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატატობის კანდიდატად ე. გეგეჭკორი წამოაყენეს და უზრუნველყვეს კიდეც მისი გამარჯვება, თუმცა ამას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისათვის შიშისა და კურიოზების გარეშე არ ჩაუვლია. ნ. ჟორდანია იგონებს: „არჩევნების წინა დღეს დავბრუნდი ლანჩხუთში, ვუცდი მეორე დღის შედეგებს. ჩემთან არის გ. ურატაძე. საღამოს ვღებულობ ლეპეშას – ეეგენი არ აირჩიესო. კინაღამ ორივეს გული წაგვივიდა. გავქანდით სამტრედიისაკენ. მეორე დღეს გავიგეთ, რომ დეპეშა იყო შეცდომით გადმოცემული – უნდა ყოფილიფო : ·ეეგენი აირჩიესო".[2]

იმავე დღეს ბათუმში მოეწყო ბათუმის და ყარსის ოლქების და სოხუმის ოკრუგის ამომრჩეველთა კრება სახელმწიფო

1. "Кавказъ", 1907, N22.

2. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 59

სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად. გამარჯვებული გამოვიდა მემარჯვენე პ. შერვაშიძე, რომელიც ერთხელ უკვე იყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

როგორც უკვე ითქვა, ახალი რეაქციული საარჩევნო კანონით, ამიერკავკასიაში მცხოვრებ 100 ათას რუსს, ანუ მთელი მოსახელობის 8%-ს მიეცა სახელმწიფო სათათბიროს ერთი დეპუტატის არჩევის უფლება. ეს მაშინ, როცა 5 მილიონ ადგილობრივ მკვიდრ მოსახელობას „პარლამენტში" ხუთი წარმომადგენელი უნდა პყოლოდა. ე.ი. თითო მილიონს თითო დეპუტატი.

ეს უსამართლობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა რუსთა კურიის პარტიის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის," ანუ „რუსი პატრიოტების" მიმართ მთავრობის მხარდაჭერის გამო. აღნიშნული პარტია აერთიანებდა მოხელეებს და წარმოადგენდა მეფის პოლიტიკის გამტარებელს კავკასიაში. წინა საარჩევნო პლატფორმა, რომელშიც ნათლად იყო ასახული მისი მიზნების და ამოცანების დიდმპყრობელური მიმართულება.

პლატფორმა, ისე როგორც პროგრამა, იცავდა ცარიზმის ინტერესებს კავკასიაში, მკაცრ ცენტრალიზმს, ცალკეული ერების მოღვაწეობას საკუთარი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის თვლიდა სეპარატიზმად, მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებად, გამოდიოდა დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ. განაპირა ქვეყნების რუსეთთან კავშირის განმტკიცების და მთლიანობის დაცვის ერთერთ პირობად აყენებდა ამიერკავკავიაში რუსი გლეხების გადმოსახლებას და მათთვის ადგილობრივთა მიწების დარიგებას.[1]

რუსთა კურიაში, რუსი ამომრჩეველების გარდა, მეფის ნაცვლის ბრძანებით შევიდნენ აგრეთვე ამიერკავკასიაში მცხოვრები გერმანელები, ჩეხები, ბერძნები, ლიტველები,

1. „ისარი", 1907, №163

ლატვიელები, ესტონელები და სხვა ერის წარმომადგენლები. ყველა ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ არჩევნებში.

განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარეობდა თბილისის გუბერნიის რუსთა კურიის ამომრჩეველთა არჩევნები თბილისში 1907 წლის 30 სექტემბერს. ძირითადი ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და „პატრიოტებს“ შორის გაჩაღდა. თითოეული პარტია გამარჯვებისათვის არაფერს არ ერიდებოდა, რის გამოც არჩევნები ჩაიშალა. განმეორებით არჩევნები 7 ოქტომბერს დაინიშნა, მაგრამ პარტიებს შორის შეხლა-შემოხლის გამო, არც მას მოუტანია რაიმე შედეგი. მეფის ნაცვალმა არჩევნები მესამედ 11 ოქტომბერს დანიშნა. ამ დღეს ზუბალაშვილების სახელობის სახლი (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა), სადაც არჩევნები მიმდინარეობდა, ჯარისა და პოლიციის გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. არჩევნები შედგა, მაგრამ უფრო მეტი ამომრჩევლები „პატრიოტების“ რიგებიდან იქნენ არჩეულნი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული კურიის დეპუტატის არჩევნები თბილისში ტარდებოდა. აქ იყრიდნენ თავს ამიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ამომრჩევლები. ამიტომ ეს არჩევნები ფაქტიურად, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ – პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო.

1907 წლის 14 ოქტომბერს თბილისის საქალაქო თვითმმართველობის შენობაში გაიმართა რუსთა კურიის ამომრჩეველთა ყრილობა სახელმწიფო სათათბიროს ერთი დეპუტატის ასარჩევად. 73 ამომრჩეველიდან ყრილობას ესწრებოდა 61 კაცი. დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა 8 კანდიდატი: პუშკარიოვი, შაეროვი, გოროდცევი, ისაევი, ტიმოშკინი, დილოვი, ჩუმაჩენკო და ბიკოვი. ცხარე ბრძოლაში, 31 ხმით 29 ხმის წინააღმდეგ, გაიმარჯვა თ. ტიმოშკინმა, რომელიც იყო პარტია „პატრიოტის“ დამაარსებელის, რეაქციონერი მღვდელის გოროდცევის

მოადგილე. ტიმოშკინი გახდა მესამე სახელმწიფო სათათბიროს პირველი დეპუტატი ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობიდან.[1]

§2. საქართველოსა და კავკასიის შესახებ მესამე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონპროექტები და შეკითხვები

მესამე სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა 1907 წლის 1 ნოემბერს. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 440 დეპუტატი, რომელთა შორის იყვნენ: ოქტიაბრისტები და მათი მიმდევრები – 154, ზომიერი მემარჯვენეები და ნაციონალისტები – 97, კადეტები – 54, უკიდურესი მემარჯვენეები – 50, პროგრესისტები – 26, სოციალ-დემოკრატები – 19, ტრუდოვიკები – 14, პოლონეთის კოლო – 11, მუსულმანთა ჯგუფი – 8, ლიტვა – ბელორუსიის ჯგუფი – 7. მესამე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ჯერ ოქტიაბრისტი ნ.ხომიაკოვი, შემდეგ გუჩკოვი და ბოლოს მ.როძიანკო იყო.[2] თავისი შემადგენლობით აღნიშნული სათათბირო შავრაზმულ-კადეტური იყო, იქ ხელმძღვანელი როლი ოქტიაბრისტებს და მემარჯვენებს ეკუთვნოდათ, ოპოზიცია შესუსტდა.

1907 წლის 16 ნოემბერს მემარჯვენეთა მიერ შედგენილი ადრესის მეფისთვის მირთმევის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიც ახალი არაფერი იყო ნათქვამი. მთავრობა აცხადებდა, რომ წინანდელ გზას არ გადაუხვევდა, ეცდებოდა რუსეთის დამშვიდებას და ზოგიერთი რეფორმის გატარებას. ე.ი.ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ ჯერ საჭირო იყო რევოლუციასთან ბრძოლა, „კრამოლის“ დაძლევა, შემდეგ კი ზოგიერთ რეფორმაზე ზრუნვა.[1]

მთავრობის ეს განცხადება სავსებით აკმაყოფილებდა

1. "кавказъ", 1907, №222
„ისარი“, 1907, №226
2. БЭС, III, изд. т.7, 1972, с. 154

ზომიერ კავკასიელ დეპუტატებს. მუსლიმანურ ფრაქციაში შემავალი აზერბაიჯანელი დეპუტატი ხას მამედოვი ცდილობდა ემლიქენელა ცარიზმის წინაშე და სათათბიროს დახმარებით გამოეგლიჯა ზოგიერთი პრივილეგია თავისი ერის გაბატონებული კლასების სასარგებლოდ. 1907 წლის 13 ნოემბრის სათათბიროს სხდომაზე ხას მამედოვმა განაცხადა, რომ „ის და მისი თანამოაზრენი, რომლებიც ეკუთვნიან იმ ჯგუფს, რომლის პოლიტიკური კრედოა კონსტიტუციური გარანტია, გამოხატავენ ერთგულებას და სიყვარულის გრძნობას მონარქისადმი“.[2]

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობის ტაქტიკა მესამე სახელმწიფო სათათბიროშიც უცვლელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის 3 იუნისის სახელწიფო გადატრიალების შემდეგ ცარიზმმა, მემამულეებმა და ბურჟუაზიამ ბლოკი შეკრეს და აქტიური ბრძოლა გამოუცხადეს მემარცხენე ძალებს, სოციალ-დემოკრატიული პრესა ამას არაფრად აგდებდა და ქართველ დეპუტატებს კვლავ საცადი ხერხის – მთავრობის ულმობელი კრიტიკის გამოყენებისაკენ მოუწოდებდა. „ჩვენმა დეპუტატებმა სათათბიროში, – წერდა გაზეთი „წყარო“, – თავიანთი მოქმედებით და სიტყვებით უნდა ეცადონ ფარდა ახადონ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ და მთელ ხალხს დაანახვონ მესამე სათათბიროს ნამდვილი სახე, მისი სიყალბე. მხოლოდ სასტიკი კრიტიკით განისაზღვრება ჩვენი დეპუტატების როლი სათათბიროში“.[3]

მართლაც, სოციალ,დემოკრატიული ფრაქცია, რომლის ხელმძღვანელები ქართველი დეპუტატები იყვნენ, წმინდათ ასრულებდა მოცემულ რჩევა-დარიგებას, „სათათბიროს ტრიბუნას იყენებდა ცარიზმის და გაბატონებული კლასების ანტი-ხალხური პოლიტიკის მხილებისათვის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნების წამოყენებისათვის.[4]

1. „ისარი“,1907,№255
2. История Фзербанджана, т. 2, Баку, 1960, с. 640.
3. „წყარო“,1907,№2
4. Ерошкин Н.Т., Самодержавие накануне краха, М., 1975, с. 109.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სათათბიროში მოღვაწეობიდან ერთერთ მთავარ საკითხს კავკასიასა და საქართველოში აგრარული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა. ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვიც ფიქრობდა.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შეჩერებისა და სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიულ რელსებზე გადაყვანის მიზნით, ცარიზმმა რუსეთში 1906-1910 წლებში გაატარა აგრარული რეფორმა, რომლის სულისჩამდმელი სტოლიპინი იყო. სტოლიპინის რეფორმის მთავარ მიმართულებას შეადგენდა თემების ძალდატანებით დაშლა და ხუტორების და ოტრუბების დანერგვა გლეხებისათვის სანადელო მიწების პირად საკუთრებად დამტკიცების მიზნით. რეფორმების ეს მთავარი მუხლები კავკასიისა და საქართველოს გლეხობას არ შეხებია.

საქართველოში გლეხები იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად: დროებით ვალდებულ, ხიზან, სახელმწიფო-სახაზინო და მესაკუთრე გლეხებად. ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება გადაუდებლად მოითხოვდა აგრარული საკითხის მოწესრიგებას. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი, რომ სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკული გატარება მეფის მთავრობის მოხელეებმა საქართველოშიც სცადეს. ამისათვის მათ საჭიროდ მიაჩნდათ სამი საკითხის გადაწყვეტა: პირველი, დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია და ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის საშუალებით მიწების გლეხთა საკუთრებად დამტკიცება: მეორე, საგლეხო-საადგილმამულო ბანკების შექმნა და მათი საშუალებით კულაკებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა; მესამე, კავკასიასა და საქართველოში რუსთა კოლონიზაციის გაძლიერება.

რუსეთში დროებით ვალდებულებით ურთიერთობა, რომელიც 1861 წლის საგლეხო რეფორმით დაკანონდა, 1882 წელს გაუქმდა, 1906 წელს შეწყვეტილი იქნა გამოსასყიდი გადასახდელებიც. კავკასიაში კი ყველაფერი ძველებურად რჩებოდა,

თუმცა აშკარად შეიმჩნეოდა, რომ არსებული წესით ცხოვრების გაგრძელება უკვე აღარ შეიძლებოდა.

ჯერ კიდევ 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტის შემდეგ, რომლითაც სანახევროდ შემცირდა სანადელო მიწების გამოსასყიდი, იმავე წლის 22 ნოემბერს კავკასიის მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა იმპერატორს წარუდგინა ბარათი „კავკასიაში გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ". მეფის ნაცვალი აღნიშნავდა, რომ გლეხებსა და მემამულეებს შორის დროებით ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც კავკასიაში არსებობს, ეწინააღმდეგება 1904 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებას, აგრეთვე 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძვლებს, რომ კავკასიას არ შეხებია მმართველი სენატის 1905 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულება, მაშინ, როცა კავკასიის გლეხური მოსახლეობა, შიდა გუბერნიების გლეხურ მოსახლეობასთან შედარებით, ამჟამად უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლება აქ მემამულისათვის განსაკუთრებულ შეღავათიან და გლეხებისათვის არახელსაყრელ პირობებში გატარდაო. ყოფილი მებატონეებისადმი მძიმე ვალდებულებითი ურთიერთობის გაუქმება ვორონცოვ-დაშკოვს მიაჩნდა იმ ღონისძიებად, რომელსაც შეეძლო დაეწყნარებინა მღელვარებით მოცული სოფლები და თავიდან აეცილებინა ახალი რევოლუციური საფრთხე.

ვორონცოვ-დაშკოვს საჭიროდ მიაჩნდა რომ დროებით ვალდებულ გლეხებს, მათ შორის ხიზნებსაც, 1906 წლის პირველი იანვრიდან, საკუთრებად მიცემოდათ ის მიწა, რომელიც მათ სარგებლობაში იმყოფებოდა და გაფორმებული იყო საწესდებო სიგელებში და ხიზანთა ოქმებში. პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე საძოვრებით და ტყეებით სარგებლობის უფლების შენარჩუნებას, ნადელთა გამოსასყიდი თანხის სანახევროდ შემცირებას, ხოლო 1907 წლის 1 იანვრიდან ამ თანხების გადახდევინების სავსებით შეწყვეტას. სახაზინო

მიწებზე მოსახლე სახელმწიფო გლეხების საღალო გამოსაღების სანახევროდ შემცირებას, ხოლო იანვრიდან შეწყვეტას, სახელმწიფო გლეხებისათვის მათ სარგებლობაში მყოფი მიწების საკუთრებად გადაცემას და სახაზინო, ასევე საერობო გადასახადით მათ დაბეგვრას საერთო წესით. 1906 წლის 1 იანვრიდან უნდა გახსნილიყო სახელმწიფო საგლეხო სამიწათმოქმედო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება. ამიერკავკასიაში მემამულეებს გამოსასყიდი გადასახადებისაგან გლეხთა განთავისუფლებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან უნდა მიეღოთ 30 მილიონამდე მანეთის ოდენობით.

ვორონცოვ-დაშკოვი, როგორც თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი, თავის ამ პირველ პროექტში მემამულეების ინტერესებსაც არ ივიწყებდა. იგი მიუთითებდა, რომ დამოკიდებული ურთიერთობის მოსპობა „ეკონომიკურად სუსტი" თავადაზნაურობისათვის, სათანადო ანაზღაურების მიუცემლად, პოლიტიკურად არასწორი იქნება, ამით ქართველ თავადობას ავტონომიის ტენდენციები გაეღვიძებაო.

მეფის ნაცვლის პროექტის ირგვლივ თავიანთი შენიშვნები წარადგინეს მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მმართველებმა და ფინანსთა მინისტრმა. ისინი წინააღმდეგი იყვნენ, რომ კავკასიის სახელმწიფო გლეხებს და ახალმოშენე გლეხებს მათ სარგებლობაში მყოფი მიწები საკუთრებად გადაცემოდათ.

1906 წლის 4 აპრილს მინისტრთა საბჭომ განიხილა მეფის ნაცვლის ბარათი „კავკასიაში გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ." მინისტრთა საბჭომ არ მიიღო რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, არც აგრარული მოძრაობის შესახებ ვორონცოვ-დაშკოვის მოსაზრება გაიზიარა. აღნიშნული პროექტი უკან დაუბრუნდა მას გადასამუშავებლად და საერთო-საკანონმდებლო წესით სახელმწიფო სათათბიროში შესატანად.

დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ, მეფის ნაცვლის პირველი პროექტის ჩავარდნამ, მოწინავე ქართველ თავადაზნაურობაში დიდი უკმაყოფილება

გამოიწვია. ის გულისწყრომას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ საქართველოს დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობდა. საზოგადოებრიობა თავის გულისწყრომას მეფის ნაცვლის მიმართაც გამოთქვამდა იმის გამო, რომ მან დროებით ვალდებული გლეხები არ გამოჰყო სხვა კატეგორიის გლეხებისაგან. „ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, — წერდა გაზეთი „ზაკავკასკოე ობოზრენიე", — ავღნიშნოთ, რომ სალიკვიდაციო პროექტის ჩავარდნა, სწორედ ფინანსური მოსაზრებით, მომზადებული იქნა აქვე..., რადგან პროექტი ორ ნაწილად უნდა ყოფილიყო და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მცხოვრებ დროებით ვალდებულ გლეხთა ბედი კავკასიაში მოსახლე ახლმოშენე გლეხთა ბედს არ უნდა დაკავშირებოდაო".

1907 წელს „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებასთან" შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეედგინა მოხსენებითი ბარათი დროებით ვალდებულებითი და დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იქნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ს.ზავაროვი, ა.ფურცელაძე, ი.იოსელიანი, ა.კალანდაძე, ფ.მახარაძე, ვ.სტაროსელსკი, გ.თუმანიშვილი, ს.ტიმოფეევი დასხვები. კომისიის მდივნად არჩეული იქნა ო. სიომინი.

კავკასიასა და საქართველოში აგრარული საკითხის წინ წამოწევამ სოციალ-დემოკრატები გააქტიურა. 1907 წლის 15 დეკემბერს, მესამე სახელმწიფო სათათბიროში 34 წევრმა, კ.ჩხეიძისა და ე. გეგჭკორის ინიციატივით, შეიტანა საკანონმდებლო წინადადება (კანონპროექტი) ამიერკავკასიაში დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ. მას საფუძვლად დაედო ზემოხსენებული კომისიის მიერ შედგენილი და შემდეგ გადამუშავებული მოხსენებითი

ბარათი.[1]

34 წევრის მიერ სათათბიროში შეტანილ საკანონმდებლო წინადადებაზე დართულ მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიაში ბატონყმური უფლება, რომელიც ფორმალურად მოსპობილი იქნა XIX საუკუნის 60-იან წლებში, ფაქტიურად ახლაც არსებობს დროებით ვალდებული გლეხების სახით საქართველოში და დამოკიდებული გლეხების სახით სომხურ-თათრულ პროვინციებში. საქართველოში 51.691 კომლმა (211.457 მამრობითი სული) შეძლო ნადელის გამოსყიდვა, რომლის საერთო ფართობი უდრის 160.457 დესეტინას. აქ საშუალოდ კომლზე მოდის 3 1/2 დესეტინა, ხოლო თითოეულ მამრობით სულზე – 2/3 დესეტინა. 35.856 კომლმა (146.553 მამრორბითი სული) ნადელის გამოსყიდვა ვერ მოახერხა. ისინი დროებით ფლობენ 102.329 დესეტინას. აქ საშუალოდ კომლზე მოდის 3,2 დესეტინა, ხოლო თითოეულ სულზე , 3/4 დესეტინა.

ამრიგად სულ ორივე კატეგორიის გლეხები ფლობენ 262.786 დესეტინას, საიდანაც თითოეულ კომლზე მოდის 3 დესეტინა, ხოლო თითოეულ მამრობით სულზე – 0,73 დესეტინა.

გლეხები ამიერკავკასიაში განიცდიან მცირემიწიანობას. ზოგ ადგილებში იგი ძალიან მცირეა. ყველაზე მცირე ნადელი მიიღეს ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა, სადაც კომლზე მოდის 2,5 დესეტინა. იგი შეადგენს მათ ხელში მყოფი ნადელის ნახევარს. ყველაზე მეტი მიწა წილად ხვდა ერევნის გუბერნიის გლეხობას. აქ კომლზე დაახლოებით 8,5 დესეტინა მოდის, რაც შეადგენს მემამულეთა მთელი მიწის 2/3. თბილისის გუბერნიაში 27.635 კომლმა მიიღო 134.496 დესეტინა. აქ გლეხებმა საშუალოდ კომლზე მიიღეს 3,4 დესეტინა ნაცვლად 10 დესეტინისა. ე.ი. მემამულეების მიერ ჩამოჭრილი იქნა 2/3 საგლეხო ნადელი. ელიზავეტპოლის გუბერნიაში 47.555 კომლმა მიიღო 124.314 დესეტინა, ბაქოს გუბერნიის 11.364 კომლმა –

1.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტVI, თბ.1972,გვ.308-311

.10.315 დესეტინა.

მემამულეები გლეხებს ჩვეულებრივ აჭრიდნენ კარგ მიწებს, გამოსასყიდად სთავაზობდნენ უვარგის და მთის ზოლიან ნაგელებს. მცირე მიწიანობის გამო, გლეხთა 70% იძულებულია იჯარით აიღოს მემამულეთა მიწა და იხადოს დიდი გადასახადი. შედარებით უკეთ არის საქმე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც გლეხები ნადელისათვის მემამულეებს უხდიან მოსავლის 1/10 ნაწილს.

ამრიგად, საგლეხო რეფორმის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ქართველი გლეხები. ამით აიხსნება გლეხთა ძლიერი გამოსვლები საქართველოში და პირიქით, მათი სიმშვიდე სომხურ-თათრულ პროვინციებში.

შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საგლეხო რეფორმამ დროებით ვალდებული გლეხებისათვის აუტანელ სამეურნეო პირობების შექმნასთან ერთად, მძიმე პირობები შექმნა ნადელის გამოსყიდვისთვისაც. „დებულების" თანახმად ქართველ გლეხს შეეძლო ნადელის გამოსყიდვა იმ შემთხვევაში, თუ მემამულე იყო თანახმა. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხი მის მონად რჩებოდა სამუდამოდ. სომხურ-თათრულ პროვინციებში გლეხობას მემამულეებთან შეთანხმების გარეშე შეეძლო მისი გამოსყიდვა მომრიგებელი მოსასართლის მეოხებით.

მძიმე პირობების მიუხედავად, თბილისის გუბერნიაში ნადელი გამოისყიდა 3.591 კომლმა 16.657 დესეტინა ფართით, რისთვისაც მთავრობამ დახმარების სახით გასცა 855,909 მანეთი, ანუ თითოეულ დესეტინაზე 54 მანეთი და 55 კაპიკი. იმავე გუბერნიაში მთავრობის დაუხმარებლად გამოსყიდული იქნა 932 დესეტინა ნადელი.

ქუთაისის გუბერნიაში 1902 წლისათვის მთავრობის დაუხმარებლად 33.597 კომლის მიერ გამოსყიდული იქნა 144.041 დესეტინა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 7.178.285 მანეთი (1 დესეტინა დაახლოებით 50 მანეთი). სომხურ-თათრულ პროვინციებში ჯერ კიდევ არ დაწყებულა გამოსყიდვა. სულ

ამიერკავკასიის 5 გუბერნიის გლეხობის 1/3-ს გამოსასყიდი რჩება 706.622 დესეტინა. დეპუტატები მიუთითებდნენ, რომ გლეხების განთავისუფლება ნადელის გამოსყიდვით უკანონობაა. ეს გადმონაშთი ეწინააღმდეგება მხარეში ეკონომიკურ პროცესს, მოქალაქეობრიობისა და კულტურის განვითარებას, ემსახურება გლეხთა ექსპლუატაციის ყველაზე ბარბაროსული ფორმების შენარჩუნებას, მათ სიღარიბეში და სიბნელეში ყოფნას, მთელი ხალხის უუფლებობას.

კავკასიაში დროებით ვალდებულების გაგრძელებაში დამნაშავეა არა გლეხობა, არამედ მთავრობის პოლიტიკა, აგრეთვე გამოსასყიდი თანხების უქონლობა და ის, რომ ადგილობრივმა გლეხობამ მიიღო ორჯერ და სამჯერ ნაკლები ნადელი, ვიდრე შიდა რუსეთის გუბერნიის გლეხებმა. ისინი დაბეგრილნი იყვნენ სამჯერ და ოთხჯერ მეტი გადასახადით და გატარებული რეფორმების დღიდან დღემდე ფაქტიურად მემამულეებს უკვე გადაუხადეს რამდენჯერმე მეტი ფასი, ვიდრე მათი ნადელი ღირს ახლა.

ახალი საგამოსასყიდო გადასახადის დაკისრება გლეხებზე, ძნელ ტვირთად დააწვება მათ, ამის გარდა, ბიუჯეტსაც და საბოლოოდ გააუარესებს გლეხების ცხოვრებას. ყოველივე ამის გამო, დროებით ვალდებულების ლიკვიდაცია ნადელის გამოსყიდვის გზით და გამოსასყიდი თანხის გლუხობაზე დაკისრება, იქნება საერთო-სახალხო და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული აქტი.

საქართველოში გლეხთა მდგომარეობის ასეთი საეალალო მდგომარეობის დაწერილებითი აღწერის შემდეგ, დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ სათათბიროში შემოდიოდნენ საკანონმდებლო წინადადებით (კანონპროექტით), რომელიც 4 მუხლისაგან შედგებოდა: 1. კავკასიაში დამოკიდებულებითი და დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის დაუყოვნებლივ და სამუდამოდ შეწყვეტა მიწათმფლობელთა სასარგებლოდ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

2. დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ გლეხთა, აგრეთვე დაღესტნის ოლქის და ზაქათალის ოკრუგის „რეატების“ და „კეშეკელების“ ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ უქმდება, ხოლო ამ თანრიგის გლეხების სარგებლობაში მყოფი ნადელები, კარმიდამო,ბაღები, მინდვრის სავარგულები და სხვა, რომლებიც მითითებულია საწესდებო სიგელებში, წარმოადგენენ მათ საკუთრებას.

3. საძოვრების, ტყის, წყლის და სხვა სერვიტუტების სარგებლობის უფლების გავრცელება გლეხობაზე იმავე საფუძველზე, როგორც ეს დაწესებულია რუსეთის ჩრდილოდასავლეთ გუბერნიაში, მომავალში ამ საკითხის საკანონმდებლო წესით მოგვარებამდე.

4. წიაღისეულზე უფლება დარჩეს წინანდელ საფუძველზე, ამ სარგებლობის საკანონმდებლო წესით მოგვარებამდე.

ამ კანონპროექტს 9 კავკასიელი დეპუტატიდან ხელი მოაწერა მხოლოდ ოთხმა, ყველა სოციალ-დემოკრატმა. ესენი იყვნენ: კ.ჩხეიძე, ე.გეგეჭკორი, ი.პოკროვსკი და ი.გაიდაროვი.

კანონპროექტი და მასში მოცემული ფაქტები გახდა სიახლე სახელმწიფო სათათბიროს წევრთა უმრავლესობისათვის, რომლებმაც არაფერი იცოდნენ მსგავსი ინსტიტუტის არსებობის შესახებ XX საუკუნის პირველ ათწლეულში. საჭირო გახდა კავკასიის გლეხთა მდგომარეობაში გარკვევა. ამ მიზნით, ქვეკომისიამ, რომელსაც გადაეცა კანონპროექტი, დაავალა კ.ჩხეიძეს წაეკითხა მასზე სპეციალური მოხსენება. ჩხეიძის მოხსენება დაიბეჭდა და დაურიგდათ სათათბიროს წევრებს. დეპუტატები გაეცნენ მას და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დროა კავკასიაში მოისპოს დროებით ვალდებულებითი ინსტიტუტი, მაგრამ ისინი არ დაეთანხმნენ მის უსასყიდლო ლიკვიდაციას.[1]

1909 წლის თებერვალში კავკასიის მეფის ნაცვალმა სახელმწიფო სათათბიროში 34 წევრის კანონპროექტს

1. Кавказские депутаты в 3-ей Государственной думы, Баку, 1912, с. 233-234.

წარადგინა თავისი დასკვნა, რომელშიც დაიცვა მთავრობის პოლიტიკა საგლეხო რეფორმის გატარების საკითხში, რითაც თვითონ გამოაცალა საფუძველი იმ მოსაზრებას, რასაც პირველ პროექტში აყენებდა.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სათათბიროს 34 წევრმა კავკასიაში ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ საკანონმდებლო წინადადება შეიტანა, მეფის ნაცვალის კანცელიარიაში სასწრაფოდ შეუდგნენ ახალი კანონპროექტის შემუშავებას. ეს იყო პერიოდი, როცა სტოლიპინის აგრარული რეფორმები ცხოვრებაში ხორციელდება.

1909 წლის 30 აპრილის, 2,5, და 8 მაისის სხდომაზე, მეფის ნაცვლის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა კანონპროექტი სანადელო მიწების საკალდებულო გამოსყიდვის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო: „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების დროებით ვალდებული გლეხები და ხიზნები გადაყვანილნი იქნენ გამოსყიდვაზე და 1910 წლის 1 იანვრიდან მიეკუთვნონ მესაკუთრე გლეხთა თანრიგს. გამოსყიდვას დაექვემდებაროს ის მიწები, რომელნიც საწესდებო სიგელებში და ხიზანთა ოქმებშია აღნიშნული“.

საბჭომ დაამტკიცა დებულება გამოსყიდვის შესახებ, სადაც განსაზღვრული იყო ნადელების გამოსყიდვის წესი და ღირებულება მაზრების მიხედვით.

მეფის ნაცვლის კანონპროექტი განხილული იქნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა კრებებზე. თავადაზნაურობამ მეფის ნაცვლის პროექტს შენიშვნები დაურთო, ამასთან საკუთარი პროექტიც წარადგინა მთავრობაში.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ პროტესტი გამოთქვა საქართველოში საგლეხო რეფორმის იმ შეფასების გამო, რაც მეფის ნაცვლის კანონპროექტში იყო მოცემული, მას შეუმოწმებელი და არაობიექტურ ფაქტებსა და მასალებზე დაყრდნობილი შეფასება უწოდა. თავადაზნაურობამ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ პროექტში ყველა თანრიგის გლეხები

იყო მოხსენიებული და მოითხოვა იქ მხოლოდ დროებით ვალდებული გლეხების დატოვება. ხიზან გლეხთა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის წინააღმდეგ თავადაზნაურობამ კატეგორიულად გაილაშქრა, იმ მოტივით, რომ ჯერ ერთი, ხიზნები უკეთ არიან მიწით უზრუნველყოფილნი და მეორეც, მათი განთავისუფლება მემამულეთა უმიწოდ დატოვებას გამოიწვევსო.

თავადაზნაურობამ მოითხოვა სანადელო მიწების გამოსყიდვა მომხდარიყო სახელწიფოს და არა გლეხების ხარჯზე, როგორც გატარდა რუსეთში. ამასთან, თავადაზნაურობამ მოითხოვა ამ ნადელების ღირებულება განსაზღვრულიყო თანამედროვე ფასების 6% კაპიტალიზაციის საფუძველზე.

მეფის ნაცვალმა 1910 წლის 13 ივნისს პეტერბურგში წარადგინა კანონპროექტი კავკასიაში ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ. ეს პროექტი დროებით ვალდებული და სახელწიფო გლეხების გადაყვანას გამოსყიდვაზე 1911 წლის 1 იანვრიდან აკანონებდა. გამოსყიდვას ექვემდებარებოდა მიწები, რომლებიც საწესდებო სიგელებში და მის დამატებებში იყო აღნიშნული. გამოსასყიდი ღირებულება ისაზღვრებოდა წლიური ღალის 6% კაპიტალიზაციით. გლეხების საკუთრებაში გადასული მიწებზე სახელმწიფო აწესებდა სესხს 5%-იანი ფასიანი ქაღალდით, 1911 წლის 1 იანვრიდან სარგებლის დარიცხვით.

კანონპროექტის 22-31 მუხლებში ჩამოყალიბებული იყო გამოსასყიდი აქტების შედგენის წესები და სხვა განმარტებანი.

როგორც ვხედავთ, კანონპოექტს საფუძვლად დაედო სახელმწიფოს დახმარებით გლეხების მიერ თავიანთი ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის პრინციპი. „განმათავისუფლებელი“ რეფორმიდან 50 წლის შემდეგ კავკასიის გლეხებს თავს ახვევდნენ ისეთსავე პირობებს, როგორშიც 1861 და 1881 წლებში რუსეთის გლეხობა ჩააყენეს.

კავკასიის მეფის ნაცვლის მეორე კანონპროექტის განსახილ-

ველად და დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებისათვის, 1910 წლის ოქტომბერში მოწვეული იქნა საუწყებათაშორისო თათბირი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლიკოშინის თავმჯდომარეობით, რომელმაც განიხილა კანონპროექტი და გამოთქვა აზრი საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელობის შესახებ. პროექტი მცირე შენიშვნებით მოწონებული იქნა.[1]

ამის შემდეგ მეფის ნაცვლის კანონპროექტი შეტანილი იქნა სახელმწიფო სათათბიროში. სათათბირომ იგი 1911 წლის 15 ოქტომბერს განხილვისათვის გადასცა საადგილმამულო (მიწის) კომისიას. კანონპროექტი კომისიის მიერ განხილული იქნა 1911 წლის 1 დეკემბერს და 1912 წლის 28 და 30 იანვის სხდომაზე, უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში, კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილის სენატორ ა.ნიკოლსკის, მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორის ნ.პეტერსონის და ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის ვ.პლანდოვსკის თანდასწრებით.[1]

კანონპროექტის განხილვისას საადგილმამულო კომისიამ გადაუდებელ საქმედ მიიჩნია ამიერკავკასიაში მემამულეთა მიმართ დროებით ვალდებულ გლეხთა ურთიერთობის ლიკვიდაცია. აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა კავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში წარმოადგენს დიდ სიბოროტეს, რომლის გაუქმების შესახებ შუამდგომლობდნენ, როგორც მემამულეები, ისე გლეხები. გადასახადთა სიდიდე არ შეესაბამება მიწის შემოსავალს და გლეხურ მეურნეობას აწვება მძიმე ტვირთად. 45 წელზე მეტი ხნის განმათლობაში კავკასიელი გლეხი არ ყოფილა შრომაში თავისუფალი, რამდენადაც შემოსავლის ზრდას თან ახლდა გადასახადების ზრდა მემამულეთა სასარგებლოდ. გლეხს არ ჰქონდა უფლება აეღო მოსავალი

1.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VI,თბ..1972,გვ.312-314
2. ЦГИАЛ, ф.1278, оп. 5, д. 4478, лл. 103-109.

ნადელზე მემამულისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ხშირად ადგილი ჰქონდა დავას მოსავლის წილის მიღების თაობაზე. კანონი ავალდებულებდა გლეხს მემამულისათვის სასურველ ადგილზე მიეტანა თივა 10 ვერსტის, ხოლო ხორბალი – 50 ვერსტის მანძილზე.

დროებით ვალდებულ გლეხთა აუტანელი მდგომარეობა კავკასიაში ყოველმხრივ იყო გაშუქებული ამიერკავკასიის საგუბერნიო კომიტეტის შრომებში. მასზე იყო მსჯელობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწვეულ სპეციალურ თათბირზე და სხვა. ამის გამო, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლები, ისე მებატონეები მოითხოვდნენ ამ ურთიერთობის მოსპობას.

მხარის ადმინისტრაცია მეფის ნაცვლის სახელით ადასტურებს, რომ უკანასკნელი წლების რევოლუციური მოძრაობა კავკასიაში უმთავრესად გამოწვეული იყო აგრარული საკითხების მოუწესრიგებლობით, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობით და სხვა. რომ, თვით რევოლუციური პროპაგანდის გარეშე, სახელმწიფო წყობილებისადმი უკმაყოფილება შეიძლება თვითონ წარმოშობილიყო მოსახლეობაში, რადგან მისი საჭიროების დაკმაყოფილებაზე მთავრობა არ ზრუნავდა, რომელსაც 35 წლის განმავლობაში არ გამოუცია არცერთი კანონი, რომელიც გლეხთა ყოფას გააუმჯობესებდა.

ამასთან, საადგილმამულო კომისიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ განსახილველ კანონპროექტში მოცემული ღონისძიებები უკვე იყო დასახელებული საკანონმდებლო წინადადებაში, რომელიც შეტანილი იქნა სახელმწიფო სათათბიროში 34 წევრის ხელმოწერით 1908 წლის 15 დეკემბერს კავკასიის მხარის გლეხთა დროებით ვალდებულების ლიკვიდაციის შესახებ.

კომისია აღნიშნავდა, რომ გლეხთა დროებით ვალდებულების ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს მთელი კავკასიის ფარგლებში. ამასთან, მეფის ნაცვალი არ იძლევა წინადადებას

გავრცელდეს საგამოსყიდო ოპერაციები დაღესტნის ოლქის და ზაქათალას ოკრუგის გლეხებზე (რეატებზე და კეშუკელებზე), სადაც დამოკიდებულებითი ურთიერთობანი დამოკიდებულია არა კანონზე, არამედ ადათ-ჩვეულებზე და ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლების ადმინისტრაციულ განკარგულებაზე.

რეატები და კეშეკელები იხდიან სხვადასხვა ბეგარას, რომელიც ძალიან დიდია. მისი სიდიდე კანონით არ არის დადგენილი, რაც საშუალებას აძლევს ბეგებს თვითნებურად გაზარდონ ისინი, იმის გამო, რომ ამ ვალდებულების შესრულება არ ემყარება მიწის საკუთრების უფლებას, არამედ გამომდინარეობს ადრე არსებულ ადმინისტრაციულ-საპოლიციო მმართველობის უფლებიდან, რომელიც ეკუთვნოდა უმაღლეს წოდებას (ბეგებს) დაბალი წოდების (რეატების) მიმართ, ან ემყარება მოსახლეობის ერთი ნაწილის (ლეკების) მიერ მეორე ნაწილის (მუღანელების და ინგილოების) დაპყრობის ფაქტებს, საადგილმამულო კომისიას სამართლიანად მიაჩნია, რომ დროებით ვალდებულების შეწყვეტისთანავე, კავკასიის ამ ნაწილისთვისაც, შემუშავებული და შეტანილი იქნას სახელმწიფო სასათბიროში შემაბამისი კანონპროექტი.

საადგილმამულო კომისიამ ძირითადად გაიზიარა მეფის ნაცვლის კანონპროექტში წამოყენებული მოსაზრებები, მხოლოდ ერთი დამატება შეიტანა მასში, რომელიც ეხებოდა ეჩმიაძინის მონასტრისათვის „სატიულენო“ უფლების შეწყვეტას.

კომისია არ დაეთანხმა პროექტის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით ეჩმიაძინის მონასტერს ერთმეოდა ტიულის მიღების უფლება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ასეთი ღონისძიება ემყარებოდა იმას, რომ ეჩმიაძინის მონასტრის სასარგებლოდ ტიულის გადახდა ეწინააღმდეგებოდა 1836 წლის 5 ივნისის უმაღლეს ბრძანებას, რომლის მიხედვით სამონასტრო გლეხები თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო და საერობო გადასახადე-

ბისაგან.

საკითხის განხილვის შემდეგ კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ ეჩმიაძინის მონასტერს შეუწყდებოდა ტიულის მიღება, როგორც ეს კანონპროექტში იყო მოცემული, მაშინ მას სამაგიეროდ უნდა მისცემოდა სათანადო საზღაური.

ვინაიდან ტიულის სანაცვლოდ მიღებული საზღაური ეჩმიაძინის მონასტრისათვის არ იქნებოდა მუდმივი, ხოლო მეორე მხრივ, განუსაზღვრელი ვადით ტიულოთ სარგებლობა ეწინააღმდეგებოდა თვით ამ შემოსავლის ხასიათს, კომისიამ შეზღუდა ეჩმიაძინის მონასტრის ხაზინიდან ფულის მიღების უფლება. ამის სანაცვლოდ მისთვის სათანადო საზღაური უნდა გაეღოთ გლეხებს 10 წლის განმავლობაში. ამის გარდა, კანონპროექტის მესამე განყოფილებაში ნაჩვენები საზღაურის 4 1/2% უნდა შემცირებულიყო, რადგან მონასტერი ტიულის სახით ღებულობდა მოსავლის არა 3/30, არამედ 2/30 ნაწილს. ამ გზით იგი გლეხთა მიწებიდან მიიღებდა საზღაურის 3%.

მეფის ნაცვლის კანონპროექტი დროებით ვალდებული გლეხების შესახებ დიდხანს იდო საადგილმამულო კომისიაში. ამიტომ 1912 წლის 10 თებერვალს კავკასიელმა დეპუტატებმა – ჩხეიძემ, გეგეჭკორმა, შერვაშიძემ და საღათელიანმა განცხადებით მიმართეს მესამე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს მ.როძიანკოს კავკასიაში დროებით ვალდებულებით ურთიერთობის გაუქმების კანონპროექტის განხილვის გაჭიანურების გამო. განცხადებაში კერძოდ ნათქვამი იყო: „ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიაზე სოციალ – დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილი იქნა საკანონმდებლო წინადადება ამიერკავკასიაში მემამულეებისადმი გლეხთა დროებით ვალდებულების ლიკვიდაციის შესახებ. საკანონმდებლო წინადადება დაწვრილებით და ყოველმხრივ იქნა განხილული მიწის კომისიის მიერ მის განკარგულებაში არსებული ამომწურავი მასალების საფუძველზე. ამასთან, მიწის კომისიის გარდა, ამ დროში, ამ საკითხის გაცნობა მოასწრო

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა უმრავლესობამ.

მიმდინარე სესიის დასაწყისში, იმავე საკითხზე სახელმწიფო სათათბიროში თავისი კანონპროექტი შეიტანა მთავრობამ (მეფის ნაცვალმა – ი.გ.) და დაიწყო საკითის მეორედ განხილვა და შესწავლა.

დიდი მუშაობის შედეგად სახელმწიფო სათათბიროს თითქმის ყველა წევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტის გადადება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო სათათბიროს აქვს ყველა მონაცემი და პირობა ბოლო მოუღოს ერთ-ერთ ყველაზე არანორმალურ მოვლენას ამიერკავკასიის ცხოვრებაში. ვიღებთ რა მხედველობაში რომ, თუ სახელმწიფო სათათბირო არ მოუღებს ბოლოს ამიერკავ-კასიისათვის ამ საჭირბოროტო საკითხს და მისი გადაჭრა გადადებული იქნება განუსაზღვრელ დრომდე, მაშინ საჭირო გახდება მთელი გაწეული მუშაობის ხელახლა ჩატარება. ეს კანონპროექტი უკვე მიიღო მიწის კომისიამ, მან კიდევ უნდა გაიაროს საფინანსო და საბიუჯეტო კომისიები. ამიტომ ვთხოვთ პრეზიდიუმს, ყველა ზომა მიიღოს მთავრობის კანონპროექტის სათათბიროში დროული შეტანისათვის, რათა იგი განხილული და დამტკიცებული იქნას სათათბიროს მიერ მიმდინარე სესიაზე სააღდგომო შესვენებამდე.

კავკასიაში დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებას მეფისნაცვალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი გადაწყვეტა მიაჩნდა ხელისუფლების მხრიდან გლეხობაზე ზრუნვის ილუზიის შექმნის და რევოლუციური მოძრაობის შენელების პირობად. ვორონცოვ,დაშკოვი 1912 წლის 25 თებერვალს დაშიფრული წესით გაგზავნილ თავის დეპეშაში მინისტრთა საბჭოს თამჯდომარეს სტატს მდივანს კოკოვცევს ატყობინებდა: „საქმე ამიერკავკასიაში დროებით ვალდებუ-ლების გამოსყიდვის შესახებ, განხილული და მოწონებული იქნა სათათბიროს კომისიებში. ამ საქმის სათათბიროს

პლენარ'ულ სხდომაზე და სახელმწიფო საბჭოში შემდგომ გადაწყვეტას დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგივეს ვწერდი სათათბიროს თავმჯდომარეს, ვთხოვდი, სათათბიროს საერთო კრებაზე საკითხის სასწრაფოდ შეტანას და განხილვას. მივმართავ თქვენს მაღალ ბრწყინვალებას და ვთხოვ დახმარებას აღნიშნული დებულების (კანონპროექტის – ი.გ.) განსახორციელებლად.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ გარემოებაზე, რომ უკვე ახლა ოპოზიციური ელემენტები მიუთითებენ იმაზე, რომ კავკასიის ხალხთა მასებისათვის მთავრობის მხრიდან არაფერი არ კეთდება, თუნდაც ბატონ-ყმობის ნაშთების მოსპობის საქმეში. საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის დაყოვნება ოპოზიციას უადვილებს ხალხთა მასების შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. მომავალ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით ძალზე სას'ურველი და პირდაპირ აუცილებელი იქნებოდა დაჩქარებულიყო კანონმდებლობის გამოცემა, რომლის საჭიროება მიზანშეწონილად მიიჩნია თვით მთავრობამ და მოიწონეს სათათბიროს კომისიებმა. ამ კანონის გამოცემა ახალი სათათბიროს არჩევნების დაწყებამდე, ოპოზიციას ხელიდან გამოჰგლეჯდა უძლიერეს იარაღს და დანერგავდა გლეხებში მთავრობისადმი კეთილსასურველ რწმენას, რომელიც ესოდენ დიდ როლს თამაშობს არჩევნების მიმდინარეობის დროს."

დროებით ვალდებულების ლიკვიდაციის პროექტზე საადგილმამ'ულო კომისიის მოხსენება 1912 წლის 12 მარტს გადაეცა საფინანსო კომისიას. ამ უკანასკნელმა მოხსენება მოიწონა, რის შესახებ წარადგინა თავისი დასკვნა.

შემდეგ საადგილმამ'ულო კომისიის მოხსენება გადაეცა საბიუჯეტო კომისიას. მან მოიწონა საფინანსო კომისიის დასკვნა, უმნიშვნელო კორექტივები შეიტანა და 1912 წლის 19 აპრილს საკუთარი დასკვნა წარმოადგინა.

ბოლოს, 1912 წლის 9 ივნისს, მთავრობის კანონპროექტი

კავკასიაში დროებით ვალდებულების ლიკვიდაციის შესახებ, წარმოდგენილი დასკვნებითურთ, სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა. კანონპროექტი ითვალისწინებდა მიწების სავალდებულო გამოსყიდვას, დესეტინას 60 მანეთად. გლეხებს გამოსასყიდ სესხს მთავრობა აძლევდა, რომელიც უნდა დაეფარათ 28,36, ან 40 წლის განმავლობაში.

მიწის გამოსყიდვის წინააღმდეგ გამოვიდნენ 34 წევრის კანონპროექტის ინიციატორები, მაგრამ მათ წინადადებას სათათბიროს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. სათათბირომ უმნიშვნელო შესწორებით საბოლოოდ მიიღო მთავრობის კანონპროექტი და გადასცა სახელმწიფო საბჭოს, მაგრამ იგი მას არ განუხილავს მესამე მოწვევის სათათბიროს უფლებამოსილების პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის მემამულეებმა გაილაშქრეს კანონპროექტის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ გაეზარდათ გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაეგდოთ იგი სახელმწიფო საბჭოში. ეს სახიფათო იყო, რადგან სახელმწიფო საბჭოში ქართველ მწარმოებლებს თავისი ინტერესების დამცველი ი.ჭავჭავაძე აღარ ჰყავდათ, მებატონეებს კი იქ თავიანთ ბურჯად ქუთაისელი ანდრია ერისთავი (ერისტოვი) ეგულებოდათ.

1912 წლის 20 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს უფლებამოსილების პერიოდში, მეფის ნაცვლის კანონპროექტი დაამტკიცა. ეს იყო მეფის მთავრობის უკანასკნელი აქტი ამიერკავკასიაში გლეხთა სამიწათმოქმედო ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, 1912 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშით სენატორი ნიკოლსკი ვორონცოვ-დაშკოეს ატყობინებდა, რომ სახელმწიფო საბჭომ მოიწონა მეფის ნაცვლის კანონპროექტი კავკასიაში დროებითი ვალდებულებითი ლიკვიდაციის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით წარსდგა სტიშინსკი. პროექტს მხარი დაუჭირა სტატს მდივანმა კოკოვცევმა, ხოლო წინააღმდეგი გამოვიდა თავადი ერისტოვი. ამასთან, იგი თხოვდა ვორონცოვ-დაშკოვს, რომ სამადლობელო დეპეშა გამოეგზავნა სახელმწიფო საბჭოს სხდომის თავჯდომარე გოლუბეევისა და კოკოვცევის სახელზე. ის თხოვნა მეფის ნაცვლის მიერ დიდი სიხარულით იქნა მიღებული, თბილისიდან გაგზავნილ დეპეშაში ვორონცოვ-დაშკოვი უღრმეს მადლობას მოახსენებდა მითითებულ ადრესატებს გადადგმული პუმანური ნაბიჯისათვის.

ამრიგად, საქართველოში დროებით ვალდებულებითი ინსტიტუტის მოსპობა და სანადელო მიწების საეალდებულო გამოსყიდვა არსებითად, თავისი შინაარსით, განსხვავებული იყო 1906 წლის 9 ნოემბრის კანონისაგან თემიდან გამოსვლის შესახებ, მაგრამ ისიც თითქმის იგივე მიზანს ემსახურებოდა, რასაც სტოლიპინის კანონი. ორივე გამოხატავდა ცარიზმის მისწრაფებას სოფლად კულაკური ფენების შექმნით და განმტკიცებით გაემაგრებინა შერყეული თვითმპყრობელური რეჟიმი, თუმცა ახლა ეს „კონსტიტუციური“ გზით ხდებოდა.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი კავკასიაში „დროებით ვალდებულები“ ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ, საესებით უსრუნველყოფდა ამიერკავკასიაში მემამულეების ინტერესებს. კანონმა მემამულეები გლეხების ხარჯზე დააჯილდოვა. გლეხები აიძულეს რეფორმის გატარებიდან 50 წლის შემდეგ გამოესყიდათ თავისი ნადელები. მთავრობამ მხარი დაუჭირა მემამულეებს, მათ მისცა მთელი გამოსასყიდი თანხა, ხოლო გლეხებისაგან აიღო არა მარტო გამოსასყიდი ფული, არამედ კაპიტალზე პროცენტიც.

მიღებული კანონის ძირითადი შინაარსი ჩამოყალიბებული იყო „დებულების“ პირველ მუხლში. თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მემამულეებთან საეალდებულო ურთიერთობაში მყოფი გლეხები, აგრეთვე ერევნის, ელიზავეტპოლის, ბაქოს და თბილისის გუბერნიების მემამულეთა მიწებზე მცხოვრები

დამოკიდებული გლეხები, უნდა გადაეყვანათ მემამულეთა და მფლობელთა სასარგებლო ფულადი და ნატურალური ბეგარიდან გამოსასყიდ გადასახადებზე და 1913 წლის 1 იანვრიდან მესაკუთრე გლეხთა თანრიგისათვის მიეკუთვნებათ. მაგრამ გლეხებს ეს უფლება ფულით უნდა გამოესყიდათ. მართალია, მიწის გამოსყიდვა დროებით ვალდებულ გლეხს აქამდეც შეეძლო, მაგრამ ეს გამოსყიდვა მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული. ახალი კანონით გამოსყიდვა სავალდებულო ხდებოდა.

დებულებით გლეხს უნდა გამოესყიდა ის მიწები, რომლებიც საწესდებო სიგელებში, ან მის დამატებებში იყო აღნიშნული. თუ ამ საბუთებში კუთვნილი მიწის ოდენობა აღნიშნული არ იქნებოდა, ამ შემთხვევაში საზომად მიწის ფაქტიური მფლობელის საზღვარი უნდა აეღოთ. ე.ი. ის რაც გლეხს იმ დროსთვის ფაქტიურად ნადელის სახით ეჭირა, რჩებოდა მისსავე განკარგულებაში და საფასურიც ამის მიხედვით გადახდებოდა. მაგრამ იჯარით აღებული მიწის გამოსყიდვა არ ევალებოდა. არც მემამულენი იყვნენ ვალდებულნი ეს მიწები გლეხებისათვის მიეყიდათ. სწორედ ამიტომ მცირე ნადელიანი გლეხი იძულებული ხდებოდა ისევ კაბალური იჯარისათვის მიემართა.

ხე-ტყით სარგებლობის უფლებას, რომელიც მინიჭებული ჰქონდა გლეხს წინა დებულების 248 და 454 მუხლებით, ახალი „დებულება“ აუქმებდა ყველგან, გარდა გორის, დუშეთის და რაჭის მთაგორიანი ზონებისა, რაც მემამულეს უქმნიდა ახალ საშუალებას ყოფილი დროებით ვალდებული გლეხი კვლავ დამოკიდებული ჰყოლოდა.

ამრიგად, ახალი კანონი გლეხებს აძლევდა სასყიდელ ნადელებს, უფასოდ თავაზობდა გამოუსადეგარ და უნაყოფო ადგილებს, გზებს და სხვ. დროებით, ძველებურ მდგომარეობაში ტოვებდა სარწყავი წყლების, საქონლის წყალზე გასადენი გზების და საძოვარ-საბალახოების სარგებლობას, ართმევდა ხე-ტყით სარგებლობის უფლებას.

კანონი არსებითად არ აუმჯობესებდა გლეხთა მდგომარეობას, მათ არცერთი მტკაველი მიწა არ მიმატებიათ, პირიქით, შეუმცირდათ ის მიწები, რომლებიც მემამულისაგან ჰქონდათ იჯარით აღებული. გარდა ამისა, გლეხებს ხაზინისათვის „განთავისუფლების“ საფასურად 8 მილიონამდე მანეთი უნდა გადაეხადათ, რაც ფაქტიურად მათ ახალ დაკაბალებას ნიშნავდა.

რეფორმამ არსებითი ცვლილება ვერ შეიტანა გლეხთა ცხოვრებაში. შეიცვალა მხოლოდ გადასახადის ფორმა. თუ აქამდე ღალა-კულუხს იხდიდნენ, ამიერიდან ხაზინისათვის მთელი ნახევარი საუკუნე ფული უნდა ეხადათ.

1912 წლის 20 დეკემბერს კანონის გატარება ადგილზე დიდი სიძნელეებს აწყდებოდა. სიძნელეების დაძლევისა და კანონის ახსნა-განმარტებისათვის კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორთან შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო, რომელშიც შედიოდნენ გუბერნატორები, მხარის საგამიჯნო საქმის უფროსი, სახაზინო პალატის მმართველი, საგუბერნიო-საგლეხო საკრებულოების წევრები და მომრიგებელი შუამავლები.

აღნიშნულმა სათათბირომ შეიმუშავა და მეფის ნაცვლის საბჭომ 1913 წლის 13 მარტს დაამტკიცა ორი ინსტრუქცია; პირველი, გლეხების მიერ ნადელის სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად დროებით თანამდებობის პირებისა და ორგანიზაციებისადმი და მეორე, გლეხების მიერ გამოსასყიდი გასამჯელოს ანგარიშში პროცენტების გაცემის შესახებ 1912 წლის 20 დეკემბრის დებულების საფუძველზე.

გამოსასყიდი ოპერაციების ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა 1913 წელს დაიწყო. მან აჩვენა, რომ ქათაისის გუბერნიაში 19.631 გლეხს გამოსასყიდი ჰქონდა 57.244 დესეტინა მიწა. ყველაზე დიდი რაოდენობა დროებით ვალდებული გლეხებისა, 1913 წლის 1 იანვრისათვის, ზუგდიდის მაზრაზე

(8262 კომლი) და ლეჩხუმის მაზრაზე (2666 კომლი) მოდიოდა, რაც მაზრების გლეხთა უნუგეშო მდგომარეობაზე მეტყველებდა.

თბილისის გუბერნიაში 12.874 კომლ დროებით ვალდებულ გლეხს გამოსასყიდად ჰქონდა 98.5000 დესატინა მიწა. 1913 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 146.453 სული დროებით ვალდებული გლეხი ყოფილა.

1913 წლის 1 იანვრიდან, მიუხედავად იმისა, რომ გამოსასყიდი აქტები ჯერ შედგენილი არ იყო, შეწყვეტილი იქნა დროებით ვალდებული გლეხების მიერ მემამულისათვის ღალა-კულუხის გადახდა.

მიწების გამოსყიდვის ოპერაციები შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, რადგან მიწის მზომელები და გამოსყიდვის ოპერაციების მონაწილე ბევრი მოხელე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

1915 წლის აპრილისათვის ქუთაისის გუბერნიაში მიწების გამოსასყიდი აქტი შედგენილი იყო 2463 მემამულიდან 856-ზე, თბილისის გუბერნიაში 1915 წლის 1 იანვრისათვის – 747 მემამულეზე.

ამრიგად, 1912 წლის 20 დეკემბრის კანონმა, მართალია, გლეხი გამოაცხადა მიწის მესაკუთრედ, მაგრამ მან ვერ მოსპო მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობა.

1911 წლის 7 მაისს, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, 337 დეპუტატის ხელმოწერით მესამე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება (კანონპროექტი) ამიერკავკასიაში ხიზნობის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც შუმუშავებული იქნა ხსენებული ფრაქციის ლიდერების – კ.ჩხეიძის და ე.გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

კანონპროექტზე დართულ მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ჯერ კიდევ ამ მხარის რესეთის იმპერიასთან შეერთებამდე, არსებობდა მემამულეთა და გლეხთა დამოკი-

დებულების გარკვეული ფორმა, რომელიც ხიზნობის ინსტიტუტის სახელწოდებით იყო ცნობილი. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უადგილმამულო გლეხი, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ბინავდებოდა მემამულესთან და განსაზღვრულ მიწას ღებულობდა მისგან. ხიზანს ჰქონდა აგრეთვე უფლება ესარგებლა მემამულის საძოვრებით და ტყით. ვინაიდან არ არსებობდა ხიზანი-მემამულის ურთიერთობის მომწესრიგებული რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, ამ შემთხვევაში, ხიზანთა სარგებლობაში მყოფი მიწები გადაეცემოდა მემკვიდრეობით და ეს წესი ფაქტიურად მათ ხდიდათ მუდმივ მიწათმფლობელად. საქართველოში 1908 წლის მონაცემებით, ხიზნების 7,698 კომლს (30.085 მამრობითი სული) ეკავა 30.901 დესატინა. კომლზე მოდიოდა 4 დესატინა, ხოლო თითოეულ მამრობით სულზე – 1 დესეტინა.

ხიზანი პირადად არასდროს არ ემორჩილებოდა მემამულეს, როგორც ყმა. ხიზანის მიერ გადასახდელი ღალა და ბეგარა განისაზღვრებოდა მხოლოდ მიწის ფასით და არ იცვლებოდა მარტოოდენ მამამულის სურვილით. ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო ხიზნის თანხმობაც. პირველ წლებში ხიზანს ეძლეოდა ზოგიერთი შეღავათი, რომელიც მით უფრო მეტი იყო, რამდენადაც მიწა ნაკლები და მეურნეობა ძნელად მოსაწყობი. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლებოდა ხიზანსა და მემამულეს შორის არსებული ურთიერდამოკიდებულების შეწყვეტა დაზარალებული მხარისათვის ზარალის ანაზღა- ურებით.

შემდეგ მოხსენებით ბარათში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ხიზნობის წარმოშობის მიზეზი მუშახელის ნაკლებობა იყო, რის გამოც ცალკეულ მემამულეებს მიწები დაუმუშავებელი რჩებოდათ. ვინაიდან ხშირი ომიანობისა და არეულობის გამო მიწების მოკლევადიანი იჯარით გაცემა არახელსაყრელი ჩანდა, ასეთ შემთხვევაში მიწების დამუშავების ერთ-ერთი სწორი და სარგებლიანი გზა ხიზნისათვის ცარიელი მიწების მუდმივ სარგებლობაში გადაცემა იყო. ამით მემამულე ხიზნის სახით

იძენდა ახალ გლეხს, თავის მამულს მატებდა ფასს და ზრდიდა შემოსავალს. ამის გარდა, მემამულე ხიზანს აძლევდა უფრო ძნელად დასამუშავებელ მიწებს, რითაც ხდებოდა მათი ათვისება და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა. მეორე მხრივ, ხიზნობა სასარგებლო იყო თვით უადგილმამულო გლეხებისათვისაც, რადგან ამ შემთხვევაში, იგი ხდებოდა ქონების პატრონი, არ კარგავდა თავისუფლებას, სამუდამოდ ღებულობდა მიწას და სარგებლობდა მითი ერთიდაიგივე ფასში.

კანონპროექტზე დართულ მოხსენებით ბარათში ნაჩვენები იყო, რომ ხიზნების უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ ყოფილი ყმა-გლეხები, რომლებმაც ვერ მიიღეს ჩამონაჭერი მიწები („ნადელები") იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობამ კავკასიაში საგლეხო რეფორმა ისე არ გაატარა, როგორც რუსეთში. ნადელების სიმცირე აძლიერებდა გლეხების მხრიდან მებატონეთა თავისუფალი მიწების ოჯარით აღების და ოჯარით ფულით გადახდის მისწრაფებას. ხიზნები, მიწების უვადო სარგებლობით და შეუცველელი ბეგარით, უკეე არახელსაყრელნი გახდნენ მამამულისათვის. ამიტომ ამ უკანაკნელებმა ხელი მიჰყვეს მათ გასახლებას, რათა ხიზნების ადგილები გაეცათ ვადიან მოიჯარადრეებზე. რუსეთის მთავრობა თავიდან შეეცადა ხიზნებისათვის დახმარების გაწევას, მაგრამ საქმეში ეგოისტი მემამულეების ჩარევის გამო, იგი შეწყვიტა. ხიზნების გასახლებამ მიიღო მასიური ხასიათი. ამიტომ მათი რიცხვი წინანდელთან შედარებით ორი მესამედით შემცირდა. ამჟამად აღარ შეიძლებოდა სახაზინო რეფორმის დაყოვნება. რეფორმა დამყარებული უნდა იყოს იმ საფუძველზე, რომ ხიზნებს საკუთრებაში გადაეცეს მათ მფლობელობაში არსებული მიწები ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. სოციალ-დემოკრატების მიერ ხიზნობის გაუქმების შესახებ სათათბიროში შეტანილი კანონპროექტი დიდხანს იყო მიწის საადგილმამულო კომისიაში, მესამე სახემწიფო სათათბიროს იგი არ განუხილავს.

მესამე სახელმწიფო სათათბიროში ხიზნების ლიკვიდაციის

შესახებ თავის კანონპროექტის შეტანას აპირებდა მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვიც, მაგრამ მას იგი ცალკე არ შეუტანია, რადგან ქართველი თავადაზნაურობის მიერ პროექტი მოხსნილი იქნა.

1907 წლის 28 ნოემბერს მეფის ნაცვალმა სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „ქ.ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ". კანონპროექტის მიხედვით ყარსში საქალაქო თვითმმართველობა შემოღებული უნდა ყოფილიყო 1892 წლის 11 ივნისს დებულების საფუძველზე ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.

სათათბიროში კანონპროექტი განსახილველად გადაეცა საკანონმდებლო წინადადებათა კომისიას. 1908 წლის 18 ივნისს კომისიამ კანონპროექტზე თავისი მოხსენება (დასკვნა) წარუდგინა სათათბიროს, მაგრამ კომისიის მოხსენებამ სათათბიროს უმრავლესობა, პირველ რიგში მემარჯვენეები, ვერ დააკმაყოფილა. მიზეზად ის დაასახელეს, რომ პროექტით საქალაქო არჩევნები კურიალური სისტემით არ ტარდებოდა. ე.ი. ცალკე არ იყო გამოყოფილი რუსული კურია. ამიტომ მათ წამოაყენეს ქალაქის სათათბიროში ადგილობრივი და რუსი მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობის მოთხოვნა. თავისი პოზიციის გასამაგრებლად მემარჯვენეებმა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსი ეროვნების მოსახლეობის შევიწროება დაასახელეს. ასეთ პირობებში, აღნიშნავდნენ ისინი, საჭიროა რუსებს ჰყავდეთ მათი ინტერესების დამცველიო. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ კავკასიის სოციალ-დემოკრატები.

რადგან კანონპროექტი სადაო გახდა, სათათბირომ მოხსენებასთან ერთად, დამატებითი განხილვისათვის უკან დაუბრუნა კომისიას. ამ უკანასკნელმა მხედველობაში მიიღო სათათბიროს შენიშვნები, კანონპროექტში შეიტანა ცვლილებები, რაც ითვალისწინებდა ყარსის ამომრჩევლების დაყოფას რუსულ და ადგილობრივ კურიად და 1909 წლის 21 მაისს მეორედ წარუდგინა სათათბიროს განხილვისათვის.

შესრულებული კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ კავკასიელი დეპუტატები: კ.ჩხეიძე, კ.შერვაშიძე, ს.საღათელიანი და ხას მამედოვი. ისინი მხარს უჭერდნენ მეფის ნაცვლის პროექტის პირვანდელი სახით მიღებას, გაუმართლებლად მიაჩნდათ ყარსის ამომრჩეველების ორ კურიად გაყოფა, ქალაქის სათათბიროში პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის განხორციელება, რადგან ყარსში რუს მოსახლეთა რიცხვი მცირე იყო. ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა 24.594 სულს, ხოლო რუსი მოსახლეობა – 1.846 სულს, ანუ 8%. მათი განცხადებით, არც ადგილობრივი ქალაქების საქმიანობაში იყვნენ რუსი მოსახლეობის წარმომადგენლები იგნორირებულნი, რადგან კავკასიის ცალკეული ქალაქების თვითმმართველობებში რუსი ხმოსნებიც შედიოდნენ, ზოგან ქალაქის თავიც კი რუსი იყო (ბაქოში, ბათუმში), რასაც თვით მეფის ნაცვლის პროექტში ჰქონდა ხაზი გასმული.

ამასთან, ისინი მიუთითებდნენ, რომ ყარსში რუსების გარდა, სხვა ერის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, მათ შორის თურქები, ბერძნები და ასეთ შემთხვევაში რუსი ხმოსნების განსაზღვრული რაოდენობის ქალაქის სათათბიროში მონაწილეობის წინასწარი გადაწყვეტა და მათთვის პრივილეგიების მინიჭება, სხვა ერების წარმომადგენელთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომ მოითხოვდნენ სახელმწიფო სათათბიროს არ მიეღო კომისიის მიერ შესწორებული კანონპროექტი.

რუსეთის „პარლამენტის" ამიერკავკასიის რუსული კურიის დეპუტატს ფ.ტიმოშკინს კანონპროექტის არც შესრულებული ვარიანტი მოსწონდა და მთელი ძალით ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობა რუსი მოსახლეობის შემავიწროებლად წარმოესახა.

კამათის შემდეგ, რომელიც სამ სხდომაზე გრძელდებოდა, სათათბირომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით ყარსის საქალაქო სათათბიროს ხმოსნების არჩევისათვის უნდა მოწვეულიყო ორი საარჩევნო კრება. ერთში მონაწილეობას

მიიღებდნენ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო მეორეში-რუსული წარმოშობის მოქალაქენი. თითოეულ კრებას თავისი რიგებიდან უნდა აერჩია ხმოსანთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც დადგენილი იქნებოდა ყარსის ოლქის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ.

ამ ახალი რედაქციით სათათბირომ კანონპროექტი მიიღო 1909 წლის 29 მაისს და დასამტკიცებლად გადასცა სახელმწიფო საბჭოს, მაგრამ მან კანონპროექტი, ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ არ დაამტკიცა, რადგან იგი ძალიან ლიბერალურად მიიჩნია.

1907 წელს ფოთის საქალაქო სათათბირომ ეაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ფოთის ნავსადგურში გამველელ თითოეულ ფუთ საქონელზე დაწესებულიყო ნახევარკაპიკიანი გადასახადი ქ.ფოთის სასარგებლოდ. საქმის დაჩქარების მიზნით ამ დოკუმენტს პეტერბურგში თვით ქალაქის თავი ნ.ნიკოლაძე გაჰყვა. მან პირველ ხანებში წარმატებას ვერ მიაღწია მთავრობის ინსტანციებში, რის შესახებ აცნობა ფოთელ თანამებრძოლებს. ამის საპასუხოდ მისი მოადგილე ი.მეუნარგია 1907 წლის 2 ოქტომბერს ნ.ნიკოლაძეს წერდა: „ეხლა ნიკოჯან, რადგან უეჭველია, რომ უდუმოდ საქმეს ვერ გავიტანთ, უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ შენი ფოთში ჩამოსვლა არ შეიძლება, სანამ ამ საქმეს არ დააყენებ კარგ გზაზე. უნდა გახდე მეთაურად ყველა პორტის ქალაქებისა, ყველა აღძრა აალაპარაკო, სწერო გაზეთებში, დაუახლოვდე გავლენიან დეპუტატებს და საქმე მოიგო“.

ქ.ფოთისათვის საფუთო გამოსაღების დიდი მნიშვნელობა ყველაზე უკეთ თვით ნ.ნიკოლაძეს ესმოდა. მას ცოდნა, გამოცდილება და ენერგია არ დაუშურებია საქმის წარმატებით გადაჭრისათვის. ფოთის ქალაქის თავის საქმიანობამ ნაყოფი გამოიღო. ფოთის თვითმმართველობის შუამდგომლობის საფუძველზე ეაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეადგინა

სათანადო კანონპროექტი და შეიტანა იგი მინისტრთა საბჭოში. მცირე შესწორების შემდეგ, 1908 წლის 31 მარტს, კანონ-პროექტი შეტანილი იქნა სახელმწიფო სათათბიროში შინაგან საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სახელით.

1908 წლის 22 აპრილს სათათბირომ კანონპროექტი საფინანსო კომისიას გადასცა. კომისიამ კანონპროექტს თავისი მოხსენება დაურთო და განსახილველად სათათბიროს დაუბრუნა. კარგად დაწყებული საქმე რამდენიმე ხნით შეაფერხა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭომ, რომელმაც სადაო გახადა ფოთის თვითმმართველობის უფლება დაებეგრა ნავსადგურებზე გამველელი საქონელი, მაგრამ ნ.ნიკოლაძემ გააბათილა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს და მისი ხელმძღვანელის გ.ზდანევიჩის არგუმენტები.

1909 წლის 8 აპრილის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ განიხილა კანონპროექტი და საფინანსო კომისიის მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქ.ფოთს კეთილმოწყობისათვის არ გააჩნია სახსრები, ფოთის ქალაქის სათათბირომ აღძრა შუამდგომლობა ნავსადგურში გამველელი საქონლის თიოეულ ფუთზე ნახევარი კაპიკის გადასახადის დაწესების შესახებ საერთო საქალაქო საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ნავსადგურის და მასთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობის ხარჯებისათვის. აქვე ნაჩვენები იყო, რომ აღნიშნულ შუამდგომლობას მხარს უჭერდნენ შინაგან საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები შემდეგი წესის დაცვით:

1. გადასახადი უნდა აკრეფილიყო ერთ ფუთ საქონელზე 1/2 კაპიკის ოდენობით, იმ საქონლის გარდა, რომლებიც განთავისუფლებულები იყვნენ საფუთო გადასახადისაგან 1901 წლის 8 ივნისის კანონით - იმპერიაში სანავსადგურო გადასახადების (შესაკრებულთა) სისტემის გარდაქმნის (რეორგანიზაციის) შესახებ.

2. გადასახადი უნდა აკრეფილიყო ფოთის საბაჟოს მიერ ერთდროულად 1901 წლის 8 ივნისის კანონით გათვალის-

წინებულ გადასახადებთან ერთად 2%-ის გამორიცხვით, რომელიც გაიცემოდა საბაჟო მოხელეებზე საგადამხდელო სამუშაოების შესრულებისათვის.

3. შემოსული გადასახადის 2/3 უნდა გადარიცხულიყო ნავსადგურის საჭიროებისათვის, ხოლო 3/5 ქალაქის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნავსადგურის და ვაჭრობის ინტერესებთან. კერძოდ თანხის ეს ნაწილი უნდა მოხმარებოდა ნავსადგურისაკენ მიმავალი გზების მშენებლობას, მოვლას და განათებას. აგრეთვე ქალაქის საავადმყოფოს, სამკურნალოს, სასაკლაოს, წყალსადენს, სანიტარული წესრიგის დაცვას და სხვ.

4. საგადასახადო შემოსავლის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებული იყო ნავსადგურის საჭიროებისათვის, შეიძლებოდა დახარჯულიყო ქალაქის მიერ გამონაკლისის სახით ახალი სანავსადგურო ნაგებობებისა და არსებული სამარკო მოწყობილობების შეკეთებისათვის. ამასთან, ქალაქის სათათბიროს მიერ შედგენილი პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და შეფასებათა ნუსხები სანავსადგურო საქმეთა საკრებულოს დასკვნებთან ერთად უნდა დამტკიცებულიყო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ.

სახელმწიფო სათათბირომ ძირითადად მოიწონა კანონპროექტი, მაგრამ ამასთან ერთად, მასში ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, გადასახადიდან შემოსული თანხის-4/5 უნდა გადარიცხულიყო ნავსადგურის საჭიროებისათვის, ხოლო ქალაქის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის უნდა გამოყოფილიყო 1/5 ნაწილი. ქალაქს ეძლეოდა უფლება საფუთო გადასახადით შემოსული თანხიდან გადაეხადა ვალის პროცენტი და დაეფარა საობლიგაციო სესხი. მნიშვნელოვნად იცვლებოდა გასავლის საგნების ჩამონათვალიც, რომელთა საჭიროებაზე გათვალიწინებული იყო დადგენილი გადასახადის მეორე ნაწილი. ამ გასავლების ასეთი თანაფარდობა ნაკარნახევი იყო ნავსადგურისა და ვაჭრობის

საჭიროებით.

ამ შესწორების შემდეგ სათათბირომ კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაუგზავნა. 1909 წლის 24 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული „კანონი ფოთის სასარგებლოდ ნავსადგურში გამვლელ საქონელზე განსაკუთრებული ნახევარკაპიკიანი გამოსაღების შესახებ“.

ფოთელებს ბათუმელებმაც მიბაძეს. 1907 წელს ბათუმის საქალაქო სათათბირომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქალაქისა და მისი ნავსადგურის შემდგომი კეთილმოწყობისათვის ნავსადგურში გაელილ თითოეულ ფუთ საქონელზე 1/4 კაპიკის გადასახადის დაწესების შესახებ. ეს შუამდგომლობა, რომელსაც მხარს უჭერდა მეფის ნაცვალი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ თავდაპირველად გადაუგზავნა ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობას. ამ უკანასკნელმა მასზე თავისი აზრი გამოსთქვა და უკან დააბრუნა. საკითხის განხილვა გაჭიანურდა. 1909 წელს ბათუმის თვითმმართველობამ თავდაპირველი შუამდგომლობა რამდენადმე შეცვალა კიდეც.

ქალაქის მესვეურნი აღნიშნავდნენ, რომ ბათუმი იმყოფებოდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ჩაფლულია ვალებში. კრიზისის მიზეზად ასახელებდნენ 1890 წლის საქალაქო დებულებით ქალაქზე დაკისრებულ ვალდებულებებს და 1905-07 წლების მოვლენებს, რასაც მოჰყვა ბევრი ადგილობრივი ნავთობჩამომსხმელი ქარხნის დახურვა. 1901 წლის 8 ივნისის კანონით, ისევე როგორც სხვა სანავსადგურო ქალაქებმა, ბათუმმაც დაკარგა საფუთო გამოსაღების მეხუთედი. ამას დაემატა ისიც, რომ 1900 წლიდან მთავრობამ ბათუმის გარეუბნის - ე.წ. „ნავთის ქალაქის“ კეთილმოწყობა და სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფაც თვითმმარველობას დააკისრა. ასეთ შემთხვევაში, საექსპორტოდ გამავალ ადგილობრივ ნავთობპროდუქტებიდან საფუთო გამოსაღების აკრეფა სავსებით რონმალურად უნდა ჩაითვალოს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა ქ.ბათუმის კრიზისული ფინანსური მდგომარეობა. აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე, 1911 წლის 28 მარტს, ვაჭრობა-მრეწველობის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეიმუშავეს კანონპროექტი (დადგენილება) ბათუმის სასარგებლოდ განსაკუთრებული საფუთო გამოსაღების დაწესების შესახებ, იმ პირობით რომ მთელი შემოსული გადასახადის 4/5 უნდა დახარჯულიყო ნავსადგურის და „ნავთის ქალაქის" საჭიროებისათვის, ხოლო 1/5 ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

1911 წლის 21 ოქტომბერს კანონპროექტი განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს გადაეცა. აქ მისი განხილვა ერთხანს დაყოვნდა. ეს ბათუმის მუნიციპალურ მოღვაწეებს არ მოეწონათ და დახმარებისათვის მეფის ნაცვალს მიმართეს. როგორც ჩანს ვორონცოვ-დაშკოვმა იშუამდგომლა ბათუმელთა კანონპროექტის განხილვის დაჩქარების თაობაზე და საქმეც ადგილიდან დაიძრა. სათათბირომ საჭიროდ მიიჩნია ბათუმის საქალაქო მეურნეობისადმი დახმარება, მაგრამ ამასთან ერთად, კანონპროეტში შეიტანა არსებითი ცვლილებები.

უპირველეს ყოვლისა, სათათბირომ გადასახადების რიცხვიდან ამოშალა ნავსადგურის საჭიროებანი. შემდეგ სათათბირომ შეცვალა დებულება „ნავთის ქალაქის" შესახებ, რომელიც ავალდებულებდა ქალაქის თვითმმართველობას გაეყვანა და მოეკირწყლა ქუჩები. სათათბირომ შესაძლებლად ჩათვალა აგრეთვე შემცირებულიყო „ნავთის ქალაქის" და ქალაქის სხვადასხვა საჭიროებისათვის გათვალისწინებული ხარჯები. შემოსული გადასახადის ნაწილი გამოყენებული ყოფილიყო ქალაქის ვალის გასტუმრებისა და საობლიგაციო სესხის დაფარვისათვის, იმ პირობით, რომ თუ აღნიშნული დავალიანებები გადახდილი იქნებოდა 10 წელზე ადრე, მაშინ გადასახადის სიდიდე თანდათან უნდა შემცირებულიყო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულების მიხედვით. საერთოდ კი სათათბირომ მიზანშეწონილად ჩათვალა ბათუმის ნავსად-

გურში გაელილ ერთ ფუთ საქონელზე დაეწესებინათ 1/4 კაპიკი გადასახადი.

ამ ცელილებების შემდეგ, 1912 წლის 2 ივნისს, სთათბირომ მიიღო კანონპროექტი და დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს გადასცა, მაგრამ მას იგი არ განუხილავს მესამე სათათბიროს უფლებამოსილების პერიოდში.

აღნიშნული კანონპროექტი განიხილა მეოთხე სახელმწიფო სათათბირომ, მაგრამ არ მოეწონა და გადასამუშავებლად უკან დაუბრუნა ფინანსთა სამინისტროს. ბათუმის თვითმმართველობიდან მოითხოვეს დამატებითი ცნობები ქალაქის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის მიღების შემდეგ სამინისტრომ გარკეეული ცელილებები შეიტანა კანონპროექტში. 1913 წლის 27 იანვარს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონპროექტი ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სასარგებლოდ მეოთხედკაპიკიანი (1/4) საფუთო გამოსაღების დაწესების შესახებ, რომელსაც იმპერატორმა ხელი მოაწერა 1913 წლის 20 დეკემბერს.

უფრო მეტი კანონპროექტები მესამე სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის შესახებ მთავრობის მიერ იქნა შეტანილი. ეს შემთხვევითი არ იყო. ხელისუფლებას შეტანილი კანონპროექტებით სურდა საკანონმდებლო ბაზის შექმნა მხარის სრული ათვისებისა და იქ რუსული ორიენტაციის გაძლიერებისათვის. ცარიზმის ამ პოლიტიკაში XX ს. პირველ ათწლეულში ერთ-ერთი მთავარი ადგილი გადასახლებას ეკავა. ეს, უკანასკნელი აგრარული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებადაც იყო მიჩნეული. მისი არსი უკმაყოფილო გლეხთა თავიდან მოშორება და გლეხთა რევოლუციური მოძარობის დასუსტება იყო.

კავკასიაში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლება 1904 წლის 6 ივნისის კანონით დაჩქარდა. იგი უხეში ფორმით ხორციელდებოდა. ამიტომ ადგილი ჰქონდა ადგილობრივებსა და მოსულებს შორის კონფლიქტს. ადგილობრივ გლეხთა

უკმაყოფილების შენიღბვის მიზნით, მთავრობამ 1905 წელს თითქოს „გააუქმა“ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლება. მან მხოლოდ კავკასიის შიგნით გადასახლების ნება დართო. ამით სანქცია მისცა ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიის გუბერნიებში გადმოსახლებას, ხოლო ფაქტიურად რუსეთის შიდა გუბერნიებიდანაც, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის საშუალებით.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ კავკასიაში განახლდა კოლონიზაცია. ამან დიდი ფულადი სახსრები და მიწის ფართობი მოითხოვა. ამიტომ 1908 წელს მთავრობამ სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „კავკასიაში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის მიწის გამოყოფისა და ფულადი დახმარების შესახებ“. ამ ფულს მთავრობა სათათბიროს' სთხოვდა. ამიტომ მოითხოვდა კანონპროექტის საჩქაროდ განხილვას.

სათათბირომ კანონპროექტი სასწრაფოდ სცნო. მისი განხილვის დროს ცხარე კამათი გაიმართა მთავრობის მომხრეთა და კავკასიელ სოციალ-დემოკრატებს შორის. ამ უკანასკნელთა მცდელობა კონონპროექტის ჩაგდების ან მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა. სათათბირომ კანონპროექტი უცვლელად მიიღო და შემდეგ სახელმწიფო საბჭოს გადასცა, სადაც იგი უმაღლესად იქნა დამტკიცებული.

ვორონცოვ-დაშკოვი თავსა და სახსრებს არ ზოგავდა კოლონიზაციის პროგრამის განსახორციელებლად. თუ 1908 წლამდე მიწის საკოლონიზაციო ფონდის სიდიდე კავკასიაში 258.580 დესატინამდე აღწევდა, 1915 წელს მისთვის გამოყოფილი იქნა 545.867 დესეტინა. თუ 1906-1908 წლებში ამიერკავკასიაში, გადმოასახლეს რუსული წარმოშობის 10.000 გლეხი, 1908-1915 წლებში მარტო საქართველოში გადმოსახლებული იქნა ორივე სქესის 66.000 სული.

1913 წლისათვის კახეთში გადმოსახლებულებს საკუთრებაში ჰქონდათ 8,500 დესეტინა მიწა, ხოლო იჯარით - 3.500 დესეტინა. ამ დროისათვის საქართველოში სულ იყო რუსთა 30-მდე ახალშენი 90.000 დესეტინა მიწის ფართით.

გადასახლების ხარჯები კავკასიაში უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში, მაგალითად ურალის გადაღმა გადასახლებულ თითოეულ ოჯახზე იხარჯებოდა 140 მანეთი, ხოლო კავკასიაში - 200 მანეთი.

კოლონისტთა კავკასიაში მოსაწყობად და მათი სახლების ასაგებად 1908-1915 წლებში გაიცა 985.570 მანეთი. 1906-1912 წლებში კოლონიზაციის ადგილებში გაიყვანეს 315 ვერსტი გზა.

საგადასახლებო სამმართველოს უფროსის მოადგილე ი.ტხორჟევსკი 1909 წელს კავკასიაში სამსახურებრივი მიელინების ანგარიშში აღნიშნავდა, „გენერალ-ადიუტანტ გრაფ ი.ი.ვორონცოვ-დაშკოვის მიერ წამოყენებული ამოცანა, რომ დასახლდეს ამიერკავკასიაში ნახევარი მილიონი რუსი და აყვანილი იქნას რუსი მოსახლეობის პროცენტი ნაცელად ახლანდელი 2,5 პროცენტისა 15 პროცენტამდე, საეჭვოა შესაძლებელია“.

1909 წელს საქართველოს სასოფლო ადგილებში რუსი მოსახლეობის რაოდენობა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებობა.

გადასახლების პოლიტიკის წინააღმდეგ სათათბიროში მკაცრად ილაშქრებდნენ კავკასიელი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. კ.ჩხეიძე ოფიციალური წყაროებიდან ამოწერილი მასალებით ცხადყოფდა, თუ როგორ ერეკებოდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მთელ სოფლებს თავიანთი მამა-პაპეული ადგილებიდან მიწის კოლონიზაციის ფონდის შექმნის ინტერესებისათვის, როგორ აჭახარკებდნენ მთელ რიგ სასამართლო პროცესებს, რათა გაემართლებინათ მთიელთა მიწის ექსპროპრიაცია“.

გადასახლების 1908-1909 წლების ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, კ.ჩხეიძე ასაბუთებდა, რომ კავკასიაში არ იყო მიწების სიუხვე, სახელმწიფო ქონების მინისტრის მონაცემების საფუძველზე უჩვენებდა, რომ მხოლოდ ერთ, სახელმწიფო გლეხებს შორის, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ სახაზინო მიწებზე, მარტო ამიერკავკასიაში ოთხ გუბერნიაში ითვლებოდა 22.000 სული სრულიად უმიწო გლეხი, 66.000 სულიდან თითეულ სულზე მოდიოდა 1 დესატინამდე; 254.000 სულიდან თითოეული ფლობდა ერთიდან ორ დესატინამდე,; 5.013 სულიდან თითოეულს გააჩნდა ორიდან ოთხ დესატინამდე მიწა. სულ დაახლოებით 1,000.000 გლეხი ფლობდა მინიმალურ ნორმაზე ნაკლებ მიწას კავკასიაში გადმოსახლებულ რუსთა მიწების მინიმალურ ნორმასთან შედარებით.

ქუთაისის გუბერნიაში უმიწოდ ითვლებოდა 29.977 კომლი ანუ 33%. ერთ დესატინა მიწას ფლობდა 2.541 კომლი; ერთიდან ორ დესატინამდე - 5.321 კომლი. იმ სოფლების რიცხვი, რომელთაც არ გააჩნდათ სახაზინო მიწები, ან ნაწილობრივ იყვნენ დაკმაყოფილებულნი, ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში შეადგინა დაახლოებით 46%.

სათათბიროში შეტანილ დროებით ვალდებულების გაუქ-მების კანონპროექტის მონაცემების საფუძველზე კ.ჩხეიძე მიუთითებდა, რომ თბილისის გუბერნიაში სრულიად უმიწოდ დატოვებული იყო 1.444 კომლი. გლეხობის საერთო რიცხვის 13%-ს არ გააჩნდა საკარმიდამო ნაკვეთიც კი.

1895 წლისათვის ელიზავეტპოლის გუბერნიაში უმიწოდ ითვლებოდა 5.308 კომლი, ანუ ორივე სქესის 25.000 სული, ბაქოს გუბერნიაში 3.906 კომლი, ანუ ორივე სქესის 11.709 სული,. ერევნის გუბერნიაში 1.209 კომლი, ანუ ორივე სქესის 5.211 სული.

რაც შეეხებოდა დროებით ვალდებულ გლეხებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს ნადელის გამოსყიდვა, თბილისის გუბერნიაში

სულზე მოდიოდა 0,9 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 0,6 დესეტინა. იმათგან კი, ვინც გამოისყიდა, თბილისის გუბერნიაში სულზე მოდიოდა 4.7 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში - 0,7 დესეტინა.

სხვა ოფიციალური გამოკვლევებიდან ამოღებული მონაცემებით ქართველი დეპუტატი ცხადყოფდა, რომ იმ გლეხების რაოდენობა, რომელბიც უმიწობით დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, ქუთაისის გუბერნიაში 70% აღწევდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ გუბერნიაში მიწების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა აზნაურთა 25%-იც.

მიწის ნაკვეთების ასეთ მფლობელებს, ნათქვამი იყო კ.ჩხეიძის მოხსენებაში, - თავიანთი სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ გარეთსაშოვარი აქვთ. გლეხთა უმეტესობას არ გააჩნია სახსრები მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად. დიდია მიწის საიჯარო ღირებულება. სანახევრო სისტემის დროს იგი 60% აღწევს, ხოლო მოუსავლიანობის წლებში - საერთო შემოსავალს აღემატება. მიწის ფულადი იჯარით გაცემა იშვიათად გამოიყენება, მაგრამ გაცემის შემთხვევაში იგი ძვირია, მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში დესეტინა 30 მანეთი ღირს.

თუ როგორ იყენენ მემამულეთა მიწაზე დასახლებული გლეხები უზრუნველყოფილი მიწით, აქ ასეთ სურათს ვხვდებით: ელიზავეტპოლის გუბერნიის 4 მაზრაში (ჯიბრაილის, ზანგეზურის, შუშის, ჯევანშირის) თითოეულ სულზე მოდიოდა 0,6 დესეტინა, ბაქოს გუბერნიის ლენქორანის მაზრაში - 0,5 დესეტინა, ჯუბის მაზრაში - 0,9 დესეტინა.

თავისუფალი მიწების არ არსებობის პირობებში, კ.ჩხეიძის თქმით, გადმოსახლებულთათვის მიწის ფონდები იქმნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპროპრიაციის გზით, რაც კავკასიაში რეგიზიის ჩასატარებლად მოელინებულ სენატორ კუზმინსკის ანგარიშებშიც იყო ნაჩვენები.

შემდეგ ქართველი დეპუტატი იშველიებდა მეფის ნაცვლის

მიერ სათათბიროში წარდგენილ მოხსენებას, რომლის მიხედვით კავკასიაში დასახლებისათვის ვარგისი მიწების ფართობი სულ შეადგენდა 1.700.000 დესეტინას. მათზე უკვე შექმნილი იყო გადმოსახლებულთა 150-მდე უბანი. ყველაზე მეტი ასეთი უბანი - 60, მოდიოდა ბაქოს გუბერნიაზე, რომლის ფართობი შეადგენდა 266.000 დესეტინას. აქედან მუღანის ველის 30 უბანი მხოლოდ მორწყვის შემდეგ იყო გამოსადეგი.

ელიზავეტპოლის გუბერნიაში შექმნილიყო გადმოსახლებულთა 43 უბანი, რომელთა ფართობი უდრიდა 71.000 დესეტინას. აქედან 12 უბანი უკვე დასახელებული იყო. სამიწათმოქმედოთ უვარგისად ითვლებოდა 30.000 დესეტინა, რომელსაც მოსახლეობა ძირითადად საძოვრებად იყენებდა და არ შეიძლებოდა მიცემოდათ გადმოსახლებულებს.

ეს დაწვრილებითი იფიციალური მასალები ჩხეიძეს მოყავდა მეტი დამაჯერებლობისათვის, რაზეც ბოლშევიკების ლიდერი ვ.ლენინი იძულებული იყო ეთქვა: „დეპუტატი ჩხეიძე, მიკერძოება და დამახინჯება რომ ვერავინ დასწამოს, სულ მუდამ სარგებლობდა ოფიციალური მონაცემებით და მთავრობის მოხელეთა მონაცემებით“.

ხელისუფალნი არა მარტო მიწების ნაკლებობას არ ითვალისწინებდნენ კავკასიაში, არამედ არ ზრუნავდნენ აგრეთვე გადმოსახლებულ ხალხთა შერჩევისათვის, რომელთათვის ხორბლის თესვის გარდა, უცხო არ იქნებოდა ადგილობრივი სამეურნეო კულტურების მოყვანა და მესაქონლეობა. არც თუ იშვიათად გადმოსახლებულნი უკან ბრუნდებოდნენ. ამის მიზეზი მიწების მოურწყველობა, უგზოობა, ადგილობრივი კლიმატური პირობებისადმი შეუგუებლობა, ავადმყოფობა და სხვა იყო. ამასთან გადმოსახლებას ის უარყოფითი მხარეც ჰქონდა, რომ ის აღვივებდა ეროვნულ შუღლს, ადგილობრივებსა და მოსულებს შორის იწვევდა შეხლა-შემოხლას.

დეპუტატი გაიდაროვი თავის გამოსვლაში მკაცრად გმობდა გადასახლების პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღეს-

ტანში, აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ ამ მხარის დაპყრობის დროს, რაც ემსახურებოდა იმპერიის გაფართოების იდეას, მთიელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლობისათვის ბროლაში გაიყლიტა, ხოლო ცოცხლად დარჩენილები თურქეთში გადაასახლეს. იმავე იდეის განხორციელების მიზნით, მთიელთა ადგილებზე რუსი გლეხები დაასახლეს, მაგრამ თუ პირველნი კაზაკთა ტყვიებით და რუსთა ხიშტებით დაიხოცნენ, მეორენი შეუმჩნეველ ბუნებასთან ბრძოლაში იღუპებიან. მცირემიწიანობა არსად ისე მწვავედ არ იგრძნობა, როგორც ჩრდილო კავკასიაში. გადმოსახლებულთა დიდი ნაწილი ფლობს 0,5 დესეტინიდან 1 დესეტინამდე მიწას და ეს ნორმალურად არის მიჩნეული. ბევრი მათგანი სრულიად უმიწოა. აულებში ჩამოყალიბდა უმიწო პროლეტარიატი, რომლის რიცხვი იზრდება მთიდან ჩამოსულთა ხარჯზე. ბედნიერ შემთხვევაში ზოგი იჯარით შოულობს სახნავ და სათიბ მიწებს, მაგრამ ამისათვის დიდ გადასახადს იხდიან. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე სავარგულებით სარგებლობისა და პირუტყვის ძოვების საქმეში.

აზერბაიჯანელი დეპუტატი ხას მამედოვი უჩვენებდა, რომ 1901-1906 წლებში ბაქოს გუბერნიის ლენქორანის მაზრის არგაის უბნიდან, რომლის ფართობი შეადგენდა 10.000 დესეტინას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ძალით იქნა გადასახლებული მთელი მუსულმანური ალარის საზოგადოება და ეს მიწები გადმოსახლებულებს დაურიგეს.

ამიერკავკასიის რუსული კურსის რეაქციონერი დეპუტატი ფ.ტიმოშკინი ამტკიცებდა, რომ კავკასიაში მიწები საკმარისი იყო და მოსახლეობაც შეძლებულად ცხოვრობდა. იგი მოითხოვდა კავკასიის უბანზე ასიგნების გაზრდას 5.500 მანეთით. სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ გადასახლების პოლიტიკის განსახორციელებლად გადასახლებულთა ჯგუფები მიდიოდნენ ციმბირში და არა კავკასიაში. ამიტომ დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ

კავკასიაში გაძლიერებულიყო გადასახლება. ეს მემარჯვენეებს სათათბიროში დიდ სიამოვნებას გვრიდა.

გადასახლების 1909 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა მიიღეს შემდეგი რეზოლუცია.

1. გლეხებისათვის მიწით დაკმაყოფილების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს გლეხებისათვის მემამულეების, სახელმწიფო, საკაბინეტო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების უსასყიდლოდ გადაცემა;

2. მთავრობას სურს რა ჩამოაშოროს გლეხთა ყურადღება აგრარული საკითხის სამართლიან გადაჭრას, მცირემიწიან გლეხებს უბიძგებს გადასახლებისაკენ.

3. გადასახლების თანამედროვე ბიუროკრატიული ორგანიზაციის პირობებს-ქანცგამომცლელ მგზავრობას და მოუწყობელ ადგილებს, გლეხობა მიჰყავს სრულ განადგურებამდე.

4. მთავრობა იცავს შიდა რუსეთის მემამულეების ინტერესებს, ძალით ართმევს მიწებს სხვა ხალხებს და უარყოფს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს.

5. მთავრობა თავის საგადასახლებო ღონისძიებებით მიზნად ისახავს პოლიტიკურ მიზნებს: ეროვნული შუღლის გაღვივებას ადგილობრივ და გადმოსახლებულთა შორის, განაპირა მხარეების ძალით გარუსებას და სხვა.

6. გადასახლების ღონისძიებები, ისე როგორც აგრარული პოლიტიკა, ემსახურება არა მცირემიწიან გლეხთა ინტერესებს, არამედ მსხვილი მიწათმფლობელების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ეს რეზოლუცია სახელმწიფო სათათბირომ არ მიიღო.

მთავრობა გადასახლების გარდა ყოველნაირად ზრუნავდა აგრეთვე საკოლონიზაციო მიწების მოსამზადებლად, მელიორაციისა და მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად ამ მიზნით, 1908 წლის 25

ოქტომბერს სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროექტი, „ამიერკავკასიაში მუღანის მორწყვაზე სახსრების გამოყოფის შესახებ“. მასში ნათქვამი იყო: „მუღანის ველი მდებარეობს ბაქოს გუბერნიის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილშიარაქსსა და მდ.მტკვარს შორის. იგი ბუნებრივი საზღვრებით სამ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი. 1900 წელს დასრულებული იქნა მუღანის ველის ჩრდილო ნაწილის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რასაც მოჰყვა მისი დასახლება. ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები ჯერ-ჯერობით რჩება სრულიად გამოუსადეგარი სოფლის მეურნეობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აქ ხელსაყრელი კლიმატური პირობებია.

ამავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიის გუბერნიებში თავს იყრის გადმოსახლებულთა მასა, რომელთაც დასახლებისთვის არა აქვს მიწა და ელოდებიან მოწყობას. ასეთ პირობებში გამოუსადეგარი მიწების მორწყვა წარმოადგენს კოლონიზაციისთვის საჭირო მიწის ფონდის შექმნის ერთადერთ გზას“. ამ მიზნით მიწათმოწყობისა და მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში, დასმული იყო საკითხი სპარსეთის საზღვართან ახლოს მყოფი მიწის მხოლოდ ერთი ნაწილის (8.000 დესეტინა) მორწყვის თაობაზე.

სახელმწიფო სათათბირომ 1909 წლის 31 მაისს სხდომაზე დაამტკიცა აღნიშნული კანონპროექტი, სამუშაოს წარმოებისათვის განსაზღვრა 2 წელი და გამოყო 307.620 მანეთი. ამის შემდეგ კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცა და უმაღლესად დაამტკიცა 1909 წლის 17 ივნისს.

1909 წლის 17 ოქტომბერს მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველო სათათბიროში შეიტანა წინადადებით მუღანის ველის ქვედა სარწყავი სისტემის ნაწილის - მდ. ახალი არაქსის განსაკუთრებული არხის (სიგრძე - 19,8 ვერსტი, ფართობი - 12.000 დესეტინა) მშენებლობაზე 121,165 მანეთის გამოყოფის შესახებ. სახელმწიფო სათათბირომ

1910 წლის 1-ლი მაისის სხდომაზე მხარი დაუჭირა აღნიშნული თანხის დაშვებას. 1910 წლის 29 მაისს წინადადება უმაღლესად იქნა დამტკიცებული და მან კანონის ძალა მიიღო.

1910 წლის 23 თებერვალს მთავრობის მიერ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროექტი „მთელი ცენტრალური მუღანის ველის მორწყვისთვის სახსრების გამოყოფის შესახებ. ამ კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო დაემთავრებინათ და აღეჭურვათ მთელი რიგი არხები, რომლითაც უნდა მორწყულიყო 142.000 დესეტინა მიწის ფართობი. ამ ღონისძიებების განხორციელება სულ ჯდებოდა 4.611,389 მანეთი, თითოეული დესეტინის მორწყვაზე გათვალისწინებული იყო 33 მანეთი.

ვინაიდან ამ საქმეზე კრედიტი უკვე დაშვებული იყო ადრე, ამის გამო, მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების სამმართველო დამატებით ითხოვდა 4.175.154 მანეთს 5 წლის განმავლობაში 1911 წლიდან 1915 წლამდე, თითოეულ წელზე გაანგარიშებული ოდენობით წარმოდგენილი სამუშაო გეგმის შესაბამისად.

სათათბირომ თავის 1911 წლის 11 მაისის სხდომაზე კანონპროექტი მიიღო. შემდეგ კი იგი სახელმწიფო საბჭომ განიხილა, უმაღლესად კი 1911 წლის 29 მაისს იქნა დამტკიცებული.

ეს კანონპროექტი პირველ რიგში ქართველების წინააღმდეგ იყო მიმართული. როცა ქართველებმა ხელისუფლებას ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის ნება არ მისცეს, მაშინ მან მათ ტირიფონის არხით სარგებლობა აუკრძალა.

ემიგრანტი რევაზ გაბაშვილი იგონებს, რომ უმაღლესი ბრძანებით უნდა შეკრებილიყო მტკვრის მთელი ხეობის წყალი - მუღანის უდაბნოს მოსარწყავად. აკრძალული უნდა ყოფილიყო კანონით, მტკვრის სათავიდან დაწყებით, ყველა შემდინარე ტოტების წყლით სარგებლობა მოსახლეობისათვის... „ჩტობი ნი ადნა კაპლი ლიშნეი ვადი ნე პროპადალა-ვსე დლია ბუგანსკოი სტეპი“ - ასე ეწერა პროექტში. ამ პროექტის ტექსტი

„კლდემ“ გამოიტანა გარეთ და განგაში აეტეხეთ. „არ გვაკმარებენ ტერიტორიის გამოცლას, ეხლა წყალსაც გვიწყვეტავენ და მთელ საქართველოს მშრალზე დასმას უპირებენ“ - ეყვიროდით ჩვენ და ჩვენდა სასირცხვილოდ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ რჩებოდა ჩვენი ხმა ქართული სოციალისტური პრესის უდაბნოში.“

1913 წლისათვის მუღალნოს ველზე გამზადებული უნდა ყოფილიყო სარწყავად დამატებით 70 ათასი დესეტინა მიწა, რომელზეც დაასახლებდნენ 20 ათას რუს კოლონიტს. ადგილზე მოწყობილ გადმოსახლებულ თითოეულ კომლს საშუალოდ ჰქონდა 1.610 მანეთის ღირებულების მეურნეობა, ყავდა 12 სული საქონელი, ფლობდა 6-8 დესეტინა მიწას. თითოეული მეურნის წლიური შემოსავალი უდრიდა 641 მანეთს. 49 სოფელში იყო: 5 ეკლესია, 9 სკოლა, 3 საავადმყოფო და 24 საფერშლო პუნქტი. ასე ზრუნავდა მთავრობა გადმოსახლებულებზე.

1912 წელს მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების სამმართველომ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „თურქესტანსა და ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარების ღონისძიების გასაძლიერებლად 230.000 მანეთის გამოყოფის შესახებ“. იგი ითვალისწინებდა საცდელი სადგურების და ველების (მინდვრების) მოწყობას ფერანგის, სამარყანდის და მუღანის რაიონებში. ბამბის სათესლე საჩვენებელი პლანტაციების შექმნას. სარწყავი სისტემის მოწესრიგებას, აგრონომ-სპეციალისტების რიცხვის გაზრდას.

სათათბირომ ეს კანონპროექტი მიიღო, ოღონდ გამოთხოვილი თანხა 12.000 მანეთამდე შეამცირა. ამ კანონპროექტის უმაღლესად დამტკიცება 1912 წლის 25 ივნისს მოხდა.

იმავე წელს ზემოთხსენებულმა სამმართველომ სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „თურქესტანსა და კავკასიაში ჰიდროტექნიკური საძიებო სამუშაოების გაძლიერებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ“. მასში წამოყენებული იყო

1912 წლის კრედიტზე 200.000 მანეთის დამატების მოთხოვნა. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო მიწების მორწყვას. ამ მიზნით გათვალისწინებული იყო ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, წყლის აუზის მოწყობა, ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმა და სხვა. ყველა ეს ღონისძიებეები ემსახურებოდა ერთ მიზანს დაეკმაყოფილებინათ ბამბაზე რუსეთის მრეწველობის მოთხოვნები.

სათათბირომ მხარი დაუჭირა ამ კანონპროექტს, უმაღლესად კი 1912 წლის 1-ივლისს იქნა დამტკიცებული.

მთავრობა ენერგიულად ზრუნავდა არა მარტო გადასახლებულებზე და მიწების მორწყვაზე, არამედ მათი მომწყობი სპეციალური რაზმების შენახვაზე. ეს რაზმები 1901 წლის 12 მარტის კანონის საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. კანონის მოქმედების ვადა ათი წლით იყო განსაზღვრული. 1909 წლის ბოლოს მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის სამმართველომ სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი არსებული კანონის 1910 წლისთვის ძალაში დატოვებისა და გადასახლების უბნების მომწყობი კავკასიის რაზმების შენახვისთვის 79.670 მანეთის გამოყოფის შესახებ, რაც საჩქარო წესით იქნა მიღებული.

ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კავკასია მცირემიწიანი მხარეა, გადასახლება ვერ ამართლებს, ეცემა მეურნეობა, ამიტომ იგი უნდა შეწყდესო. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ფ.ტიმოშკინი. იგი მოითხოვდა მთელი განაპირა და სასაზღვრო რაიონების რუსებით დასახლებას. ამას იმით აქართლებდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ შეეძლო საზღვრის დაცვა აგრესიის შემთხვევაში.

სათათბირომ აღნიშნული კანონპროექტი მიიღო საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შესწორებებით და სარედაქციო კომისიას გადასცა.

1909 წლის 1 ივნისის სხდომაზე სახელმწიფო სათათბიროში მიიღეს კანონპროექტი გადასახლების ხარჯთაღრიცხვის

პირობითი კრედიტის შესახებ „1909-1911“ წლებში, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა 1909 წლის 21 ივნისს.

1911 წლის 7 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ მიიღო კანონპროექტი „საგადასახლებო უბნების მომწყობი კავკასიის რაზმების შენახვის შესახებ“, რომელიც უმაღლესად იქნა დამტკიცებული 1911 წლის 24 თებერვალს. მასში აღნიშნული იყო, რომ კრედიტის გამოყოფა აუცილებელი გახდა 1909-11 წლებში ამიერკავკასიაში რუსული კოლონიზაციის სამუშაოთა გაფართოების, გადმოსახლე- ბულთათვის მიწების გამოყოფის, გამიჯვნის, დაგეგმარების, მიწების ვარგისიანობის გამოკვლევის და სხვა მიზნით.

1908 წლის 19 თებერვალს სხდომაზე სათათბირომ განიხილა მეფის ნაცვლის პროექტი „კავკასიაში დამშეულთათვის 2.400.000 მანეთის გამოყოფის შესახებ“. საფინანსო კომისიამ აღნიშნული თანხა 1.900.000 მანეთამდე შეამცირა. ჩხეიძემ და საღათელიანმა მხარი დაუჭირეს მეფის ნაცვლის პროექტს. კამათის შემდეგ სათათბირომ დაამტკიცა ვორონცოვ-დაშკოვის მოთხოვნა და კავკასიის დამშეული მოსახლეობისათვის გამოყო 2.400.000 მანეთი.

მთავრობამ 1907 წელს სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „ქალაქების უძრავ ქონებეზე გადასახადების გადიდების შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტით განსაკუთრებით იზრდებოდა გადასახადები თბილისისა და ბაქოს გუბერნიებში. ხელისუფლება ამას იმით ამართლებდა, რომ ქალაქებში მრეწველობა იყო განვითარებული. სათათბირომ მიიღო გადასახადების გადიდების კანონპროექტი და შეუდგა მის დაწვრილებით განხილვას.

1908 წლის თებერვლის დასაწყისში სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის მიერ შეტანილი იქნა კანონპროექტი „1908-1909 წლების სახელმწიფო გადასახადის უცვლელად დატოვების შესახებ“. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში.

არსებული წესის თანახმად, რუსეთის გუბერნიებისაგან

განსხვავებით, კავკასია ნახევარჯერ ნაკლებ სახელმწიფო გადასახადს იხდიდა. რუსეთში გადასახადი შეადგენდა შემოსავლის 3%, ხოლო კავკასიაში - 1,5%. მხარეში შექმნილი გაჭირვებული მდგომარეობის გამო მეფის ნაცვალი ითხოვდა გადასახადის ძველი წესის უცვლელად დატოვებას. სათათბირომ პროექტი გადასცა საფინანსო კომისიას. კომისიის უმრავლესობა თვლიდა, რომ კავკასიის მიწების შემოსავალ - გასავლის შესახებ არასაკმაო ცნობების არსებობის გამო, დარჩენილიყო ადრინდელი გადასახადების ნორმა. უმცირესი კი, პირველ რიგში მემარჯვენე ტიმოშკინი და სხვანი, მოითხოვდნენ გადასახადების გადიდებას, კავკასიის გათანაბრებას რუსეთის გუბერნიებთან.

ამის წინააღმდეგ სათათბიროში 12 თებერვალის სხდომაზე გამოვიდნენ ჩხეიძე, საღათელიანი და გაიდაროვი. ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ ძველი სიდიდის გადასახადის დატოვება შეღავათი კი არ იყო, როგორც ამას ტიმოშკინი ამტკიცებდა, არამედ იმის ნიშანი, რომ ხალხს არაფერი გააჩნდა. ტიმოშკინის ცნობები მოკლებული იყო სინამდვილეს, ადმინისტრაციასაც კი არ ჰქონდა სარწმუნო მონაცემები ვითარების შესახებ. ამიტომ საგადასახადო სისტემის მოსაწესრიგებლად ჩხეიძე მოითხოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის და პირველ რიგში ერობის დაუყოვნებლივ შემოღებას.

საღათელიანი თავის გამოსვლაში ხატავდა რა გლეხთა მძიმე მდგომარეობას, აღნიშნავდა, რომ კავკასიელ გლეხებს არასოდეს შეეძლებათ გადაიხადონ საადგილმამულო გადასახადი რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხების თანაბრად მანამ, სანამ არ მოისპობა მათი დამოკიდებულება მემამულეებზეო.

გაიდაროვი მიუთითებდა, რომ ჯერ საჭირო იყო გლეხთა განთავისუფლება ბატონყმური გადმონაშთებისაგან, მათი დაყენება რუსი გლეხის სამეურნეო ცხოვრების დონეზე, მთელი სამეურნეო ცხოვრების დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი გადასახადების

მიხედვით გათანაბრების შესახებ.

კამათის შემდეგ სათათბირო შეუდგა კანონპროექტის დეტალურ განხილვას, უარყოფილი იქნა კადეტების წინადადება პროექტის გადასამუშავებლად უკან დაბრუნების შესახებ. განხილვის შემდეგ სათათბირომ ძველი საგადასახადო წესი ორი წლის მაგიერ ერთი წლით (1908 წელი) დატოვა ძალაში. ამასთან მიიღო დადგენილება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ." სათათბიროს დადგენილება სახელმწიფო საბჭომ მოიწონა.

მესამე სახელმწიფო სათათბირო, განსაკუთრებით ძირითადად 1908 წლის მანძილზე, იღებდა წერილ და უმნიშვნელო კანონპროექტებს, რომლებიც ე.წ. "ვერმიშელის კანონპროექტის" სახეს ღებულობენ. კერძოდ, ასეთებს განეკუთვნებოდნენ კანონპროექტები: ეელახის საპოლიციო სამმართველოს მიერ დამატებით ორი პოლიციელ-დამტარებლის დაქირავების შესახებ; თბილისში საპოლიციო შტატის გაზრდის შესახებ; კავკასიის არქიოგრაფიული კომისიის შენახვაზე სახსრების გამოყოფის შესახებ; მცხეთისა და აწყურის საგზატკეცილო საგუშაგოების დაკეტვის შესახებ; ბაქოში ელექტროწისქვილის მოწყობის შესახებ: კავკასიაში ხარებზე სპეციალური გამოსაღების დაწესების შესახებ; ქ.შამახის უძრავი ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ; ერევნის სამასწავლებლო სემინარიაში თათარი მოსწავლეებისათვის 20 სტიპენდიის დაწესების შესახებ და სხვ."

მიუხედავად მემარცხენე დეპუტატების მიერ მთავრობის მძაფრი კრიტიკისა, ეს უკანასკნელი მაინც აგრძელებდა ანალოგიური კანონპროექტების მიღების პრაქტიკას, რითაც უგულებელყოფდა ოპოზიციის მოთხოვნებს, ეს კი მას უფრო რადიკალურს ხდიდა.

1908 წელს მეფის ნაცვლის მიერ სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროეტი „ნატურალური საეტაპო ბეგარის ფულადი გადასახადით შეცვლის თაობაზე". საქმის არსი მდგომარეობდა

იმაში, რომ არსებული წესით პატიმართა გადაყვანა-გადმოყვანა კავკასიაში ევალებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ახლა ეს საქმე პოლიციას უნდა დაკისრებოდა. ადგილობრივ მცხოვრებთ კი ამის სანაცვლოდ ფული უნდა გადაეხადათ. ამასთან იმ შემთხვევაში. თუ პოლიციელები ან ჯარისკაცები ადგილზე არ აღმოჩნდებოდნენ, მაშინ ეს საქმე ისევ ადგილობრივ გლეხობას უნდა შეესრულებინა.

აღნშნული კანონპროექტი მკაცრად გააკრიტიკა ე.გეგეჭკორმა, აღნიშნა რომ ის იყო უმნიშვნელო და შორს იდგა ხალხის ინტერესებისაგან. რომ, მნიშვნელოვანი რეფორმების მაგიერ მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობდა კანონპროექტებს ევლახის პოლიციის შტატის გაზრდის, საპატიმრო საეტაპო ეალდებულებების წესის, მცხეთისა და აწყურის გზებზე საგუშაგოების დაკეტვის, ბაქოში წისქვილის მოწყობის, და სხვათა შესახებ, რაც იყო აღმაშფოთებელი. იგი ასაბუთებდა, რომ ხსენებული უმსგავსოების ნაცვლად, კავკასიაში საჭირო იყო ადგილობრივი მმართველობის რეფორმების გატარება, ერობის შემოღება, საგლეხო საქმის მოწესრიგება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსება და სხვა. მიუხედავად სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მედგარი ბრძოლისა, სათათბირომ წარდგენილი პროექტი უცვლელად მიიღო!

1908 წლის 23 მაისს სათათბირომ დაამტკიცა მთავრობის კანონპროექტი „ ხაზინის მიერ 1908-1912 წლებში კავკასიის ზოგიერთი ქალაქისადმი პოლიციის შესანახად დახმარების სიდიდის განსაზღვრის შესახებ“.

აღნიშნული კანონპროექტით 1908 წლის 1 იანვრიდან ხაზინის ვალის გადახდისაგან 5 წლით თავისუფლდებოდნენ ქალაქები: დუშეთი, ახალქალაქი, ორდუბათი ლა ოსურგეთი. ყოველწლიურად ქალაქ შუშას უნდა გადაეხადა 2.640 მანეთი, ქალაქ ლენქორანს 1.178 მანეთი. დაბა სადიანს 1.1000 მანეთი, ყუბას, ნუხას და ახალციხეს თითოეულს 1000-1000 მანეთი, გორს 800 მანეთი, თელავს და სიღნაღს 200-200 მანეთი

თითოეულს.

მთავრობამ კავკასიაში სწავლა-განათლებაზე ზრუნვის ილუზიის შესაქმნელად სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლო საქმეთა საჭიროებისათვის ხაზინიდან თანხის გამოყოფის შესახებ.“

ამ კანონპროექტით 1908 წლიდან 1914 წლის ჩათვლით ფულადი დახმარება უნდა გაწეოდათ ქ.ვლადიკავკაზის მეორე რეალურ სასწავლებელს, ქ.დერბენტის რეალურ სასწავლებელს, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას, კავკასიის სამეფისნაცვლოში შემავალ ქალთა გიმნაზიებს და პროგიმნაზიებს, ქ.გროზნოს მარინეს სახელობის ორკლასიან ქალთა სასწავლებელს. აღნიშნული კანონპროექტი სათათბირომ მიიღო 1908 წლის 24 ივნისს. ჯარის ბინებით დაკმაყოფილება კავკასიაში ქალაქებს ევალებათ. ამას დიდი თანხები მიჰქონდა და ბევრი ქალაქი ვერ ახერხებდა მის გადახდას. ამიტომ მთავრობამ სათათ- ბიროში შეიტანა კანონპროექტი“. „ჯარის ბინებით დაკმაყოფილებისათვის, კავკასიის ქალაქებისადმი, 1907-1909 წლებში ხაზინის დახმარების შეახებ“.

აღნიშნული კანონპროექტით კავკასიის ქალაქებს სამი წლის მანძილზე ჯარის ბინებით უზრუნველყოფისათვის ეძლეოდათ ხაზინის დახმარება 128.250 მანეთის ოდენობით. მათ შორის: თბილისს - 70.000 მანეთი, ახალციხეს - 5.000 მანეთი, გორს - 2.500 მანეთი, სიღნაღს - 1.000 მანეთი, ბაქოს - 25 000 მანეთი, ლენქორანს - 1000 მანეთი, ქუთაისსს , 10.000 მანეთი, ერევანს - 3.000 მანეთი, ალექსანდრე პოლს - 2.000 მანეთი, ნახჭევანს - 1000 მანეთი, ორდუბათს - 750 მანეთი, ელიზავეტპოლს - 2000 მანეთი, ნუხას 500 მანეთი, შუშას - 1.500 მანეთი, თემირხან-შურს - 1000 მანეთი, ყარსს - 1000 მანეთი, დაბა ოლთისს - 1000 მანეთი. კანონპროექტი სათათბირომ მიიღო 1908 წლის 28 ივნისს.

სათათბიროს მიერ მოწონებული იქნა წინადადება საეჭრო

ბრუნვის გაზრდასთან დაკავშირებით კავკასიის ქალაქებში, მათ შორის ქუთაისის გუბერნიის დაბა ჭიათურაში სახაზინო განყოფილების გახსნის თაობაზე. რუსეთის „პარლამენტის“ მიერ ასევე მოწონებული იქნა წინადადება ბათუმის საბაჟოს ანალოგიურ ოლქთან შეერთების შესახებ.

1912 წელს სახელმწიფო სათათბიროს ბოლო სესიაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შენახვისათვის სახელმწიფო ხაზინიდან 600.000 მანეთის გაცემის შესახებ. ამ თანხიდან საქართველოში 15 გადმოსახლებულ მღვდელს უნდა მისცემოდა ჯამაგირი 900 მანეთამდე, ხოლო დიაკვანს 300 მანეთამდე. ეს გადაწყვეტილება კანონპროექტის სახით არსებობდა.

სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებით აღნიშნული კანონპროექტი 1911 წლის 15 ოქტომბერს გადაეცა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა კომისიას, ხოლო საბჭოო დასკვნისათვის საბიუჯეტო კომისიამ კანონპროექტი თავის მოხსენებასთან ერთად სათათბიროს დაუბრუნა. სათათბიროს დადგენილებით კანონპროექტი მიიღეს, ხოლო უმაღლესად დაამტკიცა 1912 წლის 26 ივნისს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ 1912 წელს სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროექტი „ადგილობრივი სასამართლოების შესახ“, მაგრამ მასში კავკასიას გვერდი ჰქონდა ავლილი. მიზეზად კავკასიაში ერობის არ არსებობა იყო დასახელებული. კავკასიელმა დეპუტატებმა ამის შესახებ მტკიცე პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს, რომ სასამართლო რეფორმა კავკასიასაც შეხებოდა.

ხას მამედოვი აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება ყველა საკითხის გადაჭრა ერობას დაუკავშიროთ და თუ ეს არის ნამდვილი მიზეზი, ვინ გვიშლის, შემოვიღოთ იგიო. მან მოითხოვა აგრეთვე სასამართლო საქმის მშობლიურ ენაზე წარმოება.

გაიდაროვმა გაილაშქრა ე.წ. „სამხედრო-სახალხო“ სასამარ-

თლოების და მთიელთა მიმართ ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ.

კ.ჩხეიძემ მკაცრად გააკრიტიკა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა კავკასიის მიმართ. დაგმო მის მიერ მიღებული წერილი, უმნიშვნელო კანონპროექტები. აღნიშნა, რომ სათათბიროს მოღვაწეობაში მთავარი საკითხები, მათ შორის სასამართლო რეფორმა, განგებ იყო გამოტოვებული. იგი უჩვენებდა, რომ ადგილობრივი სასამართლოები კავკასიაში გამოირჩევიან ბიუროკრატიით, თვითნებობით და ბოროტმოქმედებით. მოითხოვდა ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლეების არჩევას, სასამართლო პროცესის მშობლიურ ენაზე წარმართვას.

სოციალ-დემოკრატების სახელით სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტის თაობაზე შეტანილი იქნა 5 პუნქტიანი შესწორება, მაგრამ იგი უარყვეს, თუმცა ოპოზიციის შესწორების ორი პუნქტი მაინც გავიდა. ეს იყო: 1. მომრიგებელი მოსამართლეების არჩევა, 2. მოსამართლეების მიერ ადგილობრივი ენის ცოდნა ასეთი უმნიშვნელო შესწორების შემდეგ სათათბირომ კანონპროექტი მიიღო, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ იგი პირველი სახით დატოვა. საბოლოოდ კანონპროექტი ადგილობრივი სასამართლოების შესახებ იმპერატორის მიერ უმაღლესად იქნა დამტკიცებული 1912 წლის 15 ივნისს.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია განათლების სამინისტროს მიერ სათათბიროში შეტანილმა, 1908 წლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტმა, სადაც კავკასიაზე თითქმის არაფერი იყო ნათქვამი. არადა მხარეში სავალალო მდგომარეობა იყო.

ფრაქციის ლიდერი კ.ჩხეიძე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშების გამოყენების საფუძველზე, აღნიშნავდა, რომ 1900 წლისთვის კავკასიაში სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში იყო 2.042 სასწავლო დაწესებულება. 759 სასწავლებელი სხვა უწყებას ეკუთვნოდა ე.ი. სულ

კავკასიაში ამ დროისათვის იყო 2.801 სასწავლო დაწესებულება. 1.000.000 მოსახლეზე მოდიოდა 280 სასწავლებელი, 3.627 მცხოვრებზე და 148 კგ.ვერსტის ფართობზე - 1 სასწავლებელი.

ქუთაისის გუბერნიაში 10.000 სულზე მოდიოდა 5,6 სასწავლებელი, დაღესტნის ოლქში 0,41 სასწავლებელი; მარტო დაწყებითი სასწავლებლების რიცხვი კავკასიაში იყო 2.466. ერთი დაწყებითი სასწავლებელი მოდიოდა 4.120 სულზე და 238 კვ.ვერსტის ფართობზე.

ეროვნულობის მიხედვით სასწავლებლები შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ: რუს მოსახლეობაში ერთი სასწავლებელი მოდიოდა 3.000 სულზე, ქართველებს შორის - 4.800 სულზე, სომხებს შორის - 5.400 სულზე, თათრებს შორის 17.000 სულზე და მთის მოსახლეებს შორის - 11.400 სულზე.

შემდეგ ჩხეიძე ეხებოდა მასწავლებელთა განათლებას და ხელფასს, მიუთითებდა, რომ კავკასიაში იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ საშუალო სასწავლო დაწესებულების კურსი, შეადგენდა 46%, დაბალი სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღწევდა 50,1%, საშინაო განათლება მიღებული ჰქონდა 3,9%. მასწავლებლები ღებულობდნენ მცირე ჯამაგირს. დაწყებით სასწავლებლებში უფასოდ ასწავლიდა 151 კაცი; წელიწადში 50 მანეთს იღებდა 72 კაცი, 50 მანეთიდან 100 მანეთამდე - 859 კაცი; 100 მანეთიდან 150 მანეთამდე 436 კაცი; 150 მანეთიდან 200 მანეთამდე 235 კაცი; 200 მანეთზე ზევით – 4362 მასწავლებელი. ბევრგან არ იყო სასკოლო ბიბლიოთეკები, არ ჰქონდათ საჭირო სახელმძღვანელოები, ვარგისი სასკოლო შენობები და სხვა. ანალოგიური სურათი აღწერა ხას მამედოვმა მუსულმანურ რაიონებშიც.

მიუხედავად სოციალ-დემოკრატების დიდი წინააღმდეგობისა, განათლების სამინისტროს მიერ 1908 წლისათვის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი სათათბირომ უცველად დაამტკიცა.

სახალხო განათლების 1909 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვის დროს მუსულმანურმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა თავისი ფორმულა, მაგრამ იგი უარყოფილი იქნა. მუსულმანების ფორმულის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატებიც. მათ აღნიშნეს, რომ „სწავლების სწორი დაყენებისათვის საჭიროა სასკოლო საქმის ძირეული რეფორმა, მისი გადაცემა დემოკრატიულად მოწყობილ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. სწავლა უნდა ემყარებოდეს პედაგოგიურ-მეცნიერულ საფუძველს."

განათლების და კულტურის ცარისტულ პოლიტიკას სათათბიროში ენერგიულად იცავდა ა/კ-ის რუსული კურიის რეაქციონერი დეპუტატი ტიმოშკინი. იგი ჩიოდა, რომ კავკასიაში იშვიათად იდგმება ოპერა „„მეფისთვის სიცოცხლეო". (Жизнь за Царя). ამ საკითხზე სათათბირომ შემდეგი დადგენილება მიიღო: აიკრძალოს რუსული თეატრის სცენაზე ანტიპატრიოტული პიესების დადგმა.

საბოლოოდ სახალხო განათლების სამინისტროს 1909 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა დამთავრდა რეზოლუციის მიღებით, რომელიც სათათბიროში შეიტანა საბიუჯეტო კომისიამ და იცავდა მთავრობის ინტერესებს.

1911 წელს რკინიგზის სამინისტრომ სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „შიდა რუსეთის ამიერკავკასიასთან დაკავშირების შესახებ." ამ კანონპროექტით ნავარაუდევი იყო შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით და კავკასიის ქედის გავლით რკინიგზის მშენებლობისათვის საძიებო სამუშაოების წარმოება. სათათბირომ მხედველობაში მიიღო, რომ მთავრობას ჰქონდა კავკასიის ქედის გავლით საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტი, მაგრამ ეს ვერ წყვეტდა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებთან ამიერკავკასიის დაკავშირების საკითხს. ამიტომ სათათბირომ რკინიგზის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რკინიგზის მშენებლობის ორი ვარიანტიდან თავის 1911 წლის 13 მაისის სხდომაზე უარი თქვა საუღელ-

ტეხილო გზის გაყვანის საძიებო სამუშაოების წარმოებაზე და მისთვის გათვალისწინებული 300.000 მანეთის გამოყოფაზე. უპირატესობა მიენიჭა შავი ზღვის სანაპირო გზას, რომლის გასაყვანი ადგილის ძიება და შესაბამისი პროექტის შემუშავებისათვის გამოიყო 270.000 მანეთი. აღნიშნული კანონპროექტი ხელისუფლების მიერ უმაღლესად იქნა დამტკიცებული 1911 წლის 1 ივნისს.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ 1910 წლის 3 დეკემბერს სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი „აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთობიანი რაიონების მიწების ნავთობმოპოვებითი სამუშაოებისათვის გადაცემის შესახებ."

აღნიშნული კანონპროექტი სათათბირომ 7 დეკემბერს განხილვისათვის გადასცა საფინანსო კომისიას. აქ მისი განხილვა ძალიან გაჭიანურდა. ბოლოს,1912 წლის 6 მარტს, თავის მოხსენებასთან ერთად, კომისიამ კანონპროექტი სათათბიროს დაუბრუნა.

კანონპროექტის თანახმად, აფშერონის ნახევარკუნძულის სახაზინო-საზოგადოებრივი მიწები უნდა გაცემუ- ლიყო ნავთობ მოპოვებითი სამუშაოების ჩატარებისათვის. აქ მოსახლე სახელმწიფო გლეხებს და ჩამოსახლებულებს სანაცვლოდ სხვაგან უნდა მისცემოდათ მიწები და მიეღოთ ფულადი ანაზღაურებაც.

სათათბირომ კანონპროექტში მცირე რედაქციული ცვლილებები შეიტანა და დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს გადასცა. ამ უკანასკნელმა მასში მთელი რიგი შესწორებები შეიტანა და უკან დააბრუნა. შესწორებები ეხებოდა მიწის ჩამორთმევას და საზღაურის გადახდას. სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს შორის წარმოშობილი უთანხმოების გადაჭრა შემთანხმებლურ კომისიას დაევალა. 1912 წლის 4 ივნისის სხდომაზე სათათბირომ მიიღო კანონპროექტი. შემდეგ იგი სახელმწიფო საბჭომ განიხილა. უმაღლესად 1912 წლის 25 ივნისს დამტკიცდა.

მესამე სახელმწიფო სათათბიროში ერთ-ერთ გახმაურებულ ამბავს წარმოადგენდა „შეკითხვა კავკასიის შესახებ“, რომელიც რუსეთის „პარლამენტში“ შეტანილი იქნა მემარჯვენეების მიერ, 1908 წლის დეკემბრის დასაწყისში 30 დეპუტატის ხელმოწერით, ამირეკავკასიის რუსული კურსის რეაქციონერი დეპუტატი ფ.ტიმოშკინის ინიციატივით. შეკითხვის განხილვა გრძელდებოდა დაახლოების 3 თვე და დამთავრდა 1909 წლის თებერვალში. იგი იხილებოდა 5 სხდომაზე. შეკითხვის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სათათბიროს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

შეკითხვის განხილვის დროს სათათბიროს ტრიბუნა არც თუ წარუმატებლად იქნა გამოყენებული გაბატონებული კლასების აღვირახსნილი დემაგოგიისათვის. ბოლშევიკების ბელადი ვ.ი.ლენინი წერდა, რომ ეს იყო „მასების თვალის ახელვა... მეშჩანების, გლეხების შეშინება სახელმწიფოს დაშლის აჩრდილით.“

„კავკასიის შეკითხვის“ ავტორები, 3 ივნისის მონარქის ზუბრები, პროვოკაციული მიზნით თავს დაესხნენ კავკასიის ადმინისტრაციას: ვორონცოვ-დაშკოვს, კოლუბაკინს, მეფის ნაცვალის კანცელარიის დირექტორს პეტერსონს და სხვებს. მემარჯვენეები ასაბუთებდნენ, რომ კავკასიის ადმინისტრაცია „კრამოლნიკია“, თავის უმოქმედობით ხელს უწყობს რევოლუციურ მოძრაობას, ტერორს, მექრთამეობას, ძარცვას, სეპარატიზმისაკენ სწრაფვას, და ა.შ.მათი აზრით საერთაშორისო ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, კავკასია არ იქნებოდა საიმედო, ამიტომ თხოულობდნენ აქაური ადმინისტრაციის დაუყოვნებლივ შეცვლას.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ შეკითხვის სათათბიროში განხილვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, კავკასიის მეფის ნაცვლის წარმომადგენელმა ბარონმა ნოლდემ შეკითხვის ავტორებს წარუდგინა ახსნა-განმარტებითი ბარათი ამ შეკითხვის გამო, სადაც ფაქტიურად დაიცვა

კავკასიის ადმინისტრაცია ბრალდებისაგან.

ბარონი ნოლდე დანაშაულებების მიზეზად ასახელებდა იმას, რომ კავკასიაში ხალხი იყო ექსპანსირებული („სანგვინჩენ") ველური და მათში კერძო საკუთრების გრძნობა სუსტად იყო განვითარებული. კავკასიასთან შედარებით უფრო მეტი დანაშაულობები რუსეთში ხდებოდა, სეპარატიზმისკენ ლტოლვამ ქართველებსა და სომხებს შორის განვლო, თათრები კი კონსერვატორები იყვნენ, მკვლელობა არ ატარებდა ნაციონალურ ხასიათს, მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა დანაშაულებების აღსაკვეთად. კავკასიაში აუცილებელი იყო ფართო ლიბერალური რეფორმები.

ამან რეაქციონერები არ დააკმაყოფილა და მოითხოვა შეკითხვის სათათბიროში განხილვა.

მემარჯვენეებს განსაკუთრებით აღიზიანებდა კავკასიის ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისადმი ერთგვარ დათმობებზე წასვლის განზრახვა, რომელიც 1905-1907 წლების რევოლუციით იყო ნაკარნახევი.

ვორონცოვ-დაშკოვი კარგად ხედავდა, რომ მხარეში რეპრესიების გაძლიერებით საქმეს არ ეშველებოდა, პირიქით იგი უფრო გაამწვავებდა შექმნილ ვითარებას. ამიტომ იგი შეეცადა აქაური მოსახლეობის გულის მოგებას და დაადგა კავკასიის მოსახლეობის მართვა-გამგეობის ერთგვარი ლიბერალიზაციის გზას. მან საჭიროდ მიიჩნია ადგილობრივი რეფორმების გატარება. კერძოდ ერობის შემოღება, სკოლებსა და სასამართლოებში საქმის მშობლიურ ენაზე წარმოება, ბატონყმური გადმონაშთების მოსპობა და სხვ. რის შესახებ ეცნობა კიდეც მოსახლეობას. ამასთან, შესაძლებლად იყო მიჩნეული ისიც, რომ კავკასიის მართვა-გამგეობისთვის წარმომადგენლობით დაწესებულებად გადაქცეულიყო მეფის ნაცვლის საბჭო, სადაც გარკვეულ მონაწილეობას მიიღებდნენ „ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალებიც". ე.ი. შეფარვით იყო მოცემული მართვის დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი

თვითმმართველობის საჭიროება, მაგრამ ყოველივე ეს ქვეყანაში არეულობის გამო, მაშინ არ განხორციელდა.

კავკასიაში ადგილობრივი რეფორმების საკითხმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის წლებში. მეფის ნაცვალს ისევ სჯეროდა, რომ რეფორმების გატარება, ჯერ ერთი, შეასუსტებდა რევოლუციურ ძალებს, და მეორე, მომხრეებს შესძენდა თავადაზნაურობაში, გაანელებდა მათ ავტონომისტურ მისწრაფებებს. ამიტომ იყო, რომ მეფის ნაცვლის საბჭოში ინტენსიურად მუშაოდნენ ადგილობრივი რეფორმების პროექტებზე, რომლებიც შემდეგ სახელმწიფო სათათბიროში უნდა შეეტანათ განხილვასა და დამტკიცებისათვის.

მართვა-გამგეობის საკითხში მეფის ნაცვალი ძველებურად უჭერდა მხარს ერობის შემოღებას. ამასთან არ იზიარებდა კავკასიის ცალკეულ საგენერალო-საგუბერნატოროებად დაყოფის გეგმას, რომლის განხორციელებას მთავრობა აპირებდა, რადგან ეს მისი აზრით, კიდევ უფრო გაართულებდა ამ მხარის მართვას, მოითხოვდა კავკასია დარჩენილიყო განსაკუთრებულ ერთეულად მეფის ნაცვლით და მასთან არსებული საბჭოთი, რომელიც ამურიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმომადგენლობით საფუძველზე იქნებოდა შედგენილი. ცბიერმა ვორონცოვ-დაშკოვმა კარგად იცოდა, რომ კავკასიაში მეფის ნაცვლის ინსტიტუტის გაუქმება მის ავტორიტეტს შელახავდა და ამიტომ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ხელისუფლების ადგილობრივი სეპარატიზმის გაძლიერებით აშინებდა. „არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს, - ნათქვამი იყო მის მოხსენებით ბარათში, - განაპირა ქვეყნის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფა, - ვინაიდან მხარეში არსებული ავტონომიური მიმდინარეობათა გამო, სახელმწიფო ინტერესს არ უნდა შეადგენდეს დაყოფა ცალკე უჯრედებად განსაკუთრებულ ადგილობრივ კულტურული და ეკონომიური პირობების მიხედვით, რაც ცოტათი თუ ბევრად ხელს უწყობდა

ადგილობრივ ნაციონალიზმს“.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეფის ხელისუფლება და მის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ბიუროკრატია, სულაც არ იყო დაინტერესებული კავკასიაში რეფორმების გატარებით, ებრძოდა ამ იდეას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ე.წ. „კავკასიის შემთხვევაც“.

რეაქციონერი ტიმოშკინი სათათბიროში ცილის წამების კორიანტელს აყენებდა, წარბის შეტოკების გარეშე აღნიშნავდა, რომ სეპარატიზმი ყველაზე ძლიერი სომხეთსა და საქართველოშია. ადგილობრივ ძალებს სურთ რუსეთისაგან გამოყოფა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. რომ კავკასიაში ყველგან და ყველაფერში ავიწროებენ რუსებს, ხელყოფენ მათ სიცოცხლეს, გამეფებულია ტერორი, მოკლეს გენერალი გრიაზნოვი, კარანგოზოვი, ნაკაშიძე, ალიხანოვი და სხვ. მხარეში ბევრია თავისუფალი მიწა, საჭიროა მისი საჩქაროდ დასახლებაო.

ტიმოშკინმა სათათბიროს წარუდგინა 10 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში რუსი მოხელეების დანიშვნას, ადგილობრივი „კარამოლის“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, საველე სასამართლოების შემოღებას, გაფიცულთა სამუშაოდან დათხოვნას, გადასახლების მასშტაბების გაფართოებასა და სხვ.

„კავკასიის შეკითხვის“ თანაავტორი შავრაზმელი პურიშკევიჩი მოუწოდებდა, ბოლოს და ბოლოს გახსნილიყო თვითმპყრობელობის წინ არსებული ფარდა, რომლითაც კავკასიაში იფარებოდნენ თავმოყვარეები და ხელისუფლების მოყვარულები, გათავისუფლებულიყო კავკასია ეორონცოვ-დაშკოვის უღლისაგან.

ქართველების ავტონომისტურ მისწრაფებაზე სათათბიროში განსაკუთრებით ზიზღით ლაპარაკობდა მარკოვ II, რომელიც თავის დროზე სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის რადიკალური

მოღვაწეობით თავს შერცხვენილად თვლიდა. იგი ამ საქმეში ხელშემწყობად დემაგოგიურად თვით მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს ასახელებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი თავის ახსნა-განმარტებაში ამტკიცებდა, რომ „საქართველოს ავტონომიური მოწყობის და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის იდეები სარგებლობდნენ დროებით წარმატებით“ და „ქართველებს შორის აზრს რუსეთისაგან გამოყოფის შესახებ არასოდეს ჰქონია ფართო გავრცელება და სერიოზული მნიშვნელობა“, მარკოვ II მაინც არ ცხრებოდა. უფრო მეტიც, მან დაიწყო იმის „მტკიცება“, რომ ქართველებს რუსეთისგან ჩამოშორებით საქართველოს იმპერიის შექმნა სურდათ. ცოფები გადმოყარა მარგანეცის მრეწველთა საზოგადოების ყრილობის და მისი თავმჯდომარის გ. ზდანევიჩის მიერ ქართული სკოლების გახსნისათვის ფულადი სახსრების გამოყოფის გამო. მუშტმოღერებულმა სათათბიროს ტრიბუნიდან განაცხადა: „ყველა წერილმა ტომებმა, რუსულ სკოლებში უნდა ისწავლონ, ისინი უნდა წარემართოთ რუსეთის სახელმწიფოსთან შერწყმის და არა საკუთარი ადგილობრივი ავტონომიების შექმნის გზით.“

ამის საწინააღმდეგოდ, სხვები მხარს უჭერდნენ მეფისნაცვალს და მოითხოვდნენ მაღლა სჭეროდა კავკასიაში რუსეთის სახელმწიფო დროშა, რომლის წინაშე ადგილობრივებს ყოველთვის უნდა მოეხარათ ქედი, თუ არადა აღგვილიყვნენ მიწისაგან პირისა. ცხადია, რომ მემარჯვენეების ამ შოვინისტურ პროპაგანდაში, ბევრი იყო დემაგოგია.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ბოლშევიკების ლიდერი ლენინი შენიშნავდა, რომ „... სრულიად რუსულ პოლიტიკაში ბატონობდნენ პურიშკევიჩები და კოკოშკინები. მათი იდეები მეფობენ, ისინი ქადაგებენ და წარმართავენ უცხოტომელთა დევნას „სეპარატიზმისათვის“, გამოყოფის აზრისათვის სათათბიროში, სკოლებში, ეკლესიებში, ყაზარმებში ასსა და ათას გაზეთში. აი, ნაციონალიზმის ეს, ველიკო-

რუსული შხამი, წამლავს მთელი რუსეთის პოლიტიკურ ატმოსფეროს. ეს უბედურებაა ხალხისა, რომელიც სხვა ხალხებს იმონებს და რეაქციას განამტკიცებს მთელს რუსეთში.

თვითმპყრობელობის ამ მორიგი ფარსის წინააღმდეგ გამოვიდნენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატი და სხვა კავკასიელი დეპუტატები. კ. ჩხეიძემ უამრავ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გამოააშკარავა „შეკითხვის“ ავტორთა ნამდვილი ჩანაფიქრი. რომელთაც კავკასიაში რუსული მმართველობისათვის საფრთხის შექმნის მომიზეზებით სურდათ გაეძლიერებინათ შავრაზმული პოლიტიკა მთელს იმპერიაში. კავკასიის მეფის ნაცვალისადმი უნდობლობის გამოცხადება ეს ნიღაბი, ხოლო სეპარატიზმი გამოგონილი იყო. მან უჩვენა, რომ ერების ბრძოლა უფლებების, ჩაგერის და თვითნებობის წინააღმდეგ სეპარატიზმი არ იყო. ამასთან, არც მკვიდრი მოსახლეობის, ეროვნულ ინტერესებზე ლაპარაკი იყო ნაციონალიზმი. რომ, კავკასიის მოსახლეობა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ყოველთვის ემხრობოდა რუს ხალხთან კავშირს. „თქვენ ვერ გვასწავლით რუსი ხალხის სიყვარულს, - განაცხადა კ. ჩხეიძემ, სათათბიროში, - რომელმაც მოგვცა ჩერნიშევსკი, ბელინსკი, გერცენი, პუშკინი, ტურგენევი..., მე ვამაყობ, რომ ვარ არა მარტო ებრაელ მარქსის და ლასალის მოწაფე, არამედ რუსი პლეხანოვისაც“.

კ. ჩხეიძემ მკაცრად გაილაშქრა მარკოვ II წინააღმდეგ. ხაზი გაუსვა, იმას რომ ყველა ხალხს და მათ შორის ქართველ ერსაც, ჰქონდა თავისუფლებისა და უკეთესი მომავალისათვის ბრძოლის უფლება.

როცა ტიმოშკინმა აღნიშნა, რომ რუსეთს კავკასიის შენახვა ყოველწლიურად 29 000 000 მანეთი უჯდებოდა, იქ კი მადლობის მაგიერ რუსების წინააღმდეგ ტერორს მიმართავენო. კ. ჩხეიძემ სათანადო ციფრობრივი მონაცემებით დაამტკიცა, რომ საქართველო და კავკასია კიარ ცხოვრობდა რუსეთის ხარკზე, არამედ პირიქით, რუსეთი ყვლეფდა უმოწყალოდ ამ მხარეს და

ამიტომ ებრძოდა ასე თავგამოდებით ერების თავისუფლების ყოველგვარ იდეას. ამასთან მიუთითებდა, რომ სწორედ რუსის ჯარი მიმართავდა ტერორს, წვავდა ქართულ სოფლებს, ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს.

ქართველმა დეპუტატმა საკადრისი პასუხი გასცა პურიშკევიჩის გამოხდომასაც, რომელმაც სათათბიროს ქართველი ხალხი კულტურის და სარწმუნოების არ მქონე „ინოროდცებად" გააცნო. მიმართა რა სათათბიროს კ. ჩხეიძემ, თავის გამოსვლაში აღნიშნა: „დეპუტატი პურიშკევიჩი გარწმუნებდათ,რომ ქართველები „ინოროდცები" არიან, ის ქართველები, რომლებმაც მართლმადიდებლობა მიიღეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა კეთილშობილი დეპუტატის წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენო."

კ. ჩხეიძემ თავის გამოსვლებში დაასაბუთა, რომ კავკასიელი ხალხების „უწესრიგობების" მიზეზი მთავრობის კოლონიური პოლიტიკა იყო. ამის საილუსტრაციოდ მან სათათბიროს გააცნო კავკასიაში გლეხთა ცხოვრების, სასკოლო სისტემის სასამართლოს, ეკლესიის მშობლიური ენის სავალალო მდგომარეობა და ადმინისტრაციის ანტიხალხური მოქმედება.

ქართველმა დეპუტატმა სათათბიროს უჩვენა, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ არსებობდა ბატონყმური გადმონაშთები დროებით ვალდებულ და ხიზან გლეხთა სახით, რომლებიც იხდიდნენ მძიმე გადასახადებს. მთავრობა ართმევდა მიწებს ადგილობრივ მკვიდრთ, უპირველეს ყოვლისა მუსულმანებს და ურიგებდა მისთვის სასურველ პირებს - ბეგებს, ხანებს და მელიქებს. ასე მყარდებოდა მუსულმანურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არსებული უთანასწორობა და ბატონობა. თვითმპყრობელობამ ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში მოახდინა მიწის დიდი ფართობის ექსპროპრიაცია, დაასახლა იგი ბერძნებით, ჩეხებით და სხვებით. ადგილობრივი აფხაზები კი თურქეთში გარეკა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერმა სათათბიროს დაანახვა, რომ კავკასიაში უვარგისი იყო სასკოლო სისტემა. იგი სიყვა- რულის მაგიერ თესდა სიძულვილს, იდევნებოდა

დედა ენა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ილახებოდა ახალგაზრდობის ეროვნული თავმოყვარეობა, მოსახლეობის დიდი ხნის მოთხოვნის მიუხედავად მთავრობა კავკასიაში არ ხსნიდა უმაღლეს სასწავლებელს.

კ. ჩხეიძე მიუთითებდა, რომ სასამართლო კავკასიაში ემსახურებოდა შავრაზმული პოლიტიკის გატარებას, საქმის წარმოება მიმდინარეობდა ხალხისათვის გაუგებარ ენაზე, რაც დიდი სიბოროტე იყო. თარჯიმნებმა არ იცოდნენ არა თუ ადგილობრივი, არამედ რუსული ენაც კი.

ადმინისტრაცია შედგებოდა მექრთამეებისა და პროვოკატორებისგან, პოლიცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩადიოდა უკანონობას, აწიოკებდა ხალხს. კავკასიაში ფაქტიურად შექმნილი იყო, მეორე არალეგარული მთავრობა „რუს პატრიოტთა საზოგადოების“ სახით, რომლის ბრძანებებს ემორჩილებოდა თვითონ ადმინისტრაცია. „პატრიოტები“ ეწოდნენ მოსახლეობის ჩხრეკას, პროვოკაციას, მკვლელობებს და სხვ. ყოველივე ეს იყო მხარეში რევოლუციური მოძრაობის მიზეზი და არა სეპარატიზმისკენ სწრაფვა.

სათათბიროში კ. ჩხეიძის მიერ წამოყენებული იქნა შემდეგი მოთხოვნები:

1. გაუქმდეს კავკასიაში საგანგებო წესები; 2. მიენიჭოს ხალხს პოლიტიკური უფლებები; 3. მოისპოს ბატონყმური გადმონაშთები; 4. შეწყდეს გადასახლების პოლიტიკა; 5. შემოღებული იქნას ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; 6. განვითარდეს ეროვნული კულტურა და ენა.

კ. ჩხეიძის თანამებრძოლი ე. გეგეჭკორი სათათბიროს ტრიბუნიდან მკაცრად გმობდა ადმინისტრაციისა და დამსჯელი რაზმების მიერ 1905 წელს ჩადენილ დანაშაულებებს თბილისსა და დასავლეთ საქართველოში, სადაც კარატიელთა მეთოდებით და თავისი სისასტიკით გამოირჩეოდნენ რაზმების ხელმძღვანელები კრილოვი, ტოლმაჩოვი, ერმოლაევი და სხვები. მოითხოვდა მოსახლეობის დარბევის, პრესის დევნის და გადა-

სახლების შეწყვეტას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ახასიათებდა, რა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში მთავრობის უუნარობას პ. შერვაშიძე აღნიშნავდა, რომ „რუსეთის იმპერიასთან კავკასიის შეერთების მთელი ასი წლის განმავლობაში, ადგილობრივმა მოსახლეობამ არა თუ ვერ შეძლო თავისი ცხოვრების განახლება, არამედ იმპერიის სხვა მოსახლეობასთან შედარებით ელემენტარული თანასწორუფლებიანობის მოპოვებაც კი. ქართველებს მთავრობის პოლიტიკამ დაუკარგა რწმენა“.

„კავკასიის შეკითხვის“ განხილვის ბოლო სხდომაზე ქართველმა დეპუტატებმა წამოაყენეს კონტრშეკითხვები, რომლებიც ეხებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ უფლებებს, გლეხთა დროებით ვალდებულებებს, რეფორმებს, რეპრესიებს და სხვ.

აზერბაიჯანელი დეპუტატი ხას მამედოვი ამხელდა ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას კავკასიაში, ცხადყოფდა, რომ მთავრობა ხელოვნურად აღვივებდა ერებს შორის შუღლს, აწყობდა თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას, მიუთითებდა მუსულმანური მოსახლეობის იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომელიც არსებობდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მართლმსაჯულების და სხვა სფეროში. მას ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა პროგრესული რეფორმების გატარება“.

მთელი რიგი ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე სათათბიროში გაიდაროვმა ცხადყო ჩრდილოეთ კავკასიის უნუგეშო მდგომარეობა რუსეთის მიერ მისი დაპყრობის დღიდან არსებულ მომენტამდე. გამოააააშკარავა ცარიზმის პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა შეექმნა კავკასიაში თავისი დასაყრდენი პრივილეგირებული წოდება. ამ მიზნით ხელისუფლება ბეგებსა და ხანებს ურიგებდა გლეხების მიწებს. დაღესტნელი დეპუტატი უჩიოდა მხარეში შემორჩენილ ბატონყმურ გადმონაშთებს, მათ შორის რიატის არსებობას, უმიწობას, მძიმე გადასახადებს,

კაზაკთა მიერ მთიელთა შევიწროებას. მოითხოვდა მუსულმანური ეკლესიისათვის წართმეული მიწების-ვაკუფის უკან დაბრუნებას.

გაიდაროვი აღნიშნავდა, რომ მართვის ბიუროკრატიულ-ძალადობრივი სტილის და მოხელეთა თვითნებობის წყალობით ადგილობრივი მოსახლეობა დევნილი, ეკონომიკურად და იურიდიულად დეზორგანიზებული იყო. იგი ნადგურდებოდა, ეელურობდა და ბოროტდებოდა, ხშირად აელენდა უკმაყოფილებას პირდაპირი ამბოხებით სისხლიან ფორმებში, როგორც ეს მოხდა ჩეჩნებში 1877 წელს.

ყუბანის ოლქის წარმომადგენლებმა კ. ბარდიჯმა თავის გამოსელებით უჩვენა, რომ კავკასიაში არეულობის მიზეზი ხალხის ეკონომიკური გაჭირვება იყო, რაშიც ბრალი მთავრობას და მართვის სისტემას მიუძღოდა. თავის ერთ-ერთი გამოსელისას კ. ბარდიჯმა მთავრობის მისამართით განაცხადა: „სანამ თქვენ ამ სისტემას არ შეცვლით საკანონადებლო ნორმებით, რომლებიც მოსახლეობას მისცემს თავისუფალი სუნთქვის, შრომის და განვითარების საშუალებას, მანამდე ვერ მოსპობთ არეულობას, რომლის წინაშე ყველა კეთილსინდისიერი ადამიანიუნდა გაწითლდეს“.

თავის საბოლოო სიტყვაში მეფის ნაცვლის მოადგილემ, სენატორმა მიცკევიჩმა უარყო სოციალ-დემოკრატების მიერ კავკასიის ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და მემარჯვენეთა მიერ წამოყენებული ბრალდებები, რითაც გაამართლა ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის პოლიტიკა კავკასიაში „კავკასიის შეკითხვის“ გარშემო კამათის დასრულების შემდეგ, სათათბირომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება (დადგენილება), რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კავკასიაში სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის საჭირო იყო შემდეგი პირობების დაცვა:

1. კავკასიის მართვისათვის ნორმალური წესების შემუშავება, ყველა იმ დებულების გაუქმება, რომლებსაც

ადმინისტრაციის ხელისუფლებაში შეაქვთ არეულობა და გაუგებრობა, მისი რეორგანიზაცია ადგილობრივი ხალხის ფართო მონაწილეობით. პოლიციის ორგანოებისათვის მისი პირდაპირი ფუნქციის დაბრუნება; მშვიდობიანი მოსახლეობის უშიშროების და ქონების დაცვა.

2. უარის თქმა არარსებული სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ეკლესიის, სკოლის, სასამართლოს და მმართველობის ძალით გარუსების, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-ნაციონალური და რელიგიური მოთხოვნების აღიარება - დაკმაყოფილება.

3. მხარეში შემორჩენილი ბატონყმური გადმონაშთების სრული გაუქმება და საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგება მშრომელი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

4. კავკასიაში საერობო დაწესებულების სასწრაფოდ შემოღება და იმპერიაში არსებული საერთო სასამართლო წესების გავრცელება.

ამით სახელმწიფო სათათბირომ უარყო შეკითხვა კავკასიის შესახებ.

კავკასიელი დეპუტატების ერთსულოვნებამ და ენერგიულად გამოსვლებმა სათათბიროში კავკასიის შეკითხვასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა კი ქართველი სოციალ-დემოკრატების მედგარმა ბრძოლამ, აიძულა მემარჯვენეები საბოლოოდ უკან წაეღოთ თავიანთი ბრალდებები.

„კავკასიის შეკითხვა“, რომელიც თავს მოახვიეს მემარჯვენეებმა სათათბიროს, უნდა განვიხილოთ, როგორც სამეფო კარისა და შავრაზმული ელემენტების მხრიდან კავკასიის ხალხების წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური მიდგომის მცდელობა, მაგრამ ლაშქრობა ჩაიფუშა, რამდენადაც სათათბიროს ტრიბუნიდან დემოკრატიის წარმომადგენლები სისტემატურად ამხელდნენ ცრუ დემაგოგიას და ცარიზმის მძარცველურ პოლიტიკას კავკასიაში.

ამ გახმაურებულ „შეკითხვასთან“ დაკავშირებით კავკასიის

ადმინისტრაციაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. 1908 წელს თერგის ოლქში გენერალი კოლუბაკინი შეცვალეს გენერალი მიხეევით, აქ დანიშნეს ახალი ეპისკოპოსიც. ეს ღონისძიებები წარმოადგენდა ერთგვარ დათმობებს მემარჯვენეებისადმი, რომლებიც მესამე სახელმწიფო სათათბიროში აკრიტიკებდნენ კავკასიის ადმინისტრაციას და მოითხოვდნენ ზოგიერთი გენერლის გადაყენებას.

ქართველმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა სათათბიროში უშუალოდ თვითონაც შეიტანეს რამდენიმე შეკითხვა. ერთ-ერთი მათგანი იყო შორაპნის მაზრაში გლეხების წინააღმდეგ ჯარის გამოყენების შესახებ. ეს შეკითხვა სათათბიროში ე.გეგეჭკორმა შეიტანა შორაპნელი გლეხების წერილის საფუძველზე, რომლებიც დეპუტატს ატყობინებდნენ თავად ამილახვრის მიერ მიწების უკანონოდ გაყიდვას. გლეხები იმასაც წერდნენ, რომ ამილახვარმა ნარჩენი ვალის ასაკრებად გამოიყენა ჯარი, რასაც მოჰყვა მოსახლეობის დარბევა. ე.გეგეჭკორი ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავრობისგან ითხოვდა ახსნა-განმარტებას. ეს შეკითხვა სათათბირომ ერთხმად მიიღო საჩქარო წესით, თუმცა მთავრობას ამაზე მაინცდა მაინც არ უჩქარია და თავის განმარტებაში მომხდარ ფაქტში თვითონ გლეხები დაადანაშაულა.

ამრიგად, 1907 წლის 3 ივნისის რეაქციული საარჩევნო კანონის მიღებით მთავრობამ გაიმარჯვა, შექმნა მორჩილი სათათბირო, სადაც ხელმძღვანელი როლი ოქტიაბრისტებს და მემარჯვენეებს ეკუთვნოდათ. ოპოზიცია შესუსტდა. სათათბირო აღარ მოითხოვდა რუსეთის განახლებას, 17 ოქტომბრის მანიფესტის დაპირების აღსრულებას, ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. იგი ბრმად მიყვებოდა მთავრობას, ღებულობდა აშკარა რეაქციულ და მრავალრიცხოვან წერილ კანონ-პროექტებს, რომლებიც „საკანონმდებლო ვერმიშელის“ სახელწოდებას იღებდნენ.

სათათბირომ ასევე არაფერი გააკეთა პოლიტიკურ-ადმი-

ნისტრაციულ გარდაქმნაში, რაც საჭირო იყო ცარიზმის ბურჟუაზიულ-მონარქის რელსებზე გადასვლისათვის. ეს ნიშნავდა იმას, რომ სათათბირო უუნარო აღმოჩნდა. თვითმპყრობელობამ გადადო თავის სიკვდილი, მოასწრო შეექმნა ასეთი სათათბირო, მაგრამ იგი ამით კი არ მაგრდებოდა, არამედ ამისგან იშლებოდა.

მესამე სახელმწიფო სათათბირო განიცდიდა კრიზისს. ამას ხელს უწყობდა დეპუტატების პოზიცია, პირველ რიგში სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა, სადაც წამყვან როლს ქართველი ხალხის წარმომადგენლები ასრულებდნენ. სოციალ-დემოკრატების შეუპოვარმა ბრძოლამ სათათბიროში აიძულა მთავრობა გაეუქმებინა დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი და უფრო ფრთხილი პოლიტიკა გაეტარებინა კავკასიაში.

თავი V. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო და საქართველო

§1. წინასაარჩევნო კამპანია და არჩევნები საქართველოში

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს კვლავ ძალაში იყო 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონი. ამ მხრივ არც კავკასიის მიმართ შეცვლილა მდგომარეობა. ამომრჩეველები ძველებურად იყოფოდნენ გლეხთა, მემამულეთა, ქალაქელთა, მუშათა და ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობის კურიებად.

1912 წლის ივნისის დასაწყისში გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, რომელიც იტყობინებოდა ვადის გასვლის გამო, მესამე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას. ახალი სათათბიროს არჩევნები უნდა დაწყებულიყო 1912 წლის 10 სექტემბრიდან, ხოლო მუშაობა - იმავე წლის 15 ნოემბერს.

ეს ბრძანება, ცხადია, კავკასიასაც ეხებოდა. აქ უკვე აგვისტოდან დაიწყო წინასაარჩევნო მზადება. გუბერნიებსა და მაზრებში იქმნებოდა საარჩევნო კომისიები, დგებოდა ამომრჩეველთა სიები და ა.შ. ამასთან, ადმინისტრაცია ტრადიციულად ყოველნაირად ცდილობდა, რომ საარჩევნო კომისიებში მეფის ერთგული მოხელეები მოხვედრილიყვნენ, რათა მათი დახმარებით არჩევნებში მისთვის სასურველი პირები შეეყვანათ.

თბილისის გუბერნატორის განკარგულებით თბილისის გუბერნიაში სოფლის რწმუნებულთა არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 16 სექტემბერს, წვრილი მემამულეების კრებები 20 სექტემბერს, მსხვილი მემამულეების კრებები - 30 სექტემბერს, მუშათა რწმუნებულების კრებები - 30 სექტემბერს. საქალაქო არჩევნები გუბერნიაში ყველგან ოქტომბერში უნდა გამართულიყო.

რუსთა კურიაში სოფლის რწმუნებულთა არჩევნები ახალქალაქის, ბორჩალოს, გორის, სიღნაღის და თბილისის

მაზრებში უნდა შემდგარიყო 16 სექტემბერს, ხოლო არმომრჩეველთა ასარჩევი კრებები - 22 სექტემბერს.

უნდა ითქვას, რომ არჩევნებისადმი მოსახლეობა კავკასიაში ნაკლებ ინტერესს იჩენდა, წინა არჩევნებზე გულგატეხილი მასა აქტიურ საარჩევნო ბრძოლას გაურბოდა. სამაგიეროდ, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბრძოლები იყო მწვავე.

ძირითადად ძრბოლები სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და კადეტებს შორის მიმდინარეობდა. თითოეული მათგანი ცდილობდა ამომრჩეველებად და დეპუტატებად თავისი კანდიდატის გაყვანას. ყველაზე დიდი აქტიურობით მაინც სოციალ-დემოკრატები გამოირჩეოდნენ. ისინი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ავრცელებდნენ მოწოდებებს და პროკლამაციებს, მიმართავდნენ მოწინააღმდეგის შანტაჟს, იყენებდნენ სხვადასხვა მიუღებელ ხერხს, მოუხმობდნენ ამომრჩეველებს ხმა მიეცათ ამ პარტიის კანდიდატებისათვის, რადგან მათი რწმენით, მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იყო მშრომელთა ინტერესების ერთადერთი გამომხატველი, სხვა კი არა. ამ პოლიტიკურ პარტიას პოლიციასთან შეტაკების შემთხვევისათვის საკუთარი შეიარაღებული რაზმებიც კი ჰყავდა.

1912 წლის პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებით ბოლშევიკები გამოეყვნენ მენშევიკებს, რითაც დამთავრდა მათი ფორმალური ერთიანობა. კონფერენციამ განსაზღვრა აგრეთვე სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხიც. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ მათ საქართველოში მენვიკებთან შედარებით ნაკლები გავლენა ჰქონდათ. ამიტომ საარჩევნო კამპანიაში მენშევიკებთან ერთად გამოდიოდნენ. ბოლშევიკები კი სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ მუშებში, თუმცა მაინც ვერ მოახერხეს სათათბიროს დეპუტატად თავისი კანდიდატის დასახელება.

თბილისში ფართო სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ კადეტებიც, მაგრამ სოციალ-დემოკრატების მუშაობასთან

ქედარებით, იგი ერთობ სუსტი იყო. ამიტომ აქაური კადეტების მხარდასაჭერად სხვადასხვა დროს ჩამოსულნი იყვნენ რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები: შინაგრევი, როდიჩევი, მილიუკოვი. ისინი კითხულობდნენ ლექციებს საარჩევნო ტაქტიკის საკითხებზე. ამის გარდა, მილიუკოვმა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბაქოში ჩაატარა თათბირი, სადაც თავის თანამოაზრეებს მისცა რჩევა-დარიგებანი, თუ როგორ წარემართათ საარჩევნო კამპანია. თბილისის თათბირზე გადაწყდა, რომ მესამე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი კ.ჩხეიძე მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეეცვალათ კადეტი ა.ხატისოვით, რომლის კანდიდატურას მეფის ნაცვალი უჭერდა მხარს. საქმე იმაში იყო, რომ მესამე სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად კ.ჩხეიძის არჩევა თბილისელი კადეტების მხარდაჭერით მოხდა და ეხლა ეს უკანასკნელნი საკუთარი დეპუტატის არჩევას აპირებდნენ. აქეთკენ მათ ეროვნული ინტერესებიც უბიძგებდათ. ამის გამო თბილისში არჩევნებს ეროვნული ელფერი ჰქონდა, რაც ქართველებისა და სომხების დაპირისპირებაში გამოიხატებოდა.

ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობა დეპუტატად თბილისის ქალაქის გამგეობის წევრს გ.ჟურულის კანდიდატურას აყენებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ იგი დეპუტატი გახდებოდა, ყოველწლიურად მისთვის ჯამაგირის სახით მიეცა 6.000 მანეთი, რაც პარლამენტში ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლობისათვის იყო გათვალისწინებული. გ.ჟურულის კანდიდატურას პეტერბურგის უმაღლეს წრეებშიც თანაუგრძნობდნენ.

გ.ჟურულის არჩევით დაინტერესებული იყო მეფის ნაცვალიც. საიდუმლო პოლიციის მოხელეები აუწყებდნენ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ გ.ჟურულის კანდიდატურა მტკიცეა, მას ერთობლივად უჭერენ მხარს და თუ ყველა მოვა არჩევნებზე, გ.ჟურული გაიმარჯვებსო. მის გამარჯვებას ხელს უწყობს სომხებისადმი

მისი დამოკიდებულებაც, რომლებიც გ.ჟურულს თვლიან საკმაოდ ზომიერად ეროვნულ ურთიერთობაში. მას მხარს უჭერენ კონსერვატიულ წრეებშიც ნ.თუმანიშვილის მეთაურობით. ლიბერალური წრეებიდან უფრო მეტი მხარდაჭერისათვის და გ.ჟურულის დეპუტატად არჩევისათვის საჭიროა პეტერბურგიდან გ.თუმანიშვილის ჩამოსელა და არჩევნებში მისი მონაწილეობის მიღებაო.

გ ჟურულის კანდიდატურას დაწერილებით იხილავდნენ, მაგრამ მისი არჩევის საქმეში ერთგვარი დისონანსი შეიტანა ზ.ავალიშვილმა. თავადაზნაურთა ერთ-ერთ თათბირზე მან მათ გ.ჟურულის მაგიერ შესთავაზათ ლ.ანდრონიკაშვილის კანდიდატურა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილე სამოქალაქო ნაწილში, სენატორი ვატაცი პეტერბურგში მყოფ ეორონცოვ-დაშკოვს აცნობებდა, რომ მომავალი სათათბიროსათვის საჭირო იყო ისეთი დეპუტატის არჩევა კავკასიიდან, რომელიც შეძლებდა საკანონმდებლო დაწესებულებაში კავკასიაზე დადებითი შეხედულების შექნას, ანგარიშს გაუწევდა რუსულ საზოგადოებრივ აზრს და პეტერბურგის მმართველ წრეებსაც გაუფანტავდა უნდობლობის ეჭვებს. ასეთად მას მიაჩნდა გ.ჟურული, რომელსაც იცნობდა ჯერ კიდევ ბათუმში მოღვაწეობის დროიდან.

ამასთან, ვატაცი დასძენდა, რომ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა თბილისელ სომხებს ხმა მიეცათ სწორედ გ.ჟურულისათვის და არა კალანტარისათვის, ხაზს უსვამდა იმას, რომ წარმატების იმედი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში გ.ჟურულის სახელმწიფო სათათბიროს დუპუტატობის კანდიდატად დასახელების საქმეში მაინც.

1912 წლის 24 მაისს გაიმართა თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დუპუტატთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი გ.ბაგრატიონ-დავითაშვილი. განიხილეს მომავალი მეოთხე სახელმიწიფო სათათბიროს

არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. გადაწყდა, რომ, ვინაიდან საარჩევნო კანონი შესამჩნევ უპირატესობას აძლევდა თავადაზნაურობას არჩევნებში გამარჯვებისათვის, ემუშავათ აქტიურად, რათა დეპუტატად გაეყვანათ გ.ჟურული, რომლის კანდიდატურა მისაღები იყო, როგორც ადგილობრივი, ასევე უმაღლესი სფეროებისათვისაც.

გ.ჟურულის კანდიდატურას ფედერალისტების ზომიერი ფრთაც უჭერდა მხარს. რაც შეეხება აღნიშნული პარტიის მემარცხენე ფრთას, მათ ყურადღება ლ.ანდრონიკაშვილზე შეაჩერეს, თუმცა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მათ შეკითხვაზე - დეპუტატად არჩევის შემთხვევაში წამოაყენებდა თუ არა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხს - ორჭოფულად უპასუხა და ნაადრევად მიიჩნია. ამის გამო, ფედერალისტების ამ ჯგუფმა გადაწყვიტა დეპუტატად აერჩია თბილისის სათავადაზ- ნაურო გიმნაზიის დირექტორი - მდივანი, მაგრამ იგი არჩევნების წინა ეტაპზე დამარცხდა და ლ.ანდრონიკაშვილის კანდიდატურა ისევ ძალაში დარჩა.

გ.ჟურულის კანდიდატურას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფის ნაცვალიც უჭერდა მხარს. მისმა დადებითმა დამოკიდებულებამ გ.ჟურულისადმი პრესაში გაჟონა. ამის გამო გ.ჟურულმა გადაწყვიტა უარი ეთქვა თავის კანდიდატურაზე, რადგან სინამდვილეში მას კავშირი ჰქონდა ფედერალისტებთან და მეფის ნაცვალთან სიახლოვე ღალატის ტოლფასი იქნებოდა.

1912 წლის 20 ოქტომბერს თბილისში, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, გაიმართა თბილისის გუბერნიის ამომრჩეველთა ყრილობა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად, რომელსაც 44 ამომრჩეველი ესწრებოდა. ძირითადი ბრძოლა სოცოალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის გაჩაღდა. სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ კანდიდატად კ.ჩხეიძე დაასახელეს, ხოლო ლიბერალებმა - ლ.ანდრონიკაშვილი. ამით მთლიანად განმეორდა წინა არჩევნების მაგალითი, ისინი მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

მიუხედავად პიროვნული ავტორიტეტისა, მწვავე ორთაბრძოლაში ლ.ანდრონიკაშვილი დამარცხდა, გაიმარჯვა კ.ჩხეიძემ, რომელიც მეორედ გახდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. მის არჩევაში გადამწყვეტი როლი ისევ თბილისელმა სომხებმა ითამაშეს. როცა დაინახეს, რომ დეპუტატობის საკუთარ კანდიდატს ვერ გაიყვანდნენ, საქართველოს ავტონომიის შიშით, ქართველ კადეტებს მათ ამჯერადაც სოციალ-დემოკრატები ამჯობინეს. ლ.ანდრონიკაშვილს ხმა მისცა 21 ამომრჩეველმა, წინააღმდეგ 23-მა, ხოლო კ.ჩხეიძეს 26 ამომრჩეველმა, წინააღმდეგ 18-მ. ამ 26 ამომრჩეველში 15 სომეხი იყო, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა არჩევნების დასასრულს შეძლეს იმის დადგენა, რომ სოციალ-დემოკრატებს გარიგება ჰქონდათ მსხვილ სომეხ ბურჟუაზიასთან. ამის გამო საქმე გადაეცა გამოძიებას, დაკითხეს სომეხთა ლიდერი ა.ხატისოვი. დიდი ამბავი ატყდა პრესაშიც, მაგრამ საბოლოოდ საქმე მიაჩუმეს.

ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა არჩევნები ქუთაისის გუბერნიაში. აქ წვრილი და მსხვილ მემამულეთა, აგრეთვე საქალაქო საარჩევნო კრებები წესის დარღვევის გამო, ხშირად განმეორებით ტარდებოდა. საარჩევნო ასპარეზზე ძირითადად სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები და კადეტები იბრძოდნენ, მაგრამ უმთავრესი ბრძოლა მაინც პირველ ორ პარტიას შორის მიმდინარეობდა.

უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები ამომრჩევლებად და დეპუტატობის კანდიდატებად არც თუ იშვიათად ასახელებდნენ ცნობილ ქართველ განმანათლებლებს და საზოგადო მოღვაწეებს, რომელბიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ. რაში იყო საქმე?

ცნობილია, რომ ქართველი განმანათლებელ - დემოკრატები (ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი) ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი ცარიზმის წინააღმდეგ, იდგნენ „საერთო ნიადაგის“ თეორიის პრინციპებზე. ეს

რევოლუციურ შინაარსს შეიცავდა. ისინი 1905-1907 წლების რევოლუციას უკავშირებდნენ საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებას.

ქართველი მენშევიკების (ნ.ჟორდანია, ირ.წერეთელი და სხვები), ბოლშევიკების (მ.ტოროშელიძე, ფ.მახარაძე და სხვ.) და ფედერალისტების (ა.ჯორჯაძე, ვ.წერეთელი და სხვა.) ერთი ნაწილი არ ეთანხმბოდა განმანათლებელ ეროვნული დემოკრატების პროგრამას, რეაქციონერებად აცხადებდნენ მათ. მეორე ნაწილი, ბოლშევიკები (ა.წულუკიძე, ი.სტალინი და სხვები), ფედერალისტები (კ.აბაშიძე, ს.ხუნდაძე, კ.გოგელია, გ.ქიქოძე და სხვ.) შეიძლება არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ სიმპატიურად უყურებდნენ დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველ განმანათლებლებს, როგორც მოკავშირეებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

თავის მხრივ, განმანათლებლებიც ამის შესაბამისად აფასებდნენ სოციალ-დემოკრატთა და ფედერალისტების ლიდერების როლს. ი.ჭავჭავაძე ნ.ჟორდანიას და ფ.მახარაძეს ეკამათებოდა, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ქართველ დეპუტატებთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა.

აკაკი წერეთელს სოციალ,დემოკრატების „ზოგი რამ“ არ მოსწონდა, მაგრამ მის ბრძოლას დიდად აფასებდა. ფედერალისტების გაზეთ „ცნობის ფურცელს“ ცოდვის ფურცელს, ხოლო მის პუბლიცისტებს „საპნის ბუშტებს“ უწოდებდა, თუმცაღა საერთოდ, მის თაობასა და ახალ თაობას შორის მემკვიდრეობით კავშირს მთესველისა და მომკელის ურთიერთობას ადარებდა და ეროვნული თავისუფლების დროშით ახალგაზრდობის ბრძოლა არასოდეს დაუგმია. ასეთი პოზიცია შეიმჩნეოდა ნ.ნიკოლაძის, ი.გოგებაშვილის და ე.ფშაველას მოღვაწეობაშიც.

მიუხედავად სხვა პარტიების დიდი მცდელობისა, პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობის ძირითადი მასები სოციალ-

დემოკრატიას მიყვებოდნენ ეროვნულ საკითხშიც. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ პროლეტარიატი და გლეხობა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს წმინდა ეროვნულ მოთხოვნებს კი არ აყენებდა, არამედ საერთო-დემოკრატიულ პროგრამას, რომელშიც უპირველესი და უმთავრესი ადგილი ეჭირა სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნებს, ხოლო ეროვნული ხასიათის მოთხოვნილებანი მათთან ერთად იყო წამოყენებული.

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ფედერალისტები განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდნენ ქუთაისში. მათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გამოყენება სურდათ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნისათვის. ამიტომ ეძებდნენ დეპუტატების შესაფერის კანდიდატს. ა.ჯორჯაძეს ასეთ კანდიდატად კ.აბაშიძე ესახებოდა და ენერგიულად ეწეოდა მისი არჩევის პროპაგანდას, კ.აბაშიძეს თვლიდნენ ეროვნული მიმართულების მოღვაწედ. კ.აბაშიძის არჩევა დასაწყისი იქნებაო „ახალი ეტაპისა ეროვნული მოძრაობის განვითარების საქმეში". სამწუხაროდ კ.აბაშიძე და ფედერალისტების სხვა კანდიდატები გრ.გველესიანი და დ.ხელთუფლიშვილი ადმინისტრაციის მიერ არჩევნების შედეგების გაბათილების გამო, ამომრჩეველთა არჩევნებში დამარცხდნენ. მათ ნაცვლად ამომრჩეველებად არჩეულნი იქნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები: ლ.ნათაძე, მ.მგალობლიშვილი და ს.მიქაძე.

ქუთაისში დამარცხების შემდეგ სოციალ-ფედერალისტებმა მთელი ყურადღება გუბერნიაში მიმდინარე არჩევნებზე გადაიტანეს. ყველანაირად ცდილობდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად მეორე კანდიდატის ვ.გელოვანის გაყვანას. სოციალ-დემოკრატები მესამე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ წევრს ე.გეგეჭკორს უჭერდნენ მხარს, ხოლო კადეტები - თავად ელ.მიქელაძეს.

1912 წლის 18 ოქტომბერს ქათაისში ჩატარდა გუბერნიის ამომრჩეველთა კრება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად. იგი მიმდინარეობდა დაძაბულად, პოლიციის

ზედამხედველობის ქვეშ. არჩევნებს თან ახლდა მუქარა, ძალადობა და ტყუილი. კენჭს იყრიდნენ ვ.გელოვანი და ე.გეგეჭკორი. პირველად არჩევნები ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ ფედერალისტებმა მისი საარჩევნო ცენზი გაასაჩივრეს და არჩევნები ჩაიშალა. განმეორებით არჩევნებში ე.გელოვანმა გაიმარჯვა. მან მიიღო 17 ხმა, 15-ის წინააღმდეგ. ე.გეგეჭკორმა კი ერთი ხმით ნაკლები, რასაც სოციალ-დემოკრატები მათი ერთ-ერთი ამომრჩეველის პარტიულობის შეცვლას და ფედერალისტების მხარეზე გადასვლას აბრალებდნენ.

არჩევნებთან დაკავშირებით ე.გეგეჭკორმა საჩივარი შეიტანა სენატში, იგი არჩევნებს არაკანონიერად თვლიდა, ამტკიცებდა ფედერალისტების კავშირს ადმინისტრაციათან. საქმე გაარჩია პეტერბურგის სასამართლომ, მაგრამ მან სოციალ-დემოკრატების სამწუხაროდ ვ.გელოვანის დაპუტატად არჩევა სამართლიანად სცნო.

ბათუმის და ყარსის ოლქებში და სოხუმის ოკრუგში არჩევნები მშვიდად მიმდინარეობდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ინერტული იყო. მხოლოდ პარტიები და მუსულმანური მოსახლეობა აქტიურობდა. ბათუმში ამომრჩეველებად არჩეული იყვნენ გენერალი ფონ პარკაუ, გადამდგარი პოლკოვნიკი ჯემალ ბეგ აჭარსკი და სხვები. სოხუმის ოკურგში - ფედერალისტები ნ.თავდგირიძე, სოციალ-დემოკრატები: ა.ჩხენკელი, ი.კოსმავა; მემარჯვენეები: თავადი ალ.შერვაშიძე, თავ.ემხვარი, თავ. მარშანია, კ.ჩაჩბა და შუდრა. დასახელებული ამომრჩეველებიდან ყველას დეპუტატობა სურდა.

საბოლოოდ, ბათუმში გამართულ ამომრჩეველთა ყრილობაზე, სადაც უნდა აერჩიათ სათათბიროს ერთი დეპუტატი, ერთმანეთს დაუპირისპირდა ა.ჩხენკელისა და ალ.შერვაშიბის კანდიდატურა. გამარჯვებული გამოვიდა ა.ჩხენკელი, მან მიიღო 13 ხმა 11 ხმის წინააღმდეგ. მისმა მეტოქემ - 12 ხმა 13 ხმის წინააღმდეგ.

აკაკი ჩხენკელის გამარჯვებას ასე აღწერს ქართველი ემიგრანტი ვ.ჩუბინიძე: „... აკაკი ჩუმად ჩამოიყვანეს როსტოვიდან (აქ იყო გადასახლებული-ავტ.), ვექილმა გრიშა გიორგაძემ საჭირო მოწმეები მოუმზადა. იგი სხვებთან ერთად დეპუტატობის კანდიდატად იქნა წამოყენებული და გაიმარჯვა. როცა ბათუმის პოლიცმეისტერმა არჩევნების შედეგები გაიგო, მივიდა პოტელში, სადაც აკაკი ცხოვრობდა, ჩაისვა ფაიტონში და დიდი ამბით მიიყვანა ქალაქის თვითმმართველობაში, გამარჯვება მიულოცა და გადასცა დეპუტატობის მანდატი. აკაკიმ მადლობა გადაუხადა, როგორც პოლიცმეისტერს, ისე ამომრჩეველებსა და დამსწრე საზოგადოებას და გასწია პერტერბურგისაკენ“.

ამრიგად, ფედერალისტთა გააფთრებულ წინასაარჩევნო ბრძოლას გარკვეული შედეგი მართლა მოჰყვა, მაგრამ ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც სოციალ-დემოკრატიას გაყვა. არჩევნებში მათ მეტ წარმატებას მიაღწიეს, სათათბიროში ორი დეპუტატი გაიყვანეს, სოციალ-ფედერალისტებმა კი ერთი დეპუტატის გაყვანა შეძლეს, სოციალ-ფედერალისტებისათვის მოულოდნელობას წარმოადგენდა ისიც, რომ მათ მიერ ყველაზე მეტად ნაქები დეპუტატი კ.აბაშიძე ვერ გავიდა და შედარებით ნაკლებად გავლენიანი, მათი მეორე კანდიდატი ვ.გელოვანი აირჩიეს.

ამ არჩევნების შესახებ გ.ლასხიშვილი წერდა: „საქართველოში ეს მეოთხე პოლიტიკური არჩევნებიც - იმავე პირობებში მიმდინარეობდა, როგორც წინანდელი. ბრძოლა იყო არა რეაქციასა და ოპოზიციას შორის, როგორც შიდა რუსეთში, არამედ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის.

ახლაც უმეტესობა სოციალ-დემოკრატიას ხვდა, მაგრამ ქათაისის გუბერნიაში ერთი სოციალ-ფედერალისტი მაინც აირჩიეს - ვ.გელოვანი. გელოვანის არჩევა შემთხვევითი იყო იმ მხრივ, რომ სოციალ-ფედერალისტების კანდიდატი იყო კიტა აბაშიძე, მაგრამ რადგან მთავრობამ გააბათილა იმ ამომრჩეველთა ჯგუფის არჩევნები, სადაც კ.აბაშიძე იყო ამომ-

რჩევლად, პარტიამ მის მაგივრად წამოაყენა ე.გელოვანის კანდიდატურა.

სოციალ-ფედერალისტებმა აღიარეს, რომ სოციალ-დემოკრატებს უკეთესი ორგანიზაცია ჰქონდათ, უფრო ეფექტურად ჩაატარეს წინასაარჩევნო ბრძოლა და ძირითადად ამან განსაზღვრა მათი გამარჯვება. აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სომეხმა ამომრჩეველებმა ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებს. „ბარელის" ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის განცხადებით „სომხებისა და სოციალ-დემოკრატების ბლოკი იბრძოდა ისეთი კანდიდატის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო სათათბიროში საქართველოს განსაკუთრებული საკითხი წამოეყენებინა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც ჩანს, წინასაარჩევნო ბრძოლაში გამარჯვების ინტერესებიდან გამოდიოდნენ და არც დემაგოგიას ერიდებოდნენ. სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი წერდა: „საქართველომ რომ ავტონომია მოიპოვოს, სომხებსა და ებრაელებს დაჩაგრავსო".

საქართველოში მიმდინარე საარჩევნო ბრძოლა და მისი შედეგები შეაფასა ა.ჯორჯაძემ. მან უარყოფითად დაახასიათა კ.ჩხეიძე, რომელმაც სომეხი ბურჟუაზიის მხარდაჭერით შეძლო უმრავლესობის მოპოვება და სათათბიროში შესვლა. გააკრიტიკა აგრეთვე აკ.ჩხენკელი, როგორც სუსტი მოაზროვნე, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის უარმყოფელი და რაღაც უსახო კავკასიის საოლქო თვითმმართველობის მომხრე. არჩევნების დროს ფაქტიურად ბრძოლა წარმოებდა ეროვნულ კონცეფციებს შორის. გელოვანის გასვლა მანიშნებელია იმისა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება იზრდებაო. თბილისის გუბერნიაში რომ ეროვნული ჯგუფი დამარცხდა, ამაში ა.ჯორჯაძემ ბრალი დასდო თბილისის ინტელიგენციას, რომელმაც გულგრილობა გამოიჩინა. ამასვე ამტკიცებდა გაზეთი „იმერეთიც".

ოთხიევ მოწვევის სათათბიროს ამომრჩეველთა რაოდენობის

შესახებ თბილისის გუბერნიის მაზრებში ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი.

ცხრილი №5

№	მაზრები და ქალაქები	I სათათ. ამომრჩ. რიცხვი	II სათათ. ამომრჩ. რიცხვი	III სათათ. ამომრჩ. რიცხვი	IV სათათ. ამომრჩ. რიცხვი
1.	ახალქალაქის მაზრა	5	5	4	4
2.	ახალციხის მაზრა	4	4	2	2
3.	ბორჩალოს მაზრა	7	7	7	7
4.	გორის მაზრა	11	11	10	10
5.	დუშეთის მაზრა	4	4	2	2
6.	სიღნაღის მაზრა	6	6	4	4
7.	თელავის მაზრა	5	5	5	5
8.	თიანეთის მაზრა	2	2	3	3
9.	თბილისის მაზრა	6	6	9	9
	სულ	50	50	46	46

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიის დროს ამიერკავკასიის რუსთა კურიის ნაციონალისტურმა პარტიამ ე.წ. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა“ ანუ „პატრიოტებმა“ თბილისში გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც მიმართული იყო კავკასიის რუსი მოსახლეობისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა რუსეთის მშვიდობიანი განვითარება და იმპერატორის ხელისუფლების დაცვა. სახელმწიფო სათათბიროში ჩვენი წარმომადგენლის მთავარი ამოცანა მდგომაროებს იმაში, რომ მართებულად და მიკერძოებულად წარმოუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებას განაპირა მხარის საზოგადოებრივი ცხოვრება, განსაკუთრებეთ რუსი მოხელეების მოთხოვნები და საჭიროებანი, მათი დაკმაყოფილების ხერხები და საშუალებანი,

რომლებიც დაფუძნებული იქნება რუსეთის სარგებლიანობაზე და სამართლიანობაზე, განაპირა მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

ამ იმედებს არჩეული გაამართლებს მაშინ, თუ იგი გაითვალსიწინებს ამიერკავკასიის ნახევარმილიონიანი რუსი მოსახლეობის მოთხოვნებს, იხელმძღვანელებს რუსი ნაციონალისტური პარტიის პროგრამით. აღნიშნული პარტია დგას რეფორმის მხარეზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განაპირა მხარეების რუსულ მოსახლეობას.

ჩვენმა წარმომადგენელმა სახელმწიფო სათათბიროში მთელი ძალა უნდა მოახმაროს ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფოს საგარეუბნო პოლიტიკის შემდეგი ძირითადი საკითხების გატარებას:

1. რესეთის სახელმწიფო წყობილების განმტკიცებას, მის ერთიანობას, არ დაუშვას არავითარი პოლიტიკური ავტონომია;

2. ყველანაირად იზრუნოს იმპერიის სამხედრო ძლიერებისათვის;

3. ყურადღება მიაქციოს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროებას;

4. სარწმუნოების თავისუფლების უმაღლეს აღიარებას;

5. ენის თავისუფლებას, მაგრამ სახელმწიფო ენის (რუსული-ი.გ.) აუცილებელ გამოყენებას ყველა სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, აგრეთვე სკოლეში.

6. ერთა თანასწორუფლებიანობას, რომელთა მოღვაწეობის მიმართულება უნდა ეთანხმებოდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

7. ზნეობრივ-რელიგიურ და ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას სკოლებში.

8. ყველაზე ფართო ღონისძიებებს გლეხური მოსახლეობის სამიწათმოქმედო ყოფის გაუმჯობესებისათვის, ამიერკავკასიის სოფლებზე სამიწათმოქმედო ღონისძიებების გავრცელებას.

გლეხური მიწათმფლობელობის მიწის ფართობის შეძლებისდაგვარად გაზრდას სახელმწიფო თავისუფალი მიწების ხარჯზე. რუსული საგადასახადო მოძრაობის განვითარებას თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე.

9. ამიერკავკასიაში საქალაქო თვითმმართველობის რეფორმებს: მობინადრეების საქალაქო არჩევნებში ჩაბმას და ამიერკავკასიის ქალაქებში რუსული უმცირესობის ინტერესების დაცვას ამიერკავკასიაში საერობო თვითმმართველობის და დაწესებულებების შემოღების შემთხვევაში რუსული მოსახლეობის უფლების დაცვას.

10. რუსულ მოსახლეობაში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებების განვითარებას.

ბოლოს, მოწოდებაში ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ ყველა რუსი ამომრჩეველი გაერთიანებულიყო ხსენებული პარტიის გარშემო, მხარი დაეჭირა მისი პროგრამისათვის და ემოქმედათ ამ პარტიის ღირსეული კანდიდატის არჩევნებში გამარჯვებისათვის.

სოციალ-დემოკრატებს კარგად ახსოვთ მესამე სახელმწიფო სათათბიროში ამიერკავკასიის რუსული კურიის დეპუტატის, რეაქციონერ ტიმოშკინის გამოსვლები, რომელიც „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ (რუსი „პატრიოტები“) წევრი იყო. მან ქართველ დეპუტატებს თავის ანტიკავკასიური და ანტიქართული გამოხტომებით ბევრი უსიამოვნება მიაყენა. ამიტომ, ამჯერად სოციალ-დემოკრატია რუსულ მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწეოდა, რათა „პატრიოტებისა“ და სხვა მოწინააღმდეგე ჯგუფისათვის არ მიეცათ საკუთარი დეპუტატის არჩევის საშუალება. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ამიერკავკასიის რუსული კურიიდან, აუცილებლად სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო. ბაქოს პარტიულ ორგანიზაციას სათათბიროს დეპუტატად სოციალ-დემოკრატ მ.სკობელევის გაყვანა სურდა. მის კანდიდატურას მხარს უჭერდა თბილისის

პარტიული ორგანიზაციაც. მთელ საარჩევნო კამპანიას ბაქოში ხელმძღვანელობდა ნ.ჟორდანიას მეუღლე ინა. ის იყო ბაქოს მენშუეიკური ორგანიზაციის წევრი და რეგულარულად მუშაობდა პარტიაში. ინას მეცადინეობით გ.სკობელევი ამომრჩეველად აირჩიეს.

უნდა ითქვას, რომ რუსულ მოსახლეობაში სოციალ-დემოკრატებს გარდა, არც სხვა პარტიები და ჯგუფები ეწეოდნენ ნაკლებ მუშაობას. ზოგიერთი მათგანი არჩევნებში გამარჯვების მოპოვების მიზნით რუსეთის ცენტრალური ქალაქებიდან იწვევდა ავტორიტეტიან პირებს. ერთ-ერთი მათგანი იყო მონარქისტების მიერ პეტერბურგიდან თბილისში მოწვეული კაზარინოვი. არჩევნებში ცალკე ბანაკად მოქმედებდა მეფის ნაცვლის კანცელარიაც, რომლის თანამშრომლებს დეპუტატად აქაური მოხელის სტერელბიცკის გაყვანა სურდათ.

1912 წლის 20 ოქტომბერს თბილისში, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში ჩატარდა ამიერკავკასიის რუსული კურიის ამომრჩეველთა არჩევნები. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად 713 ამომრჩეველიდან კრებას ესწრებოდა 62 ამომრჩეველი. ძირითადად ერთმანეთს სოციალ-დემოკრატები და „პატრიოტები" დაუპირისპირდნენ. კენჭს იყრიდნენ: მ.სკობელევი, ი.პროხანოვი, ა.სნარსკი და ა.კრასოვსკი. დასახელებული კანდიდატებიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო მ.სკობელევმა და იგი გახდა ამიერკავკასიის რუსული კურიიდან მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ეს იყო ამიერკავკასიის და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის კიდევ ერთი გამარჯვება.

ამრიგად, ოთხივე მოწვევის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საქართველოდან საერთო წარმატება მენშევიკებს ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება არ იყო იმის დამადასტურებელი, რომ ქართველ გლეხს, თუ მუშას უკვე ღრმად ჰქონდა შეგნებული სოციალისტური მოძრაობა. არც ის იყო მთლად სწორი, როდესაც ფედერალისტები

ქართველი მენშევიკების არჩევნებში გამარჯვებას ხალხში ამ უკანაკნელთა მუშაობის მარტო კარგი ორგანიზაციით ხსნიდნენ. ცხადია, ეს გარემოება ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატების წარმატებას არჩევნებში, მაგრამ გადამწყვეტს არ წარმოადგენდა. ქართველი მენშევიკების არჩევნებში გამარჯვების მთავარი ფაქტორი გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა იყო. უმიწობა და მცირე მიწიანობა აიძულებდა გლეხობას, რომელიც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდა, ყური დაეგდო სოციალ-დემოკრატებისათვის, რომლებიც თავისი საპროგრამო ამოცანის განხორციელებას უპირველეს ყოვლისა, მშრომელი მასების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში ხედავდნენ. ქართველი გლეხობის ძირითადი მასისათვის სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებზე ლაპარაკი უფრო გასაგები იყო, ვიდრე ეროვნული თავისულების მოპოვების მაღალ იდეალებზე, რასაც ფედერალისტები ქადაგებდნენ. ამიტომ გლეხთა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას უჭერდა მხარს. სოციალ-დემოკრატები სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში გამარჯვებას სწორედ გლეხთა ხმებით აღწევდნენ. თბილისში შესამჩნევი იყო სომეხი ბურჟუაზიის მათდამი თანადგომაც.

§2. ქართველი დეპუტატების მიერ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონპროექტები და შეკითხვები.

მეოთხე სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა 1912 წლის 15 ნოემბრიდან. მასში მონაწილეობდა 442 დეპუტატი, რომელთა შორის იყო: ნაციონალისტი და ზომიერი მემარჯვენე-120, ოქტიაბრისტი-98, მემარჯვენე-65, კადეტი-59, პროგრესისტი-48, სოციალ-დემოკრატი-13, ტრუდოვიკი-10, უპარტიო-7, სამი ნაციონალური ჯგუფი ითვლიდა 21 დეპუტატს. დეპუტატებს შორის უმრავლესობას მემარჯვენე ოქტიაბრისტები შეადგენდნენ. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე იყო

მ.როძიანკო.

3 ივნისის რეაქციულმა საარჩევნო კანონმა და მეფის ხელისუფალთა ბოროტმოქმედებამ, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს გამოყენებულ მაქინაციაში გამოვლინდა, განსაზღვრა ახალი სახელმწიფო სათათბიროს კლასობრივ-პარტიული შემადგენლობა. რეაქციულ სამღვდელოებაზე დაყრდნობით ცარიზმმა მიაღწია შაერაზმული პარტიების წარმომადგენლობით გაძლიერებას.

სოციალ-დემოკრატი 13 დეპუტატიდან 7 მენშევიკი და 6 ბოლშევიკი იყო. ერთი ხმის უპირატესობით მენშევიკები ყოველოვის ღებულობდნენ მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს, რაც ბოლშევიკებს და მათ ბელადს ლენინს დიდად აღიზიანებდათ. ბოლოს უთანხმოების ნიადაგზე მენშევიკები და ბოლშევიკები ერთმანეთს გაემიჯნენ და ცალ-ცალკე ფრაქციებად მოქმედებდნენ. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი კ.ჩხეიძე იყო.

1912 წლის 5 დეკემბერს სათათბიროში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოკოვცევის მიერ წაკითხული იქნა მთავრობის დეკლარაცია, მაგრამ მასში კავკასიის პრობლემებს ტრადიციისამებრ გვერდი პქონდა ავლილი. დეკლარაცია პირდაპირ აღიარებდა, რომ კავკასია ჯერ კიდევ არ იყო მზად რეფორმებისათვის.

დეკლარაცია მწვავედ გააკრიტიკეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა. სათათბიროში კ.ჩხეიძემ, რომელიც მეორედ იქნა არჩეული დეპუტატად აღნიშნა, თუ რატომ არ იყო მასში ერთი სიტყვა ნათქვამი იმ რეფორმების შესახებ, რომელსაც კავკასიის ერები დიდი ხანია ელოდნენ. ეს მაშინ, როცა რეფორმებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, მეფის ნაცვალმა ჯერ კიდევ 1905 წელს აუწყა კავკასიის მოსახლეობასო. მისი თქმით, ეს იმის ბრალი იყო, რომ „ხელისუფლების სათავეში მოხვდნენ ყველა ჯურის ავანტიურისტები“.

კ.ჩხეიძეს მხარი აუბა ა.ჩხენკელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა

იმას, რომ მთავრობა ატარებდა გაძრომა-გამოძრომის პოლიტიკას, მიმართავდა ტყუილს, უკან მიპქონდა ხალხისათვის მიცემული დაპირებები, ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას აცხადებდა სეპარიტიზმად და სხვა. მისი თქმით, სოციალ-დემოკრატები მედგრად იბრძოდნენ ყოველგვარი ჩაგვრისა და თვითნებობის წინააღმდეგ.

მთავრობის მძაფრი კრიტიკით სოციალ-დემოკრატები ზუსტად იცავდნენ სათათბიროში მუშაობის ადრინდელ ტაქტიკას. მკაცრად გამოვიდა ქართველი ფედერალისტი დეპუტატი ვ.გელოვანიც, რომელმაც განაცხადა: „ხელთათმანი ნასროლია. ამ ხულთათმანს ვიღებთ ჩვენ მემარცხენე დეპუტატები და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს ბრძოლა უკან არ დავიხევთ და ვერავითარი მუხლები (იგულისხმება სახელმწიფო კანონთა ის მუხლები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის ითვალისწინებდნენ სასჯელს-ავტ.) ვერ გვაიძულებენ გავჩუმდეთ“. ე.ი. ვ.გელოვანმა თავისი გამოსვლის ქვეტექსტით აღნიშნა, რომ მთავრობამ თავისი დეკლარაციით ბრძოლაში გამოიწვია მემარცხენე დეპუტატები და ეს უკანაკნელნიც ღებულობდნენ ამ გამოწვევას.

თვითმპყრობელობისათვის განსაკუთრებით საშიში იყო მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერის კ.ჩხეიძის გამოსვლები. ი.წერეთლის შემდეგ ის იყო მეოთხე, რომელსაც ასე უფრთხოდა ხელისუფლება. კ.ჩხეიძემ დიდი გამოცდილება შეიძინა მესამე სახელმწიფო სათათბიროში მუშაობით, ქუხდა და გრგვინავდა ტრიბუნაზე, მეხიანით ატყდებოდა თავს რეაქციონერებს. ამასთან მისი გამოსვლები ყოველთვის დაფუძნებული იყო კონკრეტულ და უხვ ფაქტებზე, რასაც ბოლშევიკების ლიდერი ვ.ლენინიც აღნიშნავდა.

მთავრობის დეკლარაციის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მკაცრმა გამოსვლამ ხელისუფლება გააღიზიანა, განსაკუთრებით „შეურაცყოფილად“ იქნა აღქმული კ.ჩხეიძის

მიერ ამ უკანასკნელის კრიტიკაც. ამიტომ მთავრობამ სათათბიროს კომპრომენტირება და კ.ჩხეიძის დაპატიმრება გადაწყვიტა. საბაბიც თითქოს მალე გამოჩნდა. 1914 წლის 11 მარტს სათათბიროში საბიუჯეტო კანონპროექტის განხილვის დროს, კ.ჩხეიძემ თავის სიტყვაში თქვა: „ქვეყნის განახლებისათვის არ ვარგა კატორღული რეჟიმი, არ ვარგა არც 3 ივნისის მომდევნო რეჟიმი. ქვეყნის განახლებისათვის ყველაზე შესაფერისი რეჟიმია დემოკრატიული, პარლამენტური რეჟიმი და თუ გნებავთ, რესპუბლიკური რეჟიმი". კ.ჩხეიძეს სხვა მემარცხენე დეპუტატებიც აყვნენ და ტრიბუნაზე გამოსულები თავიანთ სიტყვებში ხშირად ხმარობდნენ სიტყვას „რესპუბლიკას". ამან გააცოფა მთავრობა. კ.ჩხეიძის სიტყვა შეფასდა როგორც მონარქის დამხობისა და რუსპუბლიკის დამყარების მოწოდება, რაც ჩაუთვალეს დანაშაულად. შეიქმნა ე.წ. „ჩხეიძის საქმე" და იგი მისცეს პასუხისმგებლობაში, მას ელოდა მკაცრი სასჯელ. კ.ჩხეიძის სიტყვით, როგორც ხელისუფლების დამხობის მოთხოვნის გასაღებით, მთავრობას სურდა დეპუტატის ხელშეუხებლობაზე მიეყენებინა დარტყმა და გაერეკა მეოთხე სახელმწიფო სათათბირო. სათათბიროს წევრი მუსინ-პუშკინი თავის სიმამრს ვორონცოვ-დაშკოვს საიდამლოდ წერდა, რომ სახელმწიფო სათათბირო „ჩხეიძის საქმის" გამო იქნება დათხოვილიო.

დიდი სურვილის მიუხედავად, კ.ჩხეიძის დაპატიმრება მთავრობამ ვერ გაბედა, რადგან მემარცხენე დეპუტატებმა მას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია. კ.ჩხეიძეს და მის თანამოაზრეებს, სულ 21 კაცს სათათბიროში მეთხუთმეტე სხდომიდან გარიცხვა აკმარეს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ინცინდენტის მომენტში სათათბირო ყველა „რესპუბლიკელს" პოლიციის ძალით დაატოვებინეს.

სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიერ არსებული წესწყობილების კრიტიკა შეკითხვებშიც გამოვლინდა. განსაკუთრებით

კი ე.წ. „კავკასიის შეკითხვებში“.

მეოთხე სახელმწიფო სათათბირო აგრძელებდა მემკვიდრეობით ხაზს, ღებულობდა წერილ და უმნიშვნელო კანონპროექტებს, სერიოზულ და გადაუდებელი კანონპროექტის განხილვა-მიღებას ადრინდელივით გაურბოდა. მის მიერ მიღებულ კანონპროექტებს კი, სახელმწიფო საბჭო არ ამტკიცებდა. უფრო მეტიც, სენატმა გააუქმა ძირითადი კანონის მე-14 მუხლი, რომელიც დუპუტატს სიტყვის სრულ თავისუფლებას აძლევდა. დადგენილებით დეპუტატის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სათათბიროში წარმოთქმული სიტყვისათვის ერთობ გაადვილებული იყო. შეზღუდეს აგრეთვე დეპუტატის შეკითხვის უფლება. მთავრობას სათათბირო მხოლოდ იმიტომ ჭირდებოდა, რომ მარტო წლიური ხარჯთაღრიცხვა დაეკანონებია. ეს უარყოფითი ტენდენცია პირველი მსოფლიო ომის დაწყებით მართლდებოდა.

1913 წლის 27 თებერვალს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 30 დეპუტატის ხელმოწერით კვლავ შეიტანა კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის გაუქმების და ხიზანთა მიწათმოწყობის შესახებ. ეს პროექტი პირველისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა. პროექტში დაწერილებით იყო განხილული ხიზნების გაჩენის ისტორია, მოყვანილი იყო სტატისტიკა, შედარებული იყო იგი რუსეთის ჩინშევიკებთან და ევროპაში არსებულ მსგავს ინსტიტუტებთან. პროექტის ავტორები მოითხოვდნენ, რომ ხიზნებს მათ მფლობელობაში არსებული მიწები დარჩენოდათ უსასყიდლოდ.

საადგილმამულო კომისიამ ეს კანონპროექტიც განიხილა, პრინციპში მოიწონა კადეც და სათათბიროს გადასცა, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს არც ეს კანონპროექტი მიუღია.

ამავე პერიოდში მუშავდება აგრეთვე მეფის ნაცვლის მეორე პროექტი ხიზნობის ლიკვიდაციის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხს მეფის ნაცვალი თავის პირველ კანონ-

პროექტშიც აყენებდა, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგობის გამო მისი სათათბიროში შეტანა ვერ მოხერხდა.

მეფის ნაცვლის მეორე კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის შესახებ პრინციპულად განსხვავდება სახელმწიფო სათათბიროს 30 წევრის კანონპროექტისაგან. ვორონცოვ-დაშკოვის კანონპროექტს საფუძვლად ედო ხიზნების სარგებლობაში არსებული მიწების გამოსყიდვა მთავრობის დახმარებით.

ხიზნების ლიკვიდაციის საკითხი განიხილა მეფის ნაცვლის საბჭომაც. მან ხიზნები გაათანაბრა დასავლეთ გუბერნიების თავისუფალ გლეხებთან და მათ მიერ მიწების სავალდებულო გამოსყიდვა ცნო ყველაზე შესაფერისად. საბჭომ უარყო თავადაზნაურობის მოთხოვნა ხიზნების მოიჯარადრეებად გადაქცევის შესახებ.

1913 წლის 7 აპრილს მეფის ნაცვალმა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა თავისი კანონპროექტი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ და იმედოვნებდა, რომ იგი მოწონებული იქნებოდა.

1913 წლის ივნისში პეტერბურგში სენატორ ნიკოლსკის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა საუწყებათაშორისო თათბირის სხდომები ამიერკავკასიაში ხიზნობის ლიკვიდაციის შესახებ. მეფის ნაცვლის კანონპროექტის განხილვის მიზნით თათბირში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა, ფინანსთა იუსტიციის სამინისტროს, მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების სამმართველოს, სახელმწიფო და კავკასიის კანცელარიის წარმომადგენლები.

ამ თათბირმა ყოველმხრივ განიხილა და ერთხმად მოიწონა მეფისნაცვლის კანონპროექტის ძირითადი მოსაზრებანი. ეს მოსაზრებანი სავსებით ემთხვეოდა სახელმწიფო კანონს, რომელიც გამოყენებული იქნა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში უვადო იჯარის მოსასპობად. კერძოდ, საუკუნო მოიჯარადრეების,

ანუ ჩინშევიკების, ე.წ. თავისუფალი ხალხის, სტაროობრიადებისა და სხვების მიმართ. ამასთან, საუწყებათშორისო თათბირმა ცნო, რომ გამოსასყიდი მიწების ფასი დადგენილი უნდა ყოფილიყო არა მეფისნაცვლის პროექტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადს მიწის შემოსავლის მიხედვით, არამედ 1912 წლის 20 დეკემბრის საფუძველზე ამიერკავკასიაში დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის მოსპობის შესახებ.

ამასთან, ხიზანთა მიერ გამოსასყიდი მიწების ღირებულება გაორკეცებული უნდა ყოფილიყო დროებით ვალდებული გლეხების მიერ გამოსასყიდი მიწების ღირებულებასთან შედარებით. შეფასების გაორმაგება იმით იყო ახსნილი, რომ დროებით ვალდებული გლეხების მიერ მიწების გამოსყიდვის დროს ფასები დადგენილი იყო XIX ს. 60-იანი წლების ღირებულების მიხედვით. ე.ი. ბატონყმობის გაუქმებისა და მისგან გამომდინარე დამოკიდებული ურთიერთობის დროს არსებული ღირებულებიდან, ხოლო ხიზანთა მფლობელობაში მყოფი მიწები უნდა შეფასებულიყო არსებული ახალი ღირებულებით.

ვორონცოვ-დაშკოვის მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში დაახლოებით 3.566 ხიზნური კომლი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1.725 კომლი ითვლებოდა. სულ ორივე გუბერნიაში ცხოვრობდა ხიზანთა 5.291 კომლი. თითოეულ კომლზე მოდიოდა თბილისის გუბერნიაში - 5 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში - 2 დესეტინამდე სახნავი, სათესი და საბაღე მიწები.

მეფის ნაცვლის კანონპროექტის ძალით ხიზნებსა და მემამულეებს შორის ყოველგვარი ურთიერთობის მოგვარება უნდა დამთავრებულიყო 1916 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდეგ ეს ურთიერთობა სამუდამოდ წყდებოდა. კერძოდ კანონპროექტის მიღების დღიდან სრულებით ისპობოდა: 1. უფლება მემამულისა, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მას შეუძლია ხიზანს უარი

უთხრას მიწით სარგებლობაზე; 2. უფლება ხიზნისა, რომლის ძალით მას შეეძლო უარი ეთქვა საბატონო მიწით სარგებლობაზე; 3. ყველა ის სასერვიტუტო უფლებანი, რომლებიც დაკავშირებულია ამ მიწით სარგებლობასთან, აგრეთვე ყველა ის ბეგარა, რომლებსაც იხდიდნენ ხიზნები ამ კანონპროექტის დამტკიცებაზე; 4. უფლება, რომლის ძალით შეიძლება საბატონო მიწით უვადო სარგებლობის ვადიან სარგებლობად გადაქცევა.

პროექტში დაწერილებით იყო აღნიშნული, თუ რა წესით უნდა შეფასებულიყო ბეგარა, როგორ უნდა შემდგარიყო გამოსყიდვის ქაღალდები, როგორ უნდა მომხდარიყო ხიზნების მიერ გზებით, საძოვრებით, ტყით და წყლით უსასყიდლოდ სარგებლობა.

ნატურალური ბეგარის შეფასება უნდა გამოანგარიშებულიყო ამ ბეგარის წლიური ღირებულების 6%-იანი კაპიტალიზაციით, ე.ი. ის უნდა გამრავლებულიყო 16 2/3-ზე.

რაც შეეხება სხვადასხვა სასერვიტუტო უფლებებს, რომელიც ჰქონდა ხიზანს საბატონო მიწაზე, ყველა ეს უფლება, თუ მემამულესა და ხიზანს შორის ვერ მოხერხდება შეთანხმება ამ უფლების მოსპობის შესახებ, კანონპროექტის ძალით რჩებოდა იგივე მდგომარეობაში, მის შესახებ ცალკე კანონის გამოცემამდე.

მეფის ნაცვლის კანონპროექტს საქართველოში ხიზნების ლიკვიდაციის შესახებ ადგილობრივი თავადაზნაურობა დიდი პროტესტით შეხვდა. კავკასიის ადმინისტრაცია, - აღნიშნავდა საქართველოს თავადაზნაურობა, ხიზნური ურთიერთობის შესაწყვეტად, საკითხის დაწერილებითი შესწავლისა და გამორკვევის აუცილებელი და სასარგებლო მუშაობის ნაცვლად, „შეუდგა წმინდა კაბინეტურ მუშაობას ხიზნური ურთიერთობის მოსპობის შესახებ კანონპროექტის შესადგენად და მისგან შეუმჩნეველად მოხაზა გეგმა და კანონპროექტი არა ხიზნური ურთიერთობის შეწყვეტის, არამედ კერძო მესაკუთრული მიწების სავალდებულო განსხვისების შესახებ,

სამართლიანი და წესიერი ანაზღაურების გარეშე".

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა გუბერნიის თავადაზნაურთა მოსაზრება პერეტბურგში საუწყებათაშორისო თათბირს გააცნო. ამასთან დაკავშირებით მეფის ნაცვლის წარმომადგენელმა სენატორმა ნიკოლსკიმ განაცხადა, რომ ხიზანთა დამოკიდებულების გაუქმების შესახებ თავადაზნაურებმა ანალოგიური მოსაზრება წინათაც გამოთქვეს, მაგრამ იგი მეფის ნაცვლის საბჭოში უარყოფილი იქნაო. თათბირმა ამჯერადაც უარყო თავადაზნაურთა წინადადება.

სხვადასხვა წლებში ხიზანთა რაოდენობისა და მიწით უზრუნველყოფის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №7.

მთავრობა ასევე ხელოვნურად აჭიანურებდა ბეგარაზე დამოკიდებული დაღესტნელი გლეხების განთავისუფლების საკითხის გადაჭრას. შექმნილი იყო რამდენიმე სამიწათმოქმედო კომისია და შედგენილი არა ერთი პროექტი, რომელებშიც განხილვის დროს შეპქონდათ ასობით შესწორება და პირობა ბეგრების სასარგებლოდ. მუშაობის პროცესში არც ცარიზმის ინტერესები იყო დაუიწყებული.

ბოლოს, სამაგალითოდ გაჭიანურებული საქმე, რომელიც XIX ს. 60-იანი წლებიდან მომდინარეობდა, დამთავრდა. 1913 წლის 7 ივნისს უმაღლესად იქნა დამტკიცებული, სათათბიროს მიერ მოწონებული, კონონპროექტი „დაღესტნის ოლქის და ზაქათალის ოკრუგის გლეხების ბეგრებზე და კეშკელთ-მფლობელობზე დამოკიდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ".

იმავდროულად დამტკიცებული იქნა დაღესტნის ოლქისა და ზაქათალის ოკრუგის გლეხების ბეგრებზე დამოკიდე-ბულებითი ურთიერთობების შეწყვეტის წესები, რომელშიც მოცემული იყო გლეხთა დამოკიდებულებითი ურთიერთობების ლიკვიდაციის პირობები. წესების პირველ მუხლში მითითებული

ცხრილი №7

№	გუბერნია	წლები	კომლთა რაოდენობა	მიწის სიდიდე (დესიატინებში)	დესიატინა 1 კომლზე	შენიშვნა
1	თბილისის გუბ.	1876	5,976	26.648*	4,5	*აქ მიწის სიდიდეში 526 დესეტინა ეზოს ფართია შესული. **სიღნაღის და თელავის მაზრების გარდა
		1882-1884	6.359**	28.384**	4,5	
		1894	6.361	27.654	4,3	
		1910	4.348	21.621	5,0	
2	ქუთაისის გუბ.	1882-1884	2.569	6.126	2,4	
		1901	1.337	3.247	2,4	
		1910	1.725	5.127	2,0	

იყო, რომ დაღესტნის ოლქის და ზაქათალის ოკრუგის ყველა თანრიგის დამოკიდებული მოსახლეობა (რეატები, უზდენები, კეშეკელ-გადამხდელები) 1913 წლის 1 იანვრიდან გადადიოდა გამოსყიდვაზე. განსაზღვრული იყო გამოსასყიდი თანხა, რომელიც უნდა გადაეხადათ გლეხებს ბეგებისათვის. ამ თანხას გლეხებს ხაზინა აძლევდა სესხად, რომელიც უნდა დაეფარად 20 წლის განმავლობაში, დაწყებული 1913 წლის 1 იანვრიდან დამთავრებული 1933 წლამდე. სულ გლეხებს ბეგებისათვის უნდა გადაეხადათ 3023.309 მანეთი.

აღნიშნული რეფორმა არ შეხებია მიწათმოწყობას. ამის გამო მხარეში მიწის საკითხი არ გადაჭრილა. მართალია, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გლეხების დამკვიდრებას მიწაზე, ანუ მათ მფლობელობაში არსებული მიწების საკუთრებაში დამტკიცებას. მაგრამ იგი არ იქნა დამტკიცებული.

მეფემ დაიცვა გაბატონებული კლასების ინტერესები, შეუნარჩუნა მათ მიწები. 1913 წლის შემდეგ, რუსი და ადგილობრივი მემამულეების ხელში, რომლებიც შეადგენდნენ მოსახლეობის 4,7%, იყო 487,800 დესეტინა, ანუ მთელი მიწების 32%, ხოლო გლეხები, რომლებიც შეადგენდნენ მოსახლეობის 95%-ზე მეტს, ფლობდნენ 1.081.080 დესეტინას, ანუ მთელი მიწების საერთო ფართობის 68%. ერთ სულ მემამულეზე მოდიოდა დაახლოებით 74 დესეტინა, ხოლო ერთ სულ გლეხზე - 1,6 დესეტინა.

1913 წლის რეფორმა არ პასუხობდა დაღესტნელ გლეხთა ინტერესებს, ფეოდალური ვალდებულებების გამოსასყიდი თანხა ათჯერ უფრო მეტი დაწესდა. გლეხებს თავს მოახვიეს „განთავისუფლების" მძარცველური პიროებები. ამ მახინჯი მხარეების მიუხედავად, მისი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ ფეოდალური ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 70.000-ზე მეტი გლეხი.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში 1916 წელს სოციალ-

დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით 72 დეპუტატის ხელმოწერით შეტანილი იქნა კანონპროექტი „კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ“. 8 იანვარს იგი განიხილეს მინისტრთა საბჭოში. ამ საკითხზე საყურადღებო იყო კავკასიის მეფის ნაცვლის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის აზრი, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 72-ის კონონპროექტთან დაკავშირებით ეცნობა. იგი მხარს უჭერდა კავკასიაში ერობის შემოღებას. გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მხარის გაცნობამ დაარწმუნა რეფორმის აუცილებლობაში, რასაც ჯერ კიდევ ჩემი წინამორბედი (ვორონცოვ-დაშკოვი - ი.გ.) ცნობდაო. მე ჩემს სამმართველოს მივეცი წინადადება რეფორმის ძირითადი მუხლების მოსამზადებლად. ამ საქმეში ვაპირებ ადგილობრივი ძალების ჩაბმას, რამდენადაც მათ უფრო კარგად იციან მხარის საჭიროება და თავისურებანი. ამიერკავკასიაში საერობო თვითმმართველობის შემოღება პირველხარისხოვან საქმედ მიმაჩნდა და ყველა ზომებს ვიხმარ რეფორმის საჩქაროდ გატარებისთვისო. 72-ის კანონპროექტის განხილვა-დამტკიცებას მთავრობამ შეუშალა ხელი, ხოლო მეფის ნაცვლის განზრახვას - 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ.

სათათბიროში შეტანილი დანარჩენი კანონპროეტები წვრილი და უმნიშვნელო იყო, ემსახურებოდა მთავრობის ინტერესებს. კერძოდ, ასეთ კანონპროექტებს განეკუთვნებოდნენ: „ამიერკავკასიაში საგამოძიებო და სამომრიგებლო საქმეების გაყოფის შესახებ“, „კავკასიის საპორტო ქალაქებში პოლიციის დამატებითი შტაბებისათვის ვადის გაგრძელების შესახებ, თბილისის პოლიციის შტატების შესახებ; „კავკასიის ზოგიერთ გუბერნიაში და ოლქში საქარხნო-საფაბრიკო ინსპექციის ახალი შტატის დაწესების შესახებ“; „კავკასიაში გადასახლებულთა უბნების მოწყობისათვის მოხელეთა პირადი შემადგენლობის განსაზღვრის და ხარჯების დაწესების შესახებ“ და სხვა.

სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიერ მეოთხე სახელ-

მწიფო სათათბიროში შეტანილი შეკითხვები მჭიდროდ იყო დაკავშირებული კავკასიაში მეფის ნაცვლის მიერ აღთქმულ რეფორმებთან და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან. 1912 წლის ნოემბერში, სათათბიროს გახსნისას, ქართველმა დეპუტატებმა კ.ჩხეიძემ და ა.ჩხენკელმა, კითხვით მიმართეს მთავრობას, თუ რატომ აგვიანებდა რეფორმების გატარებას კავკასიაში. იუსტიციის მინისტრმა შჩეგოლოვიტოვმა მინისტთა საბჭოში წარდგენილ თავის მოხსენებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კავკასია რეფორმისათვის მოუმზადებელია, ადგილობრივმა მცხოვრებმა არ იციან რუსული ენა, მათ ჩვეულებაზე დამყარებული უფლება. კი ეწინააღმდეგება რუსეთის კანონმდებლობასო.

ამასთან, შჩეგოლოვიტოვის თქმით, არ იყო გამორიცხული, რომ ნაფიცი მსაჯულები ძალდატანების და დაშინების ქვეშ მოქცეულიყვნენ და სასამართლოს პროცესზე ნაციონალისტური ინტერესებით ეხელმძღვანელათ. მინისტრს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება მხოლოდ თერგის ოლქში მიაჩნდა შესაძლებლად, სადაც მისი აზრით, კულტურული ელემენტები მოიპოვებოდნენ, მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა შჩეგოლოვიტოვის შეხედულებას და ამდენად, სასამართლო რეფორმის მოთხოვნაც უარყოფილი იქნა.

ცნობილია, რომ ცარიზმი კავკასიაში და საქართველოში ინტენსიურად ატარებდა რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით, ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიერ სათათბიროში განათლების მინისტრისა და ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე იქნა შეტანილი შეკითხვა - იცოდნენ თუ არა მათ, რომ 1913 წლიდან ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბ.კრუპსკის ბრძანებით, გუბერნიის სკოლებში პირველი კლასიდანვე უნდა დაეწყოთ რუსული ენის სწავლება და თუ იცოდნენ რა ზომების მიღებას აპირებდნენ. სათათბირომ შეკითხვა მიიღო და პასუხის

გასაცემად გადასცა განათლების სამინისტროს.

1914 წლის 24 მარტს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ სათათბიროში შეტანილი იქნა შეკითხვა, რომლის შინაარსი ასეთი იყო: ქ.სოხუმის ახლოს მდებარეობს პატარა სოფელი „მატროსკაია სლობოდა". ცხოვრობს 100 ოჯახი. აქედან 3, ოჯახი რუსია, დანარჩენი - სამეგრელოდან გადმოსახლებული გლეხები.

1905 წლამდე სოფელი ქ.სოხუმის დაქვემდებარებაში იყო. აღნიშნული წლიდან კი გადავიდა სამხედრო უწყების ხელში. ოლქის უფროსმა ხელშეკრულებით 6 წლით მისცა გლეხებს მიწა იჯარით, დესეტინა 9-12 მანეთად. ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება 2 წლით არ განახლებულა. ახალი ხელშეკრულების დადების დროს სამხედრო მმართველობის უფროსმა უხელშეკრულებო წლების „ვალის" გადახდაც მოინდომა. ამასთან, დესეტინა მიწის საიჯარო ფასი 15-23 მანეთამდე გახდა. „ვალის" გადახდამდე გლეხებს აუკრძალა მიწის დამუშავება და ტყით სარგებლობა. სოციალ-დემოკრატები ეკითხებოდნენ მეფის ნაცვალს, იცოდა თუ არა ყოველივე ამის შესახებ და თუ იცოდა, რა ღონისძიებების გატარებას აპირებდა.

სოციალ-დემოკრატების შემდეგ შეკითხვა, რომელიც სათათბიროში შეტანილი იქნა 1914 წლის 2 ივნისს 30 დეპუტატის ხელმოწერით, ეხებოდა ბაქოს რაიონის ნავთის მრეწველობის მუშების საბინაო-პირობების გაუმჯობესებას და საცხოვრებელი დაბის მოწყობას. შეკითხვა-განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მუშები ცხოვრობდნენ აუტანელ სანიტარულ პირობებში. ეს აღნიშნეს შემოწმებისათვის აქ ჩამოსულმა ა.ბეკენდორფის და ბერტენსონის კომისიებმა. ფაქტები აღნიშნულია დეპარტამენტის ანგარიშებშიც, მაგრამ მთავრობამ მუშათა საბინაო-სანიტარული პირობების გაუმჯობესების და დაბის მოწყობის დაპირება არ შეასრულა.

ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სათათბიროში შედიოდნენ 2 შეკითხვით: 1. ცნობილი იყო თუ

არა მთავრობისათვის ბაქოს ნავთსარეწი მუშების საბინაო პირობები და დაბის მოწყობის საკითხი. 2. თუ იცოდა, რის გაკეთებას აპირებდა.

სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში შეკითხვები შეიტანეს აგრეთვე 1913 წელს გურიაში, სოფელ მანაკეათში სიკო მსხალაძის მოკვლისა და მთავრობის მიერ 1914 წელს ჭიათურაში გაფიცული მუშების დარბევის გამო.

დეპუტატთა შეკითხვები იყო საპარლამენტო მუშაობის ერთ-ერთი ფორმა, მასში ირეკლებოდა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის შემქმნელი მთავრობის მიმართ დეპუტატების დამოკიდებულება.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. 1915-1916 წლებში, პირველი მსოფლიო ომის გამო, ორჯერ იქნა დათხოვილი დროებით. 1917 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით კი მისი მუშაობა შეწყვეტილი იქნა. სათათბირო მეტი აღარ შეკრებილა.

1917 წლის 27 თებურვალს შეიქმნა სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტი, რომელმაც შექმნა დროებითი მთავრობა. სათათბიროს შემდეგი პერიოდის მუშაობა ატარებდა კერძო თათბირების ხასიათს, მისი წევრების უმრავლესობა გამოდიოდა საბჭოების წინააღმდეგ. 1917 წლის 6 ოქტომბერს რევოლუციური მასების დაწოლით, დროებითმა მთავრობამ სათათბირო დაითხოვა, ხოლო საბოლოოდ ლიკვიდირებული იქნა ბოლშევიკების ხელისუფლების მიერ 1917 წლის 18 დეკემბერს.

§3. საქართველოს ავტონომიის საკითხი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში და ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები

ავტონომიისათვის პოლონელები აქტიურობდნენ. 1907 წლის 10 აპრილს პოლონელმა დერპუტატებმა მეორე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტი პოლონეთის ავტო-

ნომიის შესახებ,

მაგრამ მას სამწუხაროდ, სათათბიროს უმრავლესობისგან მხარდაჭერა არ მოჰყვა. პოლონელები მაინც არ ცხრებოდნენ, ისინი თავისი და განაპირა ქვეყნებისათვის მოითხოვდნენ ავტონომიას და მმართველობის დეცენტრალიზაციას. ამის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა მთავრობა. 1907 წლის 16 ნოემბრის სათათბიროს სხდომაზე პოლონელთა კოლოს დეპუტატის დომოვსკის მოთხოვნას, პოლონეთის ავტონომიის შესახებ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა განუხორციელებელი უწოდა. უფრო მეტიც, თვითმპყრობელობა მოითხოვდა ფინეთის შეზღუდული ავტონომიის გაუქმებასაც.

ავტონომიის მომხრე ქართველებმა მესამე სახელმწიფო სათათბიროში თავისი დეპუტატის გაყვანა ვერ მოახერხეს. არჩევნებში გამარჯვება წილად მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს ხვდათ. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, უშუალოდ საქართველოს ავტონომიის მომთხოვნი და მისი დამცველი სათათბიროში არავინ იყო.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ქართველმა ფედერალისტებმა შეძლეს თავისი დეპუტატის არჩევა. ეს გელოვანი იყო. მას დავალებული ჰქონდა ყოველი ღონე ეხმარა იმისათვის, რომ სახელმწიფო სათათბიროს წინაშე დაესვა საქართველოს ავტონომიის საკითხი. 1912 წლის 5 დეკემბერს წაკითხულ იქნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაცია, მაგრამ მასში კავკასიის ერების საჭიროებაზე არაფერი იყო ნათქვამი. ამის გამო გელოვანმა 44 დეპუტატის ხელმოწერით, მათ შორის ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ხელმოწერითაც, სათათბიროში შეიტანა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „მინისტრთა საბჭოს დეკლარაცია, რომელიც მოსმენილ იქნა 5 დეკემბერს კავკასიის შესახებ, არაფერს არ შეიცავს მიწათმოწყობის საკითხის გარდა. ამასთან ერთად, კავკასიის მხარე დიდი ხანია ელის საერობო თვითმმართველობას, ზოგიერთ ადგილას შემორჩენილ დრომოჭმულ სამხედრო

მმართველობის, საუბნო, სამაზრო და სასოფლო სამმართველოების, ასევე სასოფლო სასამართლოების გაუქმებას. კავკასიაში სასამართლო რეფორმა, მომრიგებელი მოსამართლის არჩევის წესის შემოღება, მართლმსაჯულებაში ხალხის წარმომადგენლის ჩაბმა, წარმოადგენს დიდი ხნის გადაუდებელ ამოცანას.

ასეთი რეფორმების გატარების შესახებ მოსახლეობას მეფისნაცვლის მიერ საზეიმო ვითარებით ეუწყა ჯერ კიდევ 1905 წლის 4 აპრილს. ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენებამ კავკასიის მმართველობის საკითხებზე 1907 წელს მიიღო მხარდაჭერა, მესამე სახელმწიფო სათათბირომაც საჩქაროდ მიიჩნია მისი განხორციელება. ამის გამო, ჩვენ განცხადებაზე ხელისმომწერნი, მივმართავთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, აგვიხსნას: პირველი, გადამუშავების რა სტადიაშია ზემოაღნიშნული რეფორმები და მეორე, როდის შეიტანენ კერძოდ საკანონმდებლო დაწესებულებაში შესაბამის კანონ-პროექტებს", ამ განცხადების შეტანის შემდეგ ვ. გელოვანი უფრო გაბედული გახდა. გადაწყვიტა, დეკლარაციის განხილვასთან დაკავშირებით წარმოთქმულ თავის სიტყვაში აღეძრა საქართველოს ავტონომიის საკითხი. მომენტი ხელსაყრელი იყო. ჯერ ერთი, მთავრობის დეკლარაცია იძლეოდა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან კავკასიის ერების საჭიროებაზე ხმამაღლა ლაპარაკის შესაძლებლობას; მეორე, აღნიშნული დეკლარაცია ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, მესამე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოეცევმა თავის დეკლარაციაში მხარი დაუჭირა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის მებრძოლ ბალკანელ სლავებს, აღნიშნა, რომ რუსეთს, როგორც დიდებულ სლავიანურ და მართლმადიდებელ სახელმწიფოს, არ შეუძლია გულგრილად უყუროს თვისტომს და ერთმორწმუნე სლავიანებს, რომლისთვისაც მას ძვირფასი მსხვერპლი გაუღია. რუსეთი ეცდება ხელი შეუწყოს სლავი-

ანებს ცხოვრების იმ პირობების მოპოვებაში, რომელიც სრულად უნდა ეთანხმებოდეს მის (რუსეთის-ავტ.) მიერ გაღებულ მსხვერპლს. რუსეთი დაეხმარება სლავიანებს საკუთარი ინტერესების დაცვაში, ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნაში და თავიდან ააცილებს იმ გართულებებს, რაც ევროპის მშვიდობიანობას მუდამ შიშსა ჰგვრის". მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვას მქუხარე ტაში მოჰყვა სათათბიროში.

კოკოვცევი ამ შემთხვევაში შეეხო ერთი ერის (თურქების) მიერ მეორის (ბალკანელი სლავების) ჩაგვრის ფაქტს და ხმა აიმაღლა მის წინააღმდეგ, მიიჩნია დაუშვებლად, ერების უფლების შელახვად. ამან სტიმული მისცა ე. გელოვანს პარალელი გაევლო ქართველებისა და სამხრეთ სლავების მდგომარეობას შრომის და საქართველოს თავისუფლების საკითხი დაეყენებინა. თუ თურქების მიერ სლავების ჩაგვრაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, რატომ არ შეიძლებოდა ხმის ამოღება რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის წართმევაზე, ავტონომიის შესახებ?

მართლაც, 1912 წლის 13 დეკემბერს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის დეკლარაციის საპასუხო სიტყვაში, პირველ სესიაზე, ე. გელოვანმა დააყენა საქართველოს ავტონომიის და რეფორმების საკითხი. იგი ასეთი სიტყვით გამოვიდა: „პატარა ქვეყანამ, რომელმაც მე აქ გამომგზავნა, დამავალა მონაწილეობა მივიღო სრულიად რუსეთის საკანონმდებლო მუშაობაში და ქართველი ხალხის საჭიროების გამომხატველი ვიყო."

საქართველო, - განაგრძო ფედერალისტების დეპუტატმა, - რუსეთის იმპერიაში შედის. ქართველი ხალხი პატივს სცემს რუსულ მეცნიერებას, კულტურას, თავის ბედს რუსეთის უკეთეს მომავალს უკავშირებს. რუსეთის ზოგი პოლიტიკოსი ქართველ ერს სეპარატისტად აცხადებს, მაგრამ ეს სიცრუეა. ჩვენ ქართველები, როგორც რუსეთის მოქალაქენი, დემოკრატიასთან

ერთად ხელჩაკიდებული, მიზნად პოლიტიკური თავისუფლების დამყარებას ეისახავთ, მაგრამ ქართველ ხალხს თავისებური საპოლიტიკო-საზოგადოებრივი საჭიროება და მისწრაფება აქვს.

ცარიზმის ბიუროკრატიამ, - განაცხადა შემდეგ გელოვანმა, - 1801 წელსვე დაარღვია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოქმედება არა როგორც მფარველი. ასი წლის პოლიტიკა ნათლად მოწმობს, რომ ქართველებს ცარიზმის ბიუროკრატიის „იმედი არ უნდა ჰქონდეს," დღევანდელი ორგანიზაცია, დღევანდელი მართვა-გამგეობა არ ეთანხმება ჩვენს ხალხში მომწიფებულ პოლიტიკურ მოთხოვნებს. რუსეთის მთლიანობა მოითხოვს, რომ რუსეთის' იმპერიაში შემავალ ყველა ერს ადამიანური, შესაფერი პოლიტიკური ცხოვრება მიენიჭოს... პოლიტიკური ავტონომია, როგორც მშობლებს, ისე მთელ ხალხს თავისუფალი განვითარების გზაზე დააყენებს.

ბატონებო, - მიმართა ბოლოს ე. გელოვანმა სათათბიროს დეპუტატებს, თქვენ 5 დეკემბერს მხურვალე ტაშით შეხვდით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როცა მან სიყვარულით მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები... ცხადია, ჩემსასაც მიხვდებით... სრული ასი წელია საქართველო ბალკანეთის სლავიანთა მსგავსად დამცირებულია და შეურაცხყოფილი. ცარიზმის ბიუროკრატია ჩვენთვის იგივე იყო, რაც თურქები სლავებისათვის. დარწმუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, ან მოიმოქმედა ცარიზმის ბიუროკრატიამ, იმას რუსი ხალხი და მისი წარმომადგენლები იკისრებენ."

ე. გელოვანის ბრწყინვალე გამოსვლა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით ისტორიული მოვლენა იყო. ქართველმა ხალხმა ოფიციალურად პირველად მოითხოვა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. იმიტომ იყო, რომ ეს ფაქტი დიდი გამოხმაურების საგანი გახდა. მას მხურვალედ მიესალმენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრეები. „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა ვარშავის ქართველი სტუდენტების ღია წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელნი

ვ.გელოვანს ამხნევებდნენ და მოუწოდებდნენ მტკიცედ მდგარიყო თავის პოზიციაზე.

ვ. გელოვანის მიერ ავტონომიის ხსენებას რეაქციონერები ცივად შეხვდნენ. ასეთ შემთხვევაში მემარჯვენეებს სოციალ-დემოკრატების პროგრამა უფრო აწყობდათ, რადგან ისინი რუსეთის განუყოფლობას იცავდნენ. ამასთან დაკაშირებით გაზეთი „იმერეთი“ წერდა, რომ ოფიციალურ რუსეთს ეჩოთირა არა მარტო სახელი „ავტონომია, არამედ თვით სახელიც „საქართველო“, რომელიც არსებობს როგორ კულტურულ-ისტორიული ერთეულიო“. დუმილის და ცივად შეხვედრის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი არ იცნობდა საქართველოს. ასეთ შემთხვევაში „იმერეთის“ კორესპონდენტის აზრით, საჭირო იყო ქართველ დეპუტატების მხრიდან ფრთხილი ლაპარაკი, სიტყვების - „საქართველო“-ს და „ავტონომია“-ს საპარლამენტო ტერმინებად გარდაქმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ისე უნდა ყოფილიფო უზრუნველყოფილი, რომ იგი არ ჩაეთვალათ ანტისახელ-მწიფოებრივად.

ამის გარდა, გაზეთის თქმით, იყო სხვა მიზეზებიც, რომელმაც ზიანი მიაყენა ვ. გელოვანის გამოსვლას. ეს იყო სოციალ-დემოკრატების - ჩხეიძის და ჩხენკელის პოზიცია, მათ შეიტანეს დისონანსი გელოვანის პირველ გამოსვლაში. ჩხენკელი ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა დავალებული ქუთაისის გუბერნიის დემოკრატთა ინტერესების დაცვა და არა გელოვანს, ჩხეიძესთან ერთად ებრძოდა ავტონომიის იდეას, თვლიდა მას რეაქციულ და ნაციონალურ მოთხოვნად.

„ჩხენკელის და ჩხეიძის აზრით, - აღნიშნავდა „იმერეთი“-ს კორესპონდენტი, საქართველოს ავტონომია იმიტომ იყო რეაქციული და ნაციონალური მოთხოვნა, რომ იგი ქართული შოვინიზმის კერად გადაიქცეოდა. „იმერეთის“ კორესპონდენტი ამას უცნაურს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „საქართველოს მომალ ავტონომიას შეიძლება ყველაფერი დაემართოს და იგი

მართლაც შოვინიზმის კერად იქცეს, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გაკეთება მაინც არ შეიძლება, რომ ავტონომიის დანიშნულება შოვინიზმია". მიუხედავად ამისაო, - აგრძელებს გაზეთი, მათ ბრძოლა დაიწყეს და როცა სათათბიროში ვ. გელოვანმა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ავტონომიაზე, მის წინააღმდეგ გაილაშქრესო. ამ გალაშქრებით მათ მოიწადინეს დაენახვებინათ სათათბიროსთვის, რომ გელოვანი არამც თუ საქართველოს ინტერესების გამომხატველი არ არის, არამედ მისი ამომრჩეველი გუბერნიაც კი არ თვლის მას თავის დეპუტატათო. ეს მოქმედება იმით ახსნეს, რომ „გუბერნიის დემოკრატიამ" თავისი ინტერესების დაცვა მათ დააკარეს და არა გელოვანს. აქედან ის დასკვნა გამოყავდათ, რომ თითქოს „გუბერნიის დემოკრატია" ავტონომიის წინააღმდეგი იყო.

ვ. გელოვანის მოთხოვნას საქართველოს ავტონომიის შესახებ ღმუილით შეხვდნენ რეაქციონერები, მათი მიზანი რუსეთის მთლიანობის დაცვა იყო. სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციებზე ლაპარაკობდა, განაცხადა, რომ „სახელმწიფო დაწესებულებანი მოწოდებულნი არიან დაიცვან რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების ძველ-ძველი თვისებანი - მთლიანობა, განუყოფელობა რუსეთის იმპერიისა, უპირატესობა რუსეთის მიწა-წყალი რუსი ხალხისაა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. ეს პროცესი რასაკვირველია არ უარყოფენ კანონის წინაშე თანასწორობას რუსეთის იმ ეროვნებებისა, რომელნიც რუსეთს თავის საკუთარ სამშობლოდ თვლიან და მზად არიან მშვიდობიანი კულტურული მუშაობით ხელი შეუწყონ რუსეთის კეთილდღეობას, რუსეთის ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ რუსეთის ყველა ეროვნება საკმაოდ ჰპოვებს სივრცეს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის".

ვ. გელოვანის სიტყვა ვერ მოინელა გაზეთ „კავკაზსკი სლოვომაც". მას ჯერ კიდევ ქართველი სოციალ-დემოკრატების ადგილობრივი რეფორმების მოთხოვნა არ სიამოვნებდა და

გელოვანის სიტყვამ ხომ მთლად მოსვენება დაუკარგა. ეს რეაქციული გაზეთი აღნიშნავდა, რომ გელოვანი სოციალ-დემოკრატებზე უფრო შორს წავიდა, საქართველოს ავტონომია და ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა მოითხოვაო.

ფედერალისტების დეპუტატი არ შეუშინებია რეაქციონერთა შემოტევას. მან სათათბიროში საშინაო საკითხების განხილვის დროს, 1913 წლის ივნისში, თავის სიტყვაში კვლავ-წამოჭრა ავტონომიის საკითხი, ოღონდ ახლა კავკასიაში მცხოვრები ყველა ცალკეული ერებისათვის. როდესაც კავკასიის მეფისნაცვალს მემარჯვენენი „აბრალებდნენ" ლიბერალიზმს და ადგილობრივი მოსახლეობისადმი დამთმობლობას, ვ. გელოვანმა აღნიშნა, რომ მეფის ნაცვალის მოღვაწეობა ზუსტად შეეფერება შინაგანი პოლიტიკის კურსს. თუ კი არის რაიმე განსვავება, ეს მხოლოდ ის არის, რომ შეიძლება მეფის ნაცვალი თავის პოლიტიკას ატარებდეს უფრო ფრთხილად, ვიდრე სხვა ადმინისტრატორები, დანარჩენის მხრივ კი, არავითარ განსხვავებას არა აქვს ადგილიო. აქვე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 7 წლის წინათ მეფის ნაცვლის დაპირება რეფორმების შესახებ შეუსრულებელია, ადგილობრივ მოსახლეობას არ ღებულობენ ადმინისტრაციულ და სასამართლო თანამდებობებზე, გრძელდება ერთი ერის მეორეზე წასისინების პოლიტიკა. ასეთ პირობებში კავკასია, რომელიც არაჩვეულებრივად მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, წარმოადგენს ჩამორჩენილ მხარეს. მატერიალური თვალსაზრისით იგი მიდის რეგრესის გზით და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ კავკასიაში შემავალ თითოეულ ეროვნულ ერთეულში არ დამყარდება ავტონომიური მმართველობაო.

საქართველოსა და კავკასიაში შემავალი სხვა რეგიონებისათვის ავტონომიის მოთხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. საოცარი ის იყო, რომ რუსეთის ცარიზმი, რომელიც მოწინავე ევროპის საზღვარზე ასე თუ ისე ითმენდა ფინეთის ავტონომიის არსებობას, ჩამორჩენილი აზიის მეზობლად

საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს ზედმეტად თვლიდა, არ უნდოდა მისი სახით მოზიარე ჰყოლოდა ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციის საქმეში.

აფასებს რა ვ. გელოვანის დამსახურებას საკუთარი ერის წინაშე, უცნობი ავტორი წერს: „ვ. გელოვანი თავის პირველსავე საპროგრამო სიტყვაში წარმოჩნდა როგორც ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის იდეის დამცველი და ამავე დროს რუსული პროგრესული დემოკრატიის თანამებრძოლი. მას სურდა თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში. ეს იყო მისი პოლიტიკური პოზიცია“.

საქართველოს ავტონომიას, ხელისუფლების გარდა, არც ქართველი სოციალ-დემოკრატები უჭერდნენ მხარს. ისინი უპირატესად იბრძოდნენ არა ეროვნული, არამედ სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის, რუსეთის მთელი მოსახლეობის ინტერესების დაცვისათვის. საქართველოს საჭიროებას განიხილავდნენ როგორც რუსეთის საჭიროებათა შემადგენელ ნაწილს.

ბრძოლის ასეთ ხაზს, როგორც საერთოდ, ისე სათათბიროში ამართლებდნენ იმით, რომ საერთო საქვეყნო ბრძოლა, სოციალ-ეკონომიკური, თუ ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის, იმავდროულად იყო ბრძოლა რუსეთის იმპერიაში შემავალი ცალკეული ერების ინტერესების დაცვისათვის.

სოციალ-დემოკრატების აზრით, მაგალითად, ქართველ და რუს ხალხს ბევრი საერთო გაჭირვება ჰქონდათ, ორივე ერთნაირად იჩაგრებოდა ბიუროკრატიისა და მემამულეებისაგან, მოკლებულნი იყვნენ თავისუფლებას და ღირსებას. ასთ პირობებში გლეხობის, გინდ მუშების ინტერესების დაცვა, საერთოდ, ნიშნავდა ქართველი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების გლეხების და მუშების ინტერესების დაცვას. ანდა, როცა სოციალ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ მმართველობის სისტემას სათათბიროში, ეს წარმოადგენდა იგივე ქართველი

ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას, რადგან საქართველო რუსეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული და მართვა-გამგეობის პრობლემები ქართველ ხალხსაც აწუხებდა, როცა იცავდნენ სიტყვის თავისუფლებას, ამით იცავდნენ, როგორც ქართულ, ისე რუსულ სიტყვას. როცა იცავდნენ კრებებისა და კავშირების თავისუფლებას, ამას აკეთებდნენ ყველა ერის ინტერესებისათვის. რუსეთისა და განაპირა ქვეყნების პრობლემები ამ შემთხვევაში წარმოადგენდა მთელსა და ერთეულის მიმართვის დიალექტიკას. ამასთან ერთად, სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა იცოდნენ, რომ რუსი ხალხისაგან განსხვავებით ქართველ ხალხს ბევრი ადგილობრივი საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი. კერძოდ ისეთები, როგორიც იყო დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების, ერობის შემოღების, გაუქმების, ერობის შემოღების, გადასახლების შეწყვეტის, მშრომელი ხალხის დაცვის, სასამართლო და სასკოლო რეფორმის გატარების და სხვა საკითხები. ასეთ შემთხვევაში, მათი აზრით, ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის შესახებ ლაპარაკი სათათბიროში შეეძლო მხოლოდ იმ დეპუტატს, რომელიც დაიცავდა, როგორც რუსეთის, ისე ქართველი ხალხის ინტერესებს. ეს იქნებოდა ქართველი და სხვა ეროვნების დეპუტატების კავშირის გარანტია. ასეთ შემთხვევაში დაუჭერდნენ მხარს ქართველ დეპუტატს სხვა ერის წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, განსახილველ საკითხებს არ უნდა გამოეწვიათ რუსეთის მთლიანობის დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები დარჩებოდნენ მარტო და რუსეთის დემოკრატიის სახით დაკარგავდნენ მოკავშირეს. მარტო დარჩენილებს კი თვითმპყრობელობა ადვილად გაუსწორდებოდა.

ამით აიხსნებოდა, რომ ქართველ მენშევიკებს ცალკე არ გააჩნდათ თავისი ეროვნული პროგრამა. ნ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ ჩვენ გვესაყვედურებოდნენ ეროვნული პროგრამის უქონლობის გამო. ეს მართალი იყო, მაგრამ მაშინ მთავარი

იყო ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ეროვნული საკითხის დაყენება, მთავარ საკითხზე ჩამოაშორებდა მასების ყურადღებასო. სოციალური საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლა, ბატონყმური გადმონაშთების მოსპობა, გადასახლების შეწყვეტა, ერობის შემოღება, სკოლასა და სასამართლოში საქმის მშობლიურ ენაზე წარმოება, - იმავე დროს იყო ბრძოლა ეროვნული ინტერესებისათვისო.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებლობა ეროვნული საკითხისადმი მერყეობას განიცდიდა, იგი ევოლუციური ხასიათისა იყო, ცენტრალური პოზიციიდან თანდათანობით დეცენტრალიზაციის გზით წარიმართა. მართალია, რსდმპ 1903 წლის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებმა ეროვნულ საკითხში, უარყო ავტონომიის პრინციპი და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აღიარა, რამაც შეაჩერეს დეცენტრალისტური მისწრაფებანი ქართველ სოციალ-დემოკრატებში, მაგრამ ეს იყო მცირე ხნით.

რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ რუსმა მენშევიკებმა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა კლასისა და პარტიის ერთიანობას დაუჭირეს მხარი. მათ მხარი დაუჭირეს აგრეთვე ერების ავტონომიას. რაკი რუსეთის იმპერიაში შემავალი თითქმის ყველა ერის ბურჟუაზია თავისი ქვეყნისათვის ავტონომიას მოითხოვდა, ქართველმა მენშევიკებმაც მხარი დაუჭირეს ავტონომიის ამ მოთხოვნას, რათა ანტიცარისტული კონსოლიდაცია გაეადვილებინათ.

1905 წლის რევოლუციის წინ ქართველ მენშევიკთა შიგნით გაჩნდა „ავტონომისტთა ჯგუფი", რომელიც მოითხოვდა საქართველოს ეროვნულ ავტონომიას. ჯგუფში შედიოდნენ ვლ. დარჩიაშვილი, ი. გომართელი, ნ. ეგვიტიშვილი და სხვები. რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში და მის შემდეგ პერიოდში ქართველ მენშევიკებში სულ უფრო მეტად მატულობს ავტონომისტური განწყობილება, პარალელურად ძლიერდება მათი გავლენა საქართველოში. ამას მოწმობს

თუნდაც ქართველ მენშევიკ დეპუტატთა პერმანენტული ლიდერობა ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ავტონომისტური განწყობილება მოსვენებას არ აძლევდა ლენინს, ეშინოდა ეს განწყობილება მის მიმდევარ რუსებსაც არ გადასდებოდა. ამიტომ იყო, რომ მან რსდმპ 1907 წლის მესამე ყრილობაზე ლონდონში, სადაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დელეგაციების წევრთა ურთიერთგადაბირების მცდელობას, ნ. ჟორდანიას უთხრა: „ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენ ხალხს, მის ფსიქოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ გვიშლით ხელს ჩვენი საქმეების ჩვენებურად, რუსულად მოგვარებაში. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით. საუბედუროდ, შემდგომში ლენინი საქართველოს საქმეებში არა თუ ჩაერია, არამედ მისი დაპყრობის და მომავალ კომუნისტურ იმპერიასთან შეერთების მთავარ ორგანიზატორად მოგვეელინა, სწორედ რომ „რუსულად მოაგვარა“ საქმე.

ამ პერიოდში ნ. ჟორდანია პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად თეორიულ მუშაობასაც ეწეოდა. იგი თავიდან ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა, მაგრამ შემდეგ ერობის მოწყობის საუკეთესო ფორმად ჯერ ოლქობრივი თვითმმართველობა აღიარა, ხოლო ბოლოს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას მისცა უპირატესობა. 1909 წელს ნ.ჟორდანია წერდა: „ჩემს უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა ნაციონალური საკითხი და მისი გადაჭრის შესაძლებლობა. გამოვდიოდი ისე, როგორც ყველა პატარა, რუსეთის იმპერიის მთლიანობისაგან და ვიცავდი ჩემს პროექტებს ამ საკითხების მოგვარებისას. იმპერიის ფარგლებში კულტურული ავტონომია მიმაჩნდა უდავოთ (არასაკამათოდ-ავტ.) ყველა ერისათვის; ხოლო ტერიტორიული ავტონომია-სადაოდ (საკამათოდ-ავტ.).

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეას მხარს უჭერ-

და მენშევიკური პრესაც. გაზეთი „ლამპარი“ ოპტიმისტურად წერდა: „ჩვენი დეპუტატები დუმისაგან დღესვე მოითხოვდნენ იურიდიულ ნორმებს, რომელიც მიმართული იქნება ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და თავისუფალი ეროვნულ-კულტურული განვითარებისათვის.“

რსდმპ მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებით ნირწამხდარი ქართველი მენშევიკები XX ს. 10-იანი წლების მიჯნაზე უკვე იწყებენ თანდათანობით გონს მოსვლას, მათმა დიდმა ნაწილმა ნ. ჟორდანიას მეთაურობით, პირი იბრუნა და დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული ავტონომიის ქადაგება. ეროვნული ნიჰილიზმის ყინულმა გალღობა დაიწყო, რასაც მიესალმა ა. ჯორჯაძე და გამოთქვა რწმენა, რომ მალე მოხდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ფრაქციის მიერ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აღიარება, ამ ავტონომიის ნიადაგზე მათი შეთანხმება ფედერალისტებთან და სხვა ავტონომისტებთან, რაც იქნებოდა დიდი ეროვნული საქმე. ამის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, ამ ხანებშიქართველმა მენშევიკებმა და ფედერალისტებმა გამონახეს საერთო ენა, წინა პლანზე ეროვნული საკითხი და ავტონომია წამოსწიეს, მაგრამ ფაქტიურად ჯერ კიდევ შორს იყო ნამდვილი შეთანხმება გაერთიანების შესაძლებლობა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრის თანდათანობით შემობრუნება ეროვნული საკითხის სასარგებლოდ რამდენადმე სახელმწიფო სათათბიროშიც გამოიკვეთა. ისინი მართალია, თავიანთი პროგრამიდან გამომდინარე, კელავ ინტერნაციონალურ პოზიციაზე რჩებოდნენ, მაგრამ ამასთან ერთად, თანდათანობით რწმუნდებოდნენ იმაში, რომ იმპერიაში მცხოვრებ ერებს უნდა მისცემოდათ თავისუფლება, თუმცა უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო სათათბიროს ქართველმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს პოლონეთის და ფინეთის ავტონომიას, მაგრამ საქართველოს ავტონომიაზე თავი შეიკავეს. პეტერბურგში ი. ჭავჭავაძესთან

შეხვედრების დროს ი. რამიშვილმა განაცხადა, რომ ის და მისი თანამოაზრეები საქართველოს ავტონოიის საკითხს არც მხარს დაუჭერდნენ და არც მის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. ს. წერეთელმა გაზეთ „დვადცატი ეეკის" თანამშრომელს უთხრა, რომ კავკასიაში არ შეიძლებოდა ავტონომიური ოლქების შექმნა, რადგან იქ მრავალი ერი ცხოვრობდა, რაც შეეხება პოლონელებს, მათ ქართველს სოციალ-დემოკრატები მხარს დაუჭერდნენ ავტონომიის მოპოვებაში.

ს. წერეთელის ნათქვამი წინააღმდეგობრივი იყო, რადგან მოსახლეობის მხრივ პოლონეთი უფრო ჭრელი იყო, ვიდრე საქართველო. პოლონეთში იმ დროს პოლონელები შეადგენდნენ 57,7%-ს, ხოლო საქართველოში ქართველები - 62,4%-ს.

ქართველი სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ პოლონეთის ავტონომიას იმიტომ, რომ სწამდათ პროლეტარიატი გაუთვითცნობიერებელი იყო და მიყვებოდა საკუთარ ბურჟუაზიას. ავტონომიის შემთხვევაში, ანუ რუსეთისაგან გამოყოფილ პოლონეთის დამოუკიდებელ 'სახელმწიფოში, პოლონეთის პროლეტარიატი საკუთარ ზურგზე გამოსცდიდა პოლონელი ბურჟუაზიის მართვას. ასეთ შემთხვევაში პოლონეთის პროლეტარიატი უშუალოდ დაუპირისპირდა საკუთარ ბურჟუას. ავტონომიის შემთხვევაში, ანუ რუსეთისაგან გამოყოფილ პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში, პოლონეთის პროლეტარიატი საკუთარ ზურგზე გამოსცდიდა პოლონელი ბურჟუაზიის მათრახს. ასეთ შემთხვევაში პოლონეთის პროლეტარიატი უშუალოდ დაუპირისპირდა საკუთარ ბურჟუაზიას, და არა რუსეთისას.ე.ი. პოლონეთის პროლეტარიატი დაინახავდა, რომ მას არა მარტო რუსეთის ბურჟუაზია ჩაგრავს, არმედ საკუთარი ბურჟუაზიაც. იგი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბურჟუაზია ყველგან მჩაგვრელია, თუნდაც ეროვნული იყოს.

არარუსი ერების უფლებების, მათი ყოფისა და კულტურის დასაცავად მეორე სახელმწიფო სათათბიროში მტკიცედ იბრძოდა ი.წერეთელი. იგი მხარს უჭერდა ჩაგრული ხალხების

„ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმართველობას“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმპერიაში მცხოვრებ ერებს ადგილობრივი საქმეების მართვა-გამგეობაში მიცემოდათ დამოუკიდებლობა, ყოველგვარი საშინაო საკითხები გადაეწყვიტათ ცენტრის ჩარევის გარეშე, რაც ფაქტიურად დეცენტრალიზაციის აღიარება იყო.

„ინოროდცების“ უფლებების დასაცავად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდნენ მესამე სახელმწიფო სათათბიროს ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები კ.ჩხეიძე და ე.გეგეჭკორი. მათ ხმა აღიმაღლეს ფინეთის ავტონომიის გაუქმების კანონპროექტის წინააღმდეგ, აღნიშნეს, რომ ამის უფლება სათათბიროს კი არა, მარტო ფინეთის სეიმს ჰქონდა. ე.გეგეჭკორმა თავის სიტყვაში მემარჯვენეთა მისამართით განაცხადა: „თქვენ ამბობთ, რომ პოლონეთის ავტონომია იმიტომ გავაუქმეთ, რომ რუსეთის ოპოზიციას წარმოადგენდაო. ჩვენ ამის საწინააღმდეგოდ ვამტკიცებთ, რომ პოლონეთის აჯანყებამდეც მოსპობდით მის ავტონომიას. თქვენ აქ მაინც მოხვიდოდით ისეთი კანონ-პროექტებით, როგორც მოდით დღეს ფინეთისათვის, ამის ცოცხალი მაგალითია საქართველო, რომელმაც ნებით დაუკავ-შირა თავისი ბედი რუსეთს, მაგრამ რა არის ამ პოლიტიკური ნაბიჯის შედეგი? ის, რომ საქართველოში დღემდე არსებობს ბატონყმური ურთიერთობანი და შუა საუკუნეების სხვა მრავალი გადმონაშთი. თქვენ ამბობთ, პოლონეთში კათოლიციზმს ვებრძვით მართლმადიდებლობისათვისო, მაგრამ საქართველოში ვისი ინტერესებისათვის ებრძვით ქართველ მართლმადი-დებლობას?

ე.გეგეჭკორმა ფინეთისა და პოლონეთის ავტონომიაზე საუბრისას განგებ აუარა გვერდი საქართველოს ავტონომიის საკითხს, თუმცა სხვა კონტექსტით მისი მდგომარეობა წარმო-აჩინა, აჩვენა, რომ საქართველო რუსეთის მიერ მოტყუებული და ანექსირებულია. რატომ მოიმოქმედა ეს? იმიტომ, რომ

საერთოდ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა იცოდნენ, რომ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა სათათბიროში სახელს გაუტეხდა ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამცველებს და მათ „ნაციონალისტებად" გამოიყვანდა, ჩამოაშორებდა რუსეთის დემოკრატიულ მოკავშირე ძალებს, პოლონეთის და ფინეთის ავტონომიის მხარდაჭერით კი ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე რჩებოდნენ, ხმას იმაღლებდნენ სხვა ერების უფლებების დასაცავად. ეს იყო მათი ერთგვარი ტაქტიკური ნაბიჯი, რომელსაც შემდეგ თანდათანობით უნდა მოპყოლოდა საქართველოს ავტონომიაზეც ლაპარაკი. ცარიზმი ქართველი მენშევიკი დეპუტატების სახით ქართველი ერის უფლებების პოტენციურ დამცველებს ხედავდა.

მიხ. წერეთელი ე.გეგეჭკორზე წერს: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში იგი დიადი ვითარცა ქართველი დეპუტატი იცავდა პოლონეთისა და ფინეთის ეროვნულ უფლებებს რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ და ამიტომაც იწვევდა რისხვას რუს მემარჯვენე პოლიტიკოსთა, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ თუ დღეს ქართველი სოციალ-დემოკრატი პოლონეთის და ფინლანდიის უფლებებს იცავს, ხვალ მას სოციალ-დემოკრატობა არ დაუშლის, რომ თავისი ერის უფლებანი უფრო ენერგიულად დაიცვას და რუსეთს მისი აღდგენა მოსთხოვოს, ამხილოს მის მიერ ფიცის გატეხა საქართველოს მიმართ ამ ქვეყნის შეერთების დროს და მის შემდეგ, მისი სასტიკი და უკანონო ბატონობა მოტყუებულ უცხო ქვეყანაში".

საინტერესოა ე.გეგეჭკორის თანამებრძოლის კ.ჩხეიძის შეხედულების ევოლუცია. თავიდან მას ეროვნულ საკითხში ცენტრალური პოზიცია ეკავა, მაგრამ შემდეგ მის აზროვნებაში თანდათან ხდება შემობრუნება ეროვნული საკითხის დეცენტრალისტური პოზიციისაკენ. მესამე სახელმწიფო სათათბიროში წაკითხული სტოლიპინის დეკლარაციასთან დაკავშირებით კ.ჩხეიძემ აღნიშნა: „ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ

საკითხს ვეკიდებით, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივს. კანონიერი მოთხოვნა ყველა ეროვნებისა, რომელნიც შედიან რუსეთის იმპერიაში, უნდა დაკმაყოფილდეს დემოკრატიული ინსტიტუტების შემოღებით და ცხოვრებაში ფართო დემოკრატიული საწყისების გატარებით".

რა შეიძლება ყოფილიყო ამ შემთხვევაში ყველა ეროვნებისათვის, მათ შორის ქართველი ერისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტები? უპირველეს ყოვლისა, საჯაროდ არჩეული ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც დამოუკიდებლად, ცენტრის ჩარევის გარეშე, თვითონ გადაწყვეტდნენ ერის შინაურ საქმეებს, ხელს შეუწყობდნენ ეროვნული კულტურის განვითარებას. მაშასადამე, კ.ჩხეიძე ამ შემთხვევაში მხარს უჭერს ფართო ადგილობრივ არაპოლიტიკურ თვითმმართველობას ისე, რომ არც „საერთო-სახელმწიფოებრივ" ინტერესებს ივიწყებს.

ადგილობრივი თვითმართველობის და ეროვნული კულტურის განვითარების მოთხოვნები კ.ჩხეიძის შემდგომ გამოსვლებში უფრო დაკონკრეტდა და პირდაპირ გაცხადდა. კერძოდ ეს მოხდა 1908 წელს, როცა მესამე სახელმწიფო სათათბიროში რუსმა რეაქციონერმა დეპუტატებმა კავკასიის შესახებ შეკითხვა შეიტანეს და თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისთვის მებრძოლი ქართველი ხალხი სეპარატისტებად და ავტონომისტებად გამოაცხადეს. კ.ჩხეიძემ თავის საპასუხო გამოსვლაში აღნიშნა, რომ რეპრესიების ნაცვლად, საქართველოსა და კავკასიაში, საჭირო იყო„ფართო ადგილობრივი თვითმართველობის დაუყოვნებლივ შემოღება," ეროვნული კულტურის და ენიხ განვითარება, აგრეთვე მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების გადაჭრა.

კ.ჩხეიძის მიერ ადგილობრივი თავითმმართველობის ანუ მმართველობის დეცენტრალიზაციის, ეროვნული კულტურის და ენის განვითარების მოთხოვნა, ფაქტიურად იყო კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისათიეს მხარდაჭერა, რადგან ადგი-

ლობრივი თვითმმართველობიდან კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. როცა ერი კარგავს დამოუკიდებლობას, მან კულტურაში უნდა ჰპოვოს თავისუფლება, კულტურით დაიცვას და შეინარჩუნოს თავისთავადობა, თავის წიაღში მოამზადოს ახალი სამოქმედო გეგმა.

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ჩხეიძემ თქვა: „დარწმუნებული ვართ, დადგება დრო, როცა ჩვენ ამ ტრიბუნიდან ავლაპარაკდებით", თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ კავკასიაში მცხოვრებმა თითოეულმა ერმა თავისუფლად განავითაროს თავისი უნარი, სულიერი და მატერიალური ძალები. საჭიროა თუ არა მისთვის ავტოკეფალია, საჭიროა თუ არა მისთვის ავტონომია, საჭიროა თუ არა მისთვის სხვა რომელიმე ფორმა - ჩვენ ამის შესახებ თავის დროზე გეტყვით." აქედან ჩანს, რომ კ.ჩხეიძისათვის უცხო არ ყოფილა ავტონომია, ოღონდ ეგ იყო, რომ უცდიდახელსაყრელ მომენტს მისი ოფიციალური მოთხოვნისათვის.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა, ის საჭიროდ თვლიდა თვით რუსი ხალხის განთავისუფლებას, რადგან მისი თქმით, „როცა რუსი ხალხის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას ტანჯულ მოძმეთა გასათავისუფლებლად წავიდეს".

კ.ჩხეიძის აზრით კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის სასარგებლოდ შემობრუნება ნათლად გამოჩნდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დასაწყისში, როცა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთავრობის დეკლარაციის საპასუხოდ საკუთარი დეკლარაცია წაიკითხა და ფრაქციაში შემავალმა 7 მენშევიკმა დეპუტატმა 6 ბოლშევიკი დეპუტატის წინააღმდეგ არარუსი ერების კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას დაუჭირა მხარი. ამ შვიდეულში კ.ჩხეიძეც შედიოდა, უფრო მეტიც, არა თუ შედიოდა, არამედ წამყვან როლსაც კი ასრულებდა მთელს ფრაქციაში. მაშასადამე, ბუნებრივად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ დროს კ.ჩხეიძე იცავდა

კულტურულ ნაციონალურ ავტონომიას, ხელს აწერდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადებას აღნიშნული ავტონომიის მოთხოვნაზე. ამიტომ კ.ჩხეიძისათვის მარტო იმის მიწერა, რომ იგი სათათბიროს მოღვაწეობის პერიოდში „გამოდიოდა პეტერბურგში მუშათა გაფიცვების, ხოლო საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ", მთლად მართებული არ ჩანს. იგი ეროვნულ საკითხზეც ზრუნავდა, თუმცა ამას ერთგვარი სიფრთხილით აკეთებდა.

ეროვნულ საკითხში შესამჩნევად გამორჩეული პოზიცია ეკავა მენშევიკების ერთ-ერთ ლიდერს, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ა.ჩხენკელს. იგი ადრე გაემიჯნა საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნას და სათაყვანოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომია გაიხადა.

1912 წლის 15 ნოემბერს მუშაობა დაიწყო მეოთხე სახელმწიფო-სათათბირომ. მის ერთ-ერთ სხდომაზე წაკითხულ იქნა მთავრობის დეკლარაცია, რომელმაც ქართველი დეპუტატების აღშფოთება გამოიწვია, რადგან მასში არაფერი იყო ნათქვამი საქართველოსა და კავკასიაში მეფის ნაცვლის მიერ ადრე დანაპირები რეფორმების გატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით კ.ჩხეიძემ, ა.ჩხენკელმა და ფედერალისტმა ვ.გელოვანმა მკაცრად გააკრიტიკეს მთავრობა და შეკითხვა შეიტანეს, სათათბიროში, სადაც მოითხოვდნენ განმარტებას, თუ რა იყო რეფორმების უგულებელყოფის და ეროვნული ჩაგვრის გაძლიერების მიზეზი. ეს იყო სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელი ქართველი დეპუტატების ერთობლივი, შედარებით ორგანიზებული გამოსელა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სათათბიროში და წარმოადგენდა ამ ხანებში სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ერთგვარი დაახლოების მაგალითს. ამ პარტიის წარმომადგენლები გამოვიდნენ როგორც „ქართველი დეპუტატები, რომლებიც თავისი ამომრჩეველების სახელით პროტესტს აცხადებდნენ

ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოსა და კავკასიაში“.

მთავრობის დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შეუდგა საპასუხო დეკლარაციის შედგენას, მაგრამ ვინაიდან ფრაქცია, როგორც უკვე აღნიშნეთ, 7 მენშევიკისა და ნბოლშევიკისაგან შედგებოდა, დეკლარაციაზე მუშაობისას მათ შორის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა თითოეული ფრაზისათვის. ბრძოლა განსაკუთრებით ეროვნულ საკითხზე გამწვავდა. მენშევიკები იცავდნენ კულტურულ - ნაციონალურ ავტონომიას, ხოლო ბოლშევიკები - ერთა თვითგამორკვევის პრინციპებს. ერთი ხმის უპირატესობით დეკლარაციაში მენშევიკების მოთხოვნა იქნა შეტანილი. ამან ბოლშევიკების უკმაყოფილება გამოიწვია.

მალე ა.ჩხენკელმა მთავრობის დეკლარაციის გამო სათათბიროში წაიკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საპასუხო დეკლარაცია და განაცხადა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს არარუსი ერების კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასო. ამ განცხადებას მიესალმნენ ბუნდელები და ზოგიერთი სხვა მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები. ბოლშევიკების ლიდერმა ვ.ლენინმა კი ისტერიული განგაში ატეხა. მან ა.ჩხენკელის მოთხოვნა მიიჩნია სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის გაუქმების მცდელობად, რადგან მისი თქმით, კულტურულ - ნაციონალური ავტონომიის იდეა პარტიის მიერ ჯერ კიდევ 1903 წელს იქნა უარყოფილი. ლენინის მტკიცებით სოციალა-დემოკრატიული ფრაქციის 7 მენშევიკი დეპუტატის განცხადება იყო გადახრა ლიკვიდატორებისაკენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით გათიშვის მზადება, ნაციონალისტობისაკენ სწრაფვა.

მაშასადამე, ავტონომიის იდეის წინააღმდეგ იბრძოდა არა მარტო მეფის მთავრობა, არამედ, ბოლშევიკებიც ლენინის მეთაურობით. ავტონომიის უარყოფით ბოლშევიკები და მათი ლიდერები ცარიზმის მოკავშირეებად გამოდიოდნენ.

ა.ჩხენკელი თავისებურ ფიგურას წარმოადგენდა სათათ-ბიროში. მას ცენტრალისტური პოზიცია ეკავა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, მხარი დაეჭირა კულტურულ-საციონალური ავტონომიისათვის, ყველა ქართველის ერთიანობისათვის. მის აზროვნებას ახასიათებდა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შეხამების ტენდენცია. ეროვნულ საკითხზე ლაპარაკისას მას მხედველობაში ჰყავდა არა მარტო ქართველი ხალხი, არა ერთი რომელიმე ერი, არამედ მთელს იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერები. ამასთან, იგი უყურადღებოდ არ სტოვებდა სოციალურ საკითხსაც. მისი აზრით, სოციალური და ეროვნული ბრძოლა პირველ-მეორადობის რიგის მიხედვით კი არ უნდა წარმართულიყო, არამედ ერთდროულად, თანაბრად. თავისი შეხედულება ა.ჩხენკელმა სათათბიროში ასე ახსნა: „მე თვითონ ვარ ჩაგრული ერის წარმომადგენელი, კერძოდ ქართველი ერის და საკუთარ თავზე ვცდი ყოველგვარ არაადამიანურ ნაციონალურ ჩაგვრას. ასე, რომ უგუნურებაა ამტკიცო ინდეფერენტიზმი იმის მიმართ, რასაც უშუალოდ განიცდი. ჩემი მსოფლმხედველობა არაფრით მეწინააღმდეგება, მე დავდგე კულტურის სადარაჯოზე. პირიქით, ჩემი ხალხის ინდივიდუალობა მიკარნახებს მტკიცედ ვემსახურო ამ ამოცანებს. მაგრამ დაიცვაშენი ხალხი ეროვნული ჩაგვრისაგან, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ჯერ ერთი, თვალი დახუჭო სოციალური ბრძოლის წინაშე, რომელიც წარმოებს ხალხებს შიგნით; მეორე, დაივიწყო მთელი ხალხის საერთო ინტერესები, რომლითაც დასახლებულია მთელი რუსეთი“.

მაშასადამე, მისი თქმით, არცერთი ერის თავისუფლების მოპოვება არ შეიძლება საერთო პოლიტიკური და საერთო მოქალაქეობრივი თავისუფლების მოპოვების გარეშე.

თავის თანამოაზრეებს შორის ა.ჩხუნკელი ბევრი განსაკუთ-რებული თვისებების მატარებელი კაცი იყო, რომელიც მას დადებით და სამაგალითო პიროვნებად წარმოაჩენდა. გ.წერე-თელი ა.ჩხენკელის შესახებ წერს: „ადამიანი არაჩვეულებრივი

ზრდილობისა და სიდარბაისლის, ჩვენს პარტიაში ითვლებოდა დისციპლინის კაცად, მაგრამ იდეოლოგიურად იცავდა ქართველობის ერთობას ყველა პირობებში. თუ სოციალიზმის ეკონომიკურ პროგრამას იზიარებდა ურეზერვოდ, სამაგიეროდ ეროვნულ საკითხში მას ჰქონდა სულ სხვა მიდგომა, რომელსაც ნიჭიერად იცავდა“.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ეროვნული საკითხისკენ შემობრუნების მიუხედავად, მათ ინერციით კვლავ მკაცრად აკრიტიკებდა ფედერალისტური პრესა. ამ მხრივ გამოირჩეოდა „იმერეთი“, რომელსაც როგორც ჩანს, კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა და მენშევიკი დეპუტატისაგან უფრო მეტს მოითხოვდა, კერძოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას. „ქართველი სოციალ-დემოკრატები, წერდა გაზეთის კორესპოდენტი, ცენტრალურ სახელმწიფოს, რუსეთის იმპერიის ერთიანობას უჭერენ მხარს. ისინი არა თუ საქართველოს სრულ გამოყოფასა და დამოუკიდებლობაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიასაც კი უარყოფენ“. თავის მხრივ, დიდ პიროვნულ შეუთავსებლობას ავლენდნენ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ფედერალიტების დეპუტატ ე.გელოვანთან.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ა.ჩხენკელმა მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას და რუსეთისაგან მის გამოყოფას. სექტემბერში პეტროგრადში გამართულ დემოკრატიულ თათბირზე, მან ქართველი ერისა და ყველა პარტიის სახელით მოითხოვა ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა, ანუ ავტონომია. უნდა ითქვას, რომ ამ მომენტიდან ავტონომიის სხვადასხვა ფორმებს რსდმპ (მენშევიკები) ყველა ყრილობა თუ კონფერენცია უჭერდა მხარს.

ამრიგად, ფედერალისტებმა შეძლეს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნის გამოყენება თავის სასარგებლოდ, მათმა

დეპუტატმა მოითხოვა საქართველოს ავტონომია. ეს იყო ისტორიული მომენტი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ისახებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა, მაგრამ ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას ხვდებოდა თვითმპყრობელობის და რეაქციონერთა მიერ ავტონომიის საწინააღმდეგოდ საგულდაგულოდ მომზადებული ცივი ნიადაგი, რაც ქართველი ხალხის დიდი ნაწილის ოცნების გაღვივების საშუალებას არ აძლევდა.

თავიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები არ თანაუგრძნობდნენ საქართველოს ავტონომიას, იცავდნენ მთელი რუსეთის მშრომელთა ერთიანობის პრინციპს. საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებს განიხილავდნენ იმპერიაში შემავალი ხალხების საჭიროებათა ფონზე, რასაც უნდა უზრუნველეყო რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის შენარჩუნება.

შემდეგ თანდათან, მოვლენათა განვითარების კვალობაზე, მათ თავიანთ გონებაში გადახარშეს ადრინდელი შეხედულება და საბოლოოდ მიხვდნენ, რომ რუსეთის იმპერიაში მთავარი კლასთა ბრძოლა, ანუ სოციალური საკითხი კი არა, არამედ ეროვნული საკითხი იყო. ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებიდან ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაწილი ჯერ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის აღიარებამდე (XXს.10-იანი წლები), ხოლო შემდეგ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნამდე მივიდა (1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ). მათ მიერ თავიდან ეროვნული საკითხისადმი გამოჩენილი „უყურადღებობა", რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ძალებთან პოლიტიკური ალიანსის შენარჩუნების მიზნით იყო ნაკარნახევი.

ქარველი მენშევიკების აზრის ევოლუციამ ეროვნულ საკითხში თავისი გამოხატულება ჰპოვა რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში, როცა მათ ყველა ერისათვის მხარი დაუჭირეს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას. ამან თითქოს

დაახლოვა ქართველი სოციალ-დემოკრატი და ფედერალისტი დეპუტატები სათათბიროში, რაც გამოვლინდა მთავრობის წინააღმდეგ მათ მედგარ და ერთობლივ ბრძოლაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო ისეთი დაახლოება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის კინკლაობას. ამ პარტიათა დეპუტატები ჯერ კიდევ ბევრ ბრალდებებს უყენებდნენ ერთმანეთს, რაც თავის ასახვას პრესაში პოულობდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულმა ამ უარყოფითმა ტენდენციამ კი იმხანად ხელი შეუშალა ქართველი ერის კონსოლიდაციას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეს, თუმცა ბლოკი აღნიშნულ პარტიებს შორის ოქტომბრის რევოლუციამდე მაინც შეიკრა.

დასკვნა

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები პოლიტიკურ სისტემასაც შეეხო. ქვეყნის დემოკრატიული განახლების ილუზიის შესაქმნელად ცარიზმმა ბულიგინის სათათბიროს მოწვევა გადაწყვიტა. რომლის ფუნქცია ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა უნდა ყოფილიყო და არა კანონის მიღება. მთავრობის ამ ხრიკმა მშრომელები ვერ შეაცდინა, მათმა რევოლუციურმა გამოსვლებმა კიდევ უფრო იმატა. ამიტომ მეფე იძულებული გახდა, მორიგ დათმობაზე წასულიყო და 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ახალი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის პირობა დაედო. ამით თავიდან აეცილებინა რევოლუცია, თავისკენ მიეზიდა ბურჟუაზია და გლეხობა.

მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს ევროპის ქვეყნებში არსებულ პარლამენტს ადარებდა (უტოლებდა), მაგრამ სინამდვილეში სათათბირო თავისი კომპეტენციის შეზღუდულობისა და მახინჯი მხერეების გამო ნამდვილი პარლამენტი არ იყო. მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის პირობებში „სახალხო წარმომადგენლობის“ ინსტიტუტის დაარსება მაინც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი იყო რუსეთის მოძველებული პოლიტიკური სისტემის ახალი ელემენტი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამამტკიცებელი და ქვეყნის განახლებისათვის დემოკრატიული ძალების ბრძოლის ასპარეზი.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1905 წლის საარჩევნო კანონის საფუძველზე ტარდებოდა. იგი უპირატესობას არჩევნებში შეძლებულ კლასებს ანიჭებდა, თუმცა ხელისუფლება გლეხობის მონარქისტულ ილუზიებსაც ითვალისწინებდა და ზოგან მათაც საკმაო შესაძლებლობას აძლევდა არჩევნებში მონაწილეობისათვის.

ცარიზმი კავკასიაში, დღიდან მისი დაპყრობისა, კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა. ძარცვავდა მხარეს, აბუჩად იგდებდა

და ამცირებდა ადგილობრივ მოსახლეობას. აქ მცხოვრები ხალხი არ მიაჩნდა სრუსფასოვან ადამიანებად. მისი დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკა ერთხელ კიდევ ნათლად გამოელინდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში კავკასიის მონაწილეობის საკითხში. მთავრობა თავიდან სახელმწიფო სათათბიროს კავკასიაში არჩევნების ჩატარებაზე უარს ამბობდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის აქტიური ბრძოლის შედეგად მან საბოლოოდ ხელი აიღო ამ უსამართლო განსრახვაზე.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საქართველოს მრავალი პოლიტიკური პარტია და ჯგუფი მონაწილეობდა. მათ შორის იყო როგორც ქართული პოლიტიკური პარტიები, ისე რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები. ყველაზე ძლიერსა და გავლენიანს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთა წარმოადგენდა. მეორე ადგილი ამ მხრივ სოციალ-ფედერალისტურ პარტიას ეკავა, შემდეგ მოდიოდნენ კადეტები და სხვები.

პარტიებს განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ. ამიტომ სახელმწიფო სათათბიროსადმი მათი დამოკიდებულებაც განსხვავებული იყო.

ქართული პოლიტიკური პარტიები (ფედერალისტური, ქართული დემოკრატიული) პარლამენტარიზმის იდეას უჭერდნენ მხარს, ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის ფორმად თვითმმართველობას თელიდნენ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მეშვეობით ფიქრობდნენ საქართველოს ავტონომიის მოპოვებას, თუმცა იგი ნამდვილ პარლამენტად არ მიაჩნდათ.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს სათათბიროს გამოყენება სურდათ სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისა და ხალხის რევოლუციური მომზადებისათვის. ფედერალისტების მსგავსად, არც ისინი თელიდნენ სათათბიროს ნამდვილ

პარლამენტად, მაგრამ მათი აზრით, დამფუძნებული კრების მოწვევამდე, საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის იგი კარგი საშუალება იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები, ან ეროვნული ორიენტაციის იყვნენ, ანდა მათში ძლიერდებოდა ეროვნული ორიენტაცია. ეს ტენდენცია სოციალ-დემოკრატებშიც შეიმჩნეოდა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის ცხარე დავა მიმდინარეობდა საარჩევნო-საპარლამენტო ბლოკის თაობაზე. ფედერალისტებს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლისა და საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის საჭიროდ მიაჩნდათ ბლოკი მონათესავე პარტიებთან, მათ შორის სოციალ-დემოკრატებთანაც კი. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელნი არ თანაუგრძნობდნენ ბლოკის იდეას, ფედერალისტურ პარტიას თვლიდნენ ბურჟუაზიულ პარტიად, რაც სწორი არ იყო. პოლტიკურ პარტიებს შორის ურთიერდაპირისპირება და ბრძოლა მათ ძალებს ასუსტებდა და ცარიზმს საქართველოში ბატონობას უადვილებდა.

ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საქართველოდან საერთო წარმატება მენშევიკებს ჰქონდათ. ამის მიზეზი არც ქართველი გლეხის გასოციალისტება და არც სოციალ-დემოკრატების ხალხში მუშაობის კარგი ორგანიზაცია იყო, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ. ცხადია, ეს ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატების წარმატებას არჩევნებში, მაგრამ გადამწყვეტს არ წარმოადგენდა. მათი გამარჯვების ძირითადი მიზეზი, გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა იყო. უმიწობა და მცირემიწიანობა აიძულებდა გლეხობას, ყური დაეგდო სოციალ-დემოკრატებისათვის, რომლებიც თავისი პროგრამის განხორციელებას უპირველეს ყოვლისა, მშრომელი მასების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში ხედავდნენ, ქართველი გლეხების ძირითადი მასისათვის ამ პრობლემებზე საუბარი

უფრო გასაგები იყო, ვიდრე ეროვნული თავისუფლების მოპოვების მაღალ იდეალებზე, რასაც ფედერალისტები ქადაგებდნენ. ამიტომ გლეხთა ნაწილი სოციალ-დემოკრატებს უჭერდა მხარს. ეს უკანასკნელნი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში გამარჯვებას სწორედ გლეხთა ხმებით აღწევდნენ. სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერად აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში, ზოგჯერ სომეხი ბურჟუაზიაც გამოდიოდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მოღვაწეობა სათათბიროებში დაფუძნებული იყო გარკვეულ ტაქტიკაზე, რომლის არსი იყო არსებული რეჟიმის და მთავრობის მკაცრი კრიტიკა და მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის სახელით ლაპარაკი, საქართველოს პრობლემების დაკავშირება საერთო-საქვეყნო პრობლემებთან. ქართველი სოციალ, დემოკრატების მუშაობის ასეთი ტაქტიკა შეკითხვებშიც ვლინდებოდა და წითელი ზოლივით გასდევდა ოთხივე მოწვევის სათათბიროს.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან მომავალი კრიტიკა მთავრობას მოსვენებას უკარგავდა. ამიტომ მან პირველი და მეორე სათათბირო გარეკა და 1907 წლის 3 ივნისს ახალი რეაქციული საარჩევნო კანონი გამოსცა. იგი კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფდა თავადაზნაურობის პოზიციის გაძლიერებას სათათბიროში, დიდ უპირატესობას ანიჭებდა მსხვილ ბურჟუაზიას. ამავე დროს სათათბიროში გლეხთა და მუშათა, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლობა კიდევ უფრო იზღუდებოდა.

უარს ამბობდა რა თავის დათმობაზე, თვითმპყრობელობა მიისწრაფოდა დაებრუნებინა ის წყობილება, რომელიც რევოლუციამდე არსებობდა. 1905 წლის რევოლუციით წელგატეხილი ცარიზმი ძალას იკრებდა, მემამულეებსა და კაპიტალისტებს უერთდებოდა მესამე სახელმწიფო სათათბიროში და ხელახლა შეჰქონდა რუსეთში ძველი წესები.

იგულისხმება, ცარიზმს უკვე არ შეეძლო მთლიანად მოესპო სათათბირო ახალ პირობებში, რევოლუციის შემდეგ იგი მისთვის აუცილებელი იყო ბურჟუაზიასთან კავშირის განსამტკიცებლად. ეს ნიშნავდა, რომ თვითმპყრობელობა ამ პერიოდში ახალ ნაბიჯს დგამდა ბურჟუაზიული მონარქიისაკენ.

3 ივნისის მონარქიის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ის წარმოადგენდა თვითმპყრობელობის ცდას შეგუებოდა ეპოქის ბურჟუაზიულ მოთხოვნებს, უზრუნველეყო ცარიზმის და შავრაზმელი მემამულეების ინტერესები სოფლის ბურჟუაზიულ ზედაფენებთან და საავჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის მესვეურებთან ფართო, ღია და სისტემატიური კავშირის გატარების გზით. მოიგერია რა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლის შემოტევა, თვითმპყრობელობა შეეცადა საბოლოოდ დამდგარიყო კაპიტალიზმის განვითარების გზაზე და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა ბურჟუაზიული მონარქიისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ამას უხალისოდ აკეთებდა. იგი იძულებული იყო სათათბიროში შეენარჩუნებინა ოქტიაბრისტების და „მემარცხენე" კადეტების უმრავლესობა. ამ უკანაკნელის არსებობა კაპიტალიზმის პირობებში უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. „მემარცხენეთა" უმრავლესობა სათათბიროში ქმნიდა რუსეთის სახელმწიფო წყობილების „ევროპეიზაციის" მოჩვენებითობას, რასაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა თვითმპყრობელობის პრესტიჟის დასაცავად ევროპული ბურჟუაზიის თვალში და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის. ამიტომ ზოგჯერ ცარიზმი წმინდა ტაქტიკური მოსაზრებით ცდილობდა „დაეცვა" რუსული კაპიტალზმი ძირითადი კლასის-მემამულეებისაგან.

ამასთან ერთად, ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა, არ მიეცა რუსეთი ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, არ დაეშვა იგი რეალურ პოლიტიკურ ხელისუფლებაში. ამიტომ ერთი მხრივ, თვითმპყრობელობა ეთამაშებოდა ბურჟუაზიას და „ითმენდა" სათათბიროს, ხოლო მეორე მხრივ, ინარჩუნებდა თვითონ

მემამულე კლასებთან ერთად ყველა მბრძანებლურ პოზიციას ქვეყნის პოლიტიკურ წყობაში. მემამულეები მბრძანებლობდნენ, წყვეტდნენ, ბჭობდნენ, ამ კლასის ყოვლისშემძლეობა უდიდესი იყო. ამრიგად, ამ ეტაპზე რუსეთის წყობის პოლიტიკური არსი უცვლელი დარჩა.

3 ივნისის შემდეგ რუსეთში ჩამოყალიბდა თვითმპყრობელობის, მემამულეების და ბურჟუაზიის ბლოკი, თუმცა მათ შორის ადგილი ჰქონდა შინაგან წინააღმდეგობასაც, მიმდინარეობდა პარტიული გაშიჯვნის პროცესი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ცარიზმისათვის. 3 ივნისის მონარქიითაც შენარჩუნებული იქნა თვითმპყრობელობისათვის დამახასიათებელი მეფის გარემოცვის დიდი გავლენა საშთაერობო პოლიტიკაზე. აქ წარმოდგენილი იყო მემამულე-მებატონეების ზედა ფენა, მათგან შედგებოდა კამარილია, რომელიც განიხილებოდა, როგორც ხელისუფლებაში მყოფი ძველი კლასის ნაწილი.

თვითმპყრობელობის თვალსაზრისით იდეალური იყო ბულიგინის სათათბირო. ამიტომ 3 ივნისის კანონებში აშკარად შეიმჩნეოდა იმ სათათბიროს ბევრი დამახასიათებელი ნიშანი, რომლის სამართლებრივი საფუძვლები შემუშავებულ იქნა ნიკოლოზ II-ის პირადი მონაწილეობით.

ახალი კანონი წარმოადგენდა უკან გადადგმულ ნაბიჯს, აღადგენდა თვითნებობის ძველ აბსოლუტურ პრინციპებს. 1907 წლის 3 ივნისის შემდეგ ასევე გაუარესდა სახელმწიფო სათათბიროს უფლებრივი მდგომარობა. ფორმალურად იგი რჩებოდა საკონსულტაციო დაწესებულებად, მაგრამ მისი უფლებები ამ სფეროში შესღუდული იყო, რასაც მოწმობს კერძოდ 1909 წლის 24 აგვისტოს დებულება „ძირითადი სახელმწიფო კანონის 96-ე მუხლის გამოყენების წესის შესახებ". ამ დებულების შესაბამისად ქვეყნის სამხედრო მოწყობის განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლება რჩებოდა თვით მეფის ხელში და სათათბირო მისგან ჩამოცილებული

იყო. 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ცარიზმმა მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის ერთ-ერთს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში რუსი ამომრჩეველების კურიის დაარსება. ამ ნაბიჯით ამიერიდან სახელმწიფო სათათბიროს ერთი დუპუტატი ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუსებსაც უნდა აერჩიათ. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ეს უკანასკნელნი შეძლებდნენ მონარქიის ერთგული დეპუტატის არჩევას და მას სათათბიროში გამოიყენებდნენ კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დაცვისა და გატარების მიზნით. მთავრობამ ამას ნაწილობრივ მიაღწია კიდეც. მესამე სახელმწიფო სათათბიროს რუსული კურიის დეპუტატი რეაქციონერი ფ.ტიმოშკინი იყო, ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების წინააღმდეგ პროვოკაციული გამოხდომების მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. რეაქციონერთა ყოველ გამოხდომას ქართველი დეპუტატები საკადრის პასუხს სცემდნენ, საჯაროდ ააშკარავებდნენ იმ საზიზღრობას, რასაც ჩადიოდა რუსეთი საქართველოსა და კავკასიაში.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხზე წინ სოციალურ საკითხს აყენებდნენ, ისინი თელიდნენ, რომ მარტო ეროვნული პოზიციებიდან ლაპარაკი სათათბიროში არ იყო გამართლებული, რადგან მას მოყეებოდა რუსეთის დემოკრატიული ძალებისაგან გათიშვა. ამიტომ უფრთხილდებოდნენ ამ ძალებთან პოლიტიკურ ალიანსს. გამოდიოდნენ მთელი რუსეთის ხალხის სახელით და საქართველოს საჭირბოროტო საკითხებს განიხილავდნენ რუსეთის ხალხების პრობლემათა ჭრილში. აგრარულ საკითხთან დაკავშირებით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს მნიშნელოვანი კანონპროექტები კავკასიაში დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, მათთვის მიწების უსას-

ყიდლოდ გადაცემის მოთხოვნით, მაგრამ ეს კანონპროექტები არ იქნა მიღებული. სათათბირომ ხმა მისცა მიწების გამოსყიდვას, რომელსაც მეფის ნაცვლის კანონპროექტები ითვალისწინებდა.

უარყოფდა რა მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღებას, სათათბირო სამაგიეროდ სიამოვნებით ღებულობდა წვრილ და უმნიშვნელო კანონპროექტებს. კავკასიაში სერიოზული გარდაქმნები მას არ აინტერესებდა, რადგან მისი აზრით, კოლონიაში ხალხს კოლონიურ პირობებში უნდა ეცხოვრა.

სათათბიროების არჩევნებში სხვებთან ერთად მონაწილეობდა პატრიოტულად განწყობილი ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობა. მას ძალიან სურდა, რომ სწორედ მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული საქართველოს ავტონომიის მოპოვება, მაგრამ ყველა მისი ცდა, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ქვეყნის შიგნით, უშედეგოდ დამთავრდა. უფრო მეტიც, მან ვერცერთ სათათბიროში ვერ შესძლო საკუთარი დეპუტატის არჩევა, რადგან იმდროინდელ საქართველოში უფრო ძლიერი გავლენა პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ.

საქართველოს ავტონომიის საკითხის დაყენებას სათათბიროში მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეც. ამ მიზნით იგი ცდილობდა პირველ სახელმწიფო სათათბიროს ქართველ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან დაახლოებას და საერთო ენის გამონახვას, მაგრამ სამწუხაროდ, მათ სათათბიროში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნისაგან თავი შორს დაიჭირეს.

საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ გამოდიოდა სომეხი ბურჟუაზიაც. იგი ფიქრობდა, რომ ავტონომიურ საქართველოში მისი უფლებები შეიზღუდებოდა. ამიტომ კავკასიის საერთოსაოლქო ავტონომიას ანიჭებდა უპირატესობას.

ასეთ პირობებში საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას მხოლოდ სოციალ-ფედერალისტური პარტია აგრძელებდა. ამ პარტიის წევრებს და მათ ლიდერს ა.ჯორჯაძეს, შექმნილ

სიტუაციაში, დასახული მიზნის მიღწევის საშუალებად რუსეთის „პარლამენტი“ მიაჩნდათ. ფედერალისტებმა მწვავე საარჩევნო ბრძოლებში ორჯერ შესძლეს საკუთარი დეპუტატის არჩევა. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ვ.გელოვანმა, მთავრობის დეკლარაციის საპასუხოდ 1912 წლის 13 დეკემბერს მოითხოვა საქართველოს ავტონომია. ეს იყო ისტორიული მომენტი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და ძალით შეერთების 110 წლის შემდეგ კელავ ისახებოდა მისი დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოთხოვნას სათათბირო და მთავრობა დუმილით შეხვდა.

ეროვნულმა საკითხმა თანდათანობით ქართველი სოციალ-დემოკრატების ყურადღებაც მიიქცია. თუ პირველად ისინი თავიანთ ბრძოლებში უპირატესობას სოციალური პრობლემების გადაჭრას ანიჭებდნენ, შემდეგ წინ ეროვნული საკითხი წამოწიეს. რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე დაკვირვების საფუძველზე და ბოლშევიკების მიერ ეროვნულ საკითხში დაკავებული ცალმხრივი პოზიციის გამო, საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსეთის იმპერიაში, ხალხთა ამ საპყრობილეში, მთავარი სოციალური საკითხი კი არა, არამედ ეროვნული საკითხი იყო, რომ ეროვნული საკითხისადმი ბოლშევიკური მიდგომა ვერ უზრუნველყოფდა ერების ნამდვილ თავისუფლებას. უნდა ითქვას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ აზრამდე ყველა ერთად და ერთი და ამავე დროს არ მისულან, მათ გაიარეს რთული და წინააღმდეგობრივი გზა. სოციალ-დემოკრატების ნაწილმა ნ.ჟორდანიას მეთაურობით XX საუკუნის 10-იანი წლებიდან კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას დაუჭირა მხარი, იგი მიიჩნია რუსეთის მომავალ ფედერაციაში მცხოვრები ერების მოწყობის საუკეთესო ფორმად. შემდეგ, როცა ცხადი გახდა თვითმპყრობელობის კრახის გარდუვალობა, მათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ ეროვნულ საკითხში: თებერვლის ბურჟუაზიულ-

დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ისინი ჯერ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის, ხოლო შემდეგ მისი დამოუკიდებლობის აღიარებამდე მივიდნენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრის ევოლუციამ ეროვნულ საკითხში თითქოსდა საფუძველი ჩაუყარა ფედერალისტებთან მათი დაახლოების პროცესს. ამან შეოთხე სახელწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატი და ფედერალისტი დეპუტატების ერთობლივ მოქმედებაშიც იჩინა თავი. ისინი ახლა უფრო ერთსულოვნად და ორგანიზებულად ებრძოდნენ მთავრობას საქართველოს ინტერესებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო ისეთი დაახლოება, რომელიც მტკიცე კავშირის საფუძველი გახდებოდა. ინერციით გრძელდებოდა პრესაში ურთიერთბრალდებების წაყენება. კ.ჩხეიძე და ა.ჩხენკელი პიროვნულად ვერ იტანდნენ ვ.გელოვანს, არ მიაჩნდათ იგი ქუთაისის გუბერნიის ამომრჩეველების დეპუტატად. აღნიშნულ პარტიებს შორის ასეთმა დამოკიდებულებამ იმ ხანად ხელი შეუშალა ერის კონსოლიდაციისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთიანი ბრძოლის საქმეს. პარლამენტის გზით საქართველოს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა განუხორციელებელი დარჩა. ოქტომბრის რევოლუციის წინ, პოლიტიკურმა პარტიებმა მაინც გამონახეს საერთო ენა, ხოლო რევოლუციის შემდეგ ერთად დაიწყეს თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

1. Сборник постановлений о выборах в Государственную думу, СПБ, 1905.

2. ГОсударственная дума, созыв I, стенографические отчеты, т.I, II, СПБ, 1906.

3. Государственная дума, созыв I, стен. отчеты, вып.1, СПБ, 1907.

4. Государственная дума, созыв II, стен. отчету, т.I, II, III, IV, СПБ, 1907.

5. Список членов Государственной думы второго созыва по избирательным окургам и партиям, СПБ, 1907.

6. Государственная дума, созыв III, стенографические отчеты, часть I, СПБ, 1907; часть II, III, СПБ, 1908.

7. Государственная дума, созыв III, проекты принятые государственной думой 1907-1908 гг., СПБ, 1908.

8. Государственная дума, созыв III, обзор деятельности комиссии и отделов в 1908-1909 гг., СПБ, 1909.

9. Кавказский запрос в Государственной думе, Тифлис, 1909.

10. Кавказские депутаты 3-ей Государственной думы, Баку, 1912.

11. Обзор деятельности ГОсударственной думы третьего созыва 1907-1912 гг., ч.II, СПБ,1912.

12. Государственная дума, созыв IV, стен. отчеты, ч.I, II, III, СПБ, 1915.

13. Государственная дума, созыв IV, проекты заказов одобренные Государственной думой 1912-1913 гг., СПБ, 1913.

ლიტერატურა

1. Зайчиков Г.И. Борьба рабочих депутатов Государственной думы против царизма в 1907-1914 гг., М., 1979.

2. Добротвор Н.М. рабочие депутаты в III-ей Государственной думе, Горький, 1957.

3. Аврех А.Я. Царизм и IV Государственная дума, М., 1981, с 50-51, 119, 131, 151.

4. Колиничев Ф.И. Государственная дума в России. сборник материалов и документов, М.1957.

5. Бадаев А.Е. Большевики в Государственной думе (воспоминания), М., 1955.

6. Милюков П.Н. Воспоминания, Нью-Йорк, 1955.

7. Ерошкин Н.П. Самодержавие накануне краха, М., 1975, с.99, 109.

8. Грунт А., Россия в эпоху империализма (1890-1907), М., 1959, с.153.

9. Политические партии России перед революцией 1905-1907 гг., М., 1987, с.28, 35, 42, 80, 128, 168, 232

10. В.И. Ленин о социальной структуре и политическом строе капиталистической России, М., 1970.

11. ვ.ი.ლენინი, თხზ. ტ. 18, გვ. 727, ტ. 19, გვ. 561, 547-575.

12. История Азербайджана, т.2, Баку, 1960.

13. Очерки истории Коммунистической партии Армении, Ереван, 1967.

14. История Северо-Осетинской ССР, М., 1958.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბ., 1972, გვ.254,259,314-315.

16. საქართველოს კომ.პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971.

17. ა.ჯორჯაძე, ძველი და ახალი, ტფილისი, 1906, გვ.89,103.

18. ა.ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990,

გვ.219,223,227.

19. გ.ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1939, გვ.223,233, 254,279.

20. ნ.ნიკოლაძე, ჩემს პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913. გვ.67, 69,78.

21. ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონება), თბ., 1990, გვ.49, 54,56,58,59,61.

22. ი.ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, თბ., 1987, გვ.89-92.

23. გ.შარაძე, ი.ჭავჭავაძე (ფოტომატიანე), თბ., 1990, გვ.251.

24. ა.ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., 1980, გვ.93,191.

25. ლ.გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ.18,26.

26. ი.ხუციშვილი, 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955.

27. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970, გვ.161.

28. Сельское хозяйство и аграрные отношения, т.4, Тб., 1955, с.217.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3

შესავალი 8

თავი I. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა XX ს. დამდეგს 18

§1. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა და ცარიზმის „რეფორმატული" მოღვაწეობა XX ს. დასაწყისში 18

§2. სახელმწიფო სათათბირო - რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტი 34

§3. ცარიზმი და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხი კავკასიაში. 44

§4. პოლიტიკური პარტიები და მათი დამოკიდებულება სათათბიროსადმი 54

თავი II. პირველი სახელმწიფო სათათბირო 68

§1. პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მიმდინარეობა და მისი შედეგები საქართველოში 68

§2. ქართველი დეპუტატების პრაქტიკული მოღვაწეობა პირველ სახელმწიფო სათათბიროში 99

§3. პირველი სახელმწიფო სათათბირო და საქართველოს ავტონომიის საკითხი. 121

თავი III. მეორე სახელმწიფო სათათბირო 146

§1. მეორე სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო კამპანია და არჩევნები საქართველოში 146

§2. ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების პრაქტიკული საქმიანობა მეორე სახელმწიფო სათათბიროში 176

თავი IV. მესამე სახელმწიფო სათათბირო 202

§1. მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მიმდინარეობა და მისი შედეგები საქართველოში 202

§2. საქართველოსა და კავკასიის შესახებ მესამე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონპროექტები და შეკითხვები 221

თავი V. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო და საქართველო 288
§1. წინასაარჩევნო კამპანია და არჩევნები საქართველოში .. 288
§2. ქართველი დეპუტატების მიერ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონპროექტები და შეკითხვები. 303
§3. საქართველოს ავტონომიის საკითხი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში და ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები 317
დასკვნა 341
ბიბლიოგრაფია 351
ლიტერატურა 352

რედაქტორები: ალექსანდრე ბენდიანიშვილი
ცარო გვენეტაძე

ტექ.რედაქტორი: ბესიკ ხარაიშვილი
კორექტორები: ქეთინო გვენეტაძე
ციცი გვენეტაძე